მალხაზ აბდუშელიშვილი

მილვნიან მომიგონებენ

ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრების ქრონიკა

გამომცემლობა „ჟანათლება“
თბილისი — 1987

74.2(2Რ)(09)
Ა 149

დაუვიწყარია სკოლა და იქ გატარებული წლები. ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ტკბილ მოგონებად მიჰყვება ის, რაც სკოლაში ნახა, გაიგონა და შეისისხლხორცა. დიდი ხანია ჩამორეკა გამოსაშვები გაკვეთილის უკანასკნელმა ზარმა, დიდი ხანია დაიხურა საკლასო ოთახის კარი. ყრმები ჭაბუკებად იქცნენ, ჭაბუკები დაკაცდნენ, ბევრი მოჰარმაგდა კიდეც.. მაგრამ ყველას ახსოვს სკოლის მასწავლებელი, რომელმაც მას პირველმა გაუღო გულისა და გონების კარი, პირველად დაანახა ეს სამყარო მთელი თავისი თვალისმომჭრელი მრავალფეროვნებითა და სილამაზით, სიგრძითა და სიგანით, სივრცითა და სიღრმით...

ეს წიგნი ქართული საშუალო სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი მასწავლებლის ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილის არდავიწყებას ეძღვნება.

480200000—061
А ——————— 198—87
М-602(08)—87

© გამომცემლობა „ნაკადული“, 1980.
© გამომცემლობა „განათლება“, 1987.

ვასილ აბდუშელიშვილი, 1947 წ.

ეს პატარა წიგნი დიდმა სიყვარულმა დამაწერინა, დიდმა სიყვარულმა იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქართველი მოზარდების ჩინებულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების კეთილ საქმეს მოახმარა, რომელმაც მთელი სიცოცხლე კარგი კაცის სახელი ღირსეულად ატარა, ხოლო როცა აღესრულა, ეს სახელი აქ დაიტოვა. დიდი ხანია წავიდა ის და დაცარიელდა ადგილი, რომელიც მას ეჭირა ამ ქვეყანაზე... მერე მიდიოდნენ წლები. მიდიოდნენ ადამიანები, იცვლებოდნენ მათი ჩვევები, შეხედულებები. ფასეულობები და ის, რაც გუშინ ჩვეულებრივი და ყოველდღიური რამ იყო, დღეისათვის, და მით უმეტეს ხვალისათვის, კ რგავდა ცხოვრებისეულ საყრდენს და ნიადაგგამოცლილი ლეგენდების სამყაროში გადადიოდა... ასე, თანდათან ამ ლეგენდების შარავანდედით სხივმოსილი წარსული, ჯერ ჩემი ხსოვნის, ხოლო შემდეგ ამ პატარა წიგნის ფურცლებზე ლაგდებოდა და, ალბათ, ამიტომ ის უფრო ლეგენდების წიგნი გამოვიდა, ვიდრე ქრონიკებისა; მაგრამ წიგნს მაინც „ვასო აბდუშელიშვილის

ცხოვრების ქრონიკა“ ჰქვია, ვინაიდან ყველა ლეგენდას, რომელიც ამ წიგნში მოხვდა, თავისი ცხოვრებისეული საყრდენი უსათუოდ ჰქონდა. ეს საყრდენი ზოგი ახლახან იყო და თამამად ეტეოდა ჩემი მეხსიერების არცთუ უნაპირო ჯებირებში, ზოგი კი უფრო ადრე იყო და სხვათა დავიწყების ნავლი საგულდაგულოდ ჰქონდა მიყრილი... დრო კი ისევ მიდიოდა და ყოველი განვლილი წელიწადი თანდათან მაშორებდა იმ გარდასულ დღეებს, ადამიანებსა და გარემოს, რომლებიც მე ასე უსაზღვროდ მიყვარდა და მენატრებოდა... ღმერთო, რამდენჯერ მივუბრუნებივარ უკან, სულის აუტანელ ტკივილებამდე მისულ, მათს მონატრებას... ალბათ, სწორედ ასეთი მონატრებისას — ხან ძილში სიზმრების, ხანაც ცხადში ხილვების სახით — დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ იმ წარსულის ესა თუ ის სურათი და...

აი, ახლაც, ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბავი მახსენდება: თებერვლის უჩვეულოდ თბილსა და მზიან კვირადღეს, ვარდისუბნის ქუჩის ერთი ძველი სახლის, საკმაოდ დიდ და მყუდრო აივანზე, თავი მოუყრიათ გრძელი ზამთრის უმზეო დღეებით გულგაწვრილებულ ჩემს მამა-ბიძებს და მუხლსა და ფრთას აშლევინებენ ფიქრსა და სიტყვას.

მეც იქვე, აივნის კუთხეში, მამიჩემის მიერ დაბადების დღესთან დაკავშირებით ნაჩუქარ ბურთს ვეფერები და ერთი სული მაქვს ეზოში ჩავირბინო და ახალი ბურთით...

— ასპანა ქეციანო, მოდი ჩემთან! — დამიძახა ძია ვასომ[1].

მივედი. თავისი იშვიათი და შეუდარებელი ღიმილით გამიღიმა, შუბლზე მაკოცა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— ჩემ ოთახში, საწერ მაგიდაზე, ერთი დიდი წიგნი დევს, თუ მოერიო, აიღე და აქ მომიტანე.

მივუტანე. ეს იყო ჩვენი უნივერსიტეტის მიერ საიუბილეოდ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის პირველ გვერდზე ეწერა -- „ძვირფას აზიკოს ვასოსაგან“.

— რა ამბავია, ბატონო!.. — შეწუხდა მამაჩემი.

— რა ამბავია, ჩემო გიგო, და: „მიღწვიან, მომიგონებენ, ღამლოცვენ, მოვეგონები“-ო წერია მაგ წიგნში...

— ვაი, მეტი არ არი ჩემი მტერი, მაგას „ფუტბოლის“ გარდა არავინ და არაფერი მოაგონდეს!..

---

[1] პატარაობისას ჭორფლიანი და მუდამ გადატყავებული ცხვირის გამო, ასე „მამკობდნენ“ ხოლმე ჩემი მამა-ბიძები.

ყველას გაეცინა ვინც კი აივანზე იყო მაშინ, ყველას... გარდა ძია ვასოსი და მე... ვიდექი ამ სიცილით საქციელწამხდარი, შეურაცხყოფილი, შერცხვენილი... მაგრამ ძია ვასოსადმი მადლიერების გრძნობით გულშეძრული და ყურებში გაბმული ზარივით რეკდა ჩემთვის მაშინ სრულიად უცნობი და გაუგებარი ორი სიტყვა:

— მიღწვიან, მომიგონებენ!..

— მიღწვიან, მომიგონებენ!..

— მიღწვიან, მომიგონებენ!..

...მერე მიდიოდნენ წლები და ზოგჯერ ძილში სიზმრების. ხოლო ცხადში ხილვების სახით გაიელვებდნენ ხოლმე იმ წარსულის ესა თუ ის სურათები და... იწერებოდა ეს წიგნი — წიგნი სიზმრების, ხილვების, მოგონებებისა და ლეგენდების... და ბოლოს. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ის მაინც იმ მადლიანი მხვნელ-მთესველის ცხოვრებისეული ქრონიკის სახით ჩამოყალიბდა, რომლის მიერ გავლებულმა ხნულმა წარუშლელი კვალი დასტოვა მის მიერ დამოძღვრილი თაობების გულში... და მე ვიცი, რომ ერთადერთი არა ვარ, ვიზედაც მათემატიკისა და კაცობის დაუვიწყარ მასწავლებელს — ვასო აბდუშელიშვილს, შეეძლო ეთქვა: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები!..“

.

არის ერთი სევდიანი, დამაფიქრებელი და ამავე დროს საოცრად პრძნული ქართული ლეგენდა: ერთხელ, იესო მაცხოვარი, საიქიოს გზაზე მიდიოდა, თურმე. ხედავს. ვიღაცას გზისპირად გაუშლია სუფრა, გვერდით მოუდგამს საკვე დოქი და ლხინსა შერება. ლხინის კაცს გამვლელი მგზავრიც მიუწვევია სუფრასთან და უთქვამს:

— მოდი, მგზავრო, ერთი ჭიქა ღვინო დამილიე. დავილოცოთ, ეს ერთი ხელადა ღვინო დავცალოთ და მერე ერთად წავიდეთ იქ, საიდანაც არასოდეს არავინ დაბრუნებულა!..

მგზავრი დაეწვია. დასხდნენ თურმე ორივენი და შეუდგნენ პურის ჭამას. საღეგრძელო. საღეგრძელოს მისდევდა და დოქს კი ღვინო არ აკლდებოდა. ბოლოს გაკვირვებულმა მგზავრმა იკითხა:

— მითხარ, მასპინძელო, ჩვენ რო ვსვამთ და მაგ დოქს კი ღვინო არ აკლდება, ეგ რისგან არის?

მასპინძელს გაეღიმა თურმე და ეს უთხრა სტუმარს:

— ამ დოქს, ძმობილო. ხ ს ო ვ ნ ი ს დ ო ქ ი ჰქვიან. რამდენ ჭიქა ღვინოსაც იმ ქვეყნად ჩემს სახსენებლად შესვამენ — იმდენი ამ დოქს ემატება.

— ერთიც ვნახოთ, იმ ქვეყნად არ დაილია შენი მხსენებელი? — ჰკითხა სტუმარმა.

— მაშინ არც ეს დოქი დაიცლება და უკვდავებაც ხომ მაგასა ჰქვიან, — უთქვამს მასპინძელს და კიდევ ერთხელ შეუვსია სასმისები.

— მოდი, ახლა, უკვდავების სადღეგრძელო შევსვათ, მგზავრო! არც შეგეშალოს, სოფლის სტუმარო, არც დაგავიწყდეს, რომ იესო მაცხოვარი მამა ღმერთმა კი არა, ხალხის სიყვარულმა გააცოცხლა და ხალხის ხსოვნამ უკვდავყო მხოლოდ. აბა, ერთი გულზე ხელი დავიდოთ და თაბაუთიც ეგრე ვაქვიოთ: მამა ღმერთს რომ მისი გაცოცხლება შეძლებოდა — ხომ არც მოჰკლავდა, მაგრამ რაც ღმერთმა ვერ შეძლო, ის ხალხის სიყვარულმა შეძლო და იესო მაცხოვრის უკვდავებაც მხოლოდ ეგ არის და სხვა დანარჩენი ზღაპარია მხოლოდ.

იესო მაცხოვარი წამოდგა თურმე და ეს ღა უთხრა კეთილ მასპინძელს:

— შენ, ძმობილო, სასიკვდილო კაცი არა ყოფილხარ; შენ შენის კაცობით ღმერთისთვისაც გიჯობნია და სიკვდილისთვისაც, ამადაც არ ილევა შენს დოქში ღვინო და ნურც გამოლეულიყოს ნურასოდეს, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე! — და გაოცებული მაცხოვარი განშორებია იქაურობას.

ეს, ცხადია, ლეგენდაა, მაგრამ კარგი ლეგენდაა ეს, მართალი ლეგენდაა ეს! განა არა? „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“ — ბრძანა ილიამ და კარგადაც ბრძანა.

კაცს, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება, კარგი კაცის სახელი დარჩა ამქვეყნად და მე, როგორც მისი ხსოვნის ერთ-ერთ მატარებელს, გულით მინდა, ვიდრე ვცოცხლობ, ან ვიდრე ცოცხლობს თუნდაც ერთი, ვისაც ხელში ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობია მის მიერ ანთებული ცოდნისა თუ მადლის კელაპტარი — მანამ მაინც იცოცხლოს მისმა ნათელმა მოგონებამ, მანამ მაინც არ დაცლილიყოს მისი ხსოვნის დოქი, მანამ მაინც არ წაშლილიყოს მისი კვალი ამ ქვეყანაზე.

სითამამისათვის შენდობას ვითხოვ, მაგრამ დიდი სურვილი დიდი კადნიერებისაკენ მიბიძგებს უნებურად: მინდა ეს წიგნი მისი ამქვეყნიური უკვდავების სადღეგრძელო იყოს... ოღონდ არ ვიცი, სადღეგრძელო, თუ მოსაგონარი?! მე სადღეგრძელო მირჩევნია!

— მაშ, ვასო აბდუშელიშვილის სადღეგრძელო იყოს!

დაბრძანდით, ბატონებო, იმას დამჯდარი სუფრა ერჩია მუდამ!

დაუვიწყარია სკოლა და იქ გატარებული წლები. ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ტკბილ მოგონებად მიჰყვება ის, რაც სკოლაში ნახა, გაიგონა და შეისისხლხორცა: ასე იყო მუდამ, ასეა დღესაც. დიდი ხანია, ჩამორეკა გამოსაშვები გაკვეთილის ბოლო ზარმა, დიდი ხანია დაიხურა საკლასო ოთახის კარი, დიდი ხანია უკან

დარჩა სასკოლო ასაკი. ბევრი, ძალზე ბევრი რამ შეიცვალა იქაც და აქაც: „იქ“ თაობები ახალმა თაობებმა შეცვალეს, „აქ“ კი, ყრმები ჭაბუკებად იქცნენ, ჭაბუკები — კაცებად, კაცები ხანში შევიდნენ, ბევრი მოჭარმაგდა კიდეც, მაგრამ ყველას, უსათუოდ ყველას, ახსოვს და არც არასდროს დაავიწყდება სკოლის მასწავლებელი, რომელმაც მას პირველმა გაუღო გულისა და გონების კარი, პირველმა დაანახა ეს სამყარო მთელი თავისი თვალისმომჭრელი მრავალფეროვნებითა და სილამაზით, სიგრძითა და სიგანით, სიერცითა და სიღრმით... და სანამ ადამიანს საბოლოოდ არ დაეხურება ოდესმე სკოლის მასწავლებლის მიერ გაღებული გულისა და გონების კარი, მუდამ ეხსომება სკოლა, სკოლაში გატარებული წლები, სკოლის მასწავლებელი და ის მადლი, რომელიც მან ოდესღაც დათესა მის გულში და რომელიც დღეს სიკეთისა და კაცობის ნაყოფისმომტან ხედ იქცა.

ჭეშმარიტად დაუვიწყარია სკოლა და სკოლის მასწავლებელი!

ცხოვრების გზაზე ყველას ,ხვდება ბევრი ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება ეწოდოს მასწავლებელი. პირველ რიგში ასეთები შეიძლება იყვნენ მშობლები, მერე — და-ძმები, ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები, ბოლოს ასეთები შეიძლება იყვნენ ოსტატები, ხელმძღვანელები, ლექტორები და პროფესორები. მაგრამ მაინც, როცა ვამბობთ „მასწავლებელი“, ჩვენს ხსოვნაში უსათუოდ გაიელვებს ის, ვინც საშუალო სკოლაში გვასწავლიდა ანაბანასა და გვაზიარებდა ამ ცხოვრების უპირველეს სიბრძნეს.

ეს წიგნი ქართული საშუალო სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი მასწავლებლის — ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილის არდაავიწყებას ეძღვნება; მასწავლებლისა, რომელიც არც რაიმე დიდის აღმომჩენი იყო, არც რაიმე დიდის გამომგონებელი. ის არ ეკუთვნოდა თითებზე ჩამოსათვლელ იმ ერთეულთა რიცხვს, ვიზედაც ლექსებს თხზავენ, სიმღერებს მღერიან, მუსიკას ქმნიან და წიგნებსა წერენ... არა, ის იმ დიდი არმიის რიგითი იყო, რომელიც ათასებს ითვლის, იმ ათასებს, რომელთა ბიოგრაფია თითქმის ერთ თარგზე იჭრება და ერთი საერთო კალაპოტით მიედინება: დაიბადა... პირველდაწყებითი სწავლა მიიღო... შრომითი საქმიანობა დაიწყო... წლისა გარდაიცვალა... დაუვიწყარი იქნება... და სხვ. ამ თარგში მხოლოდ სახელები, ქვემდებარეები და თარიღებია ჩასასმელი და ბიოგრაფიაც მზად არის: მაგრამ ადამიანის ცხოვრება საათი ხომ არ არის, მომართო და ისრებმა არარაისგან მოძრაობა იწყონ. ადამიანის ზრდასა და სვლას იმდენი რამ განსაზღვრავს, ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები ამოძრავებენ მის ურთულეს მექანიზმს, ისეთი ნატიფი დეტალები აყალიბებენ მის პიროვნებას და იმდენი რამ უნდა გაითვალისწინო მისი შინაგანი სამყაროს გაგებისათვის, რომ მშრალი „დაიბადა... და-

ამთავრა... გააკეთა...“ თითქმის არაფრის მთქმელია ეა უფრო ხშირად, სჯობს არა ითქვას რა, ვიდრე ითქვას და არც არა ითქვას. თანაც, ვასილ აბდუშელიშვილი თვითონ იყო ურთულესი პიროვნება და იმ არმიის თუნდაც ერთი რიგითი, მაგრამ კარგი რიგითი წევრი. მას დროშა არასოდეს სჭერია ხელთ და არც თეთრი ცხენით გასძღოლია ამ დიდ არმიას, მაგრამ პირველ რიგში კი იდგა მუდამ და ამიტომ ამ არმიის მარცხიცა და გამარჯვებაც. პირველ .რიგში, მასაც ეხებოდა; ამ არმიის ცხოვრება მისი ცხოვრება იყო და ამდენად მისი ცხოვრება — ამ არმიის ცხოვრების ნაწილი, ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი; ამიტომაც შეუძლებელია გაიგო მისი პიროვნება და გვერდი აუქციო მისი თანადროული საზოგადოების განვითარებას და ქართული სკოლის, პირველ რიგში კი ქართული საბჭოთა სკოლის, განვითარებასა და წინსვლას.

რთული, საოცრად რთული იყო რევოლუციამდელი ინტელიგენციისა და სკოლის ყოფა, მაგრამ კიდევ უფრო რთული — რევოლუციის შემდგომი პერიოდის, ახალი საზოგადოებისა და სასწავლებლის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობები... ამდენად მათზე სათქმელიც ბევრია და სახსენებელიც... ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ არც მთლიანად გვერდის ავლა იქნება, ალბათ.

კიდევ ერთი: ვასილ აბდუშელიშვილი ძველ ქართულ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. ამ ოჯახს ბევრი რამ ჰქონდა სხვა ქართულ ოჯახებთან საერთოც და საკუთრივ მისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელიც: ამიტომ ყოველივე ის, რაც იქ ხდებოდა, ყოველივე ის, რაც მას შეეხებოდა და მის თავისებურებას შეადგენდა — ზოგადიც იყო და კერძოც: ეს ოჯახი დიდად ტრადიციულიც იყო და თავისი დროისათვის დიდად მოწინავეც. აქ საგვარეულო თქმულებებს, ლეგენდებსა და გადმოცემებს სათავეს შუა საუკუნეების მიღმა უდებდნენ, სათუთად ინახავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ამ ლეგენდებისა და გადმოცემების სამყაროში იბადებოდნენ და ყალიბდებოდნენ: ყრმები — ჭაბუკებად, ჭაბუკები — კაცებად, კაცები — მოქალაქეებად; ცხადია, ამ სამყაროს ვერც ვასილ აბდუშელიშვილი გამოეთიშებოდა. და არც გამოეთიშა მას. აქვე, ამ ოჯახში, მუდამ ენთო განათლების მძლავრი კელაპტარი, კელაპტარი, რომელმაც მისი შვილები რუსეთის თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქამდე მიიყვანა (პეტერბურგი, მოსკოვი, დერპტი, კიევი, ოდესა) და ბოლოს, განათლებული ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. ვერც ამ გზას ასცდებოდა ვასილ აბდუშელიშვილი და არც ასცდა. აქ, ამ ოჯახში, ჩამოყალიბდა მისი საოცრად რთული, მტკიცე და მრავალმხრივი ბუნება და ქართულ სკოლაში გამოვლინდა ის მთელი თავისი ძალითა და ახოვანებით.

განუსაზღვრელი იყო ამ ოჯახის ზეგავლენა თითოეულ მის წევრზე და განუზომელი თითოეული მათგანის სიყვარული და პატივისცემა მისადმი. მოგონებების ეს წიგნი, მე მგონი, იმითაც უნდა იყოს ყურადსაღები, რომ ჩვენს ახალგაზრდობას და მომავალ თაობას თვალნათლივ დაანახვოს ჩინებული მაგალითი იმისა, თუ როგორი მუყაითობით, რუდუნებითა და თავგანწირვითაც კი, ეკიდებოდნენ ჩვენი წინა თაობები მშობლიურ ოჯახს, მის კეთილდღეობასა და ჭირვარამს, მის წინსვლასა და აღორძინებას (მის „განკარგებას“, როგორც თვით ვასილ აბდუშელიშვილი და მისი ძმები უწოდებდნენ ამას) და ეს ხომ საზოგადოებისადმი სამსახურის ერთი ფორმაა, ვინაიდან ოჯახი საზოგადოების მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ნაწილია... ყოველ მათგანს შეეძლო მოეთხოვა თავისი წილი დიდი ოჯახისაგან, ეფიქრა მხოლოდ თავის პირად სურვილებსა და კეთილდღეობაზე: დროსტარებაზე, მხიარულებაზე, ჩაცმა-დახურვასა და ჭამა-სმაზე... მაგრამ თითოეული მათგანი ყველაფერს ოჯახს აწაცვალებდა, თავის პირადულს კი უკანასკნელ რიგში აყენებდა და, თუ რომელიმე მათგანი ამას არ სჩადიოდა, ის მყისვე კარგავდა საერთო ნდობასა და პატივისცემას. ყოველივე ამის ტონისმიმცემი კი, პირველ რიგში, თვით ვასილ აბდუშელიშვილი იყო. აქ ბევრია დამაფიქრებელი, სამაგალითო და მიბაძაი, რადგან, ვინც საკუთარ მეს ვერ სცილდება, ვინც ვერ შეიგრძნობს ოჯახის სატკივარსა და საზრუნავს, ვინც ვერ შეძლებს ოჯახის სამსახურს, ის ვერც საზოგადოების სამსახურს შეძლებს და საზოგადოებრივი სამსახურის გარეშე ხომ ადამიანი ადამიანიც აღარ არის. ამას ასწავლიდნენ იმ ოჯახში, სადაც ვასილ აბდუშელიშვილი აღიზარდა და ამასვე ასწავლიდა ის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავის მოწაფეებს.

მეც იმ ქართული ოჯახის ემბაზში ვარ მონათლული, სადაც ვასილ აბდუშელიშვილი აღიზარდა და იმ ქართულ სკოლაში გზანაკურთხი, სადაც ვასილ აბდუშელიშვილი ზრდიდა მომავალ თაობებს: ის ჩემი ბიძაც იყო, ნათლიაც და მასწავლებელიც... მას იმთავითვე „შელეკვებული“ ვყავდი და როცა მშობლიურ სოფელში (შალაურში) დასასვენებლად წავიდოდა ხოლმე, მეც თან წამიყვანდა, თავისთან მამყოფებდა, ყაგნებში მავარჯიშებდა და კაცობაში მწვრთნიდა. ის დღეები, ალბათ, უბედნიერესი დღეები იყო ჩემთვის... ბოლოს ხომ, როცა აღესრულა, ანდერძიც ჩემს სახელზე აღმოჩნდა შედგენილი და მგონი, მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ ის ჩემთვის მარტო ბიძა არ იყო, მარტო აღმზრდელი და მასწავლებელი... ის რაღაც მეტი იყო, უფრო დიდი და ახლობელი, მაგრამ ამას არასოდეს ამჟღავნებდა და ამიტომაც საოცრად მორიდებული ვიყავი მასთან და სიცოცხლეში ერთხელაც ვერ გავუბედე მადლობის თქმა. წლების განმავლობაში

უთქმელად ვატარებდი ვალმოუხდელი მოწაფის მისადმი სათქმელ მადლობის სიტყვას. დღეს კი ამ სიტყვის ხმამაღალი თქმის საშუალება მომეცა და თითქოს გულიდან ჩამომეხსნა მდუმარების მძიმე ლოდი... მე წილად დიდი ბედნიერება მხვდა: ჩემი ყმაწვილკაცობა ვასილ აბდუშელიშვილის გვერდით გამეტარებინა, მივყოლოდი მის გზას, თვალი მედევნებინა მისთვის, როგორც ადამიანისა და პედაგოგისათვის, ამიტომ სათქმელი და მოსაგონარი ძალზე ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაფრის თქმა, რაც ხსოვნამ შემოინახა, ვით არმაღანი საკუთარი სულისა, ძნელიც არის და უსასრულოდ გრძელიც. ამიტომ მე მხოლოდ ზერელედ გადავფურცლავ მკითხველის წინაშე ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრების წიგნს და მხოლოდ იმ მოვლენებზე შევჩერდები, რომლებსაც. ჩემის აზრით, არ შეეძლოთ ზეგავლენა არ მოეხდინათ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მისი პიროვნებისათვის უმეტესად არიან დამახასიათებელნი და რომელთა ცოდნა, თუ სასარგებლო არა, ოდნავ მაინც საინტერესო უნდა იყოს (ისევ ჩემის აზრით) საზოგადოებისათვის და მოზარდი თაობისათვის, განსაკუთრებით.

კიდევ ერთი...

ვასილ აბდუშელიშვილი ცხოვრებაში საოცრად ზომიერი, სადა და მართალი კაცი იყო. მე კი ის უზომოდ მიყვარდა და უზომოდ დიდ პატივსა ვცემდი. ამიტომ სულ მეშინია, არ მიღალატოს სადმე ზომიერების გრძნობამ, სადმე რამე არ გადავაჭარბო, სადმე რამე არ შევალამაზო — ეს ხომ უპატიებელი დანაშაული იქნებოდა მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

შენდობის თხოვნას კიდევ ერთი რამ მიადვილებს:

მე რომ მხოლოდ ფაქტებს, საბუთებსა და ნივთიერ ნაკვალევს ვუდებდე ქარგად ვასილ აბდუშელიშვილის პორტრეტის შექმნას, ალბათ, ფოტოგრაფიული სიზუსტით შევძლებდი მისი გაყინული სახის აღდგენას. მაგრამ მე ასეთი რამ არ განმიზრახავს და ცოდვა გატეხილი ჯობს, არც მიფიქრია ეს. მე მის სულიერ სამყაროში წვდომის სურვილი მამოძრავებს და თუ ეს სურვილი, ერთი შეხედვით, ოდნავ მაინც შეუცვლის მას გარეგნულ იერსახეს, მაგრამ გამოაჩენს მისი სულის, ფოტოგრაფიისათვის მალულ შტრიხებს, მგონი, მისი სახე უფრო სრულქმნილი იქნება, ხოლო ჩემი შეცოდება, ალბათ, უფრო შესანდობარი. ბალა ის არის, შევძლო მე ეს უძნელესი წიაღსვლა მისი სულის უსასრულო ლაბირინთებში, მაგრამ შევძლებ კი?.. მეყოფა კი ძალა, ცოდნა, შნო და უნარი?.. არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უძლიველია ძალა ჭეშმარიტი სიყვარულისა...

მე კი ის...

*
* *

ვის არ ახსოვს დიდი აკაკის „ბაში-აჩუკი“.

ვინ არ მოხიბლულა აბდუშაჰილის გარეგნულად პირქუში, მაგრამ სულიერად საოცრად ფაქიზი, რაინდული და კეთილშობილური პიროვნებით; ბევრს შეიძლება აკაკის ეს სიტყვებიც ახსოვდეს: „აბდუშაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში — აბდუშელიშვილები და ეტყობათ კიდეც, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ“. დიდი აკაკის ასეთ შეფასებას ნებისმიერი გვარი ინატრებდა საქართველოში, მაგრამ ამაზე შემდეგ... თვით აბდუშაჰილს აკაკი თავის წარმომავლობის შესახებ შემდეგს ათქმევინებს: „მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ: არ ვიცი, ვინ ყოფილა ჩემი მამა-პაპა და საიდან მოვხვდი არდალანში? ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია!.. ოდესმე, ერთ სოფელს, სადღაც ლეკები დასცემიან, აუკლიათ მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახიც ამოუწყვეტიათ, ასე, რომ მე დავრჩენილვარ ძუძუმწოვარი და დედასთან ერთად ტყვედ წაუყვანივართ; მყოლია კიდევ ერთი უფროსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული მღვდელთან და გადარჩენილა. ამის მეტი მე არა ვიცი რა“. ეს ლამაზი ლეგენდა[1] „ბაში-აჩუკის“ პოპულარობის წყალობით საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ, საქმე ის არის, რომ შ ა ლ ა უ რ ე ლ ი აბდუშელიშვილების ოჯახში დღემდეა შემონახული საგვარეულო გენეალოგიური ნუსხა და დღემდე ცოცხლობს ტრადიცია, რომლის მიხედვით აბდუშელიშვილები სამცხელი ჯაყელების, ხოლო მათი გამაჰმადიანების შემდეგ. ახალციხელი ფაშების ერთ-ერთი შტოს შთამომავლები ყოფილან. ყოველივე ამას ჩვენი თხრობის საგანთან უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ, რადგანაც ამ საგვარეულო ნუსხის ერთი პირი, რომელიც ამჟამად ჩემს წინ დევს, თვით ვასილ აბდუშელიშვილის ხელით არის გადაწერილი და გარდა ამისა, „კარგი წინაპრების“ მქონე ამ გვარის ისტორია ჩვენი დუხჭირი ისტორიის ერთი ავბედითი გვერდიცაა. ზედმეტი არ უნდა იყოს ამ წიგნში მისი ხსენება: ეს საგვარეულო ნუსხა მე-13 საუკუნიდან — სარგის, სამცხის ათაბაგიდან — იწყება და 25 თაობას მაინც ითვლის; მასში ბევრია სახელოვანი, ზნემაღალი. დიდებული და ღირებული მამულიშვილი — მათ შორის დიდი ბექა მანდატურთუხუცესი, იოანე და აღბუღა რჯულმდებლები, დიდი მზეჭაბუკ, ქაიხოსრო და მანუჩარ ათაბაგები და კიდევ სხვები; ამ ღირებული ათაბაგების

[1] ეს ლეგენდა რომ სიმართლეს შეეფერებოდეს, უნებლიეთ დაისმებოდა კითხვა: დედამ თუ ამდენი რამ უთხრა აბდუშაჰილს, ის რაღად დაუმალა, ან თვითონ აბდუშაჰილი რატომ ვერ მიხვდა, რომ ის ქართველი იყო? („ლეკები“, „მღვდელი“ და სხვ.), მაგრამ ეს პოეტური სილაღე შევუნდოთ დიდ მგოსანს.

სახელებმა ერთი, ბავშვობაში გაგონილი, ლეგენდა გამახსენა: მცირერიცხოვან საგვარეულო რელიქვიებს შორის, დღემდეა შემონახული ერთი დაკლაკნილი ხანჯლის პირი, რომელსაც ოჯახში „გველის წიწილს“ ეძახდნენ. იარაღის მცოდნეთა აზრით, ის ქართული წარმოშობისა არ უნდა იყოს, რადგან მსგავსი ფორმები მხოლოდ შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთში ყოფილან გავრცელებულნი. რა გზით უნდა მოხვედრილიყო ის აბდუშელიშვილების ოჯახში? ამის შესახებ, ასეთი რამ გამიგონია: ოდესმე ის თურქეთის ხონთქარს, სხვა საბოძვართან ერთად, ქაიხოსრო ათაბაგის შვილის, სტამბოლში ტყვედმყოფი ყვარყვარე უფლისწულისათვის უჩუქნია, როდესაც ჭაბუკ უფლისწულს მისი უძლეველი ფალავანი დაუმარცხებია (იხ. ლ. ჭიპინაძე, მოქიდავე ათაბაგი, „ისინდი“, სპორტული ალმანახი. გამ. „ნაკადული“, თბილისი, 1964, გვ. 226). შემდგომში ეს იარაღი სამცხის ათაბაგებისა და ახალციხის ფაშების ოჯახებში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე: ბოლოს... თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს! ჩვენი მომდევნო თხრობა სწორედ იმ გზას შეეხება, რომელსაც ეს ხანჯლის პირი შეიძლება გამოჰყოლოდა... დავუმატებ მხოლოდ იმას, რომ ეს ხანჯლის პირი, თავისი ოქროთი მოზარნიშებული ტარითა და ქარქაშით, მეც მინახავს ჩემს ბავშვობაში; შემდეგ იგი სადღაც გაქრა. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ, საკარმიდამო ეზოს დამუშავებისას, მიწაში აღმოჩნდა მისი დაჟანგული პირი. ახლა ძნელია გარკვევა: ეს ხანჯლის პირი ნივთიერი დადასტურებაა თუ მხოლოდ სათავე ხსენებული ლეგენდისა, მაგრამ ამჟამად ამას არცა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ის, რომ ვასილ აბდუშელიშვილს უსათუოდ გაგონილი ჰქონდა ეს ლეგენდა და „გველის წიწილიც“ არაერთხელ სჭერია ალბათ ხელში. ჩვენთვის კი მხოლოდ ის სამყაროა საინტერესო, რომელშიც აღიზარდა იგი და რომელზედაც, სხვათა მრავალთა შორის, წარმოდგენას გვიქმნის ეს უმნიშვნელო ნივთიც.

დავუბრუნდეთ საგვარეულო ნუსხას: აქვე, ამ ღირსეულ მაპეულიშვილებთან არიან თავკერძა, გულმრუდე, უღირსი. რჯულისა და ერის მოღალატენი: საფარ-ფაშა, როსტომ ქრისტიანობის მტერი, ისაყ ძმის მკვლელი და კიდევ სხვები, რომლებმაც „დაღმა ფარცხეს“, მამათა თვისთა „აღმა ხნული“; მათში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავბედითი სახელი ბექა მესამის სახელია; ეს ის ბექაა, რომელმაც, პირველმა, ქართველ ათაბაგთაგან, იცვალა მამათა რჯული, აღიარა ისლამი და საზღაურად ამისა მიიღო ფაშობა ორი თუღით. ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ეწოდა ახალციხის საფაშო და საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი და უძველესი კუთხე უშუალოდ დაექვემდებარა თურქეთის სასულთნოს. ეს მოხდა 1625 წელს. ამავე

საუკუნის 70-იან წლებში ახალციხის საფაშოს განაგებდა ჯაყელი — ციხისჯვარელების ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავალი, ასლან-ფაშა, რომელსაც ორი შვილი ჰყოლია: უსუფ და სელიმ. უსუფი, მამის, ასლან-ფაშის, შემდეგ 10 წელიწადი იჯდა ფაშად, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ფაშობა მისმა უმცროსმა ძმამ ს ე ლ ი მ მ ა იგდო ხელთ. სელიმ ფაშას (1690—1701 წწ.) სამი შვილი დარჩენია: ასლან-ფაშა, ა ბ დ უ ლ-ბეგი და ალი-ბეგი. სელიმ ფაშას სიკვდილის მერე, ბიძაშვილებს შორის შუღლი ჩამოწოლილა: ჯერ იყო და ისაყს, უსუფ-ფაშას შვილს (1701—1705) უმძლავრია, შემდეგ კი ასლანს, სელიმ-ფაშას შვილს (1705—1708 წწ.), რომელიც, როგორც ჩანს, უფრო ქართული ორიენტაციის ყოფილა, რადგან, როგორც გენეალოგიური ნუსხის მინაწერშია აღნიშნული, რამდენჯერმე დახმარებია ბეჟან დადიანსა და ზურაბ აბაშიძეს. ვინ იცის, იქნებ, ლევან გოთუას თქმისა არ იყოს, ისიც „ჩუმ-ქართველი“ იყო და გულით ატარებდა დარღვეული და დაშლილი სამშობლოს აღდგენის სურვილს? ვინ იცის?!.. ასე იყო თუ ისე, 1708 წელს, თურქების მხარდაჭერით ისაყს უძლევია თავისი ბიძაშვილი ასლან-ფაშა და ხელთ უგდია ფაშობა, ხოლო აბდულ-ბეგი და ალი-ბეგი, როგორც იმავე ნუსხის მინაწერიდან ჩანს: „...ისაყ-ფაშამ გამოდევნა, როგორც ასლან-ფაშას ძმები“ ალი-ბეგი საციციანოში გახიზნულა, სადაც მის შთამომავლებს „ალი-ბეგიშვილები“ დაეგვარათ, ხოლო უფროსს, აბდულ-ბეგს, რომელიც „უპირატესი ვაჟკაცი“ ყოფილა, იმერეთის სამეფოსათვის შეუფარებია თავი. აი, ამ აბდულ-ბეგიდან იწყება შალაურელი აბდუშელიშვილების გვარი. აბდულბეგი, როგორც უკვე ითქვა, ძე იყო ს ე ლ ი მ-ფაშისა, ამიტომ უკვე მას ეწოდა ა ბ დ უ ლ სელიმის შვილი, ანუ აბდულ შელიმის შვილი, ხოლო მის შვილს — მუსტაფა-აღას — ა ბ დ უ შ ე ლ ი მ შ ვ ი ლ ი ანუ აბდუშელიშვილი. აბდუშელიშვილების საოჯახო არქივში დღემდეა შემონახული იმერეთის მეფის სოლომონ დიდის სიგელი, რომელშიც აბდულ-ბეგის შვილი მუსტაფა (მონათვლის შემდეგ — გიორგი) აბდუშელისშვილად მოიხსენიება[1]. ეს სიგელი 1762 წელს არის გაცემული და შიგ ასეთი ფრაზაა „ჩვენ მოგნათლეთ“, ე. ი. წყალობის ეს წიგნი ანუ სიგელი, მონათვლის შემდეგ არის გაცემული. სავარაუდოა, რომ თვით მონათვლის ფაქტი დაახლოებით

[1] საღღაც ამ მუსტაფა-გიორგის თაობაში უნდა იყოს შალაურელი (ვასილ აბდუშელიშვილის მამა-პაპისა) და ბეჟინეველი, გუნდაეთელი, პასიეთელი, ქორეთელი და სხვა აბდუშელიშვილების გზის გასაყარი, რომლებსაც შალაურელ აბდუშელიშვილებზე არანაკლები ოჯახები ჰქონდათ და დიდი აკაკის თქმისა არ იყოს, „ეტყობათ კიდეც, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ“, მაგრამ ამჟამად ეს ჩვენი ეპოქის საგანს არ შეადგენს და ძალაუნებურად შალაურელი აბდუშელიშვილების გზაზე უნდა გადმოეუხვიოთ.

1760 წელს უნდა მომხდარიყო. ამ მუსტაფა-გიორგის პაპის პაპის მამა, ბექა ჯაველი — ციხისჯვარელი, იყო პირველი სამცხის ათაბაგებს შორის, ვინც 1625 წ. იცვალა მამათა რჯული, გამაჰმადიანდა და იწოდა საფარ-ფაშად, ხოლო თვით მუსტაფა-აღა, რომელიც პაპის პაპად ერგებოდა ვასილ აბდუშელიშვილს, იყო პირველი, ვინც 1760 წლიდან, ე. ი. 135 წლის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა მამათა რჯულს — ქრისტიანობას და მონათვლის შემდეგ იწოდა გიორგი აბდუშელიშვილად. მუსტაფა-გიორგი აბდუშელიშვილისათვის სოლომონ დიდს ცოლად თავისი დისწულის, ოტია ლორთქიფანიძის ქალი, ანა მიუთხოვებია. მუსტაფა-გიორგის შვილი, გიორგი, საკმაოდ მომძლავრებულა იმერეთში და როგორც ოჯახში დღემდე შემონახული მისი პირადი ბეჭდითაც დასტურდება, სამეფოს მოურაობისათვის მიუღწევია; ბეჭედს ასეთი წარწერა აქვს: „მონა ღვთისა, ყმა მეფისა, მოურავი გიორგი“. აქვე ინახება მისივე ვერცხლის ჭეებერთელა აზარფეშა, რომლის ტარზე გარკვეით იკითხება: „აბდუშელიშვილის გიორგისა ვარ გიორგის ძისა, მეტად ეწყობა სტუმარს და ლხინსა“.

ამ აზარფეშის ხსენებამ ერთი ამბავი გამახსენა, რომელსაც ჩვენი თხრობის საგანთან, მგონი, გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს. აი ისიც:

ოციანი წლების დასასრულს ეს აზარფეშა მისმა ერთ-ერთმა ბოლო პატრონმა — ბეჟან აბდუშელიშვილმა (1866—1933 წწ.) ქალაქში ჩამოიტანა და ვერცხლეულის მაღაზიაში წაიღო გასაყიდად. ეს რომ ვასილ აბდუშელიშვილმა გაიგო, საოცრად შეწუხდა, უკანასკნელი გროშები მოკრიბა, ვალი აიღო, წავიდა და გამოისყიდა საოჯახო რელიკვია. როცა გაკვირვებულმა დამ — ელისაბედმა ჰკითხა:

— ხეირიანი დანა შენ არა გაქვს და კოვზი და ეგ აზარფეშა რა ჯანდაბად გინდოდაო? — ვასომ უპასუხა:

— არიან ნივთები, რომლებსაც ისევე არ ყიდულობენ, როგორც სამშობლოს და ამიტომ ისევე არ შეიძლება მათი გაყიდვა, როგორც სამშობლოსი... დიდი სირცხვილი იქნებოდა ჩვენი გვარისა და ოჯახისათვის ეს აზარფეშა რომ გაყიდულიყო, ჯერ საამისო, მგონი, არ გვიჭირს-რაო!

მართალია, იმ ზაფხულს ვასილ აბდუშელიშვილმა ვეღარ შეძლო დასასვენებლად წასვლა, ვინაიდან საამისოდ ფული აღარ ეყო, სამაგიეროდ, აზარფეშა გადარჩა დაკარგვას. ამის შემდეგ თითქმის ოცმა წელიწადმა გაიარა, მე ვასილ აბდუშელიშვილის ოჯახში გაშლილ, ალბათ, ყველა სუფრას დავსწრებივარ, მაგრამ არ მახსოვს, რომ ამ აზარფეშით ვინმეს სადღეგრძელო შეესვას. უფრო მეტიც, ადრე საერთოდ არ მინახავს ეს აზარფეშა, მხოლოდ ძია ვასოს გარდაცვალე-

ბის შემდეგ, როცა მისმა უფროსმა ძმამ ნიკოლოზ აბდუშელიშვილმა გადმომცა ის, პირველად მაშინ ვნახე და შემკრთალმა ვიუარე კიდეც მისი მიღება, მაგრამ ძია ნიკომ ეს ამბავი მიამბო და თან დაუმატა: „შენ ამ აზარფეშას საჩუქრად კი არ გაძლევენ, არამედ შესანახად და შემდეგ სხვისთვის გადასაცემად, ამიტომ მის მიღებაზე უარს კი არ უნდა ამბობდე, არამედ ფიცს, რომ არ გაჰყიდი მას... თუმცა ფიცი საჭირო არ არის, ჩვენ რომ შენში ეჭვი გვეპარებოდეს, არც მოგაბარებდით მას“. ასე გადარჩა ვასილ აბდუშელიშვილის მეოხებით ეს საოჯახო რელიკვია „გასხვისებას“ და ოჯახი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „შერცხვენას“. ეს პაწაწინა ამბავი ვასილ აბდუშელიშვილის ბუნების თავისებურების მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

გიორგი გიორგის ძე აბდუშელიშვილს ორი და და ორი ძმა ჰყავდა. მისი ერთ-ერთი დისწულის შვილი ქრისტეფორე მამაცაშვილის ცოლი იყო — კონსტანტინე მამაცაშვილის დედა, მეორე დისწულის შვილი ელენე — დიმიტრი მუსხელიშვილის დედა იყო, უფროსი ძმა ოტია „რუხის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სარდალმა პაპუნა წერეთელმა მოაკვლევინა ღალატით; დანიშნული ჰყოლია რაჭველი თ-დ ყიფიანის ქალი, მაგრამ მოყვანა არ დასცალდა“ (საგვარეულო ნუსხის მინაწერი); ოჯახში ამ ოტია (ოთარ) გიორგის ძე აბდუშელიშვილის ხმალიც არის დღემდე შემონახული.

სხვათა შორის, ამ ხმლის შესახებ ამბად გამიგონია და რადგან ის ვასილ აბდუშელიშვილის მამას შეეხება, უადგილო არ უნდა იყოს მისი გახსენება: ეს ხმალი ოდესღაც სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს ეკუთვნოდა (მართლაც, ვერცხლის ქარქაშზე დადიანის გვირგვინი და ასო „დ“ არის ამოტვიფრული, ვადას კი აწერია — „ხელობა გაბუნიასი“). რუხის ბრძოლაში, სადაც დადიანმა სასტიკად დაამარცხა აფხაზეთის მთავარი, მას იმერეთის მეფე სოლომონი ეხმარებოდა, რომელსაც თან ახლდნენ სარდალი პაპუნა წერეთელი და „მოურავის შვილი“ ოთარ აბდუშელიშვილი. ბრძოლაში აბდუშელიშვილს, რომელიც „უპირატესი ვაჟკაცი“ ყოფილა, დიდი გმირობა გამოუჩენია, რისთვისაც დადიანმა საკუთარი ხმალ-ხანჯალი შეიხსნა და მადლობის ნიშნად მას შეარტყა წელზე. ამან, ყველაფერში პირველობის მოსურნე, პაპუნა წერეთლის შური და გულისწყრომა გამოიწვია, რის გამოც მან ოთარ აბდუშელიშვილი იმავ ღამეს ღალატით მოაკვლევინა და ხმალ-ხანჯალიც მასვე დარჩა. ამის შემდეგ დადიანისეული ხმალი და ქამარ-ხანჯალი წერეთლების ოჯახში ინახებოდა. აბდუშელიშვილებმა ეჭვით იცოდნენ, თურმე, ამ ღალატის ამბავი, მაგრამ

დამამტკიცებელი საბუთი არა ჰქონდათ რა. წერეთლების მტრობა აბდუშელიშვილების მიმართ მერეც გაგრძელდა — მათ შეძლეს თითქმის მთლიანად ამოეწყვიტათ და დაექსაქსათ შალაურელი აბდუშელიშვილების ოჯახი და მიეტაცნათ მათი ადგილ-მამული. XIX საუკუნის დასასრულს სულ რამდენიმე აბდუშელიშვილიღა შემორჩა საწერეთლოს". მათ შორის ერთი, ხსენებული ოთარ აბდუშელიშვილის ძმის — გიორგის — შვილიშვილი, გიორგი (ვასილ აბდუშელიშვილის მამა), რომელიც, აგრეთვე, ჩინებული ვაჟკაცი ყოფილა, საჩხერეში სტუმრად მიუპატიჟნია „დიდი წერეთლების" ერთ-ერთ შთამომავალს (სახელი არ მახსოვს) და ლხინის მერე „მოსასვენებლად" თუ „განსასვენებლად" შეუყვანია ნოხგადაფარებულ უიატაკო ოთახში. გიორგი მიმხვდარა ვერაგობას, კისერში წაუტანებია ხელი წერეთლისათვის, მკლავგამართული ხელით „მასპინძელი" ნოხგადაფარებულ ორმოს თავზე გაუშეშებია და ისე, სხვათა შორის, უკითხავს:

— გაგიშვა ხელი, თუ ოთარ აბდუშელიშვილის იარაღს დაუბრუნებო მის ოჯახს?

თავზარდაცემულ წერეთელს ხმალი დაუბრუნებია და ამის შემდეგ, მგონი, აღარასოდეს მიუპატიჟნია სტუმრად არამც თუ გიორგი, არამედ მისი გვარის მატარებელი საერთოდ. ის ხმალი კი გიორგი აბდუშელიშვილის შემდეგ ვასილ აბდუშელიშვილთან ინახებოდა მის სიკვდილამდე და დღესაც მის ოჯახში ინახება.

გიორგი გიორგის ძის მეორე ძმა ბ ე ჟ ა ნ (ისევ იმ საგვარეულო ნუსხის მინაწერიდან) „პაპუნა და ზურაბ წერეთლების ღალატის გამო ახალციხეს გადაიხვეწა, როდესაც ოცი წლისა იყო და ცოლიც იქ შეირთო — ამილახვრის ქალი. წერეთლებს ამოწყვეტას უპირებდა და კიდევაც წამოიყვანა ახალციხიდან 7000 კაცი ასაოხრებლად, მაგრამ კორტოხიდან დიდის ხვეწნით უკანვე დააბრუნეს". სხვათა შორის, აბდუშელიშვილების მშობლიურ სოფელ შალაურში ნაციხვრის გორაზე ოდესმე მდგარი ციხე სწორედ ამ ბეჟან აბდუშელიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. შეიძლება სწორედ ეს ციხე-კოშკი ჰქონდა მხედველობაში აკაკი ბელიაშვილს, როდესაც წერდა: „აქედან მოჩანდა ბეჟინევ-გორისის დაღარული ზეგანი, აბდუშელიშვილთა სამოსახლოსთან ამართული ციხე-კოშკი, ქორეთისა და უდერძის საყდრები და აქა-იქ მიმოფანტული სახლები"[1].

და კიდევ ერთი: საოჯახო არქივში დაცულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მეუღლის, ალექსანდრე ჭავჭა-

---

[1] ა. ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი, „ოქროს ჩარდახი", თბილისი, 1952, გვ. 29—30.

ვაძის ასულის, ეკატერინე დედოფლის წერილი ბეჟან აბდუშელიშვილის სახელზე. ეს წერილი საუკუნენახევრის წინათ არის დაწერილი და დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული, მაშინ, როდესაც მას არა მარტო ლიტერატურის ისტორიისათვის, არამედ, საერთოდ, საქართველოს იმდროინდელი ისტორიისათვისაც უნდა ჰქონდეს, ჩემი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა. აი ისიც:

„მის ბრწყინვალებას მმოწყალე ხელმწიფეს
ბეჟან აბდუშელიშვილს.

მდაბლად თავს დაგიკრამ და თქვენს კარგად ყოფნას ღვთისაგან ვითხოვ. გარდა ამისა დიდად უკაცრავად გახლდი ამოდენს ხანს შენი თეთრი გაჩერებული მაქუნდა, მაგრამ ამ ზაფხულზედ ლეჩხუმს რომ ვიყავი აქ ოდიშს დაუტოვე კაცს საყიდლად გოგოსა, მაგრამ ვერ ეშოვნა. მეც დიდად ვეცადე, მაგრამ ვერსად ვიშოვნე... და თქვენ იცით, რასაც ამაზედ არ დამენდურებით. მერწმუნე დიდად ვწუხვარ... რომ ეს საქმე ვერ შეგისრულე, მაგრამ რა ვქნა, ძალათ ვერავის წავართვი და ნებით არავინ მომყიდა.

თქვენი ბრწყინვალებისა პატივის მცემელი
მენგოელიის მთავრინა

ხელრთვა.

ჩყლა-ს წელსა
მარტის კდ [1831 წლის 24 მარტი].

თქვენს კნეინას ამილახვრის ქალს მრავალს მოკითხვას და მოსაკითხისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ და მოვართმევ გასახსენებლად ჩემდა ხუთს ხელს აბრეშუმს და ერთს უბეს ცხვირსახოცს“[1].

ბეჟანს მემკვიდრე ვაჟი არ დარჩენია, ხოლო მისი ერთ-ერთი ქალის შვილი ეკა ცოლად ყავდა, თავის დროზე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს — ბესარიონ ღოლობერიძეს; და კიდევ ერთი: უმემკვიდრო ბეჟან აბდუშელიშვილს დიდად არაფრად ენაღვლებოდა თავისი ქონებისა და მამულების შემდგომი ბედი — რასაც მისი დაუდევრობის შედეგად ის მოჰყვა, რომ წერეთლები თანდათან დაეუფლნენ, ერთ დროს მათი ამოწყვეტის მსურველის კერძო წილს. ეს, ცხადია, არაფრად ეპიტნავებოდა მისი ძმის, გიორგის ქვრივს — მაიას, რომელიც დღენიადაგ თავის შთამომავლობაზე ზრუნავდა: ამიტომ რძალსა და მაზლს შორის დიდი სიამტკბილობა არ ყოფილა... ყოველ შემთხვევაში, როცა ხელშუბიანი მაია ბეჟან აბდუშელიშვილის სახლ-კარს

[1] ეს წერილი, ისევე როგორც სხვა, ქვემოთ მოტანილი წერილები, დაცულია საოჯახო არქივში.

ჩაუვლიდა ხოლმე, უკვე მოხუცებაში წასული მეომარი თავის ციხეში შეიკეტებოდა, თურმე და სხვების გასაგონად იტყოდა:

— ეს ჩემი რძალი, ქალი კი არა, ღვთის ცეცხლია და ვაი იმისი ბრალი, ვისაც ის წაეკიდებაო!..

და ბოლოს, თვით გ ი ო რ გ ი გიორგის ძის შესახებ; როგორც იმავე საგვარეულო ნუსხის მინაწერიდან ჩანს, მას „მეუღლედ ჰყვანდა ბერი ფალავანდიშვილის ასული მაია. თუმცა უპირატესი ეაქკაცი იყო, მაგრამ არ დასცალდა — ჟამმა მოკლა 1812 წელს, სოფელ ბალთას, ქართლში, საფალავანდიშვილოში, საიდანაც მოასვენეს და დაკრძალეს სოფ. არგვეთს, თავის მამულში — შალაურთან“.

გიორგი გიორგის ძის დაკრძალვასთან დაკავშირებით ჩემს ბავშვობაში ერთი ასეთი ამბავი მაქვს გაგონილი: როდესაც გიორგის ცხედარი სახლში მოუსვენებიათ, მის მეუღლეს — მაიას — ბრძანება გაუცია, კუბო ეზოში, ნოხგადაფარებულ თონეზე დაესვენებინათ. მაშინ ვერავინ გაიგო ახალგაზრდა ქვრივის ეს ახირება, მერე კი ყველაფერი გაირკვა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. საქმე კი, აი, რაში იყო, თურმე: გიორგის ძმებს მემკვიდრე არ დარჩენიათ; ერთადერთი, ვინც იმ დროისათვის აბდუშელიშვილების გვარის მატარებელი ჩანდა, გიორგის 2 წლის ვაჟიშვილი ოტია (ოთარი) იყო; წერეთლები, ცხადია, შეეცდებოდნენ მის მოსპობასაც, რითაც საბოლოოდ მოიშორებდნენ თავიდან მომძლავრებულ და საკმაოდ აბეზარ მეზობლებს, უკვე განუყოფლად მათ სამფლობელო — საწერეთლოში. ამიტომაც ქმრის დაკარგვით თავზარდაცემულმა ქვრივმა თადარიგი დაიჭირა და სანამ სახხერიდან „მოსასამძიმრებლად“ წერეთლები ამობრძანდებოდნენ, თავისი 2 წლის მემკვიდრე ჩუმად, ისე, რომ არავის დაუნახავს, საკუთარი ხელით ჩააწვინა წინასწარ ნოხგადაფარებულ თონეში. რომელზედაც მისი ქმრის კუბო ესვენა და ასე იტირა ქმარი. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა, წერეთლებმა მთლად გადააქოთეს შალაური და ვერაფერი რომ ვერ ნახეს, ხელმოცარულები დაბრუნდნენ შინ; მაიამ კი გაღმა შალაურიდან დაიბარა თავისი ერთგული კაცი — ბერი ბლიაძე — ჩააბარა თავისი უკანასკნელი ნუგეში და შუალამისას, ჭერათხევის გზით, გაგზავნა ქართლში. თავის მამასთან — ბერი ფალავანდიშვილთან. იქ, იზრდებოდა თურმე პატარა ოტია, 20 წლამდე. შალაურში კი მაია დედა-არწივივით თავს დასტრიალებდა ზღუდემორღვეულ ოჯახს და ცდილობდა თავისი ობლისათვის გაციებული არ დაეხვედრებინა მამისეული ოჯახი. დიდებული ბანოვანი[1] ბრძანებულა მაია: ქმრის ნამუსის შემნახველი, ოჯახის დამცველი, მტრის

---

1 ბანოვანი — დედათ თავადი (საბა).

რისხვა და მოყვრის იმედი. მის მიერ შალაურში მოყვრის იმედად ანთებული კელაპტარი დღესაც ანთია, ხოლო მტრის რისხვად აღებული მისი ხელშუბის თავი მე ოვით მჭერია ხელში. შთამომავლობამ ქედი უნდა მოიხაროს მისი ხსოვნის წინაშე! ჩვენ კი განვაგრძოთ ჩვენი თხრობა.

მიუხედავად მაიას დიდი მცდელობისა, როცა ჭაბუკი ოტია თავის მამულში დაბრუნებულა, თითქმის მთლიანად განადგურებული და მიტაცებული დახვედრია დაქვრივებული და დაობლებული ოჯახი, მაგრამ, რადგანაც თვითონ მეტად სუსტი და მშვიდობიანი ბუნებისა ყოფილა, შეგუებია თავის ხვედრს, დასახლებულა შალაურს და მუდროებაში გაუტარებია თავისი სიცოცხლე.

სულ სხვა ბუნებისა გამოდგა მისი უფროსი შვილი გ ი ო რ გ ი, რომელსაც თავისი ძემძლე დიდედა მაია ზრდიდა და წვრთნიდა მტრის რისხვადა და მოყვრის ქომაგად. მაგრამ აქ უკვე მთავრდება თქმულებების, ლეგენდებისა და ტრადიციების სამყარო აბდუშელიშვილების გვარის შესახებ, ვინაიდან გიორგი ოთარის (ოტიას) ძე მამაა ვასილ აბდუშელიშვილისა და ჩვენ უკვე შევდივართ იმ ოჯახში, სადაც დაიბადა და აღიზარდა ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.

აქვე, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული იმის აღნიშვნა, რომ დედის მხრიდან ვასილ აბდუშელიშვილის ბებია — მარიამ გაბაშვილი — შვილიშვილად ერგებოდა დიდ ქართველ პოეტს ბესარიონ გაბაშვილს (ბესიკს, 1749—1791 წწ.) და რომ ვასილ აბდუშელიშვილი და მისი და-ძმები ერთ-ერთი მემკვიდრეები იყვნენ ქუთაისელი გაბაშვილებისა, მაგრამ ამის შესახებ ქვევითაც იქნება საუბარი.

ზემოთ ჩვენ ერთგან უკვე ვახსენეთ, რომ საოჯახო არქივში დღემდეა შემონახული გიორგი (მუსტაფა) აბდუშელიშვილისათვის ბოძებული იმერეთის მეფის სოლომონ პირველის „წყალობის წიგნი", რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენ მოგნათლეთ და გიბოძეთ თავათ სასახლე შალაური და..." სხვ. ეს წყალობის წიგნი, როგორც ვთქვით, 1762 წლით არის დათარიღებული და ამდენად საბუთიერად დასტურდება. რომ აბდუშელიშვილები 1762 წლიდან დამკვიდრებულან სოფ. შალაურში, რომელიც მას შემდეგ მათ მშობლიურ სოფლად იქცა.

სოფელი შალაური...

ადრე ის შორაპნის მაზრის, საჩხერის უბანს ეკუთვნოდა, ამჟამად კი საჩხერის რაიონის სოფ. გორისისა და სოფ. არგვეთის საასოფლო საბჭოებში შედის. ისტორიულად მთლიანად ეს მხარე ოდესმე ქართლის სამეფოს ნაწილი იყო, შემდეგ თავადი აბაშიძეების მეკლავრობისას, ის იმერეთის სამეფოს ე. წ. „სააბაშიოს", შეუერთ-

და, ბოლოს კი, როცა პირველობა წერეთლებმა იგდეს ხელთ, მთელ ამ მიდამოს „საწერეთლო“ ეწოდა. ეთნიკურად ის მაინც თავისებურ ერთეულად ჩამოყალიბდა და ბოლომდე შემორჩა „ზემო იმერეთის“ სახელი. გეოგრაფიულად სოფ. გორისა ქართლისა და ზემო იმერეთის საზღვართან მდებარეობს და ეს სახელი მას, ალბათ, იმიტომ ეწოდა, რომ გორაზეა გაშენებული: ქართლიდან სოფ. ალისა და ჭერათხევის გადავლით, ჯერ სოფ. გორაძირია და შემდეგ კი, უფრო მაღლა, სოფ. გორისა. ერთი წუთით შეჩერებისა და ხსენების ღირსია სოფელი გორისა და მკვიდრნი მისნი. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ექვთიმე და ოქროპირ წერეთლები. „ზემოური იმერელი კახელს შემოსწყრაო“. ეს „ზემოური იმერელი“ — ექვთიმე წერეთელია, „კახელი“ კი ილია ჭავჭავაძე; ოქროპირ წერეთელი აკაკის ყავს ნახსენები „ჩემს თავგადასავალში“, სოფელს რომ მოუძღოდა წინ ბატონის მიერ გატაცებული ობლის დასახსნელად. ამავე ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“ 1845 წელს დაიდგა სოფელ გორისაში და დიდი საზოგადოებრივი რეზონანსიც გამოიწვია[1]. აქვე, გორისაში დაიბადა და გაიზარდა ექვთიმეს ვაჟი, ერთ-ერთი ქართველი განმანათლებელი, თერგდალეული გიორგი წერეთელი და მისი ვაჟი კაკი, აქვე ცხოვრობდა და რედაქტორობდა ჟურნალ „ჯეჯილს“ გიორგი წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა; აქვე დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ქართველი საზოგადო მოღვაწე და მკურნალი — ექიმი ივანე გომართელი; აქვე... თუმცა კმარა, ხსენებული მოვლენები და ადამიანები მოზრდილი და მოწინავე ქალაქის სახელსაც კი დაამშვენებდნენ. მაგრამ განვაგრძოთ: ულამაზესი მდებარეობა აქვს გორისას. ჩათავდება თუ არა კორბოულის ზეგანი, იწყება გორისის გადასახედი, რომელიც თავს დაჰყურებს მთლიანად „საწერეთლოს“ გადაშლილ ტაფობს; უკვე აქედან იტაცებს თვალს ზემო იმერეთის ჩახავერდებული და ნაირფრად აწალკოტებული ბუნების საოცრად თბილი და რბილი სურათები; ვერც აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარის პოეტური ხილვა და ვერც დავით კაკაბაძის „იმერეთის“ ჯადოსნური ყალმით ნაჩუქურთმები სურათები, ვერ ქმნიან იმ განსაცვიფრებელ განწყობილებას, რასაც იმერეთის, განსაკუთრებით ზემო იმერეთის, ბუნების უშუალო ხილვა იწვევს ადამიანში. მე ვინ მომცა იმის გადმოცემის ძალა... მე განგებას ამისთვისაც ვუძღვნი მადლობას, რომ ამ სილამაზის აღქმის უნარი მიბოძა და ვთვლი კიდეც, რომ ეს უნარი განგების მიერ ბოძებული უდიდესი ჯილდოა ჩემთვის. აქედან პირდაპირ საჩხერე და მის თავზე დაჭრილი არწივივით ფრთადაშვებული „მო და ნახეს“ ციხე ჩანს,

---

[1] საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 476.

მათ უკან — მთები, მთებს უკან ისევ მთები, ბოლოს კი ცაში ოცნებასავით გაფრენილი, დათოვლილი კავკასიონი და პოეტის თქმისა არ იყოს:

„იქ მწვერვალები სილამაზის ღმერთებად დგანან,
იქ, ველ-მინდვრები აუხდენელ სიზმრებსა ჰგვანან“...

საჩხერის გვერდით მთის კალთებზე შეფენილი სოფლები სილამაზითა და სიუხვით ტოლს არ უდებენ ერთმანეთს: სხვიტორი, დუნთა. ჩიხა, ორღული, ჭალა და სპეთი; მხარმარჯვნივ მთაზე გაშლილი: ჭალოვანი, ხვანი, დედაბერა და ლიჩი, მხარმარცხნივ: ჯალაურთა, მოძვი, კალვათა, ჭორვილა, მერჯევი, იმაწმინდა და საირხე, ხოლო წინ მახათაური, შალაური, ბახიოთი, ცხამი, ირტავაზა, არგვეთი და სავანე. ყველა სოფელი თავისებური, განუმეორებელი, რიღაცით ან ვიღაცით სახელგანთქმული... მაგრამ სულ სხვაა შალაური, ის, მგონი, ზემო იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია... თუმცა, რომელი სოფელი არ არის ულამაზესი საქართველოში, და მაინც...

ერთხელ შალაურში აბდუშელიშვილებთან სტუმრად არგვეთელი იაშვილები იყვნენ: როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ყველამ თავისი სოფლის ქება და სიკეთე თქვა: ვასილ აბდუშელიშვილი ჩუმად იჯდა, მაგრამ თვალებში ღიმილის ნაპერწკლები უკრთოდნენ, ბოლოს სეით იაშვილმა ჰკითხა:

— შენ რას იტყვი, ვასო, შალაური ჯობია თუ არგვეთი?

— ცხადია, არგვეთი, — არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა ვასომ.

— ბარემ ისიც თქვი, რითი?

— თუნდაც იმითი, რომ არგვეთიდან შალაურს ხედავ, შალაურიდან კი არგვეთს, — უპასუხა ვასომ და სტუმრების ხარხარი, მგონი, გაღმა არგვეთშიაც კი გაიგონეს, ხოლო პაოლო იაშვილმა ისიც კი უთხრა ვასოს:

— აფსუსი არ არის, შენისთანა კაცი მათემატიკაში იხარჯებოდესო!

გორისა-შალაურის უდიდესი მიმზიდველობა პირველ რიგში, მე მგონი, იმით უნდა აიხსნას, რომ აქედან ხელისგულივით მოჩანს თითქმის მთელი „საწერეთლო“, თანაც არა რომელიმე ერთი მიმართულებით, არამედ ირგვლივ — საითაც უნდა შებრუნდე, ყველგან იშლება საკმაოდ შორი და ერთიმეორეზე უფრო ლამაზი ხედი... განსაკუთრებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ეს ირგვლივეთი ნაციხვრის გორიდან ახდენს... სრულიად განუმეორებელს კი დილის რიჟრაჟზე, აი, როდესაც მტრედისფერი, ჯაჭვისფერი, თუ რძისფერი ჯავარი გაჰკრავს მიწასა და ცას, ხოლო ჭალისმთას ვარდისფერი ქარგა მოევლება.

რაც აქამდე შალაურზე ითქვა, ის, ამ ისედაც პატარა, სოფლის

მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხება. საქმე ის არის, რომ სოფელი შალაური პატარა და უწყინარი ლაშურის ღელით ორ ნაწილად იყოფა: გაღმა და გამოღმა შალაურად. აბდუშელიშვილები გამოღმა შალაურში სახლობდნენ. ამჟამად ეს ტერიტორია ადმინისტრაციულად გორისის სასოფლო საბჭოს ეკუთვნის და ამიტომ მასაც გორისას უწოდებენ. ამდენად, აბდუშელიშვილების ნასახლარმა დღეს სახელიც დაკარგა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ: გაღმა შალაური კი არგვეთის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შევიდა და მან შეინარჩუნა ძველი სახელწოდება — შალაური, თუმცა მასაც მეწყერმა თუ „უწყინარმა" ლაშურამ ნახევარზე მეტი ჩამოუქცია და მცხოვრებნი, ძირითადად. სოფელ მახათაურში გადასახლდნენ...

მაგრამ დავუბრუნდეთ გამოღმა შალაურს.

ოდესღაც აქ აბდუშელიშვილების რამდენიმე ძირმაგარი და ფესვგადგმული, მხარგაშლილი, გულგაშლილი და ხელგაშლილი ოჯახი ცხოვრობდა: ნაციხვარზე ციხე იდგა, ციხის ძირს ხის უზარმაზარი და ლამაზად მოჩუქურთმებული ოტიასეული სასახლე, რომელშიც მისი უმცროსი ვაჟი ვანო და მისი ოჯახი ცხოვრობდა, ცოტა ქვემოთ მოზრდილი ძელური სახლი, რომელიც შუათანა ძმას ზაქარიას ეჭირა, ხოლო ოტიასეული სასახლის მომიჯნავედ — თეთრსვეტებიანი დიდი სახლი. რომელშიაც ვასილ აბდუშელიშვილის მამა — გიორგი სახლობდა, იყო უთვალავი ბეღელი. თავლა, საბძელი, სამზადი, მარანი, ბოსელი, სასიმინდე, სახაბაზო, ბაგა, ფარეხი, ვენახი, ბაღი, ბოსტანი და სხვა და სხვა, დღეს კი ყოველივე ამას წინ უსულგულო და არაფრისმთქმელი (თუ ყოვლისმთქმელი) ნაწილაკი „ნა" დაემატა და... ციხე ნაციხვრად იქცა, სახლი — ნასახლარად, ბეღელი — ნაბეღლავად, მარანი — ნამარნევად, ბაღი — ნაბაღრებად, ვენახი — ნავენახარად, ახო — ნაოხრად, ხოლო აშმყო — ნამყოდ.

მხოლოდ მოგონება დარჩა ხელშეუხები.

მას ვერ შეეხო და ვერც შეეხება დრო-ჟამის ყოვლისშემმუსვრელი და დაუნდობელი ხელი...

...და დგას ჩემს მოგონებაში თეთრსვეტებიანი გიორგისეული სასახლე ზუსტად ისევე, როგორც მე ის პირველად ვნახე დაახლოებით ამ ნახევარი საუკუნის წინათ...

მაღალი, მუხის ნაპობების ღობით შემოვლებული დიდი ეზო და გზის პირას ჩაყოლებული თმახუჭუჭა კოპიტები, შუა ეზოში სამტოტა. მხრებგაშლილი, დიდი კაკლის ხე და ეზოს ბოლოში თვალუწვდენი ბებერი ცაცხვი. სახლის წინ ბრტყელი ქვებით მოკირწყლული ფართო აივანი. რომელსაც მთელ სიგრძეზე გასდევს თეთრი ქვის 10 უზარმაზარი სვეტი. თვითონ სახლი ოთხი მოზრდილი ოთახისაგან შედგება — განსაკუთრებით ერთი მათგანია ვეებერთელა — 60—70 კვადრატული

ბეტრი, რომელშიაც, გამიგონია, ნაბახუსევი გიორგი აბდუშელიშვილი ხშირად პირდაპირ ეზოდან შეაგელვებდა ხოლმე ცხენს. ამ ოთახს დარბაზი ჰქვია — ის საკმაოდ კარგად არის გაწყობილი: უზარმაზარი მუხის კარადა და ასეთივე მაგიდა, რომელიც 100 კაცზე თავისუფლად იშლება; კედლების გასწვრივ გრძელი, ნოხგადაფარებული ტახტები; კუთხეში ვეებერთელა ოთხკუთხა წიგნების თარო და ზედ რა გინდა სულო და გულო: ვეფხისტყაოსანი და ვისრამიანი, ქილილა და დამანა, სიბრძნე სიცრუისა და ბალავრისა, დაეით გურამიშვილი და ბესიკი, უთვალავი ხელნაწერი რვეული და წიგნი, იქვე შექსპირი და იბსენი, დანილევსკი და დოსტოევსკი, მაინ რიდი და შპილჰაგენი, „ჯეჯილი" და „ივერია", „კვალი" და სხვანი... მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც შესასვლელი კარის პირდაპირ რომ კედელია — ის არის; ამ კედლის შუაგულს დიდი, თაროიანი ბუხარია, მის თავზე ირმის ქორბუდა რქებია და, ღმერთო, რა იარაღი და საკრავი არ კიდია ზედ: აბჯარი, ბექთარი, ჯაჭვის პერანგი, მუზარადი ზუჩით, ჩაჩქანი, პოლოტიკი, თორი, ფარი, საბარკული, შუბი, ოროლი, ჩუგლუგი. კაპარჭი, ბოძალი და ხმლები — ჩელთები, მახვილები, დაშნები, გორდები, ლახვრები, ჭოლაურები. სატევრები, კალდიმები. ლეკურები და სხვანი; იქვე კიდია კაკის ჩახმახიანი თოფები, დამბაჩები და საკრავები: სადაფით გაწყობილი თარები, ჩანგები, ჩანგურები, ფანდურები, დაირები, სტვირი, დუდუკი, სალამური. ბუხრის თავზე ბროლის ყალიონების, ძვლის ტარიანი ჩიბუხებისა და ძელქვის კათხების მთელი კოლექციაა; კედლებზე — სხვადასხვა ზომის ჩარჩოებში სურათები: მშობლების, ბიძების, ბაბუების, და-ძმების... და ცალკე — სცენა „სამშობლოდან": გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავისა და ბესიკის სურათები. აღმოსავლეთის მარცხენა კუთხეში სახატე, იქვე ოჯახში ცნობილი „მაიას შუბი", ჭერზე — ვეებერთელა ბრინჯაოს ჭაღი და მთლიანად დარბაზში სიძველისა და გარდასულ დღეთა განუმეორებელი სურნელება. დარბაზიდან ორი კარი გადის, ერთი მარცხნივ — საძინებელში, რომელიც თავის მხრივ მეორე საძინებელს უკავშირდება, ხოლო მეორე — მარჯვნივ. ე. წ. „ზურაბის ოთახში" — აქ ყველაფერი ევროპულ ყაიდაზეა: ძველებური წიგნის კარადა, საწერი მაგიდა და სავარძელი, კუთხეში უზარმაზარი, მთლიანი მუხისგან გამოჭრილი, მრგვალი მაგიდა და სავარძელი[1]. მაგიდაზე ალბომები, მთელ იატაკსა და კედლებზე ნოხები, კედლებთან ტახტები და აღმოსავლური დაბალი სკამები, სა-

---

1 ეს სავარძელი ბოლოს ვასილ აბდუშელიშვილის ძმის — ოტიას შვილიშვილს ვირანდა ფალავანდიშვილს დარჩა, რომლის მეუღლეს — კონსტანტინე გამსახურდიას ეუვარდა ხოლმე ამ სავარძელში სურათის გადაღება.

წერ მაგიდაზე ბრინჯაოს საწერი მოწყობილობა, სპილოს ძვლის ეშ-ვებზე დაყრდნობილი სანათი და პრესპაპიე — უზარმაზარი, შუაში გაგლეჯილი ნალი. მუხის თაროზე ძვლის ნარდი და ჭადრაკი: კედლებზე ქართულ კაბაში გამოწყობილი მანდილოსნებისა და ჩინიანი, თუ უჩინო ვაჟკაცების სურათები; წიგნის კარადაში სპეციალური წიგნები, ძირითადად საბუნებისმეტყველო ხასიათისა და სხვ. და სხვ.

აი, ამ სახლში დაიბადა 1885 წლის 30 აპრილს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.

კიდევ ერთი პაწაწინა დეტალი: სახლის სხვენზე ყრია უამრავი უნაგირი, ლაგამი, უზანგი, საძუე, თუ თოქალთო. იქვე კუთხეში დგას დაზიანებული აკვანი, რომელშიაც, გამიგონია ვასო აბდუშელიშვილი და მისი ძმები იზრდებოდნენ... მერე ყოველივე ეს სადღაც გაქრა; დარჩა აკვნის რამდენიმე ნამსხვრევი, დახეთქილი კედლები და მინებჩალეწილი ფანჯრები... ყველაფერი დრომ, ჟამმა და უპატრონობამ გაანადგურა; ცხადია, ყოველივე ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ახლა მშობლები.

მამა — გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი.

აი მისი ცხოვრების დახარვეზებული იბაკო (Curriculum vitae):

დაიბადა 1832 წელს სოფელ შალაურს, ოტია (ოთარ) გიორგის ძე აბდუშელიშვილის ოჯახში. დავაჟკაცებამდე იზრდებოდა ძირითადად დიდიდედის მაია, ბერი ფალავანდიშვილის ასულის, მეთვალყურეობით. ჰყავდა ოთხი და და ორი ძმა. სამი უფროსი და ადრე გათხოვდა, ხოლო უმცროსი და ნინო მცირეწლოვანი გარდაიცვალა; გიორგი ძმებში ყველაზე უფროსი იყო, მისი მომდევნო ძმა ზაქარია 10 წლით იყო მასზე უმცროსი, ხოლო ვანო თითქმის 20 წლით; ის მან შვილივით გამოზარდა, შვილივით უყვარდა და ბოლოს, მის ხელზე საუკუნოდ მიძინებულს, მანვე დაუხუჭა თვალი...

სწავლობდა ჯერ შინ, მერე ქუთაისში, ექვთიმე წერეთლის ოთხკლასიან სასწავლებელში.

1852 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში მოხალისედ. იბრძოდა თურქების წინააღმდეგ სამეგრელოსა და სამურზაყანოში, სადაც იმ-ხანად ოსმალოს ჯარი იდგა ომარ-ფაშას მეთაურობით. ითვლებოდა რაზმის უფროსის ამალაში, რომლის მეთაური თ-ი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი იყო, ხოლო ასეულისა, რომელშიაც გიორგი ირიცხებოდა — თ-ი დიმიტრი გურიელი. მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში ინგურთან და კოხთან. მედალი და წმ. გიორგის ჯვარი მაშინ მიიღო და იქვე წარადგინეს ჩინზე. როდესაც იმპერატორი ალექსანდრე II მისულა მათთან ნაწილში, მას პირადად მიულოცავს გიორგი აბდუშელი-

შვილისათვის პრაპორშჩიკის ჩინი[1]. იმ დროისათვის გიორგი საპატიო ყარაულში ირიცხებოდა, რომელსაც თ-ი სვიმონ წულუკიძე მეთაურობდა და რომელშიაც მხოლოდ წარმოსადეგ და თვალსაჩინო ოფიცრებს ღებულობდნენ.

1856 წლის 23 მაისს დაჯილდოვდა ორდენით (№ 97392) ინგურის საქმისათვის. ამავე წელს თავს ანებებს სამხედრო სამსახურს, ბრუნდება სახლში და ოჯახს ეკიდება.

1856 წელს, 24 წლისა, პირველად დაქორწინდა ნინო ხერხეულიძის ქალზე, რომელთანაც მას სამი შვილი შეეძინა: ქარუმ, ოტია და მართა. 1863 წელს ნინო ხერხეულიძე გარდაიცვალა.

1865 წელს გიორგი აბდუშელიშვილმა შეირთო ეკატერინე დიმიტრის ასული ბაქრაძე, რომელთანაც მას 12 შვილი მიეცა.

გარდაიცვალა გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი 1915 წელს, 83 წლისა; თუმც ღრმად მოხუცი, ათას ჭირსა და უბედურებაში გამოვლილი, მაგრამ ფიზიკურად მხნე და სულიერად უტეხი, საკუთარი შვილების, შვილიშვილებისა და სხვათა ახლობელთა სიყვარულით გარემოსილი. მის ამ ქვეყნიდან წასვლას გულისტკივილი და ცრემლი არ დაჰკლებია. დასაფლავებულია გორისის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. ასეთი იყო გიორგი აბდუშელიშვილის ცხოვრების შემოკლებული ისტორია — ძირითადი ასავალი და დასავალი, თუმც არც დანარჩენი გზა იყო სწორი და უხინჯო, მაგრამ ეს გზა შორს წაგვიყვანს და აგვაცდენს ძირითად მიზანს; ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე საკუთარი გვარისა და ოჯახის მტრების, პირველ რიგში საჩხერელი თავადების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია და სულ მუდამ იმის მცდელობაში იყო, აღედგინა მათ მიერ ხელყოფილი მამა-პაპის სახელი და უფლება და ამბობენ, ამ უთანასწორო ბრძოლაში არც თუ ამაოდ დაშვრაო გიორგი აბდუშელიშვილი. მან საკუთარი ვაჟკაცობით მიაღწია იმას, რასაც უსამართლო სამართლითა და უუფლებო უფლებით ვერ მისწვდა და ვერც მისწვდებოდა, რამეთუ ღირსება და უფლება იშვიათად ეწყობოდნენ ერთმანეთს მაშინ.

აი, ამ უთანასწორო ბრძოლის ერთი სურათი.

ერთხელ, სახლში დაბრუნებულს, ცხენიდან ჩამოხტომა არც კი აცადეს შინაურებმა: „წერეთლებმა ჭლაპაურების მეიდნიდან ჩვენი საქონელი გაირეკეს — ეს მეიდანი ჩვენ გვეკუთვნისო“, — მოახსენეს და...

---

[1] საერთოდ, მოლაშქრე, რომელიც ოფიციალურ სამსახურში არ იყო და მთავრობის ყურადღებას დაიმსახურებდა, მას „პროპორშჩიკის“ ჩინს ანიჭებდნენ და ნება ეძლეოდა საბეჭურები ეტარებინა.

ე. აბდუშელიშვილის მშობლები ეკატერინე დიმიტრის ასული ბაქრაძე და
გიორგი ოტიას (ოთარი) ძე აბდუშელიშვილი, 1869 წ.

— თოფიო!.. — სჭექა გიორგიმ; როცა მოართვეს, დაუზოგავად სწყვიტა მათრახი ცხენს და გრიგალივით მოსწყდა ადგილს.

საჩხერის ხოდაბუნებთან მიეწია წერეთელსა და მის ამალას თმაგაშლილი და თოფშემართული მხედარი... წერეთელმა თვალი რომ მოჰკრა მდევარს, ცხენს აუჩქარა თურმე, ყვირილაში შეაგდო და მხლებლებს მიაძახა:

— არიქა, თათარი მოდის, ყვირილაში გავასწროთ. თორე მე რო მაგის ხასიათი ვიცი, არავის დაგვზოგავს, ჩვენსასაც წაგვართმევს და დედის რძესაც გვარწყვეინებსო!

მხლებლებმა საქონელი დაყარეს და ჭენებით შეაგდეს ცხენები ყვირილაში. გაღმა გადევნებას გიორგიმ თავი აარიდა. ერთი კი გასძახა გაღმა გასულებს — წერეთელო, მე გიორგი აბდუშელიშვილი მქვიან და ჭლაპაურების მეიდანს კი — გიორგი აბდუშელიშვილის მეიდანი, ეს არ დაგავიწყდეს. თორე სხვა დროს აგრე ადვილად ველარ გამასწრებო გაღმა! — თავისი საქონელი დაირეკა და ამჯერად შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაგრამ „თათარი" კი მაინც შეერქვა მას შემდეგ და აქა-იქ ხალხშიაც ამბობდნენ. თურმე, „გიორგი ნათათრალია და თანანოვით დაუნდობელიო". სამაგიეროდ, წერეთლებს სამუდამოდ ალღებინა მეიდნებზე ხელი. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო, მაგრამ მათ ჩვენი თხრობის საგანთან უშუალო კავშირი არა აქვთ და მათი გახსენება შორს წაგვიყვანს.

და კიდევ: გულუხვად ვაქაცს. არაადამიანური ფიზიკური ძალა ჰქონდა თურმე — სავსე ტომარას დამჯდარი გადადებდა ერთი ადგილიდან მეორეზე და ამას ისე, სხვათაშორის. აკეთებდა. მაჯის სავარჯიშოდ. ნალების მტვრევას მან შეაჩვია შვილები და მაინც ისე ჩავიდა საფლავში, მაჯა ვერ გადაუწია ვერც ერთმა მათგანმა. ახალგაზრდობაში, ქართლიდან გადმოყვანილ ფალავანთან ჭიდაობისას ძალა ვერ მოზომა. წელში შეუვარდა მეტოქეს, მარწუხებივით მოუჭირა მკლავები, ნეკნები ჩაუმსხვრია და... ერთხელ, ქართლში, ნაღვინევი წისქვილში შესულა დასასვენებლად. ეუცხოვა, თურმე, ქართლური წისქვილის უზარმაზარი დოლების ქვა და ეს ჰკითხა მეწისქვილეს:

— რამდენ ფუთიანიაო, ძია კაცო, შენი დოლები?

— არ ვიცი, შვილო, მე არ ამიწონია, მაგრამა ორმა ყევარმა ხარ-კამეჩმა რო ძლივ ამაათრია ამ ალმართზე, ეგ კი ვიცი! რაო, იმერელო, თვალში ხო არ გეპატარავა ჩემი წისქვილის ქვებიო?

— არა, არ მეპატარავა, — თქვა გიორგიმ, — მაგრამ... — ადგა, ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდო, დაადო ხელი უზარმაზარ დოლებს, გაჩერა, და — არც ისე მძიმე ყოფილა, მე რომ მეგონაო!

...ერთხელ, სტუმრად მყოფს, როცა ამხედრებულს თასი მიაწოდეს ოჯახის დასალოცად, ცხენი გაუოჩნდა თურმე, რამდენიც გადმო-

იხარა თასის გამოსართმევად, იმდენჯერ ყალყზე შედგა და გეზად წავიდა... ერთი-ორჯერ სადავე მოზიდა თურმე, მაგრამ როცა ამან არ გაჭრა, გამწყრალმა ცხენს მუშტი დაჰკრა თავში და... დარტყმა ვერ მოზომა... თავგახეთქილი ცხენი ფეხქვეშ გამოეცალა და მხედარმა ძლივსღა მოასწრო გადმოხტომა. გიორგიმ საშინლად იწყინა, თურმე, ეს ფათერაკი და იმ ცხენის გაბზარული თავის ქალა, სინანულის, გულისტკივილისა თუ თავისი ძალის ნიშნად, დიდხანს ეკიდა ალაყაფის კართან მარგილზე.

ერთხელ... ოუმცა კმარა. დანარჩენი მერე იყოს.

და ბოლოს, გიორგი აბდუშელიშვილის სახე უფრო შეგრძნობადი რომ გახდეს, კიდევ რამდენიმე ხაზმოსმა არ უნდა იყოს ზედმეტი: აკადემიკოსმა ალ. ნათიშვილმა, რომელიც პირადად იცნობდა მას, სხვათაშორის, ბრძანა: „გიორგი აბდუშელიშვილს ათას კაცში გამოარჩევდი. ნამდვილი სამეფო კაცი იყო“, პროფესორმა ალ. შატილოვმა კი — „ორ ღუბერნიაში არ იყო მისთანა ვაჟკაცი“; სოფელში ხშირად გამიგონია: „გიორგი რომ გვერდით ჩაგიყენიდა, ქარი წაგაქცევდაო“. როდესაც მირანდა გამსახურდიას[1] პორტრეტზე მუშაობისას[2] აკადემიკოსმა ე. ი. გრაბარმა ქართველი ვაჟკაცის სახის შექმნის სურვილი გამოთქვა და მირანდამ მას გიორგის სურათი აჩვენა, სახელოვანმა მხატვარმა დიდხანს უყურა, თურმე, გიორგის სახეს და ბოლოს, გულდაწყვეტილმა, თქვა: „არა, ასეთ სახეებს მშობლები ქმნიან და არა მხატვრებიო...“ გარეგნულად, როგორც ჩანს, უბაკლო ყოფილა გიორგი აბდუშელიშვილი: ბრგე[3], ახოვანი, თვალადი, ტანადი, მბაობეჭიანი, წელწვრილი. შავთვალწარბა, პირთეთრი; ვაჟკაცი უპირატესი — ქალების, მგონი, ზომაზე მეტად მოყვარული და მოტრფიალე: პურადი შინ და გულადი გარეთ. პირქუში მძლავრთან და გულჩვილი სუსტთან, უებრო თამადა, ენაწყლიანი მოსაუბრე და უზომო მსმელი, წიგნის დიდად მოყვარული და განათლების ყადრის მცოდნე. პატივსაცემი და პატივცემული; საკრძალავი და მოსარიდებელი, დარბაისელი. მტკიცე, ძლიერი და ქედუხრელი, მაგრამ ამავე დროს ქედმაღალი. მედიდური, თავნება. ჯიუტი, ფიცხი, ხშირად მრისხანე, ზოგჯერ განუკითხავი და ხანდახან დაუნდობელიც კი. ღმერთო! მგონი. ზოგზე მეტი ეპითეტი შემომეხარჯა, მაგრამ, რა ვქნა, მე მაინც ასე მგონია, კიდევ რაღაც გამომრჩა, კიდევ რაღაც მივაკელი-მეთქი. როგორც ჩანს, გიორგი აბდუშელიშვილი იმდენად რთული პიროვნება იყო და

---

[1] მირანდა (მართა) ალექსანდრიშვილი — მეუღლე კონსტანტინე გამსახურდიასი, გიორგი აბდუშელიშვილის უფროსი ვაჟის ოთარის (ოტიას) შვილიშვილი იყო.

[2] ეს პორტრეტი ტრეტიაკოვის გალერეაშია გამოფენილი.

[3] შეუნიერად ბალი (საბა).

ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების ნაერთი, რომ მისი ბუნების ჯავარში თითქმის წარმოუდგენელია ერთი რომელიმე ძალების გამორჩევა, ამიტომაც შეუძლებელია მისი ერთი სიტყვით დახასიათება; ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი ასეთი სიტყვა.

სულ სხვაგვარი ბუნებისა ყოფილა ვასილ აბდუშელიშვილის დედა ეკატერინე (კატო). ჩვენ ზეგით ერთხელ უკვე ვახსენეთ, რომ მისი დედა — მარიამ გიორგის ასული გაბაშვილი — შვილიშვილად ერგებოდა ბესარიონ გაბაშვილს (ბესიკს) და ამიტომ არც გასაკვირია, რომ ქუთათელი გაბაშვილების მთელი საგვარეულოსათვის ძირითადად, მწიგნობრობისა და განათლებისადმი ლტოლვა იყო დამახასიათებელი. თავის მხრივ, ასეთივე იყო ეკატერინეს მამაც — დიმიტრი ივანეს ძე ბაქრაძე, რომელიც წარმოშობით „საწერეთლოს" სოფელ დარკვეთიდან იყო, სადაც მას სამემკვიდრეო მამულებიც ჰქონდა (ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დარკვეთელ ბაქრაძეებს გულისხმობდა აკაკი წერეთელი ბაში-აჩუკის შთამომავლებში, რომლებიც „ბაჩუკიშვილობას სწუნობენ და ბაქრაძეობაზე სდებენ თავს" — ყოველ შემთხვევაში, ეკატერინე ბაქრაძეს უყვარდა ხოლმე თავისი ზვიადი მეუღლისათვის „რუმბიეთ გაგორებული" ფალავნის გახსენება. აქაო და ჩემმა წინაპარმა შენი წინაპარი დაამარცხაო, რაც მუდამ აღიზანებდა, თურმე, გიორგი აბდუშელიშვილს): დიმიტრი ბაქრაძის ოჯახი, ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდა, ე. წ. „გაბაშვილის გორაზე". აქ, ნას ევროპულ ყაიდაზე გამართული სამი სახლი ჰქონდა და საკმაოდ მოზრდილი და კეთილმოწყობილი ეზო: პალმებით, მაგნოლიებით, ჰორტენზიებითა და გლიცინიებით დამშვენებული. თვითონ დიმიტრი ბაქრაძე ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედ[1]

ე. აბდუშელიშვილის დედა — ეკატერინე და ძმა გიგო, 1885 წ.

[1] საქართველოს კალენდარი, 1896 წ., გვ. 290.

მსახურობდა, ჰქონდა სახელმწიფო მრჩეველის ჩინი[1] და იყო წმ. გიორგის ჯვრის კავალერი. დიმიტრი ბაქრაძის ოჯახს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისის მთელ იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან. აი, ამ ოჯახში დაიბადა ეკატერინე ბაქრაძე 1849 წლის 8 აგვისტოს. ის მშობლების უფროსი შვილი იყო და როგორც მას, ისე სხვა შვილებს მშობლები იმთავითვე ზრდიდნენ უაღრესად ჰუმანურ და დემოკრატიულ ტრადიციებზე. კატოს ორი და და ერთი ძმა ჰყავდა; მისი მომდევნო და ანასტასია (ტასიკო — დაიბადა 1852 წელს) არ გათხოვილა და მთელი თავისი ცხოვრება კატოს შვილების აღზრდასა და მოვლა-პატრონობას შეალია; მეორე და სოფიო (დაიბადა 1854 წელს) თბილისში იყო გათხოვილი მიხეილ ჩხატარაშვილზე. ძმა — კონსტანტინე (დაიბადა 1862 წელს) იყო უაღრესად განათლებული და მოწინავე პიროვნება; საშუალო განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ ირიცხებოდა ჯერ ნოვოროსიის, შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად; სწავლობდა იურიდიულ და ეკონომიურ დარგებს; კურსი, რამდენადაც ვიცი, არ დაუსრულებია, მაგრამ ითვლებოდა თავისი საქმის კარგ მცოდნედ. მსახურობდა ქუთაისის საურთიერთო-საკრედიტო ბანკში — უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე[2]. გარდა ამისა, იყო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან — კიტა აბაშიძესა, გიორგი ზდანევიჩსა და სხვ. ერთად, მარგანეცის მრეწველთა საზოგადოების გამგეობის წევრი. ცოლი არ შეურთავს, არაოფიციალური ქორწინების შედეგად შეეძინა ერთადერთი ქალიშვილი — კატულია, რომელიც შაქრის ავადმყოფობით (ისევე, როგორც თვითონ) გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. ანასტასიასთან ერთად მასაც უდიდესი ამაგი მიუძღვის კატოს შვილების და კერძოდ, ვასოს აღზრდისა და განათლების საქმეში.

პირველდაწყებითი განათლება პატარა კატო ბაქრაძემ მიიღო შინ. თავისი დედის, მარიამ გაბაშვილის, ხელმძღვანელობით, რომელიც ზედმიწევნით კულტურული და განათლებული ქალი ყოფილა; ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ კლასიკას, განსაკუთრებით კი. ბუნებრივია, თავისი პაპის ბესიკ გაბაშვილის შემოქმედებას. ოჯახში დღემდეა შემორჩენილი მისი ხელით გადაწერილი ბესიკის ლექსები. რომლებიც მან, თურმე, ზეპირად იცოდა და შვილებსაც ასწავლიდა. შემდეგ კატო მიაბარეს ჯერ კერძო, ხოლო შემდეგ ქუთაისის ქალთა საზოგადოების სამაგალითო სასწავლებელ-

---

1 სახელმწიფო მრჩეველი იყო V კლასის სამოქალაქო ჩინი, შეესაბამებოდა პოლკოვნიკის სამხედრო ჩინს.

2 საქართველოს კალენდარი, 1896 წ., გვ. 291.

ში, სადაც მან საკმაოდ ღრმა და მრავალმხრივი ჰუმანიტარული განათლება მიიღო, მაგრამ არ დასცალდა, ვინაიდან დამამთავრებელი კლასიდან, ჯერ სრულიად ნორჩი (16 წლისა) ის მისმა მომავალმა მეუღლემ გიორგი აბდუშელიშვილმა გამოიყვანა და ცოლად შეირთო. აქედან მისი ცხოვრება და ბიოგრაფია მთლიანად დაკავშირებულია გიორგის ცხოვრებასთან, რომელთანაც იზიარებდა ბედის მზეობასაც და უბედობის ქარტეხილებსაც; მხოლოდ ისღაა სათქმელი, რომ მეუღლის შემდეგ მან კიდევ 7 წელიწადი იცოცხლა და კიდევ ბევრ ავ-კარგს შეასწრო ბედმა. 1915 წელს გარდაიცვალა მისი ქმარი, გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი, იმავე წელს, 20 აგვისტოს გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი და ანასტასია (ტასიკო) ბაქრაძე. ცოტა უფრო ადრე, 1912 წლის 15 აგვისტოს გარდაიცვალა მისი ერთადერთი ძმა კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე (50 წლისა). შვილებისა და ახლობლების დაკარგვამ და გამუდმებულმა დარდმა ფიზიკურად ადრე მოსტეხა ისედაც სუსტი, სხვა პიროობებში აღზრდილი და სხვა ცხოვრებისათვის მომზადებული ქალი. თავისთავად მისი შესვლა გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში უდიდესი მოვლენა იყო მთელი შემდგომი თაობისათვის; მან განათლების უქრობი კელაპტარი აანთო ამ ოჯახში და მთელი თავისი სიცოცხლე შეალია შვილების ჰუმანურ, კულტურულ, განათლებულ და კეთილშობილურ აღზრდას; თუ ამ ოჯახში ისეთი სრულყოფილი ინტელიგენტები ჩამოყალიბდნენ, როგორებიც იყვნენ: ოთარ, ზურაბ, ყარამან, ნიკოლოზ, გრიგოლ, ვასილ და ადამ აბდუშელიშვილები, ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დედის — ეკატერინე ბაქრაძის დამსახურებაა. როდესაც მე ვასილ აბდუშელიშვილის მშობლებზე, ეკატერინე და გიორგი აბდუშელიშვილებზე ვფიქრობ, ან როდესაც მათს ახალგაზრდობის სურათს შევხედავ ხოლმე, რატომღაც, უნებურად, საბა-ბრძენის სიტყვები მაგონდება: „მშვიდი — ოდეს სხვასა ევნებოდეს, და არა უსჯიდეთ, ესე ს ი ჯ ა ბ ა ნ ე არს, ხოლო ოდეს ჩვენ ბოროტი შეგუემთხვიოს და დავითმინოთ, ესე ს ი მ შ ვ ი დ ე არს“;.. და მე მუდამ ასე მგონია, სულხან-საბა ორბელიანის ამ განმარტების ხორცშესხმულ ხატებას ვხედავ-მეთქი. — არა, გიორგი აბდუშელიშვილი ჯაბანი არ იყო და ეტყობა კიდეც დაუსჯელად არ დადგებოდა და არც დგებოდა „ოდეს სხვასა ევნებოდა“, ხოლო კატო, — მას რომ ბოროტი შემთხვეოდა, — უსათუოდ „დაითმენდა“ და ითმენდა კიდეც არა იმიტომ, რომ უძალო იყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მშვიდი იყო და ამ სიმშვიდით, გამიგონია, ის ზემოქმედების სასწაულებს ახდენდა, თუ ყველაზე არა, თავის ბობოქარ მეუღლეზე მაინც. მე ისიც მგონია, რომ მშობლების ეს ო რ ი ვ ე თვისება შვილებში ერთადერთს — ვასილ აბდუშელიშვილს გადაეცა მემკვიდრეობით, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ფიზიკურად ეკატერინე ბაქრაძე მეტად სუსტი იყო, ტანმორჩილი, ნაზი, პაწაწინა ხელებითა და ვიწრო მხრებით: პირდაპირ დაუჯერებელია, რომ მას 12 შვილი ჰყავდა და თანაც ისეთი გოლიათები, როგორებიც იყვნენ: ზურაბ, ყარამან, დავით ნიკოლოზ, დიმიტრი, გრიგოლ და სხვები. თვით მისი ერთადერთი ქალიშვილი ელისაბედიც კი ისეთი ძალისა იყო თურმე, რომ მის მიერ დარჭობილი ლომის მიწიდან შეუტოკებლად ამოძრობას, მამის — გიორგის გარდა, ვერც ერთი ძმა ვერ ახერხებდა, ძმები კი, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ნალებს ღუნავდნენ.

ფიზიკურად საოცრად სუსტ და ნაზ კატოს სულიც საოცრად ნაზი ჰქონდა და თბილი; საზღაპრო იყო მისი გულკეთილობა; ძუნწი არც მისი მეუღლე, გიორგი იყო თურმე; მას დაუფიქრებლად შეეძლო საჩუქრად გაეცა და გაუცია კიდეც, შეკაზმული ბედაური, მთელ სოფლად ღირებული ქამარ-ხანჯალი, ქილა-მასრებით გაწყობილი ჩოხა-ახალუხი და სხვ. კატოს ძღვენი გაცილებით უფრო მოკრძალებული იყო: ლუკმა პური და ჩითის პერანგი; მაგრამ თუ გიორგი ამ სამეფო საჩუქარს ერთს, ვინმე რჩეულს უძღვნიდა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ ჰქონდა ამის ქეიფი, კატო განურჩევლად ყველას და ყოველთვის ურიგებდა ამ პაწაწინა საჩუქრებს და ამიტომ მისი ხელგაშლილობა ოჯახისათვის ბევრად უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე გიორგი აბდუშელიშვილის სიუხვე. უაღრესად განათლებული, გონებაგახსნილი, სამართლიანი, სათნო, კდემამოსილი, მშვიდი, ტკბილი, მოყვარული და საყვარელი იყო, თურმე, „დედა კატო". მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე, ჰუმანურ ტრადიციებზე აღზრდილისათვის, არ არსებობდა არავითარი სოციალური, ქონებრივი, თუ საზოგადოებრივი ზღუდეები — ის იყო ყველას ქომაგი, შიშველის ჩამცმელი, მშიერის დამპურებელი, ავადმყოფის მომვლელი, დავრდომილის ნუგეშისმცემელი. ამიტომაც ყველა მის მზეს ფიცულობდა და იმ დღეს ლოცავდა, როცა მან გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში შედგა ფეხი. თუ ქმრის შიში, კრძალვა და მორიდება ჰქონდათ, ცოლთან მოურიდებლად და უკითხავად შედიოდნენ, მისაღებს ღებულობდნენ, მადლობას ტოვებდნენ. როდესაც მისმა ზღვარდაუდებმა ხელგაშლილობამ ოჯახის ეკონომიკისათვის სახიფათო ზომები მიიღო და მეუღლემ უსაყვედურა, რა თურმე, ძალიან შეწუხდა და თავის გასამართლებლად თქვა:

— რა ვქნა, მე მხოლოდ ჩემ თავს შემიძლია ვუთხრა უარი, სხვისთვის უარის თქმის უნარი კი ღმერთს ჩემთვის არ მოუცია.

როცა, თავის მხრივ, გიორგიმაც იწყინა და უთხრა:

— არა, ბატონო, თხოვნაზე კი ნუ იტყვი უარს, მაგრამ შენ თვ-

თონ ნუ მიეძალები, როცა ამას არავინ გთხოვს, ეს შეიძლება ვინმე? გიწყინოს კიდეცო!

მან კიდევ ერთხელ „იმართლა“ თავი:

— აბა, რა თხოვნა უნდა მშიერს, ტიტველს, დავრდომილსა და უნუგეშოს? თხოვნა ყურს ესმის, ვედრებას კი თვალი ხედავს და მე რა ბრალი მაქვს, თუ არც ყრუ ვარ და არც ბრმა!

არაფერი გამოვიდა... და როგორც შემდგომ, შვილების წერილებიდანაც შევიტყობთ, „დედა კატო“, თუ ზევიდან სიკეთის, მადლისა და კეთილშობილების მარადიულ თაღს ადგამდა ოჯახს, ქვევიდან, თავისივე ქველმოქმედებით, საარსებო ნიადაგს აცლიდა ისედაც საფუძველშერყეულ ოჯახს და სიმართლეც უნდა ითქვას, მისი მოღვაწეობა ორივე მიმართულებით თვალსაჩინო წარმატებებითაც დაგვირგვინდა. ეს, ოჯახის „განკარგებისათვის“ მებრძოლი მისი მეუღლის, ალბათ, სამართლიან გულისწყრომას იწვევდა, ჩვენში კი, მის მადლიერ შთამომავლებში, მხოლოდ მოწიწებით ფეხზე ადგომისა და მოკრძალებით თავდახრის სურვილს იწვევს; მაგრამ ვის შეუძლია იმთავითვე ზუსტად განსაზღვროს, რა არის ჩვენს ქმედებაში მართებული და რა — უმართებულო, რა წარმავალი და რა მარადიული?.. ადამიანებს რომ ამის უნარი ჰქონდეთ, ხომ არც არავინ დაუშვებდა ცხოვრებაში საგრძნობ შეცდომას; საერთოდ, „დედა კატო“ თავისი მეუღლის, თითქმის დიამეტრულად საწინააღმდეგო ბუნებისა იყო, და ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გასაოცარი, მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ შვილებს მშობლების მიმართ. მათი პატივისცემა მამისადმი თაყვანისცემამდე მიდიოდა, ხოლო სიყვარული დედის მიმართ — გაღმერთებამდე. აი, ეს ორი, განსხვავებული და მკვეთრად გამოხატული გრძნობა აყალიბებდა, ხოლო წინაპრების საუკეთესო ტრადიციები ასაზრდოებდა, ამდიდრებდა და ავსებდა ყველა მათგანისათვის საერთოდ დამახასიათებელ იმ შინაგან სამყაროს, რომელიც მათ მშობლიური ოჯახიდან გაიტანეს და გარესამყაროს პირისპირ დადგნენ... დანარჩენი თითოეული მათგანის საკუთარი შენაძენი იყო, მაგრამ ამაზე შემდეგ.

და ბოლოს, სანამ ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრების გზას დავადგებოდეთ, კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას უსათუოდ: ვასილ აბდუშელიშვილის ოჯახი, არა მარტო ძველი, ტრადიციული ოჯახი იყო, არამედ საოცრად მრავალრიცხოვანიც და ამ მრავალრიცხოვანი ოჯახის ყოველ წევრს ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეჭირა და კიდევ უფრო მეტი ადგილი თვით ვასილ აბდუშელიშვილს ეჭირა მათ ცხოვრებაში; ამიტომ მის ცხოვრებაზე წერა მათ გარეშე წარმოუდგენლად მეჩვენება, რადგან თვით მას არ წარმოედგინა თავისი ცხოვრება მათ გარეშე; ყველა მათგანის სიხარული და

გამარჯვება მისი სიხარული და გამარჯვება იყო, ისევე, როგორც ყველა მათგანის წყენა და დამარცხება — მისი წყენა და დამარცხება.' ერთხელ ვასილ აბდუშელიშვილმა ბრძანა: „მე რომ საკუთარი შვილები მყოლოდა, ალბათ, ასე ვერ შევიყვარებდიო სხვის შვილებს"; ეს მან საერთოდ თავის მოწაფეებზე თქვა, მაგრამ ეს სიტყვები ყველა მის უახლოეს ნათესავსაც შეეხება; ამ უახლოესი ადამიანების უდიდესი უმრავლესობა მისსავე სიცოცხლეში წავიდა ამ ქვეყნიდან და თითოეული მათგანის წასვლამ, თითო ძარღვი მაინც ჩასწყვიტა მის გულში და განა რა გული უნდა ყოფილიყო, რომ გაეძლო ამდენი ტკივილისათვის?!

აკი ვერც გაუძლო!..

მგონი, მეტისმეტად შორს წავედი და ზომაზე მეტად ავცდი ჩემი თხრობის საგანს... აქ წინათქმაო, გვარიო, სოფელიო, სახლიო — იქ, ოჯახიო, მშობლებიო, ნათესავებიო და სხვანი და სხვანი... იქნებ არავის აინტერესებს ყოველივე ეს; იქნებ მშრალი „დაიბადა... გაიზარდა... დაამთავრა..." უფრო მტკიცე და საიმედო კალაპოტი იყო, რომელშიაც უნდა ჩამეჭედა მისი ცხოვრების ქრონიკა, მაგრამ... რა ვქნა, მე ვასილ აბდუშელიშვილის ბიოგრაფიული ქარგა ნაკლებ საინტერესოდ მიმაჩნია (თუმცა, უამისობაც არ იქნება, ალბათ!), მე მის საოცრად რთულ ბუნებაში წვდომის სურვილმა ამაღებინა კალამი ხელში და დაკვირვებული მკითხველი უკვე მიმიხვდა ალბათ, რომ თვითონ ვეძებ... ვეძებ იმ წვრილმანებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ ეს რთული, მრავალმხრივი, თავისებური და განუმეორებელი პიროვნება. იქ, ზევით, რაც ითქვა, ჩემი აზრით, სწორედ იმ წვრილმანებს შეეხებოდა, რომლებმაც გადაიარეს მისი ცხოვრების გზაზე და რომლებსაც შეუძლებელია კვალი არ დაემჩნიათ მისი ხასიათისათვის; ის ხომ ბუნებით საოცრად მგრძნობიარე იყო და ყველაფერი. რაც მის გარშემო ხდებოდა, მას გულთან ახლოს მიჰქონდა. გულდაგულ ეხლებოდა, საგულდაგულოდ ინახავდა მათ სადღაც გულის სიღრმეში... ამიტომაც ნაადრევად უმტყუნა გულმა... მაგრამ ეს დასასრული იყო, დასაწყისი კი...

დასაწყისი კი ასეთი იყო...

1885 წლის 30 აპრილის მზიან და ნათელ დღეს, შორაპნის მაზრის სოფელ შ ა ლ ა უ რ შ ი გიორგი და ეკატერინე აბდუშელიშვილების ოჯახში დაიბადა საოცრად ლამაზი, პირთეთრი და ბუთხუზა ბიჭი, რომელსაც ვ ა ს ი ლ ი დაარქვეს... გაივლის რამდენიმე დღე და მისი დედა — ეკატერინე დიმიტრის ასული ბაქრაძე — „სახარების" პირველ გვერდს, რომელზედაც ჩამოწერილია ყველა მისი შვილის დაბადების დღე, საკუთარი ხელით მიაწერს: „1885 წელს 30 აპრილს დაიბადა ვასილ გიორგის ძე — ხუთშაბათ დღეს..." გაივლის კიდევ

რამდენიმე დღე და მისი მამა — გიორგი აბდუშელიშვილი გულუხვ, ხალხმრავალ და სამახსოვრო ძეობას გადაიხდის... და მოვლენ ძვირფასი სტუმრები, ოჯახის ნათესავები, მეგობრები და მეზობლები — გორისიდან: წერეთლები, გომართლები და არსენიძეები; შალაურიდან: ბლიაძეები და თურმანიძეები; არგვეთიდან: იაშვილები, მაჭავარიანები, აბრამიშვილები, კურცხალიები და კობახიძეები; სავანიდან; აბაშიძეები და ჯაფარიძეები; ბეინეევიდან: ჯამასბერიშვილები; ქუთაისიდან ბაქრაძეები ამოვლენ, თბილისიდან — ჩხატარაშვილები, კნოლევიდან — ფალავანდიშვილები და კიდევ სხვანი და სხვანი, მაგრამ ყველანი ღირსეული და პატივსაცემი — ნამუსის, შრომისა და კაცობის ოჯახისშვილები... და იქნება ლხინი — ძველი ქართული, დარბაისლური, გამწე და გამძლე ლხინი და დროსტარება... და მხიარული სტუმრები მრავალ სიკეთეს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებენ ახლად მოვლენილ სიცოცხლეს; მაგრამ ეს მერე იქნება... იმ დღეს კი...

— თოფიო! — დაიძახა, კიდევ ერთი ვაჟიშვილის შეძენით გახარებულმა გიორგი აბდუშელიშვილმა და მოართვეს კიდეც მოსევადებული, გრძელტუჩიანი ხირიმი. გიორგიმ აიყოლია ახლობლები, დინჯად გადაჭრა ეზო, მიადგა მაღალ ღობეს, პირი სოფლისაკენ ქნა და სამჯერ ზედიზედ დააქუხა თოფი. მერე, თავის ნადგომ ადგილზე ამოიღო პატარა ორმო, შიგ ჩააწყო ადრევე საგულდაგულოდ შერჩეული, სამი კაკალი და მიწა მიაყარა... გაივლიან დღეები, თვეები, წლები... მყოფადი წარსულად იქცევა და დაივიწყებს მრავალს ის საუკუნე... ამ ადგილზე კი გაიხარებს დიდი კაკლის ხე, რომელიც, როგორც სიმბოლო ოჯახის ზრდისა და მატებისა, ლაღად გაშლის თავის მძლავრსა და ლამაზ ტოტებს და მის მადლიან ჩრდილქვეშ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბევრი შეაფარებს თავს: ჩრღილს იჩრდილებს, ხილს იხილებს, ნუგეშს მიიღებს და დალოცავს მის დამრგველსა და გამხარებელს. ამ კაკალს იმთავითვე „ვასოს კაკალი" შეერქვა; ის ზუსტად მისი სნისა იყო და მისი ცხოვრების განუყოელ თანამგზავრად იქცა. იქ, იმ კაკლის გვერდით, დაიდგა მან სახლი და იქვე, იმ კაკლის ქვეშ ღებულობდა თავის სტუმრებსა და კეთილისმყოფელებს... ვასოს შემდეგ ამ კაკალს ბევრი აღარ უცოცხლია; ჯერ ჩრდილი გაუმეჩხრდა, მერე წვრილი ტოტები შეახმა, წვრილ ტოტებს მერე მსხვილი ტოტებიც მიჰყვა, ბოლოს კი თვითონაც გახმა. ერთხანს, გამხმარი კაკლის ორი ტოტი ისე იდგა, როგორც მიწიდან ცისკენ სავედრებლად გაწვდილი ორი ხელი, მერე ისინიც გადაჩეხეს და ბოლოს გამხმარი სხეულიც ამოძირკვეს... დღეს მის ადგილზე არა დარჩა რა; გადასწორებული ველი და ზედ მწვანედ მობიბინე ბალახი აღარავის მოაგონებს,

რომ აქ, ოდესღაც, ტოტებგაშლილი, ლაღად მოშრიალე, მძლავრი და ლამაზი კაკლის ხე იდგა, რომელსაც ყველა „ვასოს კაკალს“ ეძახდა... დღეს ის მხოლოდ ჩრდილდაკარგულ და კვალწაშლილ მოგონებად იქცა... ერთ დროს კი... დიდხანს, დადხანს...

სწორედ ამ „დიდხანს“ ეძღვნება ეს პატარა წიგნი.

ამრიგად, ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დაიბადა 1885 წლის 30 აპრილს და არა 1887 წლის 17 ნოემბერს, როგორც ეს მის მეტრიკულ ამონაწერსა და პასპორტშია აღნიშნული. არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ „დედა კატოს“ მიერ, საოჯახო „სახარების“ ყდაზე, საკუთარი ხელით მინაწერს — იქ ყველა შვილის დაბადების თარიღებია სხვადასხვა მელნით, მაგრამ ერთი და იგივე ხელით ჩაწერილი. იმ დროისათვის წლების მოკლება, სამხედრო სამსახურის გადავადებისა, თუ სხვა რამ მიზნით, საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო თურმე.

გასული საუკუნის 80-ანი წლები, ერთი ყველაზე უფრო მძიმე და ავბედითი პერიოდია მთელი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში. ეს ის დრო იყო, როცა, რუსეთის ტახტზე იჯდა რომანოვების დინასტიის ყველაზე უფრო რეაქციული წარმომადგენელი, ალექსანდრე III, რომლის უკან შავი ლანდივით იდგა მისი აღმზრდელის კ. ი. პობედონოსცევის საბედისწერო ფიგურა. იმპერატორი თავის საყრდენ ძალას დიდგვაროვან თავად-აზნაურებსა და მემამულეებში ხედავდა, ყოველმხრივ აძლიერებდა და ზრდიდა მათს უფლებებს და ზრუნავდა მათი პრივილეგიებისათვის, რისი ერთ-ერთი გამოვლინება იყო სწორედ 1885 წელს დაარსებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელსაც ქონებრივი განადგურებისაგან უნდა ეხსნა მმართველი ზედაფენა. ასე სურდა რუსეთის „პირველ აზნაურს“, საიმპერატორო ტახტზე მჯდომ უდიდეს ფეოდალს, ალექსანდრე III რომანოვს. ცარიზმის ორთავიანი არწივის შავბნელი აჩრდილი კიდევ უფრო პირქუში გახდა და დაეცა ყველასა და ყველაფერს... აბდუშელიშვილების საგვარეულოსაც არ ასცდა მისი სისხლიანი კლანჭები; ვასილ აბდუშელიშვილის დაბადებამდე... თუმცა, უმჯობესია გადავშალოთ რევოლუციური არქივის ერთი ფურცელი: „მძვინვარე რეჟიმი სუფევდა პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ბნელ და ნესტიან კაზემატებში. აქ ისხდნენ ა. რადიშჩევი, ნ. ჩერნიშევსკი, პეტრაშეველები და სხვები. აქ ჩამოახრჩეს ხუთი დეკაბრისტი. მრავალი ქართველი რევოლუციონერი ჩააგდეს ამ საშინელ სატუსაღოში. პეტრე-პავლეს ციხეში ისხდნენ 1861 წლის 12 ოქტომბერს რუსეთის სტუდენტთა გამოსვლის მონაწილენი: დ. აბდუშელიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ნ. შანშიაშვილი, გ. სავანელი, ა. შანშიაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, დ. ღოღობერიძე, ა. ალ-

ხაზიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, გ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, ი. ისარლიშვილი და ა. ღოღობერიძე, რომლებიც შემდეგ კრონშტადტში გაგზავნეს. აქ იტანჯებოდა რევოლუციონერი — ხალხოსანი სტუდენტი ლევან აბდუშელიშვილი, რომელმაც ვერ გაუძლო კარცერს, ჭლექით დაავადდა და 1876 წელს გარდაიცვალა..."[1] ოჯახში სასოებით ახსენებდნენ ხალხისათვის წამებულ რაინდებს. ახალგაზრდები მათ მაგალითზე იზრდებოდნენ და რაც უფრო მეტად მძვინვარებდა ორთავიანი არწივი, მით უფრო მეტად იზრდებოდა მისდამი წინააღმდეგობის სულისკვეთება. აი, ასეთი იყო შინაპოლიტიკური ატმოსფერო მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი განაპირა პროვინციის, ერთ პატარა სოფელში, დაიბადა ადამიანი, რომლის ცხოვრებაზე შეუძლებელია ზეგავლენა არ მოეხდინა მას და თუ საკუთრივ რაში გამოიხატა იგი, ეს შემდგომმა თხრობამ უნდა დაგვანახოს.

.

როდესაც ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დაიბადა, მისი მშობლები 20 წლის შეუღლებულები იყვნენ.

ის მამის მე-14, ხოლო დედის მე-11 შვილი იყო.

მამა, გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი ამ დროს 53 წელს იყო მიტანებული, მისდევდა თავისი მცირეოდენი მამულების მოვლა-პატრონობას, აგირავებდა და ჰყიდდა პატარ-პატარა საყანე და სავენახე მიწებს, ხოლო როცა ესეც არ კმაროდა, სესხულობდა ფულს მეზობელი გლეხებისა და საჩხერელი ებრაელებისაგან, რომ როგორმე დაეკმაყოფილებინა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის მოთხოვნილება და ხელი გაემართა სახლიდან სასწავლებლად თუ სამსახურად გასული შვილებისათვის.

დედა, კატო, 36 წლისა იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდული შემართებით უძღოდა ოჯახის შინაურ საქმეებს, ასწავლიდა საკუთარსა და მეზობლის შვილებს, ქველმოქმედებდა და მფარველი ანგელოზივით ზემოქმედებდა თავის ქმარ-შვილსა და ახლობლებზე. 25 წლის ძმა ოტია ხან ბათუმში იყო, ხან — ახალციხეში სამხედრო სამსახურში; ახალი მოყვანილი ჰყავდა ცოლი, მარიამ ზედგინიძის ქალი, იყო ბრწყინვალე ოფიცერი და ღრმად განსწავლული პიროვნება. შეებულებას ცოლ-შვილთან ერთად სოფელში ატარებდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც ოჯახს. 23 წლის და, მართა, უკვე 2 შვილის დედა იყო და უახლოესი ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ ოჯახთან: განსაკუთრებული სითბო მას თავის დედობილთან „დედა კატოსთან" აკავშირებდა, რომელსაც ის, თუ ღვიძლ შვილებზე მეტად არა, ყოველ შემთხვევაში, მათზე არანაკლებ უყვარდა; ეს არც გასა-

[1] მ. გ ო რ გ ი ძ ე, არქივის ფურცლები მოგვითხრობენ. გაზ. „თბილისი", 1966 წ., 12 აპრილი.

კვირია, რადგან პატარა მათიკო სულ 2 თუ 3 წლისა იყო, როცა კატო შემოვიდა გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში. მამის მიმართ მას ბოლომდე შერჩა უდიდესი მოკრძალებისა და რიდის გრძნობა. აი, დასტურიც:

„ძვირფასო ბატონო მამა! მარად ღმერთსა ვთხოვ თქვენს მშვიდობას... რომ კარგა ბრძანებულიყვეთ თქვენი პატიოსანი ცოლშვილით, ჩემო ბატონო!

თქვენი უსიამოვნო შვილი მათიკო აბდუშელიშვილი“.

ეს მინაწერი დართული აქვს ერთ პატარა წიგნს, რომელიც მას წიგნის მოყვარული მამის სასიამოვნოდ საკუთარი ხელით გადაუწერია და მიურთმევია მისთვის, 19 წლის და ელისაბედ, ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, დედას ედგა გვერდით და მის კვალს მიჰყვებოდა — ბოლოს ხომ, როცა ძმებმა თბილისში გაიჩინეს პატარა ბუდე, მანვე იკისრა მათი მზრუნველობაც და „დედობაც“. 18 წლის ძმა ზურაბ ქუთაისში იყო, გიმნაზიის გამოსაშვებ განყოფილებაში, ცხოვრობდა ბაბუა დიმიტრის ოჯახში და იზრდებოდა ანასტასია და კოტე ბაქრაძეების მზრუნველობითა და მეთვალყურეობით. 16 წლის ძმა ყარამან, გიმნაზიის „სათავადაზნაურო“ V განყოფილების დამთავრების მერე, ოჯახს დაუბრუნდა და მამას ამოუდგა მხარში. 14 წლის ძმა დათუნია, ზაფხულში შალაურში იყო და ემზადებოდა ქუთაისის გიმნაზიაში შესასვლელად, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა და შემოდგომაზე ხონში გაგზავნეს საპროვიზოროდ მოსამზადებლად. 11 წლის ძმა ნიკოც ქუთაისში იყო გიმნაზიის II მოსამზადებელ განყოფილებაში. 9 წლის ძმა ტიტიკო სოფელში იყო, თითქმის სულ ავადმყოფობდა, რაც სწავლაშიაც უშლიდა ხელს და გარჯაშიაც. 5 წლის პეტრე და 3 წლის გიგო ჯერ კიდევ პატარები იყვნენ და დედის კალთას არ შორდებოდნენ.

ასეთი იყო ძირითადად ოჯახის status guo, როდესაც ვასილ აბდუშელიშვილი მოევლინა ამ ქვეყანას.

საოჯახო არქივში 1885 წლით დათარიღებულია მხოლოდ ერთი წერილი. მას ხონში მყოფი დავით (დათუნია) აბდუშელიშვილი სწერს ქუთაისში თავის უფროს ძმას — ზურაბს. ჩემი აზრით, ეს წერილი ძმების ურთიერთდამოკიდებულებასა და მშობლიური ოჯახისადმი მათს ვალდებულების გრძნობაზე სრულიად გარკვეულ წარმოდგენას ქმნის, ამიტომ უადგილო არ უნდა იყოს მისი გახსენება:

„ძვირფასო ძმაო ზურაბ! მე ახლა ხონში ვარ, აფთიაქში, ეს მეოთხე თვე არის. იმაზე უკეთესად ვარ, სახლიდან რომ ჩამოვედი, აქ უნდა ვიქნე სამ წელიწადს და მერე შემიძლია თანაშემწის გამოცდები დავიჭირო; სახლის ამბავი ეს ერთი თვე არის, არც მე გამიგია. უწინ მწერდნენ ტიტიკოს ცოტა უღონობას; მეც თუ ავად არ გავხდი და

სულ არ დავანებე თავი აფთიაქს, გიგზავნი ხოლმე ხუთ-ხუთ მანეთს ყოველთვიურად. ვიცი, ბატონო, რომ ბევრს ვერაფერს მოგეხმარება, მაგრამ პაპიროსის ფულად მაინც გეყოფა. ხუთი მანეთი ამ ერთი თვის წინათ კოტეს გამოუგზავნე, რადგან მე მისამართი არ ვიცოდი... თქვენ როგორც გირჩევნიათ, გინდ კოტეს ფულთან გამოვგზავნი ხოლმე და გინდ როცა თქვენ გერჩიებათ იმ დროზე გიგზავნით.

თქვენი მოყვარული ძმა დავით აბდუშელიშვილი".

ამას წერს თვითონ ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზით დაავადებული 14 წლის ბიჭუნა, თავის სულ 4 წლით უფროს ძმას; საკვირველია ეს ამბავი და თანაც დიდად დამაფიქრებელიც... აი, ჩვენ უკვე შევედით საოცრებათა სამყაროში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, უფრო მეტი მერე იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ამ წერილზედაც ბევრი მიფიქრია, მაგრამ დღემდე ვერ გავიგე, საიდან გაჩნდა, ჯერ კიდევ სრულიად უასაკო ყრმაში, დასრულებული მოქალაქის ასეთი გონიერი კეთილშობილება?.. შეიძლება მე დღეს იმიტომ მიკვირს ეს ამბავი, რომ ფიზიკურად აქცელერირებულ თაობაში საყოველთაოდ შეყოვნდა ზრდასრული მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესი და ამიტომ ჩვენ დღეს, 14 წლის ადამიანები, ჯერ კიდევ ბავშვები გვგონია, მაშინ, როდესაც... ეჰ, ვინ იცის, ვინ მიხვდება? შეიძლება ასეც იყოს... და მაინც...

1886 წელი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში, ვიდრე წინამორბედი იყო. საქართველოში არსებულ სოციალურ უკუღმართობას აძლიერებდა და აუტანელს ხდიდა იმპერიის პერიფერიებზე გამეფებული, აღვირახსნილი, დიდმპყრობლური შოვინიზმი; ალბათ, ყოველივე ამან ათქმევინა 1886 წელს დიდ ილიას:

„მადლმა თქვა: წუთისოფელში ყოფნა ვაი რა ძნელია!
ძალი პძალოვნობს, ჰბატონობს, მე გული გადამელია;
საცა კი შევხედი, დამძლია, ვერ შევუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამს, ვინცა თქვა: „ძალა აღმართის მხვნელია".

ხოლო აკაკიმ იმავე წელს პირდაპირ მიახალა ცარიზმის დამქაშებს:

„სიტყვაც თქვენ არ აუკრძალეთ,
დაადექით ველურ ძალსა".

ერის მამათა ეს სიტყვები უდიდეს თანაგრძნობასა და გამოხმაურებას პოულობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. ხალხი იღვიძებდა, თანდათან ძლიერდებოდა წინააღმდეგობისა და არსებული უსამართლობისადმი პროტესტის სულისკვეთება, რაც პირველ რიგში, გამოხატულებას პოულობდა დაქსაქსული ეროვნული ძალების

გაერთიანებასა და თვითგამორკვევაში. ამ წელს აირჩიეს ილია ჭავ-ჭავაძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების“ თავმჯდომარედ, ამავე წელს დაარსდა გაზეთი „დროება“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აბდუშელიშვილების ოჯახის უახლოესი მეზობელი, მეგობარი და ნათესავი „გორისელი“ გიორგი წერეთელი. ორივე ეს მოვლენა უდიდესი მნიშვნელობისა გამოდგა ერის შემღგომ ცხოვრებაში და ორივე ამ მოვლენამ გარკვეული როლი შეასრულა ვასილ აბდუშელიშვილის აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმე-შიც.

შალაურში კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა: მამა — გი-ორგი, ოჯახის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აგრძელებდა მი-წების „გასხვისებას“ (1886 წლით დათარიღებული საამისო რამდენი-მე საბუთი საოჯახო არქივში დღემდეა შემორჩენილი); დედა კატო ძველებურად ქველმოქმედებდა, „გიმნაზისტები გიმნაზისტობდნენ“, პატარები კი სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდნენ: რა უბ-რალოდ ითქმის და რა იოლად იწერება ქაღალდზე, ცხოვრებაში კი რა საოცრად ძნელი და აუტანლად მძიმე იყო ყოველივე ეს. თუ, ერთადერთი საარსებო წყარო, მამაპაპისეული მიწის ნაკვეთი, სულ რაღაც ხუთას მანეთად იყიდებოდა, აქედან...

„საყვარელო გიორგი! მე დღეს მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ოცი თუმანი ფული. რასაკვირველია, ამ გაჭირვების დროს, ამნაირი დახმარება, კაცს ეამება, მაგრამ გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მე თქვენმა გრძნობიერმა და სიყვარულით სავსე წერილმა მეტად მასი-ამოვნა. კაცისათვის დიდი ნუგეშია, როცა მას ეგულება უანგარო და ღრმად შეკავშირებული მეგობარი, რომელიც ყოველთვის გაგიტანს და შენს უბედურებას თავისად ჩაითვლის... ზუბიკს, შენც რომ არა-ფერი გქონდეს, ვერ დავტოვებ გამოუზრდელს... ეგ ფული, და სხვაც ბევრი, ცხადია, ზუბიკს მოხმარდება...“ ამას 1886 წელს, 26 ივნისს გიორგი აბდუშელიშვილს ქუთაისიდან სწერს მისი ცოლის ძმა კოტე ბაქრაძე, რომელთანაც იმ დროს იზრდებოდნენ მისი შვილები ზურაბ და ნიკოლოზ, ხოლო შემდეგ პეტრე, გრიგოლ, ვასილ და ადამ აბ-დუშელიშვილები... ადვილი საანგარიშოა, თუ მარტო ზურაბს მოხ-მარდებოდა ეს თანხა, დანარჩენებს რამდენი დასჭირდებოდათ წლე-ბის განმავლობაში. მე არ კიცი, ვინ იმსახურებს ყველაზე მეტ ბარა-ქალას ამ შემთხვევაში — ბიძა — კოტე, დედა — კატო თუ მამა — გიორგი! ალბათ, ყველა ერთად, მაგრამ უმეტესად თვითონ ისინი, ვინც ამ მძიმე პირობების მიუხედავად მაინც ისწავლა და დიდი ცხოვ-რების გზაზე გაიტანა განათლების ჩაუმქრალი კელაპტარი.

იქვე, ამ წერილს, მეორე გვერდზე მინაწერი აქვს:

„საყვარელო კატო! ბავშვისათვის თხოვნის შეტანა ეხლა არ მოხერხდება, რადგან დაკეტილია კანცელარია. მე შემიძლია მხოლოდ ოცს მარიამობის თვეს შევიტანო თხოვნა. ყოველ შემთხვევაში დათუნია აქ უნდა იყოს ოცს და წამოსვლამდის დაიბეჭითოს ყველაფერი, რაც უსწავლია — განსაკუთრებით რუსული და ლათინური ენები, იკითხოს წიგნები და წეროს აღწერილობები, ზუბიკმა აწერინოს...

შენი კოტე“.

აი, დაახლოებით ასე ცხოვრობდნენ, ასე სწავლობდნენ და ასე ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს ვასილ აბდუშელიშვილის უახლოესი ადამიანები. იმ, საოცრად ძნელ, რთულ და ჩვენგან საკმაოდ დაშორებულ დროს.

1887 წელს ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა შავ ზღვასა და თბილისს, რამაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქუთაისის როგორც კულტურული, ისე ეკონომიური განვითარების საქმეში. ცხადია, ეს ფაქტი თავისთავად დადებითი მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში, მაგრამ ამავე წელს საქართველოს ისედაც საავდროდ გამზადებულ ცაზე, როგორც მეხი, ისე გავარდა დიმიტრი ყიფიანის საზარელი მკვლელობის ამბავი, რომელიც ცარიზმის დიდმპყრობლური შოვინიზმის უმახინჯესი გამოვლინება იყო. ქართველი ხალხი შესძრა ამ გაუგონარმა ბოროტმოქმედებამ. არ იყო ოჯახი, სადაც ალალი ცრემლით არ დაეტირათ ქართველი ერის ამ თავდადებული ქომაგის, მოამაგისა და ჭირისუფლის დაღუპვა. „დ. ყიფიანის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. მისი დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქცია“[1].

გიორგი აბდუშელიშვილი სპეციალურად გადავიდა ცხენით ქვიშხეთს, რათა თავისი აღშფოთება და თანაგრძნობა განეცხადებინა დიმიტრი ყიფიანის დაქვრივებული ოჯახისათვის[2]. აი, სწორედ მაშინ მიართვა გიორგის დიმიტრი ყიფიანის შვილმა კოტემ დიდი სურათი სცენისა „სამშობლოდან“, რომელზედაც ქართულ დროშასთან ფიცის თქმაა წარმოდგენილი (სვიმონ ლეონიძე — კოტე ყიფიანი, ლევან ხიმშიაშვილი — ლადო მესხიშვილი და სხვ.); ეს სურათი, როგორც უკვე ითქვა, ბოლომდე ეკიდა აბდუშელიშვილების დიდ სასტუმრო დარბაზში და ახლაც საოჯახო ალბომში ინახება.

---

1 საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958, გვ. 560.

2 დიმიტრი ყიფიანი უახლოესი ადამიანი იყო კონსტანტინე მამაცაშვილისა, რომელიც, თავის მხრივ, ბიძაშვილად ერგებოდა გიორგი აბდუშელიშვილს.

ამ წელიწადს გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში ერთი უდიდესი მნიშვნელობის ამბავი მოხდა: გიმნაზიის კურსდამთავრებული, მისი 20 წლს შვილი ზურაბ, გაემგზავრა რუსეთში (მოსკოეს) უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ეს ამბავი ორმხრივ არის საყურადღებო: ჯერ ერთი, ზურაბი პირველი იყო ოჯახში, რომელიც ამ გზას დაადგა და ამის შემდეგ მისსავე გზას მიჰყვნენ მისი მომდევნო ძმები: ნიკოლოზ, გრიგოლ, ვასილ და ადამ; ხოლო უმაღლეს სასწავლებელში შესვლას იმ დროს არა მარტო ოჯახისათვის, არამედ მთელი ერისათვისაც კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; მეორე მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უმაღლესი განათლების მიღება უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა, მისი გაღება ოჯახისათვის ბევრ სხვა რამეზე ხელის აღებას ნიშნავდა და ხშირად ესეც არ იყო საკმარისი; ამიტომ ქართველ (და ალბათ, არა მარტო ქართველ) სტუდენტებს უდიდესი გაჭირვებისა და ხშირად შიმშილის გადატანაც უხდებოდათ, რათა დაეკმაყოფილებინათ სწავლის უძლეველი წყურვილი. 1887 წლის 19 მარტით არის დათარიღებული ხელწერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გ. აბდუშელიშვილმა მიჰყიდა ვინმე გიორგი სოსიას ძე დარბაიძეს მიწის ნაკვეთი 600 მანეთად. მე ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ მთელი ეს თანხა გიორგი აბდუშელიშვილმა ზურაბს მოახმარა, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნებოდა ეს თანხა სტუდენტური ხარჯების დასაფარავად, ამაში კი ეჭვი მეპარება და საფუძველიცა მაქვს. როგორც ჩანს, ვერც ზურაბი და ვერც მამამისი ვერ შეაშინა ამან და განზრახვის სისრულეში მოყვანას მომავლის იმედით შესდგომიან ორივენი. ხელმოკლეობის ეს სენი მარტო ამ ოჯახს არ სჭირვებია იმ დროს. აი, რასა სწერს ამის თაობაზე 1886 წლის 4 თებერვალს ილია ჭავჭავაძე: „ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია... ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა — უკეთესი სამკაულია ყოვლის კაცისა და ყმაწვილკაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა“[1] და შემდეგ: „...ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილ-კაცის ძახილი მოდის, მიშველეთო... იწერებიან უნუგეშოდ შთომილნი ყმაწვილ-კაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი“...[2] და კიდევ შემდეგ: „რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარე-

---

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, თბ., 1928, გვ. 239.

2 იქვე, გვ. 240.

ბია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ“... და ბოლოს „რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!..“[1] ილია ჭავჭავაძის ეს სტრიქონები ზურაბსა და მის მშობლებს, ცხადია, წაკითხული ჰქონდათ[2] და მაინც ეს თითქმის გადაულახავი დაბრკოლება წინ ვერ აღუდგა „ვაჟკაცურ წინდაუხედაობას“ და განზრახული აღსრულდა... 1887 წლის ზაფხულის მიწურულს მშობლებისაგან გზანაკურთხი და დალოცვილი ზურაბ აბდუშელიშვილი გაუდგა სიძნელეებითა და მოულოდნელობით აღსავსე გზას შორეული მოსკოვისაკენ... გზას, ნათელი და განათლებული მომავლისაკენ... ვასილ აბდუშელიშვილი მაშინ სულ 2 წლისა იყო... გაივლის ორი ათეული წელიწადი და თვითონ ვასილ აბდუშელიშვილიც დაადგება ამ შორეულ გზას, მაგრამ ეს შემდეგ იქნება, ახლა კი მისი უფროსი ძმა იჭერს საბედისწერო გამოცდას, რომელიც მის წინაშე ცხოვრებამ დააყენა.

მე მგონია, ქართველ სტუდენტთა ხელმოკლეობისა და მცდელობის მაჩვენებელი უნდა იყოს ერთი პატარა ამბავი, რომლის გახსენება ხშირად უყვარდა ხოლმე ვასილ აბდუშელიშვილს:

ჩაირიცხა თუ არა ზურაბი მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, იმთავითვე დაუკავშირდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს და პირველი დავალებაც მაშინვე მიიღო. დავალება საკმაოდ მძიმე და საჩოთირო იყო, წარმატების იმედი არავის ჰქონდა და ამიტომაც ვერავინ ითავა მისი შესრულება; საქმე კი აი, რაში იყო: იმ დროს რუსეთის იმპერიის პერიფერიებიდან საუნივერსიტეტო ქალაქებში ჩასული სტუდენტები ქველმოქმედების მიზნით ხშირად მართავდნენ ხოლმე საღამოებს — ასეთი საღამოების მთელი შემოსავალი ხმარდებოდა ხელმოკლე სტუდენტებს, რაც მათ, დროებით მაინც, უცხო ქალაქში ცხოვრებისა და სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი საღამოს გასამართავად ემზადებოდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოც, მაგრამ ხელმოკლე სტუდენტები, სამწუხაროდ, ბევრნი იყვნენ, საქველმოქმედო საღამოს შედეგად შემოსული თანხა კი ჩვეულებრივ მეტისმეტად მცირე და, ცხადია, ყველას ვერ გასწვდებოდა; უთუოდ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ვიღაცას მოუვიდა აზრად, საღამოზე ვინმე სახელოვანი შემსრულებელი მოეწვიათ, რაც ცხადია, დიდად გაზრდიდა შემოსავალს და გაცილებით მეტ ქართველ სტუდენტს მოათქმევინებდა სულს. იმ დროს მოსკოვში საგასტროლოდ იმყოფებოდა

---

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, თბ., 1928, გვ. 239.

2 „ივერიის“ ყოველწლიურად აკინძული წიგნები — დღიდან ამ ორგანოს დაარსებისა — დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ინახებოდა საოჯახო ბიბლიოთეკაში.

ვ. აბდუშელიშვილის ძმა ჯერაბ, 1888 წ.

სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ქალი — ადელინა პატი. ყველა წარმოდგენა სრული ანშლაგით მიდიოდა და ამიტომ უამრავი მოსკოველი მელომანი ვერ დაესწრო სპექტაკლებს მისი მონაწილეობით... დიაღ, ამ ადელინა პატიზე შეჩერდა არჩევანი, მაგრამ ეჟვანის შემბმელი არავინ ჩანდა; სწორედ ამ დროს ჩავიდა სულიერად მხნე, ფიზიკურად მძლე, თვალად კალმით ნახატი, ტანად წარმოსადეგი, ჩინებულად აღზრდილი, გასაოცარი მჭევრმეტყველებისა და საზოგადოებაში თავდაჭეროის ფასდაუდებელი უნარით უხვად დაჯილდოებული. 20 წლის ზურაბ აბდუშელიშვილი მოსკოვში. ქართველი სტუდენტები მყისვე დაედვნენ მას: „შენ თუ გვიშველი, ზუბიკ, თორემ ეს საქმე სხვას არავის გამოუვაო — შენ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორიც კი ვერ გკადრებს უარს, ადელინა პატი კი, რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, ქალია და ამიტომ არც შენ გვითხრა და არც იმას ათქმევინო უარი, რამეთუ ეხლა მხოლოდ შენზეა დამოკიდებული ბევრი ჩვენი თანამემამულის მოსკოვში დარჩენის ბედი!..“ ზურაბი, მართლაც არ იყო უარს ჩვეული, ბევრი აღარ დაუყოვნებია, დააზუსტა მისამართი და გაემართა სასტუმროსაკენ, სადაც ცხოვრობდა სახელოვანი მომღერალი, მაგრამ, გზად მიმავალმა, თეატრალურ მოედანზე. დიდი თეატრის შენობის წინ, თვალი მოჰკრა ეტლს, რომელშიაც პატი და მისი ანტრეპრენიორი სხდებოდნენ. ზურაბს ბევრი არ უფიქრია, ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ეტლს, შედგა საფეხურზე და მოულოდნელობისაგან შემკრთალ ანტრეპრენიორს, უკიდურესი თავაზით, მაგრამ ისე, რომ არ დაუკარგავს არც საკუთარი და არც თავისი თანამემამულეების ღირსება, აუხსნა ქართველი სტუდენტების სატკივარი და სათხოვარი. აი, აქ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: გაოცებულმა ანტრეპრენიორმა თავაზიანი ღიმილით აუწყა მას, რომ პატიმ უკვე დაამთავრა გასტროლები და მისი მატარებელი იმავე საღამოს გადის მოსკოვიდან. ორმოც წელს გადაშორებული, თვითონ კალმით ნახატი, მომღერალი ქალი თვალს არ აშორებდა დიდებულ ვაჟკაცს, რომელიც, მიუხედავად კადნიერებამდე მისული სითამამისა, უაღრესი მოკრძალებითა და რიდით, რაღაცას უხსნიდა მის ანტრეპრენიორს. როცა მისი დაჟინებით ანტრეპრენიორმა უთარგმნა, ქართველი სტუდენტისადმი უკვე სიმპათიით განწყობილ, მომღერალს მისი თხოვნა — პატი, თურმე, ძალიან შეწუხდა; სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა — „ქართველ სტუდენტებს ჩემ წილად ეს მაინც გადაეცითო“, — ბრძანა, გახსნა ხელჩანთა, ამოიღო იქიდან ფულების ღასტა და გაუწოდა ზურაბს, მაგრამ მის თვალებში ნაპერწკლებს რომ წააწყდა, ხელი უნებურად ჰაერში გაუშეშდა... ზურაბმა კი მდაბლად დაუკრა თავი და ის იყო აპირებდა ჩასვლას, რომ სიმღერის ჯადოქარმა ხელის მოძრაობით შეაჩერა ის, წამოდგა, დაეყრდნო ეტლის

სახელურს და... მოსკოვის შუაგულში, თეატრალური მოედნის ცენტრძი, დღისით, მზისით, ათასობით გამვლელის ყინ... გაისმა ვიოლეტას გამოსასვლელი არიის ღვთაებრივი მელოდია... ხალხი შეხერდა... გამვლელებმა შეშოკრება იწყეს... მალე უზარმაზარი წრე შეიკრა; ისმოდა ხმადაკლებული და გაოცებული ჩურჩული: „პატი!.. ადელინა პატი!..“ და როდესაც არია დასრულდა, გამაყრუებელი ტაშის გრიალი და აღტაცებული „ბრავოს“ შეძახილები დიდი თეატრის 15-მეტრიან სვეტებს შეასკდა და კიდევ უფრო დააფრთხო აპოლონის კვადრიგაში შებძული, ისედაც დაფეთებული ბედაურები.

ასეთ რეაქციას, როგორც ჩანს, თვით პატიც არ მოელოდა, აღელვებისაგან ცრემლიც კი მოადგა თვალზე, მაგრამ თავი შეიკავა, სასწრაფოდ მოხადა კოფოზე მჯდარ მეეტლეს „კატელოკი“, ერთ ხელში ათრეული შლეიფი აიკრიფა, მეორეში გადმობრუნებული „კატელოკი“ მოიმარჯვა და ასე ჩამოუარა შემოჯარულ და აღფრთოვანებულ წრეს. ჯერ ნახევარი წრეც კი არ ჰქონდა შემოვლილი, რომ „კატელოკი“ პირთამდე აივსო ფულით. პატი შემობრუნდა, მთელი შეგროვილი თანხა ზურაბს გადასცა და გაოგნებულ ანტრეპრენიორს სთხოვა ეთარგმნა სტუდენტისათვის, რომ:

— ზნეობრივი დახმარებისათვის ხელის გაშვერა სირცხვილი არ არის!

ზურაბი მოწიწებით ეამბორა მომღერალი ქალის ხელს და თავის მხრივ, მანაც სთხოვა ანტრეპრენიორს, ეთარგმნა:

— ჩემთან ერთად, ყველა ქართველი სტუდენტი მოწიწებით ეამბორება ამ სამათხოვროდ გაწვდილ ხელს!..

სახელოვანი მსახიობის გალობით, ქალობით, სილამაზითა და კეთილშობილებით აღფრთოვანებული ზურაბი დიდხანს იდგა გაოგნებული და თვალს არ აშორებდა მიმავალ ეტლს, საიდანაც სახეგაღიმებული მომღერალი მას გამოსათხოვრად ხელს უქნევდა და კოცნას უგზავნიდა. როცა ეტლი თვალს მიეფარა, აღტაცებული და გაკვირვებული წრე გაირღვა... თავდახრილმა ზურაბმა უხმოდ გაიარა ის და ასევე უხმოდ გაემართა უნივერსიტეტის შენობისაკენ, სადაც გულისფანცქალით მოელოდნენ მის პასუხს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრები. პასუხად... გაუგონარი ამბავი მოვიდა და... იმ იმპროვიზებული კონცერტის ჰონორარით, ბევრმა ხელმოკლე ქართველმა სტუდენტმა გამოიზამთრა, თურმე, მოსკოვში იმ წელს.

1888 წელი.

19 მარტით არის დათარიღებული კიდევ ერთი, დრო-ჟამისაგან გაყვითლებული საბუთი, რომელშიაც ისევ გიორგი აბდუშელიშვილის სავენახე, თუ საყანე მიწების გასხვისებაზეა საუბარი. ცხადი ერთია: გამუდმებული ხელმოკლეობა აიძულებს მას გამოუვალი

მდგომარეობიდან გამოსავალი ეძიოს; მე კი მისი ეს მდგომარეობა სულ სხვა რამეს მაფიქრებინებს: ზევით ითქვა, რომ გიორგის მამას — ოტიას, როცა ის 20 წლისა ქართლიდან დაბრუნდა, თითქმის მთლიანად მიტაცებული დახვდა მამაპაპისეული სახლ-კარი და ადგილ-მამული; მერე მთელი ეს „ავლა-დიდება" სამ ძმას (გიორგის, ზაქარიასა და ვანოს) შორის გაიყო; დებმა თავისი წილი სამზითვოც გაიტანეს ოჯახიდან, ხოლო გიორგის წილად თითქმის გამოცლილ ნიადაგს მისი 15 შვილის მომავალი უნდა ეზიდა; ძნელი იყო ეს, ალბათ, შეუძლებელიც და სხვაზე უკეთ გიორგი გრძნობდა ამას. ზევით ისიც ითქვა, რომ ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ ვის მიუძღვის გიორგის ძეთა სწავლა-განათლების საქმეში გადამწყვეტი დამსახურება: „დედა კატოს", მამა — გიორგის, ბიძა — კოტეს, თუ თვითონ მათ. იქნებ არც ერთს, იქნებ გამუდმებულმა ხელმოკლეობამ აიძულა ოჯახი საარსებო გზა სხვაგან და სხვა რამეში ეძებნა, რადგან შინ წყაროს თავი დაწრეტილი, ან თითქმის დაწრეტილი იყო უკვე. იქნებ ეს იყო მთავარი? ვინ იცის?.. ვინ გასცემს დღეს პასუხს ამ ძნელსა და რთულ კითხვას?.. ყოველ შემთხვევაში, ერთი უდავოა; მხოლოდ გიორგის ოჯახიდან იწყებოდა გზა განათლებული ცხოვრებისაკენ — სხვა ძმების ოჯახში განათლება არავის მიუღია და სწორედ ამიტომ არის საძებარი ის მიზეზი, რომელმაც ვასილ აბდუშელიშვილის მშობლიურ ოჯახს განათლებისა და პროგრესის გზისკენ აქცევინა პირი. როგორც ჩანს, ამ რთულ კითხვაზე გაძნელდება ერთნიშნა პასუხის გაცემა. აქ, ალბათ, ყველაფერი ერთად მოქმედებდა: „დედა-კატოს" განათლება და შინაგანი თუ შენაძენი კულტურა, „მამა-გიორგის" პირადი ღირსება და გონებაგახსნილობა, თვით შვილების ბუნებრივი ნიჭი და სინათლისადმი სწრაფვა და ისიც... ალბათ, ისიც... უკიდურესი, თუ შედარებით ხელმოკლეობა, რასაც ისინი ოჯახიდან გარეთ გაჰყავდა და უსათუოდ სწორ გზაზე აყენებდა. ვინც განათლების მადლსა და სიკეთეს მიხვდა, იმან ისწავლა და გარედან ცდილობდა ფეხზე დაეყენებინა ეკონომიურად წატორტმანებული ოჯახი, ხოლო ის, ვინც ამას ვერ მიხვდა, არ ისწავლა, ოჯახშივე დარჩა და თვითონ ცდილობდა ისედაც გაღატაკებული ოჯახიდან გაეტანა რამე... თუმცა, მე თუ არ ვცდები, ასეთები ამ ოჯახში ან საერთოდ არ იყვნენ, ან თუ იყვნენ, ძალიან ცოტანი.

მიზეზების ძიებამ შორს წამიყვანა, მაგრამ რა ვქნა, თუ სწორედ ეს მიზეზები მეჩვენება მე იმ საერთო და ზოგად სარჩულად, რაც ვასილ აბდუშელიშვილის ოჯახს სხვა მოწინავე ქართულ ოჯახებთან აახლოებდა; მე არ ვიცი, მაქვს თუ არა ასეთი განზოგადების უფლება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ არავითარ სასწაულებს ვასილ აბდუშელიშვილის ოჯახში ადგილი არ ჰქონია და ამიტომ არც თვითონ ის

უნდა ყოფილიყო აუხსნელი და გაუგებარი ფენომენი; მეც სწორედ მის „გაგებას“ ვცდილობ, ვეძებ და ბალაც აქ არის გზიდან ჩემი უსასრულო გადახვევებისა, უკან დახევისა და წინ გასწრებისა. ეს უნდა გამიგოს და მაპატიოს მკითხველმა.

1889 წელს თბილისში დაიწყო დიდი გაფიცვა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში — ეს უკვე „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“ იყო და ეს ხმა არ შეიძლებოდა არ მისწვდომოდა სხვა ქალაქებსა და სოფლებს და არ აევსო თანამგრძნობელთა გული იმედით, ხოლო მტრებისა — შიშით. ძირმომპალი იმპერია ტორტმანს იწყებდა. სახელმწიფოს რღვევის ნიშნებმა სასწავლებლებშიაც იჩინა თავი. ამის მაგალითად ქუთაისის გიმნაზიაც გამოდგება, სადაც სწავლობდნენ ვასილ აბდუშელიშვილის ძმეები და სადაც მას, რამდენიმე წლის შემდეგ, თვით მოუწევს სწავლა. იქ, დიდმპყრობლურ შოვინიზმს თან ერთოდა სიბნელე, უვიცობა და საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება. აი, რასა წერს ამის თაობაზე, აბდუშელიშვილების ახლო მეზობელი და ნათესავი, შემდგომში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სეით ლუარსაბის ძე იაშვილი: ინსპექტორი „მოვიდა მათემატიკის გაკვეთილზე და დაუწყო გამოკითხვა მოწაფეებს. პირველად გამოიძახეს ნ. აბდუშელიშვილი[1]. ა. საპოჟნიკოვმა[2] აბდუშელიშვილს უძნელესი თეორემა მისცა დასამტკიცებლად, მოსწავლემ სამაგალითოდ დაამტკიცა თეორემა. ინსპექტორი ეკითხება მასწავლებელს: რა ნიშანი უზის მოსწავლესო. ისიც უპასუხებს, ზეპირში ორი და წერაში ერთიო. გაოცდა ინსპექტორი. შემდეგ თვით ინსპექტორმა მისცა რამდენიმე რთული და ძნელი კითხვა, ხოლო მოსწავლემ ყოველ კითხვაზე სწორი პასუხი გასცა. ეს რომ ნახა ინსპექტორმა, მასწავლებელს უთხრა: განა შეიძლება ასეთს მოსწავლეს ცუდი ნიშანი დაუწეროთო და თავის ხელით დაუწერა ჟურნალში მოსწავლეს წლიური ნიშანი — 5“[3].

რა გულით უნდა ესწავლათ ბავშვებს ასეთ პირობებში: ალბათ, მხოლოდ ისინი, ვინც ყოველგვარი უკუღმართობის მიუხედავად ცდილობდნენ ცოდნის შეძენას და ცხოვრებაში გატანას, ახერხებდნენ სწავლას; მე არ ვიცი, ბევრნი იყვნენ თუ ცოტანი ასეთები, მაგრამ ვასილ აბდუშელიშვილის 15 წლის ძმა ნიკოლოზი რომ ასეთი ყოფილა, ამას ვხედავ და სწორედ ეს მაკვირვებს: საიდან გაჩნდა ამ, ჯერ კიდევ უასაკო, ყრმაში საკუთარი მოვალეობისადმი ასეთი გონივრუ-

1 ნიკოლოზ გიორგის ძე აბდუშელიშვილი, ვასოს უფროსი ძმა, მაშინ 15 წლის ჭაბუკი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე.

2 მათემატიკის მასწავლებელი.

3 სეით იაშვილი, „ჩემი წარსულიდან“, თბილისი, 1965 წ., გვ. 22—33.

ლი განწყობა? ჩემთვის ეს ისევ საოცრებათა სამყაროა... ნუთუ ისევ აქცელერაციით უნდა აიხსნას ყოველივე ეს? ვინ იცის?.. შეიძლება ასეც იყოს... და მაინც!..

დავუბრუნდეთ შალაურს...

1889 წელს ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა აბდუშელიშვილების ოჯახში: დაიბადა ვასოს უმცროსი ძმა, შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ადამ და დის — მართას შვილი, მიხეილ აპოლონის ძე ფალავანდიშვილი — შემდგომში ნატახტრისა და ბულაჩაურის წყალსადენის ამაგდარი მშენებელი[1]; იმ ხანობას მართა თავის მამის ოჯახში იყო, თურმე, და გამიგონია, ძუძუმწოვარ ბიძადისწულს ხან „დედა-კატო“ ურწევდა აკვანს, ხან „დედა-მათიკო“; ცხადია, პატარა ვასოს ყურადღება მიაკლდა და შეიძლება ყურადღების გარდა სხვა რამ უფრო საგრძნობიც, და ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 4 წლის საოცრად ჩუმი, ბუთხუზა და თმახუჭუჭა ბიჭი „სამწყემსავში“ მიმავალ გოგო-ბიჭებს აჰყვა, დილა-საღამოს მათ დასდევდა და თან ამაში მისაბაძ გულმოდგინებას იჩენდა, თურმე. ამას ორი უცნაური შედეგი მოჰყვა: ძროხებმა წველას უკლეს, ბავშემა კი სახლში, თითქმის, სულ აღიკვეთა ჭამა. დიდხანს ვერ მიხვდნენ მიზეზს — ჯერ ახლადდაბადებული ძმისადმი ეჭვიანობას დააბრალეს, მერე დედის ძალაუნებურ უყურადღებობას; ბავშვი კი განაგრძობდა დუმილს და გაგარეულებული ნებიერივით სულ გარეთ-გარეთ იწევდა. ბოლოს ისევ დედა დაეჭვდა, თურმე, და მალულად გაჰყვა „სამწყემსავად“ მიმავალ „ვაჟკაცს“. ჯერ ნახირი მინდორზე კარგად არც კი იყო გაშლილი, რომ პატარა ვასო ერთ-ერთ ძროხას მიუცუცქდა და დაუწყო ძუძუს წოვა... ეს იყო და ეს... ვასო ნახირში აღარ გაუშვიათ, მაგრამ დილა-საღამოს კი ლოგინშივე მიართმევდნენ ხოლმე ახლადმოწველილ თბილ რძეს, რასაც ის დიდის სიამოვნებით მიირთმევდა და ფერ-ხორციც ისეთი ჰქონდა, რომ გორისის ეკლესიაში გამოხატულ ანგელოზებსაც კი შეშურდებოდათ, თურმე. მერე, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ვასოს რძის სიყვარული ბოლომდე შერჩა; განსაკუთრებით ნაღვინევზე, როცა შინაურები თბილ რძეს მიართმევდნენ, ღიდი მადლობით დაცლიდა ხოლმე ჭიქას, ულვაშებზე სიამოვნებით გადაისვამდა ხელს და უსათუოდ დააყოლებდა: „ამაზე უკეთესი არა მოუგონია რა რუსთ ხენწიფესაო“.

1890 წელი.

დაიწყო XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეული.

---

[1] იხ. გაზ. „თბილისი“, 1963 წ., 20 აპრილი, № 101 (3024), გვ. 3, „ამაგდარი, თავდადებული“.

ვასილ აბდუშელიშვილის მშობლიურ ოჯახში არაფერი შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში მატერიალური საყრდენის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 5 მარტით არის დათარიღებული საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ გიორგი აბდუშელიშვილს გაუყიდია კიდევ ერთი, ახლა უკვე საკმაოდ მოზრდილი, მიწის ნაკვეთი და საგრძნობლად თანხაც (1550 მანეთი) აუღია. საგრძნობია ეს თანხა, მაგრამ... დიდი წილი აქედან ბათუმში უფროს შვილს ოტიას ეგზავნება, რომელსაც ტუბერკულოზი აღმოაჩნდა და მკურნალობას მისი შემოსავალი ეეღარ გასწვდა. საკმაოდ მოზრდილი თანხა ეგზავნება მოსკოვში ზურაბს. დათუნიასაც აუხდა ავი წინაგრძნობა — გასხოვთ: „თუ ავად არ გავხდი და სულ არ დავანებე თავი აფთიაქსო“, — ხონიდან რომ სწეოდა თავის უფროს ძმას, ზურაბს; ავად გახდა, თავი დაანება აფთიაქს და დაუბრუნდა ოჯახს, სადაც მისი უმცროსი ძმა — ტიტიკოც — გამუდმებით ავადმყოფობდა — ექიმები, წამლები, ხარჯები... იქ, ქუთაისში ნიკო და პეტრე სწავლობენ და მათაც სჭირდებათ ხელის გამართვა; აქ გიგო ემზადება გიმნაზიაში შესასვლელად და მასაც მომზადება უნდა და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ არის მოსაგვარებელი, რასაც სახსარი სჭირდება, შემოსავლის წყარო კი მხოლოდ ის ნიადაგია, რომელზედაც ოჯახი დგას და ყოველი ნაჭრის გაყიდვით ეს ნიადაგიც თანდათან ეცლება ფეხქვეშ. ძნელია ყოველივე ეს, მაგრამ გიორგი აბდუშელიშვილი ჯერ კიდევ მტკიცედ ადგას აღებულ გეზს და მედგრად ებრძვის ცხოვრების ქარბორბალას. რუსეთიდან ცუდი ამბები მოდის. 1890 წელს დაიწყო სტუდენტთა საყოველთაო მღელვარება — არეულობანი; გიორგიმ იცის, რომ მისი შვილი გვერდზე არ გადგება „ოდეს სხვასა ევნებოდეს“[1] და... არც გადგა. აი, ავის მომასწავებელი ცნობაც: «В 1887—1890 г. г. З. Г. Абдушелишвили учился в Московском университете, откуда был исключен за столкновение с полицией»[2].

ნუთუ ისიც უნდა ჩაქრეს, იმედის ერთადერთი ვარსკვლავი, იქ, მოსკოვში რომ ანთია?!.. ჯერჯერობით ზურაბი არ ბრუნდება; იქავ, მოსკოვშია, ვერ შორდება მეგობრებსა და უმაღლესი სასწავლებლის კარებს, რაღაცას ცდილობს, როგორც ჩანს, ასე ადვილად არ ფიქრობს დაანებოს თავი სწავლასა და ბრძოლას... ვნახოთ!..

ნამარიობევს ვასოს უფროსი ძმა გიგოც გამოაწყვეს და გაამგზავრეს ქუთაისში, გიმნაზიაში შესასვლელად. ამან, გამიგონია, საოცრად იმოქმედა პატარა ვასოზე. გიგო სულ ორნახევარი წლით იყო ვასოზე

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი — სატყვა „მშვიდი“-ს განმარტება.

2 С. Г. Исаков — Сквозь годы и расстояния, «Ээстри раамат», Таллин, 1969, стр. 113.

უფროსი და მათ იმთავითვე ჩამოუყალიბდათ განსაკუთრებით თბილი, ახლობლური და მეგობრული ურთიერთობა. გიგო იყო ვასოს ავფსონი, მესაიდუმლე და ქომაგი ბავშვურ თამაშობებში; გიგო იყო მისი საყვარელი და მისაბაძი უფროსი ძმა; ახლა კი ეს უახლოესი ადამიანი წავიდა და მარტო დარჩენილმა ვასომ მტკივნეულად განიცადა მასთან დაშორება; დამწუხრებული. სუთი წლის ბიჭუნა სულ განმარტოვდა, აღარავის ეკარებოდა და კატეგორიულად მოითხოვდა გიგოსთან წასვლას. რის ვაივაგლახითა და დაპირებებით დამშვიდეს ბავშვი და მამამ ერთი კუდაბზიკა ბურვაკიც კი აჩუქა მას „საუწყვისავად“ და უფრო კი გასართობად. სხვათა შორის, ამ ბურვაკის შესახებ: სანამ ბურვაკს გაიშინაურებდა და გაიამხანაგებდა, პატარა ვასომ, როგორც ჩანს, თავისი ვაჟკაცობის გამოჩენის მიზნით, ჰკითხა მამას:

— რას ძომცეშ. მამა, ეს ბურვაკი მარტო მე რომ შევეპამო?!

— ბიჭო, მაგ ბურვაკის იმედითა ვართ ამ ზამთარს მთელი ოჯახი და შენ რომ ეგ შემიპამო, მოგცემ კი არა, იმდენს მოგცხებ, ნახევარს ვერ დათვლიო! — უპასუხია გიორგის და მადიანი ბიჭისათვის ჭამის ხალისი დაუკარგვინებია. „დედა კატოს“ კი სულ სხვანაირი გასართობი მოუგონია თავისი დამწუხრებული და გაბუტული ბიჭისათვის. მას იმთავითვე მიუქცევია ყურადღება არითმეტიკული ამოცანებისადმი პატარა ვასოს მიდრეკილებისათვის და როცა კი თვალს მოჰკრავდა განმარტოებულ ბიჭუნას, მაშინათვე მივიდოდა და წინასწარ, განგებ მომზადებულ რთულ ამოცანას მისცემდა ხოლმე. ვასო უმალვე გამოცოცხლდებოდა, შეიკრავდა კოპებს და ჩაფიქრდებოდა. ხშირად მომზდარა, დამვალებელს თვით დავიწყებია თავისი დავალება და კარგა ხნის მერე ვასო მისულა მასთან და პასუხი მოუხსენებია:

— ცხრა კაკალი!

— რა ცხრა კაკალი?

— ხეს თუ 100 კაკალი ება და ათი ყვავმა წაიღო, ძმებს შეგვხვდება ცხრა-ცხრა კაკალი, არა რო?

— ჰო, შვილო, ჰო. — მიეფერებოდა დედა და შუბლზე აკოცებდა ხოლმე თავის გონიერ ბიჭუნას.

— ჰოდა, თუ ჰო, გამიშვით ახლა გიმნაზიაში, — დაჟინებით მოითხოვდა პატარა ვასო ერთსა და იმავეს, მაგრამ უფროსები ახლა უფრო რთულ ამოცანას შეაჩეჩებდნენ ხოლმე ხელში გულის გადასაყოლებლად.

ერთხელ ასეც მოხდა: ამჯერად გამომცდელი მამა იყო.

— აბა, ვასიუს, იანგარიშე, რამდენი დაგრჩება შენ თუ 9 ვაშლი, 9 მსხალი, 9 ატამი გქონდა და ნახევარი გიგოს გაუგზავნე ქუთაისში?

— არაფერი, — უპასუხა, თურმე, თვალებგაბრწყინებულმა ბიჭმა.

— როგორ თუ არაფერი?

— არაფერი არ დამრჩება! როცა მე გიგო რამეს მაძლევს, არ ანგარიშობს რამდენს მაძლევს და მეც ასე მასწავლა, არასოდეს იანგარიშო, როცა ვინმეს რამეს აძლევო!

მაშინ ბევრი იცინეს ამაზე თურმე, მაგრამ მერე ბევრჯერ დახვდა ვასოს ეს არითმეტიკული „სისუსტე“ წინ, ვინაიდან ბრწყინვალე მათემატიკოსმა ვერა და ვერ ისწავლა გაცემულის ანგარიში. მისი ცხოვრებისეული ხელმოკლეობის ძირითადი მიზეზიც ეს იყო მუდამ.

1891 წელ.

დრო მიდის. პატარა ვასო იზრდება, უკვე 6 წლისა გახდა და შთაბეჭდილებებიც უფრო ღრმავდებიან და შეგრძნობადნი ხდებიან. სახლში გამუდმებით მსჯელობენ იმპერიაში გამეფებული უსამართლობისა და უთანასწორობის შესახებ. რუსეთში იწყება დიდი ეკონომიური კრიზისი. ევროპული ნაწილის ოცდაერთ გუბერნიაში შიმშილობაა. ხალხი უკიდურეს გაჭირვებამდეა მისული. მღელვარება მატულობს. სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის პროტესტის ხმები და როგორც ყოველთვის, პირველ რიგში სტუდენტობა იმაღლებს ხმას. მშობლებს ზურაბის ბედი აწუხებს. რუსეთიდან ამბები იგვიანებენ, მაგრამ ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა: «В 1891 году приказом московского генерал-губернатора З. Абдушелишвили за участие в демонстрации на Тверском бульваре в связи с похоронами писателя Н. В. Шелгунова было запрещено проживать в Москве и некоторых университетских городах»[1]. ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი იყო; ბელინსკის, გერცენისა და ჩერნიშევსკის მიმდევარი. თანამშრომლობდა „სოვრემენნიკში“, იყო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და ამ რევოლუციური მოღვაწეობისათვის მრავალგზის დაპატიმრებული. მის დაკრძალვას მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია მოჰყვა 1891 წლის 15 აპრილს პეტერბურგში; ასეთივე დემონსტრაცია გაიმართა მოსკოვშიც, რომელშიაც მთელი იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია და პირველ რიგში სტუდენტობა მონაწილეობდა[2]. ზურაბი, როგორც ჩანს, ამ დემონსტრაციის ბოლო რიგებში არ მდგარა, რადგან გენერალ-გუბერნატორს არ გამოპარვია მისი მონაწილეობა და ის ჯერ ადმინისტრაციული წესით იაროსლავში გადაასახლეს, ხოლო შემდეგ აიძულეს სწავლისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

---

[1] Исаков С. Г., დასახელებული ნაშრომი, გვ. 113.

[2] Пеунва М. Н., Общественные политические и философские взгляды Н. В. Шелгунова, М., 1951.

სამშობლოში სხვადასხვაგვარად შეხვდნენ მის დაბრუნებას: უმცროსი ძმები და ახლო მეგობრები აღტაცებით შეეგებნენ საყოველთაოდ ცნობილი დემონსტრაციის მონაწილეს. ყველას აინტერესებდა, რა ხდებოდა რუსეთში, რას ფიქრობდა, რაზე ოცნებობდა და რას მოითხოვდა მოწინავე საზოგადოება და პროგრესული ახალგაზრდობა. მშობლებს გული დასწყდათ, რომ ასე მალე და უშედეგოდ დასრულდა მათი პირმშოს სწავლა-განათლება, ნათესავები კი...

„ქრისტე აღსდგა, ძვირფასო ბატონო დედავ!.. მომილოცავს ზუბიკის ჩამოსვლა. არ ვიცით, მანდ არის, თუ ისევ ბათუმშია, ეს კი გავიგეთ, რომ ორი-სამი დღე ბათუმში ყოფილა“...

ამ წერილს, გიორგის უფროსი ვაჟის — ოტიას მეუღლე, მარიამ ზედგინიძე-აბდუშელიშვილისა სწერს ქუთაისიდან „დედა კატოს“; გახარებულია ზურაბის დაბრუნებით.

მაშ ასე, ზურაბი დაბრუნდა სამშობლოში; იყო ბევრი სიხარული, აღტაცება, ცრემლი, საყვედური, და რა თქმა უნდა, ლხინი — ბათუმში. ქუთაისში, თბილისში, შალაურში, ბოლოს, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

იმ წელს საშინელი გვალვა დაატყდა ზემო-იმერეთს და ყველაფერი გადაახმო... აგვისტოა... ცხელა... დედამიწას ალმური ასდის; „დედა კატო“ აივანზე ისვენებს, კალთაში ძუძუთა ადიკო უზის, ხოლო მუხლებთან პატარა ვასოს მოუკალათნია, ხუჭუჭა თავი მისი კალთისათვის მიუყრდნია და უსმენს დედის, ნანასავით ტკბილ ზღაპარს — გველეშაპისა და ცხრა მზეთუნახავის შესახებ. იქვე მუხის ვეება „სკამლოგინზე“ გიორგი და ვანო სხედან, დინჯად მასლაათობენ და ნებიერად შეექცევიან გრძელტარიან ინდურ ყალიონს. ეზოში შინაურები დაფუსფუსებენ. აივნის ძირას „ვასოს ბურვაკი“ კოტრიალობს და ღრუტუნებს, თითქოს ეძახისო თავის მეგობარს — წამო, რაღა, ვითამაშოთო. დიდი კაკლის ქვეშ გადია ზის და თვლემს. ვინ იცის, საიდან, როდის და რატომ შემოეკედლა ეს, ას წელს გადაშორებული მოხუცი — თათია, ოჯახს. თათია-გადიას ხორცი არა აქვს, ის მხოლოდ ძვლების, კანისა და ძარღვებისაგან არის მოქსოვილი; საოცრად პატარაა, მსუბუქი, მოკუნტული და თითქმის უსინათლო. სწორედ ასეთებზე ამბობენ იმერეთში: „ნეტაი, რაში უდგიაო სული“: პატარა ვასო ზღაპარს უგდებს ყურს, რაღაცას ფიქრობს და თან თვალს არ აშორებს თათიას. ამ დროს გიორგიმ ყალიონის ტარი მის ბურვაკს მიაშვირა და ღიმილით ეუბნება ვანოს:

— ეს ბურვაკი, ბატონო, ისე გაასუქა ვასომ, რომ არაფერი ჯობია ახლა მის ჭამას, — პატარა ვასოს გული ეკუმშება...

...დედა კი განაგრძობს: „გველეშაპმა გააღო პირი და ის მზეთ-

უნახავი ქალიც გადაყლაპა...“ უცებ ვასომ ასწია თავი, ცრემლიანი თვალები შეანათა დედას და ათრთოლებული ხმით იკითხა:

— დედა, თათიას ხორციც იჭმევა?!

— არიქა, მიშველეთ, ეს ბავშვი, მგონი, მალე ჩვენც გადაგვჭამს, — შეზვიადებულად შეიცხადა დედა კატომ, ხოლო გიორგისა და ვანოს სიცილმა მთელემარე თათიაც კი გამოაღვიძა და დააფეთა... შერცხვენილი და შეურაცხყოფილი პატარა ვასო ადგილს მოსწყდა და ვენახს შეაფარა თავი. საბრალო, ცნობისმოყვარე ბავშვი!.. გულუბრყვილო ბავშვი!.. რისთვის დასცინეს?.. იქნებ, მხოლოდ გველეშაპზე შურისძიების გრძნობამ უკარნახა მას ასეთი კითხვა, ან იქნებ აერია მადასემოსული მამა და უძღები გველეშაპი, უმწეო მზეთუნახავი და საყვარელი ბურვაკი... ვინ იცის?.. ვინ იცის, იქნებ ეს სასაცილო ამბავი არაფერ შუაში იყოს, მაგრამ ვასო, რომელიც სრულებითაც არ იყო ჭირვეული ჭამაში, ბოლომდე ერიდებოდა გოჭის ხორცს და არაერთხელ უთქვამს: „ჩემი ნათათრალობა, ალბათ, მხოლოდ იმაში მეღავნდება, რომ ვერ ვეწყობიო გოჭის ხორცს, ხოლო ღორის ხორცისა და განსაკუთრებით ლორის პატივისცემა ჩემი მართლმადიდებლური ქრისტიანობის უტყუარი მაჩვენებელიაო“.

უფროსი ძმები კი მერეც ხშირად გამოაჯავრებდნენ ხოლმე მას:

— დედა, თათიას ხორციც იჭმევა?

1892 წელი გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში კარგად დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად დასრულდა.

ჯერ იყო და იმ ზაფხულს მთელმა ოჯახმა მოიყარა შალაურში თავი. ზურაბმა ზაფხული მშობლებთან გაატარა, ოტიაც ცოლშვილით ახალციხიდან ჩამოვიდა, მართა ქმარ-შვილით — კნოლევიდან; ქუთაისიდან დეიდა ტასიკომ გიმნაზიელები: ნიკო, პეტრე და გიგო ჩამოიყვანა: ელისაბედ. ყარამან, დათუნია, ტიტიკო და პატარა ვასო ხომ შალაურში იყვნენ და... იყო საერთო შრომა, ლხინი, შექცევა და დროსტარება. დამსწრენი იგონებდნენ: გიორგი და მისი „ბიჭები“ რომ ყანაში გავიდოდნენ სამუშაოდ, ან ბურთს გამოიტანდნენ „მეიდანზე“ სათამაშოდ, არაფერი ჯობდაო მათ ყურებას: თვითონ გიორგი ედგა სათავეში თავის ვაჟკაცებს. დედამისის შვილი იყო და რომელიმე მათგანი გაბედავდა შრომასა ან ბრძოლაში უკან დახევას... იმას მარტო მამის რისხვა კი არა, ახლობლების ყიჟინაც დაატყდებოდა თავს და აბა ვის ექნებოდა გამომეტებული და მოძულებული თავი? გარჯას გართობა მოსდევდა, ბურთაობას ჭიდაობა სცვლიდა. ჭიდაობას — ჯირითი, სროლა და ბოლოს ყველაფერი ლხინით, ქეიფით, ცეკვითა და სიმღერით მთავრდებოდა.

ეს წელი, ალბათ, უბედნიერესი იყო აბდუშელიშვილების ოჯახ-

ნი: ყოველ შემთხვევაში ვასოს შემდეგში არაერთხელ უთქვამს, რომ „ჩვენს შორის საცოდავი ტიტიკო იყო ერთადერთი, რომელმაც სიკვდილის სიმწარე არ გამოსცადა, რადგან ის თვითონ იყო პირველი, ვინც ძაძა ჩააცვეო ოჯახს“.

იმ ზაფხულს კი ოჯახი უკლებლივ იყო თავშეყრილი შალაურში.

ზაფხულის მიწურულს ზურაბმა განუცხადა მშობლებს, რომ სწავლის გასაგრძელებლად დერპტში აპირებს გამგზავრებას და რომ ნამარიობევს დაადგება კიდეც გზას.

ხანმოკლე გამოდგა მათი ერთად ყოფნა.

ახლოვდებოდა მარიამობის დღესასწაული.

ოჯახში ჩვეულებრივზე მეტი მზადება იყო...

იყო...

მაგრამ ერთი წუთით გადმოვიდეთ ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში.

1948 წლის 6 იანვარი. თვალის სნეულებათა კლინიკა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის III ჯგუფი ოფთალმოლოგიაში გამოცდას აბარებს პროფესორ ალექსანდრე შატილოვს. საპროფესოროს წინ, სადაც სტუდენტებს მოუყრიათ თავი, სადღესასწაულო სიჩუმეა. მხოლოდ ზოგჯერ თუ გაიელვებს გაქათქათებულ ხალათში გამოწყობილი მოწყალების და, ან მალალთალფაქიანი, პირბადეაფარებული ექიმი თუ გამოიხედავს საოპერაციოდან. იანვრის თეთრი მზით განათებულ ფართო და გრძელ დერეფანში იოდის, ფორმალინისა და ეთერის მოტკბო და მათრობელი სურნელი დგას. გამოცდა იწყება. იღება საპროფესოროს ფართო კარი და ასისტენტი კითხულობს პირველი სტუდენტის გვარს:

— აბდუშელიშვილი რუსუდან... მობრძანდით.

შემკრთალი და ოდნავ სახეალეწილი სტუდენტი მორიდებით შედის პროფესორის ფართო და ნათელ კაბინეტში.

უზარმაზარ საწერ მაგიდასთან, ვეება სავარძელში ზის ბეჭებში მოხრილი, თმა-წვერდათოვლილი, უაღრესად სათნო მოხუცი და მოღლილი, ოდნავ გაკვირვებული თვალებით უყურებს შემოსულს.

— მობრძანდით გეთაყვა, დაბრძანდით, — ისმის მისი სუსტი ხმა და მერე... — მითხარით, გეთაყვა, რა გვარი ბრძანდებით? მე სიბერეში, ჯანის გარდა, მგონი სმენამაც დამიწყო ღალატი.

— აბდუშელიშვილი გახლავართ, ბატონო ალექსანდრე...

— აბდუშელიშვილი!.. მაშ, არ შევმცდარვარ, აბდუშელიშვილი, სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნო... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენის მთქმელია ჩემთვის ეს გვარი... მითხარით, გეთაყვა, ზურაბ აბდუშელიშვილი თუ გაგიგონიათ?.. თუმცა საიდან გაგეგონებათ, მას შემდეგ, მგონი, საუკუნემ გაიარა... და მაინც...

— როგორ არა, ბატონო, ზურაბ აბდუშელიშვილი ბიძა იყო ჩემი!

— შეუძლებელია, დაუჯერებელი... მას შემდეგ იმდენმა ხანმა განვლო, რომ მე თვითონ ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარება, იყო კი ყოველივე ის, რაც მე იმ საუკუნეში დავტოვე, თუ ეს მხოლოდ ცდომა იყო ჩემი მეხსიერებისა. — პროფესორმა ერთხანს იყუჩა, ეტყობოდა, ის სადღაც შორს იყო მოგონებების სამყაროში... მერე, თითქოს გამოფხიზლდაო, ისევ მიუბრუნდა სტუდენტს და... — აბა, თუ მართლა ბიძა იყო თქვენი, გეცოდინებათ, რა ერქვა იმ სოფელს, სადაც ცხოვრობდნენ აბდუშელიშვილები, რა ერქვა ზუბიკის დედას, მამას, ბიძას...

სტუდენტს არ გაუჭირდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა:

— სოფელს შალაური ერქვა და დღესაც ჰქვიან, დედას — კატო, მამას — გიორგი, ბიძას — ვანო...

— დიაღ, დიაღ, დიაღ, შალაური, გორისა, Екатерина Дмитриевна, Георгий Отарич, Иван Отиев... სწორია, მართალია, გამახსენდა, ყველაფერი გამახსენდა. — ჩურჩულით ჩამარცვლა პროფესორმა და უცებ დადუმდა. დიდხანს იყო ასე... მოღლილი თვალებით გაჰყურებდა ფანჯარას და ფიქრობდა, რაღაცას ფიქრობდა, ეტყობოდა, სურდა გაეხსენებინა რაღაც შორეული, დიდი ხნის წინათ განცდილი და მივიწყებული.

საპროფესოროში სამარისებური დუმილი იდგა. მხოლოდ კედლის საათი ითვლიდა წამებს და დაუზოგავად ჰყრიდა მათ განვლილი დროების, თვეების, წლებისა და საუკუნეების უსასრულობაში.

დრო მიდიოდა...

— ოო, რა დაუნდობლად მიდის დრო, — თითქოს საათის ხმას აჰყვაო, სინანულით წარმოთქვა პროფესორმა, — რამდენჯერ დარეკა საათმა, რამდენმა წყალმა ჩაიარა და, ღმერთო, რამდენის ხსოვნა წაიღო ჟამმა და დრომ მას შემდეგ. რაც მე ერთი, მხოლოდ ერთი დღე გავატარე შალაურში, მაგრამ რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვა, როგორც ჩემი ცხოვრების ულამაზესი მოგონება.

თქვენთვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მე, ოთხმოცი წლის მოხუცი, ოდესღაც 22-23 წლის, საკმაოდ მოხდენილი ჭაბუკი ვიყავი, მთელი ცხოვრება წინ მედო და, ღმერთო, რა ფერებში არ მესახებოდა ჩემი მომავალი.

ეს იყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. მე და ჩემმა სიყრმის მეგობარმა, ზუბიკო აბდუშელმა. განვიზრახეთ სწავლის გაგრძელება დერპტის უნივერსიტეტში და სათანადო საბუთებსაც მოვუყარეთ თავი. გადაწყდა ნამარიობევს გავდგომოდით გზას შორეული დორპატისაკენ. სამარიობოდ კი ზუბიკმა თავის მშობ-

ლიურ სოფელში მიმიპატიჟა. რა ოქმა უნდა, მიწვევა დიდის სიამოვნებით მივიღე და როდესაც ორთვალამ აბდუშელიშვილების სახლთან მიმიყვანა, იქ სამარიობო სუფრა უკვე გაეშალათ და ლხინიც უკვე შეღიოდა ეშში. ზუბიკს, როგორც ჩანს, მაშინვე შეატყობინეს ჩემი ჩამოსვლა, წუთსაც არ გაუვლია, რომ აივანზე გამოჩნდა მისი ლეთოჩოხიანი ლანდი, სირბილით გადმოვრა ეზო, ჩემი მცირეოდენი ავლადიდების აღება არც კი მაცადა, ერთი კი დაიძახა „ჩემი საშა ჩამოსულაო", დამავლო ხელი, ციმციმ შემიყვანა დიდ დარბაზში და მამამისის წინ დამაყენა. გიორგი აბდუშელიშვილი, რომელიც იმ სუფრას თამადობდა, წამოდგა, მხარზე დამადო ხელი, ოდნავ უკან დაიწია, არწივისებური მზერით თხემით-ტერფამდე ჩამათვალიერა, მერე თვალებით გამიღიმა, შუბლზე მაკოცა და კმაყოფილმა თქვა:

— შაბაშ, ზურაბ, კარგი მეგობარი გყოლიაო, — და სუფრას მიუბრუნდა. — აბა, ბატონებო, დავლოცოთ შემოსწრებული და ჩემი ზუბიკის თანამგზავრიო. — ყველამ ერთხმად შესვა ჩემი სადღეგრძელო.

სუფრის თავში, საპატიო ადგილას დამსვეს და საყოველთაო ყურადღების, პატივისცემისა და სიყვარულის საგნად მაქციეს. ასეთი შესვედრით ოდნავ შემკრთალი, ჩუმად ვიჯექი და გულდასმით ვათვალიერებდი იქაურობას. ღმერთო, რა ბრწყინვალე საზოგადოება იჯდა სუფრასთან: ახოვანი და წარმოსადეგი თამადის გვერდით, მისი მხარ-ბეჭბრტყელი შავწვერიანი და საოცრად სანდომიანი ძმა — ეახო აბდუშელიშვილი იჯდა; იქვე ზურაბის ბიძა — კოტე ბაქრაძე და მისი განუყრელი მეგობრები გიორგი ზდანევიჩი და კიტა აბაშიძე ისხდნენ, რომლებიც ქუთაისიდან სწვეოდნენ ეკატერინე და გიორგი აბდუშელიშვილებს, საჩხერიდან ფრიდონ და ჩვენი სასიქადულო აკაკი წერეთელი ამოსულიყვნენ: ცალკე გიორგი წერეთელი და მისი მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი ისხდნენ... სუფრას ზუბიკის ახოვანი ძმები დასტრიალებდნენ... მარჯვენა მხარეს ქართულ კაბებში გამოწყობილი შინაური და სტუმრადწვეული ქალების ულამაზესი სახეები ბრწყინავდნენ, ერთიმეორეზე უკეთესნი. საინონი, თვალ-და გულწარმტაცნი; რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი ვაქო. ან რა ვაქო: თვალ-ტანადობა, სიტყვა-პასუხი, ზრდილობა მათი, თუ სიდარბაისლე... წავიდა ის ხალხი და თან წაიღო ყოველივე ის. რაც ჩვენ ასე მოგვწონდა და გვეამაყებოდა მათში... ლხინი კი თანდათან მატულობდა, ივსებოდა და შედიოდა ძველ, ქართულ. გამწე და გაპძლე ქეიფის კალაპოტში. სადღეგრძელო სადღეგრძელოს სცვლიდა, სიმღერას — ცეკვა, ცეკვას — თარი და ტკბილი ჩანგური: ყველა ლხინობდა, ყველა მღეროდა, ყველა მხიარულობდა; მაგრამ, როდესაც მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად ბატონი გიორგი წამოდგა. სუფ-

რაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა; თამადამ ვერცხლის აზარფეშით განსვენებული დიმიტრი ყიფიანის შესანდობარი შესვა. ორიოდე სიტყვა თქვა, მაგრამ ისეთი, რომ მხიარულ სუფრას უცებ სევდის, სინანულისა და უთქმელი დარდის ლანდი დაეცა. ყველა ფეხზე წამოდგა, ყველამ წაუქცია ღვინის წვეთი წასულის ხსოვნას, ყველამ სთქვა თავისი სათქმელი სიტყვა, — გარდა აკაკისა, რომელიც დაღვრემილი იჯდა და თვალს არ აშორებდა კედელზე დაკიდულ სურათს სცენისას „სამშობლოდან". ბოლოს ისიც წამოდგა, მიუახლოვდა სურათს და და ისე, რომ არ მოუშორებია თვალი მისთვის, ჩუმად, თითქოს თავისთავს ესაუბრებაო, დაიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!.."

წუთით დუმილი ჩამოვარდა. მერე სუფრის თავში ვანოს დაბალი, გულიდან ამოხეთქილი, მაგრამ მოგუდული დვრინი გაისმა, ვანოს სხვებიც მიჰყვნენ და დარბაზი აივსო საოცარი, განუმეორებელი და გულისშემძვრელი ხმებით.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!.."

რეკდა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმა და მთელი სუფრა დედო-ზარივით სევდიანი, მდორე და მოგუგუნე დვრინით ეუბნებოდა ბანს მის გულის ტკივილს.

„დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!"

ჩამორეკა დიდი პოეტის უკანასკნელმა სიტყვებმა და დარბაზში კი კიდევ დიდხანს ისმოდა დვრინის დუდუნი, როგორც გამოძახილი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, შებღალული ღირსებისა და მოუშუშებელი გულისტკივილისა.

აკაკის „განთიადი" მხოლოდ შემდეგი წლის 3 იანვარს გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის „კვალში". იქ, იმ დღეს კი საჯაროდ პირველად მოსწყდა ის აკაკის ბაგეს და ყველა იქ მყოფის გულიც შესძრა. სხვებისა არ ვიცი და ჩემს ხსოვნაში კი სამუდამოდ აღიბეჭდა და ალბათ, სამარეშიც თან ჩამყვება აკაკი წერეთლის ლექსისა თუ დარდის თქმა. ვანო აბდუშელიშვილის საშგლოვიარო დვრინი და გ-

ორგი აბდუშელიშვილის სწორუპოვარი თამადობა იმ დღეს. არც იმაზე უკეთესი და არც მისი ბადალი, არაფერი მინახავს და არაფერი მომისმენია მერე.

აღარ მახსოვს, როგორ დამთავრდა ლხინი, როგორ მოგვასვენეს, როგორ გვეძინა. მახსოვს მხოლოდ, რომ დილაუთენია გიორგი აბდუშელიშვილის გრგვინვამ გამოგვაღვიძა:

— აბა ყმაწვილებო, ადექით ახლა, რახან წასვლას არ იშლით, წუღა დააგვიანებთ!

ერიამულით წამოვიშალეთ, ჩავირბინეთ იქვე, ციხის ძირში მოჩუხჩუხე წყაროსთან, პირი დავიბანეთ, ცივი წყალი გადავივლეთ გახურებულ გულმკერდზე, მერე მუხლის გასაშლელად ავირბინეთ ნაციხვრის თხემზე და... შევდექით. ირგვლივ ზღაპრული სილამაზე გადაშლილიყო. აღტაცებამ და გაოცებამ ორივეს დაგვიკარგა სიტყვის თქმის უნარი.

მზე ამოდიოდა.

თენდებოდა სამშობლოში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი დილა... ცა იყო ულრუბლო, მაღალი, ღრმა და ზღვარდაუდები; ჰაერი — სუფთა, კამკამა, გამჭვირვალე, სურნელოვანი და მათრობელი; მიწა, ბალახი, ყვავილები: უმწიკვლო, უზადო, ხელუხლები და ფერუცვლელი. ყველაფერი სავსე იყო მზით, სინათლითა და სილამაზით. და თუ ღმერთია ამ ქვეყანაზე და თუ მართლა მან შექმნა ეს სამყარო „ძალითა მით ძლიერითა“, ის დილა უნდა ყოფილიყო, ალბათ, ისეთი, როგორიც იყო მაშინ, როცა პირველად გათენდა ამქვეყნად დილა, როცა პირველად ამოვიდა მზე და როცა პირველად დახედა მან ღვთაებრივი სილამაზის პირველქმნილ მშვენებას.

სიჩუმე პირველად ზუბიკმა დაარღვია:

— ღმერთო, დიდებულო! ამას რომ ვტოვებთ, ამის ბადალი, ნეტა რა უნდა ვპოვოთ იმ უმზეო, ცივ და შორეულ ქვეყანაში — და მერე, როგორც წარმართმა, თავი ასწია, მზეს გაუსწორა თვალი და ფართოდ, ისე, რომ არ მოუშორებია მზისათვის მზერა, პირჯვარი გადაიწერა. მის თვალებში ცრემლი ბრწყინავდა... ცოდვა გატეხილი ჯობს, ვერც მე შევიკავე თავი და როცა მზე ნასვამები და მზით მთვრალები შინ ვბრუნდებოდით, სინანულით გულშეძრულებმა ხმა ვეღარ გავეცით ერთმანეთს.

ბებერ ცაცხვთან ზუბიკის პატარა ძმა შემოგვეგება და საკმაოდ ხმამაღლა უჩურჩულა უფროსს:

— ზურაბ, დედამ შემოგითვალა, შორ გზაზე მიხვალ და დღეს მაინც არ დაგავიწყდესო დილის ლოცვა!

— მე უკვე ვილოცე, ვასიუხ! — უპასუხა ზურაბმა, დააელო თავის ბუთხუზა ძმას ხელი, შეისვა მხარზე და როცა შინ შევედით, იქ

ღილის საუზმე უკვე გაეშალათ, ბატონი გიორგი და ვანო თაკუთავიანთ ადგილებზე ისხდნენ. ქალბატონი კატო სუფრას დასტრიალებდა და აცრემლებული, მოსიყვარულე მზერას არ აშორებდა შორეულ გზაზე მიმავალ პირმშოს. გიორგიმ დილის მადლი დალოცა, ვერცხლის პატარა ჭიქით არაყი გადაჰკრა და ჩვენც მოგვაწოდა: ორივემ უხმოდ დავცალეთ ჭიქები, მერე ხელდახელ წავისაუზმეთ, თითო ჭიქა ღვინით ოჯახი და გზა დავლოცეთ და ცხენებს მოვახტით. ბატონი გიორგი რომ ცხენს მოევლო, აქაც ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა. მისი ვეება ცხენი ყალყზე შედგა, დაშვებისას სვეტის ქვაზე ფეხი წაიკრა და ნალი ჟღრიალით დაეცა კიბის საფეხურს. გიორგი ცხენს გაუჯავრდა და იქვე აივანზე მდგარ თმახუჭუჭა ბიჭს დაუძახა:

— შვილო, ვასო, ერთი ეგ ნალი მომაწოდეო!

ბიჭუნა ბაჯბაჯით წამოვიდა, აიღო ნალი, მამის უზანგს მოეჭიდა, თითის წვერებზე შედგა და ასე მიაწოდა მამას ნალი.

გიორგიმ ნალს გახედა, „გაღუნული ყოფილაო“ თქვა და სცადა მისი გასწორება, მაგრამ ზურაბმა არ დაანება.

— მიბოძე, მამა, შენ ნუ წუხდებიო!

გიორგიმ ალმაცერად გახედა შვილს და ნალი მარცხენა ხელით გაუწოდა... ზურაბმა მოზიდა ნალი და საწინააღმდეგო მხარეს გადაღუნა. გიორგის ერთის წუთით ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ არ შეიმჩნია და ეს უთხრა ზურაბს:

— მე ნალის გაღუნვა კი არა, გასწორება მინდოდაო, — და გამოართვა ნალი: ნელა დააწვა მის ორივე ბოლოს, მერე გვერდიდან გახედა და:

— ეხლა გასწორდაო, მგონი, — დაატანა, — თუმცა ნალი რომ ერთხელ გაიღუნება, ის ცხენს უკვე აღარ გამოადგებაო, თქვა, გასწია ნალი, ორად გაგლიჯა და გადაყარა. ზურაბს სახე გაუბრწყინდა, ჩამოხტა ცხენიდან, აიღო ორივე ნატეხი, ერთი მე მომაწოდა, მეორე თავის აბგაში ჩააგდო, მოაჯდა ცხენს და ხმადაკლებულად მიიხმარა: — აი, ნახე, ჩემო, სამა, უცხოეთში გულგატეხილებს ნალის ამ ნატეხებმა თუ არ გაგვიმთელონ ხოლმე გული!

ვანო დინჯი ღიმილით ადევნებდა თვალს მამა-შვილის ძალაში შეჯიბრს. მერე გულიანად გადაიხარხარა და,

— თქვენ თუ აგრე ამტვრიეთ ნალები, ერთი სამჭედური ვერ აგივათ. ალბათ, — თქვა და სწყვიტა მათრახი ბედაურს.

დავიძარით... და ის გზა ორი კვირის მერე იურიევში დასრულდა. მე კი დღემდე შემომრჩა იმ ნალის ნახევარი, რომელსაც პრესპაპიერად ვიყენებ მას შემდეგ... სამწუხაროდ, მისი მეორე ნახევარი, მგონი, სამუდამოდ დაიკარგა.

პროფესორი დადუმდა... ისევ წაიღო ფიქრმა... დიდხანს, დიდ-

ხანს სდუმდა... ბოლოს, თითქოს გაახსენდაო, სტუდენტს მოუბრუნდა და უთხრა:

— მიბოძეთ თქვენი მატრიკული! — სტუდენტმა მიაწოდა. პროფესორმა ჯერ ყდას დახედა, მერე დიდხანს ფურცლა ხუთიანებით აჭრელებული გვერდები, ბოლოს მიაგნო ოფთალმოლოგიას, გააყოლა თითი, ჩაწერა ხუთიანი და გაკვირვებულ სტუდენტს ეს უთხრა მხოლოდ:

— თქვენ ჩემი მოწყალება არა გჭირვებიათ, მაგრამ ეს ხუთიანი იმ ტკბილსახსოვარი დღეების მოსაგონრად იყოს: მაპატიეთ, მოხუცს, თუ უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე... ბედნიერად გევლოთ ცხოვრებაში! გლოცავთ ისე, როგორც იქ... მაშინ, ექვსი ათეული წლის წინათ დაგვლოცეს მე და ზუბიკი თვალცრემლიანმა გიორგი და ვანო აბდუშელიშვილებმა.

და თვითონაც, რომ ცრემლი არ წამოსვლოდა, ფეხზე წამოდგა და შემოსულ დოცენტს უთხრა:

— მე დღეს აღარავის მივიღებ, თქვენ განაგრძეთ გამოცდა!

პროფესორის ლოცვამ გასჭრა. ის სტუდენტი თვითონ პროფესორია დღეს. დიდი ხანია მისი მეხსიერებიდან წაიშალა სასტუდენტო გამოცდებზე ხუთიანებთან დაკავშირებული განცდები. წარუშელელი დარჩა ხსოვნა ოფთალმოლოგიაში ალექსანდრე შატილოვის მიერ დაწერილი მხოლოდ ერთი ხუთიანისა და არც არასოდეს წაიშლება იგი, ან უფრო სწორედ, ის საოცარი, განუმეორებელი და დაუიწყარი გამოცდა, რომლის შემდეგ აი უკვე ოთხმა ათეულმა წელიწადმა განვლო.

ორ კვირასაც არ გაუვლია ამ გამოცდის შემდეგ და ის ბუთხუზა პიპი — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი — ვასილ აბდუშელიშვილი გარდაიცვალა, ხოლო რამდენიმე თვის მერე აღარც პროფესორი ალექსანდრე შატილოვი იყო.

დარჩა მხოლოდ ნათელი მოგონება და გადამტვრეული ნალის ნახევარი. თუმცა, ალბათ, აღარც ის დარჩა ახლა.

ჩვენ ისევ უნდა დავუბრუნდეთ შალაურს.

მაშ, ასე...

ზურაბი წავიდა.

ენკენისთვეში გიმნაზიელებიც დაუბრუნდნენ სწავლას.

დარჩა მარტო ვასო — თავის ბურვაკთან, ამოცანებთან, რიკტაფელასთან და ფიქრებთან.

თვეც არ იყო გასული, რომ ვასოს უფროსი ძმა ტიტიკო ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ეს იყო, ალბათ, პირველი დარტყმა უბედურებისა, რამაც ძირფესვიანად შესძრა მგრძნობიარე ბავშვის

სათნო ბუნება; მერე მიდიოდნენ წლები და მიჰქონდათ უძვირფასესი ადამიანების სიცოცხლე. გულში რჩებოდა ყრუ ტკივილი და მწარე მოგონება. მაგრამ ეს — მხოლოდ გულში.

ცუდად დამთავრდა 1892 წელი აბდუშელიშვილების ოჯახში.

1893 წელი... დერპტიდან წერილები არ ჩანს. ოჯახში ჯერ არ იციან, როგორ მოეწყო ზურაბი ახალ ადგილზე. როგორ ცხოვრობს, რას აპირებს; ცხადია, სწუხან, განიცდიან და არ კი იციან, სად, რა მისამართით გაგზავნონ წერილები. სხვათა შორის, დერპტს სწორედ ამ, 1893 წელს, ხელახლა ეწოდა ძველი რუსული სახელი იურიევი. ზურაბი, როგორც ჩანს, იმავე წელს ჩარიცხულა იურიევის (დღევანდელი ტარტუ) უნივერსიტეტში[1]. „თბილისის გუბერნიიდან XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდნენ შატილოვი, აბდუშელიშვილი და სხვ“[2]... ვიცით ჩვენ დღეს და გარდა ამისა ისიც ვიცით, რომ „ქართველი სტუდენტები დიდ სიღარიბეს განიცდიდნენ, მაგრამ სწავლისათვის მოწყურებული ახალგაზრდობა მიილტვის იურიევის უნივერსიტეტისაკენ, რადგან „ქართველ ღარიბ სტუდენტთათვის ეს ქალაქი ხელმისაწვდომი ყოფილა“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ. № 192). საქართველოში დარჩენილი მშობლები, ნათესავ-მეგობრებში ჰკრეფდნენ ფულს და შემდგომ უგზავნიდნენ სტუდენტებს იურიევში. ამ მხრივ ხშირია გაზეთებში სტუდენტების სამადლობელო წერილები, ისინი „მადლობას სწირავენ“ კეთილისმყოფთ. თვით ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები თავიანთ თანამოძმეებს ეხმარებიან; მხარს აძლევენ, რათა სიღარიბის გამო, ამა თუ იმ სტუდენტმა სწავლას თავი არ დაანებოს. ამ მიზნით დაუწყიათ საქველმოქმედო ქართული საღამოების გამართვა, რომლის შემოსავალი ეძლეოდა ღარიბ სტუდენტებს“[3]. როგორ გავს იურიევის ქართველი სტუდენტების ყოფა მოსკოველი ქართველი სტუდენტების იმდროინდელ ყოფას: იგივ ხელმოკლეობა, იგივ ქველმოქმედება და იგივ მხარდაჭერა მოძმისა და სამშობლოსაგან. მძიმე იყო, ძალზე მძიმე, ერისათვის უმაღლესი კერის უქონლობა და სადღაც, ალბათ, უკვე ქანდაკდებოდა ქართული უნი-

---

[1] დერპტის უნივერსიტეტის შესახებ გრიგოლ ორბელიანი სწერს თავის ძმას ზაქარიას: „...ურჩიე შელიტონს რომ ეცადოს იმის (ტატიკოს — ნიკოლოზ ბარათაშვილის) გაგზავნას რომელსამე უნივერსიტეტში — ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში“. იხ. ნ. ბარათაშვილი — ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წ., გვ. 243.

[2] გ. გასიტაშვილი, ქართველი სტუდენტები ტარტუს უნივერსიტეტში, „დროშა“, № 3 (104), 1960 წ., გვ. 17.

[3] იქვე.

ვერსიტეტის შექმნის იდეა. მაგრამ აქამდე ჯერ შორს არის... მაშ ასე, ჩვენ უკვე ვიცით ქართველი სტუდენტების, მათ შორის ზურაბის, შესახებ ბევრი ისეთი რამ, რაც მისმა მშობლებმა და შინაურებმა მაშინ, 1893 წელს, ჯერ კიდევ არ იცოდნენ; უფრო მეტიც, ჩვენ ახლა ბევრი ისეთი რამ ვიცით, რაც მაშინ თვით ზურაბმაც არ იცოდა. აბა, მოვუსმინოთ ტარტუს უნივერსიტეტის მემატიანეს, სერგი გენადის ძე ისაკოეს:

«Первым грузинским студентом, поступившим в Тартуский университет, насколько нам известно, был Зураб Георгиевич Абдушелишвили. В 1892 году мы видим его в Тарту. Не без труда Зурабу Абдушелишвили удалось добиться в октябре 1892 года разрешения министра народного просвещения поступить в Тартуский университет. За ним немедленно был установлен негласный полицейский надзор, который продолжался почти все время его пребывания в Тарту. В исторических архивах Эстонской ССР и Грузинской ССР сохранилось большое число документов, раскрывающих картину полицейской слежки за З. Абдушелишвили: шпики буквально ходили за ним по пятам, фиксируя в доносах каждый его шаг, каждую встречу. Кстати, из этих полицейских сведений явствует, что круг знакомств Абдушелишвили в Тарту был весьма широк. Среди его знакомых и друзей, фигурирующих в полицейских доносах, мы встречаем русских, польских и грузинских студентов, учительниц и гимназисток, представителей местной интеллигенции»[1].

როგორც ვხედავთ, ყველაფერი სტერეოტიპულად მეორდება. ზურაბი მტკიცედ დგას სწავლის გაგრძელების გზაზე, თუმცა ამას ბევრი, ან თითქმის ყველაფერი, ეღობება წინ. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ვასოს უფროსი ძმა შეეგუოს შეუგუებელს და აიტანოს აუტანელი.

შალაურში კი ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა: ჯერ კიდევ არ განელებულა ცეცხლი, არ შეხორცებულა ჭრილობა, არ შემშრალა ცრემლი — ტიტიკოს სიკვდილით გამოწვეული და... აბდუშელიშვილების ბედის კამარამ კიდევ ერთხელ შეიკრა წარბი, კიდევ ერთხელ მოიღრუბლა, კიდევ ერთხელ დაიქუხა და ჩამოინგრა ზეცა: გარდაიცვალა ვასოს უფროსი ძმა, 22 წლის, რაინდული სულის ვაჟკაცი, უსათნოესი და უსაყვარლესი ძმებს შორის, დავით; ესეც იმავე „წყეული სენით", რომელმაც ერთი წლის წინ წაიღო 16 წლის ტიტიკოს სიცოცხლე. იცით რად მოკვდა დათუნია ასე მოულოდნე-

[1] С. Г. Исаков, Сквозь годы и расстояния, «Ээстри раамат», Таллин, 1969, с. 113.

ლად? ვიღაცამ ამბავი მოიტანა: შალაურში 80 წლის ასპანა ბუსხრი-კიძე გაციებულა და კვდებაო! დათუნია არაფრით არ დადგა: პრო-ვიზორი ვარ, ექიმობისა რაღაც გამეგება, თანაც რაღაც წამლებიც მოგვეძევება შინ. წავალ, იქნებ ობლებს, ღვთის დახმარებით, გადა-ვურჩინო ერთადერთი მარჩენალი ბაბუაო! ბევრი უშალეს. მაგრამ წავიდა — ორი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს, თავს ადგა მომაკვ-დავს — მერე, როცა შეატყო სიკვდილს ვძლიეო, ობლებს წამალი და მცირე სანოვაგე დაუტოვა, თვითონ კი, თოვლსა და ქარბუქში ძლივს გამოვიდა ლაშურის ღელეში; სახლში გაციებული მოვიდა და რაღა ეს უნდოდა ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზით და-ავადებულს; ორი კვირაც კი არ უავადმყოფია — ღმერთს მიაბარა თავისი რაინდული სული. უბედურება შეეჩვია აბდუშელიშვილების ადრე ბედნიერ ოჯახს: სიკვდილის აქლემმა ეს მეორედ დაიჩოქა მათ კარწინ. 8 წლის პატარა ვასოს ღრმად დააჩნდა გულზე ეს მეორე ჭრილობა და გაჰყვა მთელს ცხოვრებაში ყრუ ტკივილად...

მაგრამ ცხოვრება არ შემდგარა... ის თავისას ითხოვდა. ზამ-თარს გაზაფხული მოჰყვა, გაზაფხულს — ზაფხული... ზაფხული კი შეუდარებელია შალაურში: მშვიდი, ნელთბილი, ციაგ-ლურჯი, სუფ-თა და გამჭვირვალე. ერთ ამისთანა ზაფხულის დილას...

პატარა ვასოს გამოეღვიძა...

მკათათვის დახუთული ღამე უკან დარჩა და დილის გრილმა სიომ გადაუქროლა მიდამოს... ჯერ მზე არ ამოსულა და მტრედის-ფერი გადაჰკრავს ცასა და მიწას... ვასომ ღია ფანჯარასთან მიირბი-ნა და პერანგის ამარა მოკალათდა ლორფინოზე; სწორედ მისი ფანჯ-რის წინ, აივანზე, მის უფროს ძმას ყარამანს სძინავს; საბანი გადა-უგდია და გაღეღილი ფართო მკერდი საბერველივით ებერება ყო-ველ ამოსუნთქვაზე: თეთრ პირისახეს კოხტად ევლება ახლადაშლი-ლი შავი წვერ-ულვაში. რა ლამაზია ყარამან, რა ძლიერი, რა კეთი-ლი! ვასოს მზერა ახლა ეზოს გაჰყვა: აგერ დედა, დიდი კალათით ხელში ტყემლებისაკენ მიემართება: როგორ მოიხარა დედა, როგორ დაპატარავდა, როგორ დაიჩაგრა; ეზოში სხვა ჯერ არავინ ჩანს. ღო-ბის იქით საქონლის ბღავილი ისმის; მწყემსები სოფლის ნახირს მიერეკებიან; ვიღაც გარედან აწვალებს დიდი ალაყაფის კარს და მოულოდნელად ეზოში როგორც გრიგალი, ისე შემოიჭრა უზარმა-ზარი, ცეცხლისფერი ბუღა-მოზვერი. უცებ ვასოს გაახსენდა მამა-მისის გუშინდელი სიტყვები: „მენახირეებს შემოუთვლიათ — შენი ბუღა სულ გაგიედაო, ორი ხარი და ერთი დეკეული დაგვიმარკხა და აწი ჩვენ ვეღარ მოვუდგებით მას. შენ თვითონ მიხედეო შენს საქონელს... „აჰა, მაშ ეს ყოფილა ის გაგიეებული ბუღა? რამოდე-ნაა! რა პირქუში! რა საზარელი!..“ მაგრამ გაკვირვება უცებ სასო-

წარკვეთილმა შიშმა შეცვალა — ბუღამ შენიშნა ეზოში მიმავალი დათალხული ქალი და მთელი სისწრაფით გაექანა მისკენ... განწირულმა კივილმა შესძრა დილის სიჩუმე... მერე ყველაფერი ელვისებური სისწრაფით დატრიალდა: ვასოს თვალწინ გაიელვა თეთრმა ლანდმა... ერთი წამიც და გახელებული პირუტყვის წინ ყარამანის საცვლების ამარა ქანდაკება აღიმართა... ბუღამ გეზი იცვალა, მაგრამ ყარამანმა მოასწრო და რქებში ჩაავლო ორივე ხელი; კაციცა და ხარიც ადგილზე გაქვავდნენ. კიდევ ერთი წუთი და... ან ყარამანი წაიჩოქებს და — დედა-შვილის სიცოცხლე ხარის რქებს შეეწირება, ან... ყარამანი უკანასკნელ ძალას იკრებს, მარჯვენა ხელით ხარის მარცხენა რქას აწვება... ბუღას თავ-ყბა მოექცა, მერე კისერი მოედრიკა, ზურგზე ტალღასავით გადაუარა თრთოლვამ და მარცხენა მუხლით ჩაიჩოქა... კაცსაც და ხარსაც ძარღვები დასკდომამდე დაებერათ... კიდევ ერთი წამი და... ვეება ბუღა ზღართანით დაასკდა ძირს; ყარამანი ელვის სისწრაფით მოექცა ზემოდან და კისერზე გადააწვა გამძვინვარებულ პირუტყვს, მაგრამ ხელი მაინც არ შეუშვია ახლა უკვე მიწაში ჩარჭობილი რქებისათვის... ამასობაში შინაურებიც მოცვივდნენ, ბუღა შეკრეს და ყარამანიც წამოდგა; როცა მისკენ ხელებგაწვდილი დედა გამოქანდა, ყარამანმა უხერხულად დაიხედა საცვლებზე და ჩუმი ხმით მოიბოდიშა:

— მაპატიე დედა, ამ არეულობაში ვერ მოვასწარი შარვლის ჩაცმა.

როცა შინ შედიოდა, კარებთან გაღიმებული გიორგი აბდუშელიშვილი დახვდა, რომელმაც ალერსიანად დაადო მხარზე ხელი და უთხრა:

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, შვილო. ღმერთი ყველას როდი აძლევს ასეთ შემთხვევას — არაფერს დავიშურებდი, მსგავსი რამის საშუალება რომ მომცემოდაო ადრეც და მგონი, ახლაც.

რა იყო ეს?.. აღტაცება, გულის გაკეთება, თუ უბრალოდ ვაჟკაცური შური? არ ვიცი! ეს კი ვიცი, რომ ყარამანი მაშინ 24 წლის ახლადშეღერებული ვაჟკაცი იყო, გიორგი კი უკვე სამოც წელს გადაცილებული, ჭარმაგი მოხუცი.

ეს პატარა ამბავი ვასო აბდუშელიშვილის ბავშვობის წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩა და მერე ის ხშირად იგონებდა ხოლმე მას. მეც ეს ამბავი პირადად მისგანა მაქვს გაგონილი.

1894 წელს (18 მაისს) ტახტზე ავიდა რომანოვების დინასტიისა და საერთოდ რუსეთის იმპერატორების უკანასკნელი წარმომადგენელი, ნიკოლოზ მეორე. თუ მის წინამორბედ ნიკოლოზ პირველს ხალხმა „პალკინი“ შეარქვა, ნიკოლოზ მეორეს „ხოდინსკი“ უწოდეს, რადგან მისი ტახტზე ასვლა ხოდინის ველის კატასტროფას დაუკავ-

შირდა. რუსეთის ახალი, უდღეური იმპერატორის ტახტი იმთავითვე ცეცხლისმფრქვევ ვულკანზე აღმოჩნდა: ყველაფერი ირყეოდა, ზანზარებდა, ინგრეოდა და დღენიადაგ შთანთქმას უქადდა არსებულ რეჟიმსა და მის მესვეურთ.

არც შალაურში იყო ცა უღრუბლო და მოწმენდილი.

ამ წელს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა აბდუშელიშვილების ოჯახს — გარდაიცვალა გიორგის უფროსი ვაჟი, ინფანტერიის პოლკოვნიკი ოტია გიორგის ძე აბდუშელიშვილი. 34 წლის ვაჟკაცის, ბრწყინვალე მოქალაქისა და ჯარისკაცის ცხედარი ახალციხიდან მოასვენეს და მიაყენეს თავზარდაცემული მამის ოჯახს. განსვენებულს მისი ახალგაზრდა მეუღლე მარიამ ზედგინიძე და მისი ორი პაწაწინა გოგონა: ნინო და თამარ, ბისტიროდნენ. უბედურება აუტანელი ხდებოდა, სევდა — ზღვარდაუდები. ოჯახი დიდიხნით გაეხვია ძაძებში. ყველა გლოვობდა, ყველა ტიროდა და ყველა ახალი უბედურების მოლოდინით შეჰყურებდა მომავალს. აუტანელი იყო ეს — განსაკუთრებით აუტანელი კი პატარა, 9 წლის, ვასოსათვის. აქამდე უზრუნველმა მისმა ბავშვობამ პირი იბრუნა, მოიღრუბლა და ჭაბუკობაში ნაადრევად შედგა ფეხი. ერთმანეთს მიჰყვნენ ერთიმეორეზე უფრო მძიმე და თავზარდამცემი ამბები მის გარშემო. სულ 7 წლისა იყო ვასო, როცა გარდაიცვალა მისი კალმით ნახატი 16 წლის ძმა — ტიტიკო. ერთი წლის შემდეგ ამას უსათნოესი და უკეთილშობილესი ძმის — დათუნიას გარდაცვალება მოჰყვა და აი, ერთ წელსაც არ გაუვლია და სიკვდილ.ის აქლემმა კიდევ ერთხელ დაიჩოქა სევდითა და უბედურებით დასეტყვილი ოჯახის წინ — გარდაიცვალა მამასავით საყვარელი და პატივსაცემი, სულ უფროსი ძმა — ოტია. ოჯახი დაიხურა, დადუმდა, მიწყდა მხიარული სიცილი და დროსტარება; სიკვდილის აჩრდილი ბედისწერასავით გადაეფარა აქამდე ბედნიერ და მხიარულ ოჯახს. ირგვლივ გლოვა, სიმძიმილი და სევდა გამეფდა. უფროსები მაგრობდნენ და ქურდულად მალავდნენ თვალებში მომდგარ მწუხარების ცრემლს. წასულებს არ ახსენებდნენ — აუტანელი იყო ჰირდაღებული ქრილობების გაღიზიანება. პატარა ვასოს სულშიც რაღაც გაწყდა, რაღაც ჩაინგრა; შუბლზე ღრმა ნაოჭი გაწვა, თვალებში კი სამუდამოდ ჩაიძირა უსაზღვრო სევდა და გამოუთქმელი გულისტკივილი... და მხოლოდ ზოგჯერ, ისიც მცირე ხნით, თუ გაიელვებდა ხოლმე ნათში ღიმილი, როგორც ღრუბლიან ცაზე მზის ელვარება და უმალვე შეიკრავდა ხოლმე შუბლს. ასე იყო მერეც... მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

კიდევ ორიოდ სიტყვა.

ოტია აბდუშელიშვილი სამუდამოდ ჩამოშორდა ვასოს ცხოვ-

რების გზას. მას ჩვენ უკვე აღარ შევხვდებით ჩვენს შემდგომ თხრობაში, ამიტომ სათქმელიც აქვე უნდა ითქვას. როგორც ჩანს, ოტია (ოთარ) აბდუშელიშვილს დიდი განათლება და ღრმა ინტერესები უნდა ჰქონოდა საზოგადოდ, რასაც ადასტურებს მისი მინაწერები საგვარეულო გენეალოგიურ ნუსხაზე; ამასვე ადასტურებს იარაღების ის უმდიდრესი კოლექცია, რომელზედაც ჩვენ ზევით უკვე გვქონდა საუბარი და რომელიც მეტწილად მის მიერ იყო თავმოყრილი და დაცული[1]. სამწუხაროდ, მას მერე (ის კი თითქმის საუკუნის წინათ გარდაიცვალა), ოჯახში აღარავის გამოუჩენია ასეთი ინტერესი და გულისყური გვარისა და ქვეყნის წარსულისადმი, თორემ თუ საოჯახო არქივსა და ნივთიერ საბუთებს არა მიემატებოდა რა, ასე უმერთოდ მაინც არ განადგურდებოდა ყველაფერი და დღეს ასე არ გაძნელდებოდა წარსულის აღდგენა, რომლის სასწაულებრივად შემორჩენილი ნაშთები დღესაც ამ გონიერი და განათლებული ადამიანის ზრუნვისა და რუდუნების ნიშანს ატარებს. ოტიას მერე ნასწავლი და განათლებული ხალხი ცოტა როდი გაიზარდა გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში, მაგრამ მისი გაქანებისა და ინტერესების მქონე — აღარავინ! ეს დასანანი, მაგრამ ჯიუტი ფაქტია და სათქმელიც უნდა ითქვას, რამეთუ ღირსს მიეზღოს ღირსებისამებრ და ხსოვნის დოქიც არ დაიცალოს.

1895 წელს დასრულდა პატარა ვასოს სოფელში ცხოვრება. მოახლოვდა დიდი ხნის ნაოცნებარი დღე. გადაწყდა სასწავლებლად ქუთაისში მისი გაგზავნა. სამარიობოდ მოამზადეს, ენკენისთვეში კი კიდევ ერთი შვილი წავიდა გიორგი და ეკატერინე აბდუშელიშვილების ოჯახიდან.

სწორედ ამ წელიწადს ჭიათურა რკინიგზით დაუკავშირდა შორაპანს, რამაც ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახადა შალაურელებისათვის ქუთაისი. მარიამობის დღესასწაული შალაურში, ცხადია, ჩვეულებრივ ხალხმრავალი და მხიარული არ იყო. მშობლებმა და ძმებმა ახალგარდაცვალებულთა საფლავები მოინახულეს, ღვინის დოქს თავი წაუქციეს, სოფლის გლახები და ობლები დააპურეს, განსვენებულები დაალოცვინეს და მეორე დღეს, ნიკო, პეტრე, გიგო და პატარა ვასო — ჭადის ფქვილით, ლობიოთი, ლორით, ყველით, ხმიადებით, გომიჯებით, ხაჭაპურებით, ჩურჩხელებითა და დედის ლოცვით დატვირთულები, ქუთაისისაკენ გაემგზავრნენ. გიორგიმ,

---

1 დღეს მხოლოდ ერთი, მცირეოდენი ნაწილი ამ კოლექციისა ექსპონირებელია ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; იარაღების ეს კოლექცია ადამ აბდუშელიშვილის ქვრივმა თამარ გომართელმა გადასცა მუზეუმს მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ.

ვანომ და ახლობლებმა საჩხერემდე გააცილეს „გიმნაზისტები“. გზაში ვანო ოხუნჯობდა. გიორგი კი წარბშეკრული და გარინდული მიაცორვებდა წინ თავის ღვინისფერ იაბოს. შინ რჩებოდნენ უფროსი შვილი ყარამან და ოთხი წლის ადიკო. მიდიოდა მისი, შვილებში გამორჩეული, თმახუჭუჭა ვასოც. საჩხერის ხოდაბუნებთან ვანო წამოეწია წინწასულ გიორგის, ცხენის ტახტაზე ხელი დაუდო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა მოგივიდა, გიორგი, რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე, ადამიანო! — გიორგიმ ერთხანს იყუჩა, მერე თითქოს თავის თავს ეუბნებაო, ხმადაკლებულად ჩაილაპარაკა:

— უცნაური ყოფილა ეს წუთისოფელი; აი, უკვე მეთორმეტე შვილს ვაცილებ სახლიდან, შინმობრუნებული კი ვერავინ ვნახე. ეს ბიჭი მაინც მინდოდა მყოლოდა ჩემთან, ჩემს ჭკუაზე გამომეზარდა, ჩემს ფეხზე დამეყენებინა, მაგრამ მაგანაც სწავლაში გამოიჩინა ისეთი გულისყური, რომ ცოდვაა მაგისთვის ხელის შეშლა. წავიდეს, ალალი გულით დამილოცნია მისთვის გზა, მაგრამ შეძლებს კი ოჯახი, ამოდენა ტვირთის ზიდვას. აი ეს არის, რომ მაწუხებს და გულს მიღონებს. ღმერთმა ხომ იცის, ჩემს თავზე არა ვფიქრობ, მე მხოლოდ მათი სიკეთე მინდა.

წამსვლელები და გამცილებლები ერთმანეთს საჩხერეში დაემშვიდობნენ, კიდევ ერთხელ გადაკოცნეს ერთმანეთი და... ვასო აბდუშელიშვილის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა, ხანა — ყრმობისა და სიჭაბუკისა. უკან დარჩა ნაცნობი და საყვარელი ადგილები, უზრუნველი დღეები, მხიარულება, ტოლ-ამხანაგებთან გართობა, მწყემსაობა, ბურთაობა, რიკტაფელა და ბოლოს, უსაყვარლესი ძმების დაკარგვით ჩამწარებული ბავშვობა. წინ ყველაფერი უცნობი იყო, მაგრამ იქ იყვნენ მისი უფროსი ძმები და ვასოსაც იქით მიუწევდა გული, თუმცა გულის ერთი და შეიძლება უდიდესი ნაწილი იქ რჩებოდა, შინ — დედასთან, მამასთან, სოფლის თავზე წამოყუდებული ეკლესიის გალავანში საუკუნოდ მიძინებულ ტიტიკოსთან, დათუნიასთან, ოტიასთან და... ნაციხვრის ნათელ და მზიან გარიჟრაჟებთან, შალაურის წყნარ, მშვიდ, მთვარით განათებულ ღამეებთან.

ქუთაისში დილაადრიან ჩავიდნენ ძმები. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, მეეზოვენი ჰგვიდნენ და რწყავდნენ ქუჩებს: ჩანთებით, ხურჯინებითა და ბოხჩებით დატვირთული ძმები ურიამულით მიადგნენ „ბაბუა დიმიტრის“ ზღაპრულად აყვავებულ ეზოს. ბიჭების ჩასვლით გახარებულმა ოჯახმა უმალ გაიღვიძა... იყო ხვევნა, კოცნა, აღტაცება, მოკითხვა და სიხარულის ცრემლები...

ვასო კი, რომელიც იმთავითვე საოცრად თავნება, ჯიუტი და უკარება ბავშვი იყო, ცალკე იდგა. ქუთაისში ჩასვლის პირველსავე დღეს ერთი სასეირო ამბავი მოხდა, რომელიც შემდეგ ხშირად იყო ხოლმე ხუმრობის საგანი.

სახლში შესვლისთანავე 10 წლის ვასოსთვის, მისი ჩასვლით გახარებულ, დეიდა ტასიკოს უთქვამს:

— არიქა ვასო-ბიჭო, ბაბუა დიმიტრიმ ბრძანა, ჩემი ბუთხუზა შვილიშვილი ახლავე აქ მომგვარეთო.

— ვინ არის ბაბუა დიმიტრი? — დაბღვერილა ვასო.

— ვინ არის და ბაბუაა შენი, ლეჩხუმის მაზრის ნაჩალნიკი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი.

— არ მივალ! — კატეგორიულად განუცხადებია ვასოს.

— როგორ თუ არ მიხვალ?! შენ კი არა, მთელი ლეჩხუმის მაზრა ზანზარებს მისი შიშით, შენ კი?..

— მე არაფერი საქმე არა მაქვს ლეჩხუმის მაზრის უფროსთან და თუ იმასა აქვს ჩემთან საქმე, თვითონ მობრძანდესო აქ. — ამაყად უპასუხნია პატარა ვასოს და დარბაისლურად მოუკალათნია სავარძელზე; ასე, რომ დიმიტრი ბაქრაძე იძულებული გამხდარა, თავისსავე სახლში თვით ხლებოდა ამპარტავან შვილიშვილს.

ამის შემდეგ ქუთაისელი ბაქრაძეების ოჯახში პატარა ვასოს ყველამ „მამაილა“ შეარქვა და არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ როდესაც გიმნაზიაში მისაღები გამოცდები ვასომ ბრწყინვალედ დაიჭირა, დედულეთმა მყისვე ეს დედისა და საერთოდ ბაქრაძეების ნიჭიერებას მიაწერა, თვითონ ვასომ კი აქაც განაგრძო მისთვის ჩვეული დუმილი და ასაკისათვის შეუფერებელი სერიოზულობითა და მუყაითობით დაეწაფა სწავლას.

დაიწყო გიმნაზიაში სწავლის გრძელი, ძნელი და განუმეორებელი გზა.

ქუთაისი...

აკაკის მიერ ამღერებული „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი...

თავისი ბაგრატითა და მოწამეთათი... ჯაჭვისა და თეთრი „ხიდეებით“... რიონითა და უქიმერიონით... მწვანე ყვავილათი და წყალწითელათი... ჭომითა და საფიჩხიით... ბალახვანითა და ფერმით... დღეს საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი... ოდესღაც ქართული ინტელიგენციის დიდი აკვანი.

ეს იყო პირველი ქალაქი, რომელიც პატარა ვასომ ნახა... თუმცა...

იმდროინდელი ქუთაისი ბევრად უფრო ჰგავდა სოფელს, ვიდრე ქალაქს. თითქმის ყველა სახლს თავისი პაწაწინა ეზო ჰქონდა, სადაც არა მარტო ბოსტანი და ხეხილი იყო გაშენებული, ხშირად სიმინდიც ეთესა; კანალიზაცია არ იყო; წყალს თულუხჩები დაატარებდნენ და

მთელი დღეების განმავლობაში გაისმოდა წვრილი მოვაჭრეების გამაყრუებელი ძახილი. ყველა ყველას იცნობდა, ყველამ ყველაფერი იცოდა ახლო თუ შორეული მეზობლის შესახებ. საღამოობით იკრიბებოდნენ „ფრაპი“-ს ან ლოტოს სათამაშოდ, რის შემდეგ სტუმრებს სამოვრით მიართმევდნენ ჩაის... უფრო ხშირად კი თითო-თითო ბოთლი შინაური ღვინითა და ცხელ-ცხელი ხაჭაპურებითაც უმასპინძლდებოდნენ...

დიმიტრი ბაქრაძეს, როგორც ითქვა, ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე, სამი საკუთარი სახლი ჰქონდა: ხის, ქვისა და აგურის. ხისა და ქვის სახლები მისი მეუღლის, მარიამ გიორგის ასულ გაბაშვილის, ნამზითვი იყო, ხოლო აგურის სახლი თვითონ ააგო და გააწყო კიდეც საკმაოდ ლაზათიანად, ევროპულ ყაიდაზე: აბრეშუმის შპალიერითა და მუხის პარკეტით. ეზოს შემოვლებული ჰქონდა აგურის მაღალი გალავანი, რომელსაც ამშვენებდა რკინის დიდი ალაყაფის კარი. ეზოში გაშენებული იყო, მაშინ ბევრისათვის ჯერ კიდევ უცხო, დეკორატიული პარკი: პალმებით, მაგნოლიებით, კვიპაროსების ხეიკნებითა და ჰორტენზიებით. „გიორგის ბიჭები“ აგურის სახლში ცხოვრობდნენ დეიდა ტასიკოსა და ბიძია კოტესთან ერთად. თვითონ ბაბუა დიმიტრი კი ძირითადად ლეჩხუმში იყო და მხოლოდ დღესასწაულებზე ესტუმრებოდა ხოლმე საკუთარ ოჯახს.

გიმნაზია, სადაც ვასომ ასე ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები, მოთავსებული იყო ქარვასლის ქუჩაზე: მისი დირექტორი ალ. სტოინოვი იყო, კაცი განსწავლული და ისტორიისა და ძველი კლასიკური ენების საკმაოდ კარგი მცოდნე. რუსული ენის მასწავლებლები იყვნენ: მ. ჭიჭინაძე და ვ. მიშკინი; ერთი აღზრდით, ხოლო მეორე ბუნებით, რუსოფილი და რუსიფიკატორი; ხოლო მათემატიკისა — პ. ალიფეროვი — კაცი ღრმად მოხუცებული და თავისი საგნის არაღრმად მცოდნე; საერთოდ გიმნაზიის მასწავლებლებიდან თითოოროლა თუ იყო საგანს მეტ-ნაკლებად დაუფლებული და პედაგოგიური მონაცემების მქონე, დანარჩენები თითქმის არარაობას წარმოადგენდნენ და სიყვარულის ნაცვლად მოსწავლეებს საგნისა და საერთოდ სწავლის სიძულვილს უნერგავდნენ, რისი შედეგიც სწავლების საკმაოდ დაბალი დონე იყო. საბედნიეროდ, ვასოს ეს არ შეეხებოდა — ის იმთავითვე „პირველი მოწაფე“ იყო და ეს „პირველობა“ მას თან გაჰყვა ჯერ თბილისის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ — პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ის საუკეთესო იყო თვით სახელმწიფო სტიპენდიანტთა შორისაც კი.

ძმების ცხოვრება ქუთაისში მხიარულად და უზრუნველად მიდიოდა. მიუხედავად სიძნელეებისა, ისინი ერთად იყვნენ, ცხოვრობდნენ მოამაგე ბაბუის სახლში, ბიძისა და დეიდის მუდმივი მეთვალ-

ვ. ალდუშელიშვილის ბაბუა, დიმიტრი ივანეს ძე ბაქრაძე, 1895 წ.

ყურეობის ქვეშ: ეცნობოდნენ ყოველივე კარგსა და მოწინავეს, რაც კი რამ იყო მაშინ ქუთაისში. უფროსი ძმა ნიკო დამამთავრებელ კლასში იყო: საოცრად გაიზარდა, დამშვენდა და მიუხედავად მშობლებისა და ბიძის გამუდმებული თხოვნისა. უმცროსი ძმების ნაცვლად თვალი უფრო ხშირად ქუთაისელი ლამაზმანებისაკენ ეჭირა. პეტრემ სწავლას გული ვერ დაუდო, სულ შალაური ენატრებოდა და სოფლისკენ იწევდა; გიგომ გიმნაზიაშიც „ყოჩის“ სახელი დაიგდო, სულ მკლავზე იყურებოდა და პატარა ვასოს აქაც მფარველობდა; ვასო ყოველდღე გაბაშვილის გორიდან ქარვასლის ქუჩამდე გიმნაზიაში დაცუნცულებდა, ხუთიანებს ხუთიანებს უმატებდა, გულისყურსა და მონდომებაში ბადალი არ ჰყავდა, ტოლ-ამხანაგებს კარგად

შეეწყო, თუმცა უახლოეს მეგობრებად მაინც ძმები მიაჩნდა, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, გიგო.

ოჯახში ხშირად იკრიბებოდა მოწინავე საზოგადოება: კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანევიჩი, აკაკი და გიორგი წერეთლები, კირილე და სიმონ ღოღობერიძეები — იყო დინჯი და დარბაისლური საუბარი ქვეყნისა და ხალხის აწმყოზე, მის ჭირსა და ლხინზე, მის წარსულსა და მომავალზე... ბიჭები სულგანაბულნი უსმენდნენ ამ საუბრებს... ჩარევას ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა, მაგრამ ყოველივე ის, რასაც იქ ისმენდნენ და ხედავდნენ, მათს გრძნობებს აღვიძებდა და აყალიბებდა, გონებას ხსნიდა და ავარჯიშებდა, აზრებსა და ფიქრებს წარმართავდა, ხვეწდა და აფაქიზებდა.

შალაურში...

შალაურშიც დაირღვა ბოლო წლებში გამეფებული მწუხარების ერთფეროვანი გარემო.

გიორგი აბდუშელიშვილმა გადაწყვიტა თავისი საცოლშვილოდ შეღერებული ვაჟი — ყარამან დაეოჯახებინა და საპატარძლოც თვითონვე შეურჩია... ეს იყო ჭალელი აბაშიძის 20 წლის თვალ-და გულწარმტაცი ქალიშვილი, მაია. მის სილამაზეზე ზღაპრებს ყვებოდნენ და თვითონ გიორგისაც რამდენჯერმე ყავდა ნანახი აბაშიძეების სწორუპოვარი მზეთუნახავი და... ერთ მშვენიერ დღეს, ისე, რომ არც უკითხავს ყარამანისათვის, ეახლა აბაშიძეს და ქალი სთხოვა. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ მას ქალს არავინ დაუჭერდა, მაგრამ ამჯერად მისმა შუამავლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მამა-შვილმა აღტაცება ვერ დაფარა... თითქო მზე ჩადგა აბაშიძეების ოჯახში, თვალებგაბრწყინებულმა მაიამ, სიხარულის ცრემლი რომ ვერ შეიკავა, თავის ოთახს შეაფარა თავი, მამამისმა კი ესღა ჰკადრა გიორგის:

— გიორგი ბატონო, ზუბიკი რო რუსეთშია, ეს როგორ იქნებაო?!

გიორგი ჯერ ვერაფერს მიხვდა და,

— ზუბიკი აქ რა შუაშიაო, — გაიოცა... გაიოცა და, უცებ ცა ჩამოინგრა... აბაშიძე დადუმდა, ერთხანს ასე იყო გაოგნებული და გაფითრებული. მერე ადგა და თავის ქალიშვილს მიაკითხა...

გიორგიმ ხმადაკლებულ ჩურჩულსღა მოჰკრა ყური:

— შვილო, შენ ხომ ზუბიკის გარდა გიორგის არც ერთი შვილი თვალითაც არ გინახავს, ახლავე ნუ გადამიწურავ იმედს... უკადრისს ნუ მაკადრებინებ ამ სახელოვანი კაცისათვის... ვნახოთ... ვიფიქროთ... იქნებ...

— არა, მამა!.. მე ან ზუბიკო აბდუშელი წამიყვანს, ან შავი მიწა, — მოესმა გიორგის...

და როცა აბაშიძე გამოვიდა, მან მხოლოდ გაფრენილი მხედრის ლანდს და გზაზე ავარდნილ მტვრის ბუღსღა მოჰკრა თვალი.

როცა გააფთრებულმა გიორგიმ გახვითქული ცხენი მიაგდო თავის ჭიშკარს, წინ გაღიმებული ყარამან შემოეგება და სახეგაბრწყინებულმა მიახარა:

— მომილოცე, მამა, გრიგოლ კურცხალიას ქალი ნატო დავნიშნე და ერთ თვეში ქორწილიც უნდა გავაჩაღოთო!

გიორგის არა უთქვამს რა, არც მაშინ და არც მერე; თავის დროზე ღია გულით მიიღო თავისი მომავალი სარძლო, მამაშვილურად დალოცა, საშემოდგომოდ ვალიც კი აიღო და სანაქებო ქორწილიც გადაუხადა ბედნიერ წყვილს, მაგრამ თავნებობა მაინც არ აპატია შვილს, ცალკე დაასახლა და ბზარიც ბოლომდე დარჩა მამაშვილს შორის.

ღმერთთან სწორი სჯობს, ნატო სილამაზით ტოლს არავის უდებდა და შვილებიც ისეთი აჩუქა ყარამანს, მტრის თვალს არ დაენახვებოდნენ... მაია აბაშიძე კი, მართლაც, არავის გაჰყვა ცოლად, დაავადმყოფდა და დიდ დროს არ გაუვლია, რომ ღმერთს მიაბარა თავისი უმანკო სული... და, ალბათ, საფლავშიაც თან ჩაიტანა გიორგი აბდუშელიშვილის უფროსი ვაჟის უიღბლო სიყვარული.

მართლა განუკითხავი იყო გიორგი აბდუშელიშვილი და ზოგჯერ დაუნდობელიც კი, თორემ მას რომ შენდობისა და პატიების უნარი ჰქონოდა, იქნებ არც აბაშიძეების გაუხარელ ანგელოზს დაბნელებოდა ნაადრევად მზე, იქნებ არც ზურაბს არეოდა გზა, ეპოვნა თავისი მყუდრო და ტკბილი ბუდე და იქნებ ყარამანსაც არ დაეკარგა სათაყვანო მამის ნდობა და სიყვარული... თუმცა... ვინ იცის, რა იქნებოდა?! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გიორგიმ საფლავში ჩაიტანა თავისი მიზანმიუღწეველი შუამავლობისა და იქ, სადღაც, ოდესღაც შემთხვევით ყურმოკრული მამა-შვილის ნათქვამი. ეს ამბავი მერე... თუმცა რა აზრი აქვს ახლა, რა იყო მერე... მოსახდენი მოხდა და მე ღმერთმა მაშოროს ცოდვა ვისმე გამოვუტანო ჩემი ნაგვიანევი მსჯავრი.

1896 წელი.

ძნელი, საოცრად ძნელი ყოფილა აღადგინო პერიოდი, რომელიც დაშორებულია შენგან თითქმის მთელი საუკუნით. განვლილი დრო და ჟამი ყველაფერს აფერმკრთალებს და დაუნდობლად უცვლის მას ფაფუაპირველ იერსახეს. ერთადერთი საშუალება წარმოადგინო და წარმოადგინო ის, შენგან ასეთი მანძილით დაშორებული დრო. ეს ცნობებია, რომლებიც შემოინახეს წიგნებმა, წერილებმა ან საბუთებმა, თუ ასეთები არსებობენ საერთოდ. მე ამ შემთხვევაში წიგნი-

ერი მხოლოდ ერთი წყარო მაქვს — 1896 წელს გამოშვებული საქართველოს კალენდარი. მე ეს კალენდარი ბევრჯერ გადამიფურცლავს და იქ ყველა ნახსენები აბდუშელიშვილი, თუ მათი ნათესავი აღმინიშნავს კიდეც. აი ისინიც: მომრიგებელი მოსამართლენი — ქუთაისის მაზრისა თავ. მერაბ იაგორის ძე ლორთქიფანიძე, ლეჩხუმის მაზრისა — დიმიტრი ხახუტას ძე ბაქრაძე; ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო ბანკის ხაზინადარი — კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე, ნოტარიუსი ქუთაისისა დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი (კონსერვატორიის აწ განსვენებული პროფესორის ანასტასია დავითის ასულ აბდუშელიშვილ-ვირსალაძის მამა)[1]. აი, ეს არის ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც შემოინახა 1896 წლის საქართველოს კალენდარმა. გარდა ამისა, აქედანვეა ამოღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ იმ წელს ილია ჭავჭავაძე იყო, ხოლო წევრნი: ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ალ. ჭყონია, ე. თაყაიშვილი; სეკრეტარი — დ ა ვ ი თ კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი. ამ უკანასკნელის ხსენება იმიტომაც არის საინტერესო, რომ შემდეგ, ჩვენ შეგვხვდება ამ ცნობილი მოღვაწის გვარი, რომელიც ვასილ აბდუშელიშვილს წერილსა სწერს პეტერბურგში და საინტერესო წერილსაც.

საოჯახო არქივში 1896 წელი, ასევე, ძალიან ძუნწად არის წარმოდგენილი; ვიცით მხოლოდ, რომ ძმები განაგრძობდნენ სწავლას ქუთაისში, ხოლო შალაურში მხოლოდ ზაფხულობით იყრიდნენ თავს. ამიტომ ჩვენც იძულებულნი ვართ მათთან ერთად მივიხედოთ შალაურისაკენ და მხოლოდ სხვათა მოგონებებით და გადმოცემებით შევავსოთ ხარვეზი, რომელიც დოკუმენტური საბუთების გარეშე რჩება.

აი, ერთ-ერთი ასეთი ზაფხულის დღე:

გიორგი ნაღვინევი დაბრუნდა შუადღისას, ეზოში შეაგელვა თავისი იაბო — „მუხტარა“, თოფი და აღვირი შემოგებებულ მოჯამაგირეს მიუგდო და თავის „გიმნაზისტ“ ბიჭს დაუძახა:

— ვასიუხ, მოდი, ბიჭო, ჩემთან, როდემდე გინდა გოჭებსა და ხბოებს სდიო, აბა ერთი ცხენზე ჯდომაც სცადეო!

ხშირად არ იყო ხოლმე გიორგი ასეთ გუნებაზე და... ვასოს თვალები გაუბრწყინდა. მამამ დაავლო თავის 11 წლის ბიჭს ხელი და ჯერ კიდევ გახურებულ და გაოფლიანებულ ცხენზე შესვა. ცხენმა იუკადრისა თუ იუცხოვა მხედარი, ყალყზე შედგა, ადგილს მოწყდა და გაფრენილი ისარივით დაეშვა ჭლაპაურის „მეიდნისაკენ“, რომელიც პირდაღებული ხრამით გადაჰყურებდა ლაშურის ღელეს. ფათერაკი გვერდაუვლელი ჩანდა... თავზარდაცემულმა გიორგიმ ისღა მო-

---

1 საქართველოს კალენდარი, 1896 წ., გვ. 290—293.

ახერხა, რომ მოჯამაგირეს ხელიდან გამოგლიჯა თავისი გატენილი თოფი, დაუმიზნა და ის იყო, უნდა გამოეკლა თავისი საყვარელი იაბო პატარა მხედრისათვის... მაგრამ... ერთი წამით შეყოვნდა...

ეს წამი კი საბედისწერო გამოდგა...

დამსწრეები იგონებდნენ, რომ გიორგის, რომელსაც ვერავითარი ფათერაკი ნირს ვერ უცვლიდა, სიკვდილის ფერი ედო და ხელიც უკანკალებდა... საზარელი, აუტანელი, გულისშემძვრელი იყო თურმე ეს ორიოდე წამი. გიორგის განზრახვას ყველა მიხვდა, მაგრამ იმასაც მიხვდნენ, რომ მამის მიერ ნასროლი ტყვია შეიძლებოდა შვილს მოხვედროდა და მაშინ რომ არც გიორგი იცოცხლებდა თავს, არც ამაში ეპარებოდა ვინმეს ეჭვი: მაგრამ... ცხენი უცებ ტოტებდაშეებულ ოლემუხის ქვეშ შევარდა და როცა ფაფარგაშლილი ცხენი ისევ გამოჩნდა უფსკრულის თავზე, ყველამ შვებით ამოისუნთქა... მასზე უკვე აღარავინ იჯდა, პატარა ვასო კი მუხის ტოტზე იყო დაკიდული ორივე ხელით და განწირული ხმით ყვიროდა:

— მამა, არ ესროლო მუხტარას, მაგის ბრალი არ არის. ჩემი ბრალია, ჩემი!..

როცა ბიჭი შინ მოიყვანეს, დედა კატო გულშემოყრილი ესვენა სავარძელზე, გიორგი კი კმაყოფილი იღიმებოდა ულვაშებში და ვანოს ეუბნებოდა:

— უყურე შენ, ამ „ბურვაკის მხედარს", როგორი ცხენოსნობა უსწავლია; ასეთ ილეთს, ეგ კი არა, არც მე და შენ დავიწუნებდითო, ალბათ!

დადგა 1897 წელი.

აბდუშელიშვილების ოჯახზე კიდევ ერთმა შავმა ღრუბელმა გადაიარა. გარდაიცვალა დიმიტრი ივანეს ძე ბაქრაძე, ვასო აბდუშელიშვილისა და მისი ძმების ბაბუა, მათი დიდი მოამაგე და უანგარო ალმზრდელი. ეს ფაქტი უსათუოდ დიდი მნიშვნელობისა იყო იმ ოჯახისათვის, რომელიც ფრთებდასწორებულ ბარტყებს, როგორც წესი, ქუთაისისაკენ დაფრენდა ხოლმე; ამის შემდეგ. ალბათ, რაღაც სხვაზე უნდა ეფიქრა შალაურელი აბდუშელიშვილების ოჯახს, ვინაიდან დიდი სახსარი და იმედი გამოეცალა მას ქუთაისში. ასეც მოხდა... 1897 წლის 26 აპრილის თარიღით არის გაცემული საბუთი იმის შესახებ, რომ გრიგოლ გიორგის ძე აბდუშელიშვილი (15 წლის): **«Выбыл из четвертого класса Кутаисской гимназии. Свидетельство № 18, 26/IV-1897 г. г. Кутаиси».** მიზეზი ჩვენთვის ახლა უკვე ნათელია.

ამავე 1897 წელს ვასო აბდუშელიშვილის უფროსმა ძმამ ნიკოლოზმა, დაამთავრა გიმნაზია, მაგრამ არა ქუთაისისა, არამედ ერევ-

ნის... ამის მიზეზი კი ჩემთვის სულ მთლად ნათელი არ არის; რა იყო ეს: ქუთაისის გიმნაზიაში შექმნილი აუტანელი პირობები, ბაქრაძეების ოჯახში გამოცლილი ეკონომიური საყრდენი, თუ თვითონ ნიკო აბდუშელიშვილის ახირება. ფაქტი ერთია, მან ერევნის გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიის მეგობრებს წუთითაც არ დაშორებია. აგვისტოს მეორე ნახევარში ის სწორედ თავის გიმნაზიელ მეგობრებთან ერთად გაემგზავრა ოდესაში; ერთი თვით ადრე გიორგიმ დერპტიდან მიიღო ზურაბის წერილი. მხოლოდ ის, ვისაც მოვალეობის უღელი უღალატოდ უტარებია, უშეცდომოდ შეაფასებს ამ წერილის მამაშვილურ მაზანდას.

„საყვარელო მამა! ალბათ, მემდური!.. იმედი მაქვს, გულს მოიბრუნებ და ჩემ ტანჯვას შენი წყრომით არ გააორკეცებ!.. ოღონდ შენ იყავი კარგად... და მთელს ჩემს ჯანსა და ღონეს იმას მოვახმარ, რომ ჩემი დანაშაული სინდისიანად გამოვისყიდო. ამ დღეებში ნიკოს წერილი მივიღე. კურსი რიგიანად დაუსრულებია გიმნაზიაში და თუ რაიმე ღონეს გახდა, რუსეთში აპირებს წამოსვლას... წინა წერილში გთხოვე შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოგეჩინა მისთვის და არ დაგებრკოლებინა. სრული იმედი მქონდა შენი სულგრძელობისა... მით უმეტეს მქონდა იმედი, რომ ჩემოდენად შენ არც ერთ შვილს არ შეუწუხებიხარ... მაგრამ ერთხელაც არ გიგრძნობინებია ჩემთვის, რომ მე შენი ნდობა და სიყვარული დავკარგე. აქამდინ არ მითქვამს და შეიძლება არც მეთქვა, თუ საჭიროებას არ მოეტანა, რომ ყოველ შენ შვილს თავისთავს ერჩიე და ერჩივნები კიდეც... ეხლა კი ვხედავ, რომ რაღაც ბზარმა იჩინა თავი... ის უბედურებაც ეყოფა ჩვენს ოჯახს, რაც ამ ბოლო წლებში დაატყდა... მოიწვიე შენი სიყვარული და სულგრძელად გაუწოდე ხელი, მოიხმე შენთან, დალოცე და თუ რაიმე შეძლო, დაეხმარე!..

მუდამ შენი სიცოცხლის და კეთილდღეობის მსურველი, მოყვარული შვილი ზ ურ ა ბ.

უკვე ვაპირებდი ამ წერილის გამოგზავნას, როცა გ ო გ ლ ო ყ ა ზ ა ხ ა შ ვ ი ლ მ ა შენი წერილი შემომიტანა. თუმცა ბევრი ვიმაგრე თავი მის კითხვაზე, მაგრამ მაინც წამსკდა ცრემლები. ამხანაგი მეკითხებოდა, რა დაგემართა, უბედურება ხომ არა მომხდარა რაო, არა-მეთქი, უღონოდ ვარ და ნერვები მაქვს-მეთქი აშლილი...“

მე არც ის ვიცი, რა ბზარი გაჩნდა გიორგი და ნიკო აბდუშელიშვილებს შორის, არც ის, დაეხმარა თუ არა გიორგი თავის შვილს, ვიცი მხოლოდ ის, რომ: ოჯახის, ერისა თუ საზოგადოების საერთო გეზმა ნიკოლოზ აბდუშელიშვილი ოდესის უმაღლეს სასწავლებლამდე მიიყვანა: რისი იმედით, ეს ჩემთვის უცნობია. მაქვს მხოლოდ ეჭვი, რომ ნიკო დედისგან ღებულობდა დახმარებას. ვიცი ისიც, რომ

დედას არავითარი საკუთარი სახსარი არ ჰქონდა; ამიტომ გამომაქვს სრულიად ბუნებრივი დასკვნა — ნიკოს დედის ხელით მისდიოდა მამისეული დახმარება, მაგრამ რამდენად საკმარისი იყო ეს დახმარება ოდესაში, თუნდაც მხოლოდ არსებობისათვის, ეს არ ვიცი და დღეს უკვე ვეღარც ვერავინ მეტყვის ამას.

მაშ ასე, აგვისტოს მეორე ნახევარში ნიკო აბდუშელიშვილი თავის ქუთაისელ (გიმნაზიის) მეგობრებთან: იასონ მოსეშვილთან, სეით იაშვილთან და ბესარიონ მიქელაძესთან ერთად გაემგზავრა ოდესაში და ჩაირიცხა ნოვოროსიის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომლის დეკანი მაშინ პ. გ. მელიქიშვილი იყო, ხოლო ტექნიკური ქიმიის კათედრის გამგე — ვ. მ. პეტრიაშვილი.

ზაფხული „გიორგის ბიჭებმა" ალბათ, შალაურში გაატარეს.

პირველ სექტემბერს კი გიგო უკვე თბილისის გიმნაზიის მოწაფეა, ხოლო ვასო — ჯერ კიდევ ქუთაისისა. საბუთიერი ფაქტი ამ პერიოდისათვის მხოლოდ ერთი სურათია. ეს არის თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მეხუთე განყოფილება, რომელშიაც გიგო სწავლობდა. ორი წლის შემდეგ ვასო აბდუშელიშვილიც ამავე გიმნაზიაში მივა. უფრო მეტი, ამავე წრეში შევა და ეზიარება კიდეც ყველა იმ სიკეთეს, რომელსაც ამ სურათზე წარმოდგენილი ახალგაზრდები იმთავითვე ეზიარნენ თავიანთი საყვარელი აღმზრდელის ივ. რატიშვილის მადლიანი ხელით, მაგრამ ცხოვრებაში ვინ და როგორ განახორციელა თავისი გულის ზრახვა, ეს მომავლის საქმეა. დღეს კი ვასო, ახლა უკვე ერთადერთი აბდუშელიშვილი ქუთაისელი ბაქრაძეების ოჯახში, მარტო ეწევა სწავლის მძიმე და რთულ ჭაპანს.

„საყვარელო მამა, ამ წერილის წერის მაგიერ მე ახლა გვერდით უნდა გიდგე, ჩემი ზრუნვითა და მაცადინეობით გიადვილებდე იმ მძიმე უღლის ტარებას, რომელიც ცხოვრებამ და ჩვენმა უხეირობამ დაგადგა. მე კი რა არის წერილითაც არ გამიხალისებია შენი დაჩაგრული გული. მერწმუნე მამა, რომ ეს გულციობით და უმადურობით არ მომსვლია. მუდამდღე თქვენ ფიქრში ვარ, მუდამ თვალწინ მიდგას ჩვენი ოჯახის გაჭირვება, ვგრძნობ, რომ ჩემი დროზე დაბრუნება ბევრ რამეს შეცვლიდა და მე კი აქ ვგდივარ და გულს ვასკდები. შენი წერილი რომ მივიღე, ცოტა დააკლდა კინაღამ ყველაფერს ხელი არ შევუშვი და არ გამოვწიე..." წერდა 1898 წელს ზურაბი თავის მამას, მე კი ამ წერილმა არჩეული გზიდან შორს წამიყვანა, მაგრამ საამისოდ მე უკვე მოვიხადე ბოდიში... ეხლა კი განვაგრძოთ...

ვ. აბდუშელიშვილის ძმა ზურაბ, 1898 წ.

ამავე 1898 წელს...

ქართული საზოგადოებრიობა აპირებდა აღენიშნა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. დღეც კი იყო დანიშნული საზეიმოდ — 1898 წლის 9 აპრილი. მაშინდელმა მთავრობამ იუბილე ჩაშალა. ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემლები მაინც უგზავნიდნენ მას ადრესს, მილოცვებს. წერილებს და გამოხატავდნენ მწერლისადმი სიყვარულსა და მოწიწებას.. ოდესის (ნოვოროსიისკის) უნივერსიტეტის სტუდენტებმაც გამოუგზავნეს დიდებულ მგოსანსა და სახელოვან მამულიშვილს ადრესი. „ბედნიერი ვართ ოდესის ქართველი სტუდენტები. რომ მოგვეცა ღრს ეკირღესი შემთხვევა ჩვენც მთელს საქართველოსთან ერთად ჩვენი ესთეტიკური პატივისცემა და უღრმესი მადლობა გამოგიცხადოთ ჩვენს დიდებულ აღმზრდელს, ძლევამოსილ მგოსანს და თავდადებულ მამულიშვილს და გისურვოთ დღეგრძელობა სადიდებლად აღორძინებული მამულისა“, — ამთავრებდნენ თავის ადრესს ოდესელები და ხელისმოწერითაც დაადასტურეს ზემოთ ნათქვამი. ადრესს ხელს აწერდა ოცდაორი კაცი, მათ შორის: ალექსანდრე კლდიაშვილი, სიმონ ამირეჯიბი, გიორგი ჯავახიშვილი,

სეით იაშვილი, ქაიხოსრო ყიფიანი, ნიკო აბდუშელიშვილი, იასონ მოსეშვილი, ალექსანდრე მდივანი და სხვანი"[1].

1899 წლის 8 თებერვალს დაიწყო სრულიად რუსეთის სტუდენტთა პირველი საყოველთაო გაფიცვა: იგი მთელს ქვეყანას მოედო. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც პეტერბურგისა და მოსკოვის, ისე პერიფერიის უნივერსიტეტების სტუდენტებიც. როგორც ვიცით, ვასილ აბდუშელიშვილის ორი ძმა სწავლობდა 1899 წელს რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში; უფროსი — ზურაბ, ტარტუს უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე, ხოლო მისი მომდევნო ძმა — ნიკო, ოდესის უნივერსიტეტის პირველ კურსზე. ნიშანდობლივია, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე აქტიურ და ქმედით მონაწილეობას ღებულობს სტუდენტთა ამ რევოლუციურ მოძრაობაში. აი, საბუთებიც:

«З. Абдушелишвили позже участвовал в первых студенческих волнениях в Тарту в 1899 году. Даже и после того, как в июне 1899 года З. Абдушелишвили окончил университет, полицейский надзор за ним продолжался в Грузии и был снят только в 1903 году.

Судьба первого грузина в стенах Тартуского университета в некотором смысле символична: почти такой же будет в дальнейшем история пребывания в университете и для большинства других студентов-грузин: полицейский надзор, активное участие в местном революционном движении, широкие связи с многонациональным тартуским студенчеством — все это будет характерно и для них»[2].

ასეთსავე აქტიურ მონაწილეობას ოდესის სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში ღებულობს ვასილ აბდუშელიშვილის მეორე ძმა — ნიკოც. აი რას წერს ამის შესახებ ამ არეულობათა უშუალო მონაწილე, სეით ლუარსაბის ძე იაშვილი: „1899 წელს გაზაფხულზე ოდესაში დაიწყო სტუდენტური მოძრაობა. „არეულობა", რომელშიც, რასაკვირველია, ქართველმა სტუდენტებმა თითქმის ასი პროცენტით მიიღეს მხურვალე მონაწილეობა... ამ მოძრაობაში ქართველი სტუდენტებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, რამდენადაც მახსოვს, კ. ჯაყელი, ს. მდივანი, ვ. ჯაფარიძე, ს. კლდიაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ალ. ორბელიანი, გ. ჯავახიშვილი, ნ. აბდუშელიშვილი და სხვები... უნივერსიტეტში თითქმის სულ შეწყდა ლექციების

1 ს. ხუციშვილი, გაზ. „კომუნისტი", № 90 (17733), 1980, 17 აპრილი.

2 С. Исаков, Сквозь годы и расстояния, «Эсти раамат», Таллин, 1969, стр. 113—114.

კითხვა, თითო-ოროლა პროფესორი შეუდგებოდა ხოლმე ლექციების კითხვას მეტად მცირერიცხოვან სტუდენტთა დასწრებით, მაგრამ გაფიცულებმა მათაც მალე შეაწყვეტინეს ლექციების კითხვა.

მალე გაფიცვების მეთაურები დაიჭირეს. სულ 100-ზე მეტი სტუდენტი იყო დაპატიმრებული, მათ შორის ქართველები — კ. ჯაჟელი, გ. ჯავახიშვილი, ხ. ღლონტი და მე, ხოლო ნ. აბდუშელიშვილი ადმინისტარციის წესით გადაასახლეს, ჯარისკაცად გაგზავნეს"[1].

დიაღ, ნიშანდობლივია, რომ ერთი და იგივე ოჯახიდან გამოსული ძმები, რუსეთის, ერთმანეთისაგან უკიდურესად დაშორებული უნივერსიტეტის, დამწყები და დამამთავრებელი კურსის სტუდენტები — ერთნაირად ქმედით და აქტიურ მონაწილეობას იღებენ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. თუ მათ აკადემიურ სწავლაში ეს მეამბოხე სული თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნიდა — ამასვე მწვანე შუქი უნდა აენთო მათ ზნეობრივ წვრთნაში და, მათი მომავალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ზურაბ აბდუშელიშვილმა 1899 წლის ივლისში დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. სამშობლოსაკენ მომავალმა გზად ოდესაში შეიარა; როგორც ჩანს, ნიკოს ამბები აინტერესებდა და ალბათ, მისთვის, თუ პრაქტიკული დახმარების იმედი არა, ზნეობრივი მხარდაჭერის იმედი მაინც ჰქონდა. ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარულის მომტანი უნდა ყოფილიყო რამდენიმე წლის უნახავი ძმების შეყრა, მაგრამ, როგორც გამიგონია, არც ამ შეხვედრას ჩაუვლია უღრუბლოდ. ზურაბმა, ცხადია, კარგად იცოდა ნიკოს ოდესური ბინის მისამართი. მაგრამ მისკენ გზადმიმავალს, რომელიღაც ფოტოგრაფის ვიტრინაზე, ნიკოს უზარმაზარი ფოტოსურათი დაუნახავს, რასაც საოცრად გაუფუჭებია მისთვის გუნება. ნიკო, თურმე, შინ იყო, როცა მის ოთახში წარბშეკრული შევიდა ზურაბ და მისი დანახვით გახარებულ ძმას სალამიც კი არ აცადა, დაბალი ხმით, გულცივად, ისე, რომ არც კი შეუხედავს მისთვის, უთხრა:

— ლანჟერონის ბულვარზე ფოტოგრაფთან შენი გადიდებული პორტრეტი დავინახე, ნიკო ბატონო! შევედი, მინდოდა ჩამომეხსნევინებინა, მაგრამ იქ, კურსისტკების მთელი ამალა ირეოდა, რომლებიც შენი სურათის ამონაბეჭდებს ევაჭრებოდნენ ფოტოგრაფს, — ნიკოს სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ზურაბმა კი უფრო მეტად შეიკრა წარბი და უფრო დაუწია ხმას. — ჰოდა, ეხლა შენ თვითონ წახვალ, იქვე ჩამოახსნევინებ ფოტოგრაფს შენს სუ-

---

1 ს. იაშვილი, ჩემი წარსულიდან, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1965, გვ. 42—43.

რათს და დაახევინებ შენს თვალწინ, თორემ... — ზურაბმა სულ დაუწია ხმას და ახლა კი შეანათა მრისხანე თვალები თავის გაოცებულ ძმას. ნიკოს სიტყვა არ შეუბრუნებია, ისე გავიდა ოთახიდან და იმ დღის მერე ლანჟერონზე ფოტოგრაფიაში აღარავის უნახავს შავჩონჩიანი ვაჟკაცის შესანიშნავი სურათი. გულდამცხრალმა ძმებმა კი არკადიაში ორ დღეს იქეიფეს ოდესელ ქართველ სტუდენტებთან ერთად და ამ ინციდენტზე სიტყვა აღარავის დაუძრავს. მხოლოდ დამშვიდობების დროს, სხვათა შორის, ჰკითხა თურმე, ზურაბმა:

— რაო, ფოტოგრაფმა რა ბრძანა, ადვილად შეელია იმ სარფიანი საქმის მოშლას, თუ...

— არავითარი თუ!.. მგონი, სიამოვნებითაც კი ჩამოიღო სურათი და სხვათა შორის, იცი რა მითხრა? „მე უთქვენოდაც ვაპირებდიო მის ჩამოხსნას, ვინაიდან მეგონა, ჩინებული სურათი მქონდა სარეკლამოდ გამოფენილი; დღეს კი ისეთი ვაჟკაცი შემოვიდა აქ, რომ მაშინვე დავრწმუნდი, თუ რა სასტიკად ვცდებოდი ამაში... აი, მისი სურათი რომ ჩამაგდებინა ხელში, ასე ადვილად არ შეველეოდიო მას“.

ზურაბს გაეცინა, თურმე, და ეს უთხრა ნიკოს:

— ნუ გამიჯავრდები, ჩემო ბურნა[1], მაგრამ, მე მგონი, ჩემი სურათის გამოფენა ისე ადვილი არ უნდა იყოს, როგორც შენი სურათისა, ვინაიდან ამას შესახედაობის გარდა, შეხედულებაც უშლის ხელს; საკუთარი გარეგნობით თავმოწონება კი, ჩემის აზრით, ულამაზეს ქალსაც კი არ ეკადრება, არამცთუ საკუთარი ღირსების მქონე ვაჟკაცს! ასეა, ჩემო ნიკო, ეს და ნურც ნურასოდეს დაივიწყებ ამას. — და მხიარული ძმები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ნიკოს, თურმე, ასე ადვილად ვერავინ უბედავდა ხმის აწევ-დაწევას და ჭკუის დარიგებას, მაგრამ ძმებს შორის დიდი იყო ხათრი და პატივისცემა და ეს მაგალითიც ამის დამადასტურებელი უნდა იყოს, მგონი.

ზურაბი ოდესიდან გემით ბათუმისაკენ გაემგზავრა. დიდ დროს არ გაუელია, რომ „გასალდათებული“ ნიკოც ავლაბრის ყაზარმებისაკენ გაუყენეს გზას. ასე, რომ ზაფხულში მშობლებმა ორივე შვილის ნახვით გაიხარეს. ცხადია, ნიკოს გასალდათება ჩრდილს აყენებდა სიხარულს, მაგრამ ამ ჩრდილმაც მალე გადაიარა; ნიკო თან თავის სამხედრო ვალდებულებას იხდიდა და თან „ივერიის“ რედაქციაში მსახურობდა შტატგარეშე კორესპონდენტად. აქ დაუახლოვდა, და შემდეგ დაუმეგობრდა კიდეც, ცნობილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს; შიო მღვიმელს, შიო დავითაშვილს, ბა-

---

[1] ნიკოს ახალგაზრდობაში „ბურნას“ ეძახდნენ.

ჩანა და თედო რაზიკაშვილებს, პართენ გოთუას, შალვა დადიანსა და სხვ. ალბათ, აქანაც განაპირობა ის, რომ ნიკო ჩინებული მოქართულე დადგა და შემდგომში დიდი წარმატებითაც მუშაობდა მთარგმნელობით დარგში.

ამავე წელს ზურაბმა დანიშნა თავისი სტუდენტობის მეგობრის, გიორგი ნათიშვილის და, მარიამი, ხოლო აგვისტოს ბოლოს, მარიამობა დღეს, გიორგი აბდუშელიშვილმა დიდებული ქორწილი გაუმართა თავის უფროს ვაჟიშვილს. აქ ქორწილს ესწრებოდა შემდგომში ცნობილი ქართველი ანატომი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი და ქვემოთ მოთხრობილი რამდენიმე ეპიზოდი მე მისგანა მაქვს გაგონილი. ჯერ იყო და სანამ მაყრები მოვიდოდნენ, ნათიშვილები, ხუთი თუ ექვსი კაცი, ზუბიკის ოთახში განიერ ტახტზე ისხდნენ, როცა მხიარული ზურაბი შემოვიდა და თავის მომავალ მოყვრებს გონს მოსვლა არც კი აცადა, ტახტს ქვევიდან შეუყო ხელი, მაღლა ასწია და,

— მთელი ნათიანთ გვარი ასე ხელისგულზე უნდა გატაროთო, — დაიძახა. შეშინებულ ქალებს ჯერ კიდევ წიოკ-წიოკი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ მახარობელმა შემოაგელვა ეზოში ცხენი და აქაც ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. მახარობელი თბილისში განთქმული მოკრივე მიშა თავზარაშვილი იყო, დამხვდური კი — გიორგი აბდუშელიშვილის სიძე, არაადამიანური ფიზიკური ძალის მქონე, დავით წერეთელი-ჯამასბერიშვილი. როდესაც დამხვდურმა თავზარაშვილს ვეებერთელა ვერცხლის თასით ღვინო მიაწოდა, მახარობელმა სცადა მისი ხელიდან გამოგლეჯა (ასეთი იყო ტრადიცია). მაგრამ, რომ შეატყო ვერცხლის თასი ფოლადის თითებს ჰქონდა ჩაბღუჯული, თასი კაციანად აიღო ხელში და ასე შესვა ღვინო. როდესაც ხელცარიელი მახარობელი დაუბრუნდა მაყრიონს, გულამღვრეულმა გიორგი ამილახვარმა, რომელიც წინ მოუძღოდა პატარძლის მაყრებს, ეს უთხრა მიშა თავზარაშვილს:

— იმ დამხვდურს თუ თითები ფოლადისა ჰქონდა, შენ რა, ქარქაშში ბამბის ფთილა გქონდა ჩატენილიო? — და მაინც ნეფეპატარძლის მაყრებს შორის იმ დღეს შავ კატას არ გაუვლია, რადგან გიორგი აბდუშელიშვილი ვეფხვივით დასტრიალებდა სუფრას და სადაც ის იყო, ვერავინ გაბედავდა სტუმარ-მასპინძლობისა და საერთოდ ზრდილობის დაუწერელი კანონების დარღვევას. ქორწილი დიდებული იყო, თურმე: სიმღერებს ხან გორელი კავსაძეები ამბობდნენ, ხან — იმერეთში განთქმული ხატელიშვილები; სინო მეზურნის დასტა ჭერს ხდიდა თურმე დარბაზს, ცეკვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართლელი ვაჟკაცები და იმერელი კეკლუცები. იყო საერთო მწიარულება და დროსტარება. ყველა კარგ გუნებაზე იყო, ყველა

ლხინობდა, ყველა მღეროდა, მხიარულობდა, გარღა ვარინკა წერეთ-ლისა[1], რომელიც მგლოვიარედ იყო და არ ღებულობდა მონაწილეობას საერთო დროსტარებაში. „მე ბევრი რამ დამავიწყდა იმ ბედნიერი ქორწილისა თუ მარიამობისა, — იგონებდა შემდეგ ალ. ნათიშვილი, — და განვლილმა წლებმა დავიწყების ნავლი მიაყარა წარსულს, მაგრამ ერთი პაწაწინა დეტალი კი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ლხინმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა გიორგი აბდუშელიშვილის უმცროსმა ძმამ ბატონმა ვანომ მოკრძალებით სთხოვა ქალბატონ ვარინკას, გვიმღერეო რამე. ვარინკამ კატეგორიული უარი განაცხადა. ყველას უნდოდა მოესმინა მისი ღვთაებრივი სიმღერა, ამიტომ გაისმა სუფრის ყოველი მხრიდან, „ქალბატონო ვარინკა, გთხოვთ!.. ვარინკა, გვეციო პატივი!..“ მაგრამ კარინკამ უფრო დაბლა დახარა თავი და ხმა არ ამოიღო. როცა აღარაფერმა გასჭრა, თვითონ აკაკის ათხოვნინეს — ისევ უარი! ბოლოს გიორგის მიმართეს — შენ ვერ გეტყვისო უარს! გიორგიმ ჯერ შორს დაიჭირა, მაგრამ როცა აღარ მოეშვნენ, წამოდგა, ჩამოხსნა კედლიდან სადაფში გაწყობილი ჩანგური, მივიდა ვარინკასთან, ჩაუდო კალთაში და უთხრა:

— სულ დალხინებული, შვილო, ამ ქვეყნად არავინ არის, მაგრამ ამ წუთისოფელს არც სულ მგლოვიარე შეჰფერისო, ალბათ. შენი მწუხარება, იმ, შენთვის ავადსახსოვარ დღეს, ჩვენ ყველამ გულითა და სულით გავიზიარეთ, ახლა კი ჩვენ იმავე გულითა და სულით გთხოვთ, შენც გაიზიარო ჩვენი ლხინი — ნუ დაგვწყვეტ გულს, ნუ გვეტყვი უარს და... ნუ გამამგუნებ ვაჟკაცს!

ვარინკას ცრემლი მოადგა თვალზე, მაგრამ ჩანგური მაინც აიღო და დაბალი, ყრუ, ძლივს გასაგონი ხმით, თვალცრემლიანმა იმღერა „სულიკო“... თვითონაც იტირა, სხვაც ატირა... სიმღერა რომ დაამთავრა, ჩანგური გვერდზე გადადო და თამადას სთხოვა:

— ბატონო გიორგი, მხიარულების ნაცვლად, სევდა შემოვიტანეო თქვენს ლხინში... წავალო ახლა მე!

გიორგის სახეზე უსაზღვრო წყენა დაეტყო.

— შენს წასვლას ჩემი წასვლა სჯობიაო, — თქვა და წამოდგა, მაგრამ ვარინკამ ისევ აიღო ჩანგური ხელში და... ორივენი დარჩნენ და ლხინმაც დილამდე გასტანა. მხოლოდ ნაწყენმა აკაკიმ მიატოვა სხვებზე ადრე სუფრა, მაგრამ ამას ლხინი არ დაურღვევია... სხვებისა არ ვიცი და ჩემს ხსოვნაში კი სამუდამოდ აღიბეჭდა და ალბათ, სამარემდე გამყვება ვარინკა წერეთლის ღვთაებრივი სიმღერა და გიორგი აბდუშელიშვილის სწორუპოვარი თამადობა იმ დღეს“.

---

1 ვარინკა წერეთელი — აკაკის „სულიკოს“ მელოდიის ავტორი.

ვ. აბდუშელიშვილი უახლოეს ნათესავებთან ერთად; სხედან:
ვ. აბდუშელიშვილის დეიდა ტასიკო, რძალი მარიამ, ძმა ზურაბ; დგანან
ძმები. ნიკოლოზ და გრიგოლ, 1900 წ.

დაიწყო ახალი საუკუნე. 1900 წლის გაზაფხულზე პატარა ვასო პირველად ჩაიყვანეს თბილისში. შემოდგომიდან მასაც თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში უნდა დაეწყო სწავლა. ჩემს წინ დეკა სწორედ 1900 წელს გადაღებული ერთი სურათი. ამ სურათს თავისი ისტორია აქვს: ეს იყო ადრიან გაზაფხულზე. სტუდენტთა არეულობაში აქტიური მონაწილეობისათვის, როგორც ვთქვით, ნიკო უნივერსიტეტიდან გარიცხეს, ოდესიდან გაასახლეს და როგორც მაშინ ამბობდნენ, სასჯელის ზომად „გასალდათება" მიუსადაგეს; პატივაყრილი ნასტუდენტარი დრაგუნთა პოლკში ჩარიცხეს, რომელიც მაშინ ავლაბრის ყაზარმებში იდგა. გიგო, სათავადაზნაურო გიმნაზიის დამამთავრებელი ჯგუფის მოწაფე იყო და როგორც მოზიდული მშვილდი, მუდამ მზად იყო გიმნაზიელების ყოველგვარ არეულობაში მიეღო მონაწილეობა, ხოლო პატარა ვასო დეიდა ტასიკომ პირველად ჩამოიყვანა თბილისში სააღდგომოდ. ზურაბს ახალი მოყვანილი ყავდა ცოლი — მარო ნათიშვილი, ისარგებლა თავისი ახლობლების თბილისში თავმოყრით და ყველანი სადილად სასტუმრო „ორიანტის" რესტორანში მიიპატიჟა. გადაწყდა, ერთმანეთს 5 საათისათვის შეხვედროდნენ ალექსანდრეს (ამჟამად 26 კომისრის სახელობის) პარკ-

ში. სხვათა შორის, ჯარისკაცებს ამ პარკში შესვლას უფროსი ჩინის ოფიცრები სასტიკად უკრძალავდნენ; ნიკომ ეს კარგად იცოდა, მაგრამ ითაკილა ზურაბისათვის ამისი თქმა, აიყოლია ქუთაისიდან ახლადჩამოსული თავისი უმცროსი ძმა — ვასო და დრაგუნთა პოლკის ჯარისკაცის ფორმით გამოცხადდა შადრევანთან, ჩამოჯდა მერხზე და დაუწყო ლოდინი თავისიანებს. ხალხი პარკში ბევრი იყო და დასაჯდომი ადგილის შოვნა ჭირდა. უცებ, ნიკომ და ვასომ დაინახეს, რომ მათკენ აქსილბანდებსა და ჩინმენდლებში ჩაუდილი ქალაქის სამხედრო კომენდანტი მოემართება, რომელიც დეზების ელარუნით მიუახლოვდა მათ. არც კი აცადა ჯარისკაცს წამოდგომა. შორიდანვე უდიერო აუქნია ხელი და ზიზღნარევი ხმით მიმართა:

— Эй, вы солдатище! неужели в вашем полку не доводят до сведения низших чинов, что в благородных собраниях солдатам и собакам вход запрещен... Попрошу вас немедленно покинуть парк!..

კომენდანტის უდიერმა ტონმა მოსეირნეთა ყურადღება მიიპყრო.

ვასოს გაოცებისა და შიშისაგან გული შეეკუმშა. შეურაცხყოფისაგან გაცოფებული ნიკო კი მთელი თავისი ორმეტრიანი ახოვანებით წამოიმართა და ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ეს სცენა, თუ ბედად იქვე ზურაბი არ გამოჩენილიყო. კომენდანტმა, როგორც ჩანს, იცნო ზურაბი და პირგაბადრულმა სამხედრო სალამი მისცა, მაგრამ ყველას გასაოცრად ზურაბმა ხელი გაუწოდა მას. სხვებზე არანაკლებ გაკვირვებულმა კომენდანტმა საკმაოდ ფამილარულად ჩამოართვა ხელი ზურაბს და... უცებ თვალები გაუფართოვდა, სახე მოექცა და სალამის ნაცვლად მოგუდული გმინვა აღმოხდა... მის ოითებს რკინის მარწუხებში ლაწალუწი გაჰქონდა... ზურაბმა კი დაწალი, ძლივსგასაგონი ხმით, მაგრამ თავზარდამცემი სიმშვიდით უთხრა:

— Вы в сию же минуту, принесете этому драгунскому солдату извинение, за ваше неслыханное хамство, в противном случае, завтра вам придется стрелять левой, а мне правой рукой, а это будет не дуэлью, а элементарным убийством... Ну, живо!..

და ზურაბმა ოდნავ მოადუნა მარწუხები, რითაც ისარგებლა კომენდანტმა, ხელი გამოგლიჯა ზურაბს — Вы должны понять и простить меня-ო დააგდო უმისამართოდ და თავლაფდასხმულმა, ხელების ფშვნეტით მიატოვა იქაურობა. ინციდენტი დასრულდა. ზურაბმა და ნიკომ ბოდიში მოიხადეს ქალებთან, მომხდარი უსიამოვნების გამო; ვასოს კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვა ოფიცრებისადმი, ამ „პროფესიონალი ვაჟკაცებისადმი“ (როგორც ის

მათ უწოდებდა) უნდობლობისა და უამურობის ზიზღნარევი გრძნობა.

ალექსანდრეს ბაღიდან ძმები ნორდშტეინის ფოტოგრაფიაში წავიდნენ, გადაიღეს ეს სამახსოვრო სურათი და იქიდან ეტლით რესტორნისაკენ გამოემართნენ. „ორიანტში“ რომ შევიდნენ, ინციდენტი უკვე არცერთ მათგანს აღარ ახსოვდა, მაგრამ მათი შესვლისთანავე ორკესტრმა ქართული ჰანგი დაგუგუნა, დარბაზი ერთბაშად ახმაურდა, სასმისებშემართული შავჩოხიანი ვაჟკაცები „ვაშას“ შეძახილით შეეგებნენ შემოსულებს. ხოლო ასიკო ცაგარელმა, რომელიც წინ მოუძღოდა დამხვდურებს, ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— ეა, ჩვენი ამოგდებაა, მა რა დარდუბალაა, რო ერეკლის ყაბახში შესვლას ქართველ კაცს ვერაც გადამთიელი უღობავს გზას!.. მართლა ეგრე ხო არ არის, ხალხო, საქმე. ღმერთია და სამართალი! — დარბაზში ხმაურმა იმატა. ორკესტრს უკვე აღარავინ უგდებდა ყურს. ალექსანდრეს ბაღში მომხდარი ინციდენტი, როგორც ჩანს, ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში და არსებული უსამართლობით ნატკივარ გულს მალამოსავით დაედო.

ვასო აბაშიძემ ისარგებლა არეულობით. შეუმჩნევლად მიუახლოვდა ზურაბს, ჯერ მკერდზე აკოცა, მერე მარჯვენაზე და თვალებგაბრწყინებულმა უთხრა:

— შენ გაიხარე ზუბიკ, ეგრე ლაზათიანად რომ მოგვფხან ხოლმე გულს. ღმერთმა შენი მკლავი და ჯანი ნუ მოგვიშალოს, — მერე მიუბრუნდა იქვე ოფიცრების საკმაოდ დიდ სუფრას და ომახიანად გადასძახა:

— აფიცარებო!.. თქვე სალავათ-ძაღლ-საფიცარებო! Учитесь стрелять левой рукой!.. თქვენი დედა ვატირე, თქვენი!

ზურაბმა თურმე ხელი გაჰკრა:

— ვასო. ხომ არ გაგიჟდი. ერთიც ვნახოთ, за царя батюшку— დაიძახონ, მერე რას შვრები?

— იი, ნეტაი შენა!.. დაიძახონ თორე, ფეხები არ მამჭამონ, რა უნდა მიყონ — შენ აქ არა ხარ?!..

ქართველების აწყვეტილ სიცილს ასიკო ცაგარელის ფრთაგაშლილი სადღეგრძელო მოჰყვა და ოჯახური პურისჭამა — ხალხმრავალ დროსტარებად გადაიქცა.

შინაური მყუდროება, ცხადია. დაირღვა. გაშლილ მაგიდას ორმოცამდე კაცი უჯდა: განუწყვეტლივ ისმოდა ასიკო ცაგარელის მოსწრებული სიტყვა. ვასო აბაშიძის ოხუნჯობა და თანამეინახეთა ვაჟკაცური დვრინი.

ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, ზურაბის დეიდა ტასიკო და ცოლი მარო იყვნენ, რომლებსაც განსაკუთრებული პატივისცე-

ასიკო ცაგარელი და ეკო ბაშაძე,
1900 წ.

ს ნიშნად განუწყვეტლივ მოსდიოდათ ყვავილებით, ხილეულით, ტკბილეულითა და შამპანურებით სავსე თაბახები და აღფრთოვანეული ქათინაურებით მოჩუქურთმებული სადღეგრძელოები; ყოველივე ეს, ცხადია, ოდნავ გადაჭარბებულიც იყო და ოდნავ წრეგადასულიც. მაგრამ სად, როდის და რომელ წრეში ჩატეულა გრძნობამორეული ქართველი, რომ იმ დღეს ჩატეულიყო და არც ჩატეულა... ჩვენამდე ზღაპრად მოსული ის საოცარი საღამო, მოგონებების შ გ ბმულ გალას ახდენილი სიზმარივით აეგო და მგონი უფრო შეგრძნობადი გახადა წარსული. ალბათ, ასეთი საღამოებისათვის ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრება ხშირად არ იმეტებს ხოლმე მათ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ზურაბმა ნორდშტეინთან შეიარა სურათის წამოსაღებად, ფოტოგრაფმა მას სხვა სურათიც მიართვა, რომელზედაც განუყრელი მეგობრები — ასიკო ცაგარელი და ეა-

ს აბაშიძე იყვნენ გადაღებულნი და უკანა მხარეს კი ეწერა: „ივენს დაუვიწყარს ძმა-მეგობარს ზურაბს. ასიკო ცაგარელისაგან, 1900 წელი, 9 აპრილი".

ეს სურათი დღემდე ვასილ აბდუშელიშვილისეულ ალბომშია დაცული.

1900 წლის 1 ენკენისთვეს ვასო აბდუშელიშვილი უკვე თბილისის ქართული გიმნაზიის მეხუთე განყოფილების მოწაფეა. აქვე, ამ გიმნაზიაში სწავლობს მისი უფროსი ძმა გიგო. ისინი მთაწმინდის უბანში, ბესიკის ქუჩის ბოლოში ცხოვრობენ, ერთ პატარა ოთახში. მათი ჩვეულებრივი თანამგზავრია ხელმოკლეობა და ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული და სითბო. ქუთაისის ბუდე ძმებისათვის, როგორც ჩანს, საბოლოოდ მოიშალა. ახალ გიმნაზიაში ვასო იმთავითვე დაუკავშირდა ახალ ამხანაგებს, რომლებთანაც მეგობრული ურთიერთობა საფლავის კარამდე მიიტანა. ესენი იყვნენ: კოტე შარაშიძე, კაკო მიქელაძე, დავით ჩიქოვანი, დიმიტრი კორძაია, ლუკა ცაგარელი, ლევან ფავლენიშვილი და სხვები. მაგრამ აქაც. ისევე როგორც ქუთაისში, ვასოს საუკეთესო მეგობარი ისევ და ისევ მისი ძმა, გიგო იყო. სამწუხაროდ, გიგოს მალე უნდა დაემთავრებინა გიმნაზია, მაგრამ სანამ ის გიმნაზიის კედლებიდან გავიდოდა, ვასომ მის მეგობრებთანაც უახლოესი ურთიერთობა დამყარა. გიგოს მეგობრების წრეში კი შედიოდნენ: რევაზ გაბაშვილი, შალვა მესხიშვილი, იროდიონ სონღულაშვილი, დავით პარკაძე, დიმიტრი ჯავახიშვილი და სხვები. თუ როგორი იყო იმდროინდელი ახალგაზრდების ყოფა, მისწრაფება და ფიქრები, ამაზე ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის შემდგომში ცნობილი მკურნალი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დიმიტრი ჯავახიშვილი. მაგალითისათვის ჯერ ეს გავიხსენოთ:

„სწორედ იმ წელს, სკოლა რომ უნდა დაგვემთავრებინა, ისტორიის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა რამდენიმე მოსწავლე თავის ბინაზე მიგვიწვია. იგი მთაწმინდის უბანში, ახლანდელ ბესიკის ქუჩაზე ცხოვრობდა. მასწავლებელთან ოთხნი მივედით: გიგო აბდუშელიშვილი, რეზო გაბაშვილი (ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი), იროდიონ სონღულაშვილი და მე.

— ვაუკაცებო, — გვითხრა ივანე რატიშვილმა, — საღამოს ჩემთან მოვა ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. მან სინას მთაზე იმოგზაურა სამეცნიერო მიზნით და ამ მოგზაურობის ამბებს მოგვიყვება. თუ გაინტერესებთ, დაესწარით.

ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ვ. აბდუშელიშვილი თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე, 1900 წ., 21 მაისი (15 წლისა).

იმ საღამოს მიღებული შთაბეჭდილება კარგა ხანს გვეყო სულის საზრდოდ.

ძალიან ბევრი რამ ახალი გავიგეთ"[1].

გიგო აბდუშელიშვილი მამა იყო ჩემი და ის ამ შეხვედრის ამბავს მრავალი ათეული წლის შემდეგ ხშირად იგონებდა ხოლმე და რა გასაკვირია, რომ ახალმიღებული შთაბეჭდილებები მას თავისი უმცროსი ძმისათვის, იმავე დღეს გაეზიარებინა. ეს ასეც იყო და როგორც გიგოს, ისე ვასოს ბოლომდე გაჰყვათ დიდი ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

დადგა ახალი საუკუნის პირველი წელი. რუსეთის იმპერიაში დიდი მოუსავლიანობა და შიმშილია. საპირველმაისოდ მთავრობის

---

[1] დ ი მ ი ტ რ ი ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი ფურცლები, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1969, გვ. 51.

საპროტესტო დემონსტრაციები იმართება პეტერბურგსა, ვარშავასა და თბილისში. გიგო დამამთავრებელ კლასში გადავიდა, ვასო — მეექვსე განყოფილებაში. ერთიც და მეორეც „რეპეტიტორობით“ ნაშოვნი გროშებით იუმჯობესებდნენ მატერიალურ მდგომარეობას. განსაკუთრებით 16 წლის ვასომ ისახელა თავი. მისი ღრმა ცოდნა მათემატიკურ საგნებში და კეთილსინდისიერება მოწაფეების მომზადებაში, ყველა ოჯახში სასურველ „რეპეტიტორად“ ხდიდნენ მას და ისიც არ იზოგავდა თავს. ალბათ, უკვე აქედან უნდა ვივარაუდოთ ჩვენც მისი შრომითი საქმიანობის დასაწყისი და მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც, უსათუოდ, აქედანვე იწყება. ყოველშემთხვევაში, იგი 16 წლიდანვე შეება ოჯახის მძიმე უღელში და სიკვდილამდე არც მოუხსნია ის. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ამჟამად, ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება მოვიხედოთ უკან XIX საუკუნეში დარჩენილი წლებისაკენ და ზოგი რამ ჩვენი ნაფიქრალი გაუზიაროთ მკითხველს: მე ასე მგონია. რომ ჩვენ ზოგჯერ, ვიცით ხოლმე გარდასული მოვლენების, თაობებისა და ადამიანების გაიდიალება, მათთვის დიდების გუნდრუკის კმევა და მათი მშვენიერების შარავანდედით შემოსვა. ამას ზოგჯერ შეგნებულად ვაკეთებთ— დიდაქტიკის მიზნით — უფრო ხშირად კი — უნებლიედ: უბრალოდ ჩვენ ასე გვჯერა, ასე გვწამს, ასე წარმოგვიდგენია წარსული. ცხადია, ყოველი გადაჭარბება გადაჭარბებაა, მაგრამ ჩემის აზრით, საფუძველი ამ გადაჭარბებისა, მაინც არსებობს, და აი რატომ: ოდესღაც, წინათ, თვით XIX საუკუნის დასასრულამდე, ქვეყნად ძალზე ბევრი კეთილი ადამიანი ცხოვრობდა. რადგან თვით უკეთურნიც კი ცდილობდნენ თავი კეთილებად მ-ეჩვენებინათ, ვინაიდან ასე იყო საჭირო, ასე იყო მიღებული, შეუდარებლად მეტი იყო კეთილი ადამიანების ცხოვრებისეული მაზანდა. აქედან რაც არ უნდა საოცრად გვეჩვენოს ეს, გამომდინარეობდნენ წარსულის უდიდესი მანკიერებანი: სიყალბე, სიმრუდე, პირმოთნეობა, ფარისევლობა, თითლიბაზობა და სხვანი, რასაც XIX საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ცხოვრებაში შეჭრილმა კრიტიკულმა რეალიზმმა ფარდა ახადა. ამხილა და გააშიშვლა: შედეგი ამ მხილებისა სრულიად მოულოდნელი გამოდგა: კეთილი ადამიანები თანდათან ჩრდილში მიდგნენ. თვალს მიეფარნენ და ბოლოს, თითქოს გადაშენდნენ კიდეც. სიკეთე ადამიანის თანდაყოლილი კი არა — შეძენილი თვისებაა და ამიტომ მას მოვლა უნდა, გახარება, გამრავლება და ამას კი აკეთებენ მხოლოდ მაშინ, როცა მასზე მოთხოვნილება არსებობს, უფრო სწორედ, მომხმარებელი არსებობს. კრიტიკული რეალიზმით თვალახელილი XX საუკუნის ადამიანებისათვის კი სიკეთე და გულითადობა გარდასულ, დრომოჭმულ და თითქმის გამქ-

რალ თვისებებად იქცნენ, ხოლო კეთილი ადამიანები, რაღაც მამონტებად და არქეოპტერიქსებად. ყოველივე, რასაც ასწავლიდა ახალი საუკუნე — ნიღბის ჩამოგლეჯა, მხილება, საფარველის გადახდა, გაშიშვლება და ყოველი საქციელის სარჩულისა და საფანელის ძიება — ბადებდა და ზრდიდა ნებისმიერ თვისებებს, ნებისმიერ გრძნობებს, გარდა ერთისა — სიკეთისა და გულითადობისა.

მხოლოდ მიყრუებულ, მივიწყებულ და დროჟამს ჩამორჩენილ პროვინციებში შეიძლებოდა სიკეთისა და გულითადობის გადმონაშთების პოვნა. წინაპრებისაგან ნაანდერძევ ამ თვისებებს მხოლოდ დროჟამს ჩამორჩენილი ადამიანები ინარჩუნებდნენ და ისიც მხოლოდ მიყრუებულ და მივიწყებულ ადგილებში. სარჩულამოტრიალებული ჰუმანიზმი თავს იჩენდა ყველასა და ყველაფერში. უმრავლესობა საუკუნის ძახილს გაჰყვა, ცხოვრების დეევიზად სიმართლე აქცია, ხოლო გზად სიმართლისა — ეშვი და უნდობლობა. მაგრამ რელიქტების სახით მაინც შემორჩნენ ერთეულები, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული წარსულ საუკუნეში, ამათ ვერ დაიგლეჯეს ფესვები, ვერ შეაქციეს ზურგი წარსულს, ვერ გარდაიქმნენ — თუმცა ცხადად გრძნობდნენ ახლისა და მოწინავის მომძლავრებას — ამიტომ, გულის მიყრუებულ და საიმედოდ დაგმანულ კუნჭულებში, ღრმად შეინახეს სიკეთე და გულითადობა, მთლიანად კი: სახით, საქმით, არსით — აიფარეს პირქუშობისა და პირუთვნელობის საფარველი და დაუნდობელი ხელით შეუდგნენ სიმართლისა და სისწორის ძიებას; ეს ადამიანები ორი საუკუნის მიჯნაზე, ორი დინების ხერთვისზე, გარიყული ადამიანები იყვნენ და სხვაზე მეტად მათ გაუძნელდათ ადგილის პოვნა ამ ცხოვრების ორომტრიალში. აი, სწორედ ეს გარიყული ადამიანები არიან ჩემის აზრით „მშვენიერების შარავანდედით შემოსვის“ ღირსნი, რამეთუ მხოლოდ მათ შემოუნახეს შთამომავლობას სიკეთის დვრიტა. მე ბევრი მიფიქრია ამაზე და მგონი, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ვასილ აბდუშელიშვილი ადამიანების სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნოდა, კატეგორიას გარეგნულად პირქუში, ხოლო შინაგანად გულითადი ადამიანებისა და მგონი, მისი ხასიათის ორი ძირითადი ძარღვის სათავესაც მივაგენი... ვნახოთ!

დავუბრუნდეთ თბილისის მთაწმინდის უბნის პატარა ბუდეს. ისევ ძმების ყოფითს თავისებურებაზე ერთხელ კიდევ მინდა შეევაწუხო დიმიტრი ჯავახიშვილი: იმავე წიგნში ბატონი დიმიტრი იგონებს: „ვიდრე სასწავლებელს დავამთავრებდით და ხელში ატესტატებს დავიჭერდით, სამმა ამხანაგმა — რეზო გაბაშვილმა, გიგო აბდუშელიშვილმა და მე გადავწყვიტეთ, წუთისოფლისაგან დაწესებუ-

ლი კეთილი ბეგარა ადრეევე მოგვეხადა, ფეხით შემოგვევლო საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი მაინც, გავცნობოდით ხალხის ცხოვრებას და ადგილებზევე დაგვეთვალიერებინა ჩვენი ისტორიული ძეგლები.

ეს იყო 1901 წელს. მაშინ ჩვენ 18—19 წლისანი ვიყავით.

სამოგზაუროდ შევკრიბეთ ხუთ-ხუთი მანეთი. ჩანთებში ჩავალაგეთ მოგზაურობისათვის აუცილებელი წვრილმანი და დილაადრიან გავუდექით გზას...

...იყალთოში ყოფნისას გენერალ მაყაშვილის ოჯახში მიგვიწვიეს სადილად. სუფრას შემოუსხდნენ თვითონ მასპინძელი, მისი მეუღლე და იმ ოჯახის რამდენიმე ახალგაზრდა.

უხვ პურმარილს კიდევ უფრო აგემრიელებდა შესანიშნავი ღვინო. იყალთოურიაო, გვითხრეს.

მე და რეზო გაბაშვილი ცოტას ვსვამდით. გიგო აბდუშელიშვილი ჩვენზე მოსული ვაჟკაცი იყო და ჩვენზე მეტადაც ვაჟკაცობდა. ღვინოს ეტანებოდა, ყველა სადღეგრძელოს ცლიდა. რაკი მასპინძელმა ეს შეამჩნია, ალავერდს მასთან გადადიოდა.

კნეინამ გენერალს გადაულაპარაკა:

— ღვინოს ნუ აძალებ, ჯერ ბავშვია, არ აწყინოსო.

ეს გაიგონა ჩემ გვერდში მჯდომმა გიგომ და დიასახლისის სიტყვა არ ეპაშნიკა. მე მუჯლუგუნიც კი გამკრა, დახე, რას ამბობსო.

გიგოს კახური ღვინო განსაკუთრებით უყვარდა და სუფრიდან ბოლოს ადგა. არც ერთი სადღეგრძელო არ გამოუტოვებია...

ერთ დღეს გავშალეთ გაზეთი „ივერია" და ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ. შიგ ჩვენი გვარები და ჩვენი ამბავი ეწერა. წვრილს ხელს აწერდა ბერმონაზონი ტარასი. იგი სწორედ იმას გვიწონებდა, რომ ჩვენ ყველა ისტორიული ძეგლის ნახვით ვიყავით დაინტერესებული და ცხენებით კი არ დავდიოდით, არამედ — ქვეითად"[1].

ნეტა რას იტყოდა ბერმონაზონი ტარასი საქართველოს ისტორიული ძეგლებით „დაინტერესებული" იმ მოგზაურების შესახებ. რომლებიც მსუბუქი ავტომანქანების ფანჯრებიდან ათვალიერებენ მიუვალ ძეგლებს და ქვეითად მხოლოდ სასტუმროს კიბეებზე თუ ადიან. ჩვენ კი ისღა დაგვრჩა სათქმელი, რომ ვასო აბდუშელიშვილმა ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ ვერ მიიღო. რომ ბევრი მოწაფე ყავდა იმ წელს, ხოლო მისგან ხელის გამართვას კი უკვე მიეჩვია ოჯახი. აი, უკვე მძიმდება მოვალეობის ტვირთი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია... უფრო მეტი მერე იქნება.

---

[1] დ. ჯავახიშვილი, მოგონებათა ფურცლები, 1969, გვ. 53, 56, 57, 58.

1900—1901 წლებზე რომ საუბარი დავამთავროთ. საჭიროა კიდევ ერთი მოვლენა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მთელ შორაპნის მაზრაში, ე. ი. საჩხერის, ჭიათურისა და ზესტაფონის სამივე რაიონში ერთად, სულ „ათიოდე სტუდენტიც არ იქნებოდა“[1], ახლადკურსდამთავრებულები კი, ალბათ, კიდევ უფრო ნაკლები, ქართველი ინტელიგენტებისათვის საქართველოში სამსახურის შოვნა მაინც ძალიან ჭირდა, ვინაიდან, როგორც სეით იაშვილი აღნიშნავს, „იმ დროს იშვიათად ნიშნავდნენ არარუსს თავისსავე ქვეყანაში, მას აუცილებლად რომელიმე მიყრუებულ ადგილას უკრავდნენ თავს: შუშაში, ნუხაში, ყარსში, აშხაბადში, ტაშკენტში და სხვაგან. ასე იყო მოფენილი მეფის რუსეთი ქართველი უქიმებითა და იურისტებით, მასწავლებლებით, რომლებიც კულტურულ მომსახურებას უწევდნენ თავიანთთვის უცხო ადგილების მოსახლეობას, მათ სამშობლოში კი კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ რუსიფიკატორი მოღვაწეები“[2]. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ზურაბს ძალიან გაუჭირდა თბილისში სახელმწიფო სამსახურის შოვნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის თბილისის მაინც ხშირი სტუმარი იყო ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს, სწორედ 1901 წლის გაზაფხულზე, მას ერთი საფათერაკო ამბავი შეემთხვა, რომელმაც შემდგომ ვასილ აბდუშელიშვილის აღზრდაზედაც მოახდინა ზეგავლენა; აი ისიც: იმ სეზონში იტალიური საოპერო დასი მართავდა წარმოდგენებს და პროფესიულ მუსიკას მოწყურებული ქართველი მელომანები დიდი გატაცებით ესწრებოდნენ სპექტაკლებს. ზურაბს და მის ახლადშერთულ მეუღლესაც წინასწარ ჰქონდათ შეძენილი ყველა წარმოდგენის ბილეთები და იმ ღირსსახსოვარ საღამოსაც, ჩვეულებრივ, მიუყვებოდნენ გოლოვინის პროსპექტს საოპერო თეატრისაკენ. უცებ, ხალხში ერთი ჩოჩქოლი და აურზაური შეიქნა, „არიქა უშველეთ... მოეცალეთ, დახვდით, помогите... спасите!..“ ისმოდა ქალების განწირული კივილი; ყველა ჭავჭავაძის ალმართისაკენ იყურებოდა, საიდანაც დამფრთხალი ცხენები საოცარი სისწრაფით მოაქროლებდნენ ეტლს, რომელშიაც ფერწასული ქალი იყო ბალიშებზე გადასვენებული. ქუჩა ერთბაშად დაიცალა. შეშინებული გამვლელები მიმოიფანტნენ, აუცდენელი კატასტროფის მოლოდინმა ყველას დაუკარგა მოქმედების უნარი; მაგრამ უცებ მოხდა სასწაულებრივი რამ; ზურაბმა, რომელსაც ეტლმა ჩამოუქროლა, დაუფიქრებლად წაატანა

---

[1] სეით იაშვილი, ჩემი წარსულიდან, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965, გვ. 60.

[2] იქვე, გვ. 73.

ერთ-ერთ ცხენს ბარკალში ხელი და საოცარი ძალით დაითრია; ხალხს გაოცებისა და აღტაცების გმინვა აღმოხდა... ცხენმა უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა; მეორე ცხენი ყალყზე შედგა, მაგრამ ზურაბმა არც მას აცადა, ახლა მას წაავლო სადავეში ხელი და ისიც დაითრია; ცხენი ამას არ ელოდა და წინა ფეხებზე დაშვებისას, თავის დაჩოქილ უღლის გამწევს დაასკდა. ზურაბი ელვის სისწრაფით წინ მოექცა ცხენებს, ერთსაც და მეორესაც აღვირებზე დაუდგა ფეხი და ქვაფენილზე გააქვავა. ამასობაში გულმოცემული მოსეირნენიც წამოეშველნენ ზურაბს, ცხენები გააკავეს და გულშემოყრილი ქალი იქვე აფთიაქში გადაიყვანეს მოსაბრუნებლად. ეს ქალი იტალიური დასის, იმ სეზონის წამყვანი პრიმადონა გამოდგა. ცხადია, მას დახმარება აღმოუჩინეს, დაამშვიდეს და... წარმოდგენა ჩაშლას გადარჩა; მიუხედავად აცდენილი ფათერაკისა და გადატანილი შიშისა მომღერალმა ქალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა თურმე, მაგრამ მაინც... ამბობენ, თეატრალური დურბინდები და ლორნეტები იმ დღეს ბენუარის ლოკისაკენ უფრო ხშირად იყო მიქცეული, ვიდრე იტალიური ოპერის სცენისაკენ.. პარტერში გამუდმებით ისმოდა ჩურჩული: „ზუბიკ... ზუბიკ!..“ ზურაბი იძულებული გახდა პირველივე აქტის მერე დატოვებინა საოპერო თეატრი: სამაგიეროდ, მას შემდეგ, მისთვის ფართოდ გაიღო არა მარტო საოპერო თეატრის, არამედ კულისების კარიც და აღარც მთელი სეზონისათვის ბილეთების წინასწარ შეძენა დასჭირვებია ოდესმე.

აღარც ვასოს და მის გიმნაზიელ მეგობრებს უჭირდათ მას მერე საოპერო წარმოდგენებზე დასწრება... ქანდარაზე მუდამ ინახებოდა ზურაბის ახალგაზრდა პროტეჟეებისათვის ადგილები და მათი გამაყრუებელი „ბრავო“ ხშირად აზანზარებდა თურმე საოპერო თეატრის ჭაღსა და კედლებს. შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ როცა უკვე ხანში შესული გიმნაზიის მეგობრები შეიკრიბებოდნენ (ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა) და კოტე შარაშიძის მეთაურობით გაწუმეორებელ მრავალჟამიერს იტყოდნენ, ვასოს გაეცინებოდა და როგორც წესი, წააყვედრებდა ხოლმე მეგობრებს: — ის ცხენები რომ არ გადარეულიყვნენ მაშინ, თქვენ ასეთი დალაგებული სიმღერა არ გეცოდინებოდათო დღეს!

საოპერო წარმოდგენებზე სისტემატურად დასწრებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ვასოსა და მის მეგობრებზე: ყველა მათგანი მუსიკის დიდი მოყვარული და კარგი მცოდნე დადგა. ყოველ შემთხვევაში, მელომანია მათი ცხოვრების ძირითადი გატაცება და თანამგზავრი იყო მარად.

1902 წლისათვის საოჯახო არქივში შემორჩენილია მხოლოდ ერთი საბუთი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ვასოს უფროსი ძმა ნიკო აღადგინეს ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ვასო ამ დროს თბილისის გიმნაზიაში სწავლობს, ეწევა „რეპეტიტორობას“ და შეძლებისდაგვარად ეხმარება ოჯახს. ასევე გრძელდება 1903 და მომდევნო წლებშიაც, თვით პეტერბურგში მის გამგზავრებამდე.

ვ. აბდუშელიშვილის ძმა გრიგოლ, კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, 1904 წ.

1904 წელს ვასო აბდუშელიშვილის კიდევ ერთი ძმამიდის რუსეთში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ბევრი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა გრიგოლ გიორგის ძე აბდუშელიშვილს იმისათვის, რომ ჩარიცხულიყო კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე[1]. ჩარიცხვა ერთი იყო, მაგრამ... მოდით, თვითონ გრიგოლს მოვუსმინოთ:

„ძვირფასო ძმაო ზურაბ!

სიყვარულით დაგიკოცნი მთელი წლის უნახავ თვალებს და ღმერთსა ვთხოვ ჯანმრთელობას და ყოველგვარს სიკეთეს შენთვის და მთელი შენის ოჯახისათვის. მაპატიე, ძმაო, უნებლიე შეცდომა და მასთან დაკავშირებული უზრდელობაც: მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ არავითარი ამბავი არა მცოდნია რა, არც შენი და არც ჩვენებისა; უნდა მართალი ვთქვა, ცოტა არ იყოს მიკვირდა ამდენი ხნის უყურადღებობა, მაგრამ სანამ უკიდურესმა გაჭირვებამ არ მაიძულა, შენი შეწუხება ვერ გავბედე; მე მხოლოდ 9 ამ თვეს ვასოს წერილიდან გავიგე, რომ აქამდის თბილისში უსამსახუროდ ცხოვრობ. ყოველივე ეს რომ წინად მცოდნოდა, დარწმუნებული იყავი,

---

1 შორაპნის მაზრაში სულ ათიოდე სტუდენტი თუ იყოო — ამბობს სეით იაშვილი, ამათგან კი აი უკვე სამი — გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახიდან არის!..

ყოვლის ღონისძიებით ვეცდებოდი შენთვის რამენაირად ამეცილებინა შეწუხება: უკიდურეს შემთხვევაში მამას მივმართავდი დახმარებისათვის... ამ ზაფხულზედაც ვერაფერი სამუშაო ვერ ვიშოვე და წრეუნდლისათვის საჭირო ლექციების ფული ვერ შევაგროვე... არ ვიცი, რა ვიფიქრო!..

შენი მოყვარული ძმა გიგო.
20 ღვინობისთვე, 1904 წელი, ქ. კიევი".

1905 წლის გაბმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სასწავლებლებშიაც, მათ შორის — თბილისის ქართულ გიმნაზიაშიაც იჩინა თავი[1]. ამის შესახებ დიდი უკრაინელი მწერალი ლესია უკრაინკა წერდა თბილისიდან კიევში თავის დედას: „აქ მოხდა ამბოხებები ყველა საშუალო სკოლაში... ქართულ გიმნაზიაში, სადაც ჩიტაძეა, შეიმუშავეს წესდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს, მასწავლებლებთან თანდასწრებით მ.ოიწ.�n თათბირები და შექმნან მოწაფეთა საბჭო"[2]... ამ „მოწაფეთა სასამართლოსა და საბჭოების წესდების შედგენის გამომმუშავებელ კომისიაში მასწავლებლებისაგან შედიოდნენ: შ. ჩიტაძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. მიქაბერიძე და ს. იაშვილი, ხოლო მოწაფეებისაგან — ვ. აბდუშელიშვილი, დ. ჩიქოვანი, ი. ჯორჯაძე"[3] და სხვ. ეს საინტერესო ცნობა, რომელიც სეით ლუარსაბის ძე იაშვილის წყალობით შემოგვრჩა, ჩვენთვის მრავალმხრივ არის საინტერესო. თავი და თავი ის არის, რომ გვაცნობს ვასილ აბდუშელიშვილის საზოგადოებრივ მრწამსს; გარდა ამისა, უკვე ამ ფაქტიდან ჩანს, რამდენად ავტორიტეტული პიროვნება იყო ვასილ აბდუშელიშვილი, რომ ის ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებს სასწავლებლის წესდების შექმნაში... და ასე იყო მუდამ — პირად ცხოვრებაში, ოჯახში, მეგობრებსა თუ ფართო საზოგადოებაში, ვასილ აბდუშელიშვილი ყოველთვის და ყველგან სარგებლობდა განუსაზღვრელი პატივისცემით და უდიდესი ავტორიტეტით. ეს მისი ნიშანდობლივი თვისება იყო და როგორც ვნახეთ, უკვე 19 წლის გიმნაზიის მოსწავლეს ეს — მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი, ნიშან-თვისება — მკვეთრად ჰქონია გამოხატული; ქვევით ჩვენ კიდევ არაერთხელ შევხვდებით ამის დამადასტურებელ ფაქტებს.

ჩვენ ადრე უკვე გვქონდა საშუალება დაახლოებითი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა ვასილ აბდუშელიშვილის უფროსი ძმის ნიკოს

---

1 სეით იაშვილი, ჩემი წარსულიდან, გვ. 118.
2 შ. სიხარულიძე, შოთ ჩიტაძე, ჟურნ. „მნათობი", 1954, № 1, გვ. 149.
3 სეით იაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—120.

საზოგადოებრივ მრწამსზე. მას ხომ ამ მრწამსის გამო ჩააცვეს დრაგუნთა პოლკის ჯარისკაცის მუნდირი და რამდენიმე წლის განმავლობაში მოწყვიტეს უშაღლესი სასწავლებლის კარებს. ასეთი შეხედულების ადამიანი, ცხადია, 1905 წლის გრანდიოზული ამბავის დროსაც ვერ დარჩებოდა მოვლენების მიღმა... არც დარჩენილა.

ნიკოლოზ გიორგის ძე აბდუშელიშვილი ხელმოკლეობის გამო, ხშირად იყო იძულებული დროებით შეეწყვიტა სწავლა და საარსებო წყარო ეძებნა. სწორედ 1905 წელს ნიკო აბდუშელიშვილი ოდესის პორტში მუშაობს მცირე მოხელედ. ამ ღროს ეკუთვნის ერთი საინტერესო ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. ამ ეპიზოდის გახსენებას მიადგილებს ნივთი, რომლის ხელში აღება ყოველთვის გულსა მტკენს და სევდასა მგვრის. მძიმეა, ძალზე მძიმე, როცა ნივთები პატრონის მერეც განაგრძობენ არსებობას; მათთან ყოველი შეხვედრა, მათი ყოველი შეხება და ნახვა, ჭრილობას გვიხსნის და გვაგონებს. რომ მათი პატრონი აღარ არის... მაგრამ ამავე დროს იმასაც გვაგონებს, რომ მათი პატრონი იყო, ოდესღაც იყო და თავისი არსებობის ხელშესახები საბუთიც დაგვიტოვა: ნივთი თუ საგანი, ნაქმნარი თუ ნათქვამი, ნაკეთები თუ საკეთებელი — ეს კი კარგია, ძალზე კარგი, რამეთუ უამისოდ ადამიანების ამ ქვეყნად არსებობის ჯაჭვი. გაჭიმული უკუნითი უკუნისამდე, გაწყდებოდა. ნაკვალევი გაქრებოდა და საზღვარი ადამიანებსა და ცოველებს შორის წაიშლებოდა. ადამიანებს კი არ უნდათ, ოო, როგორ არ უნდათ ამ საზღვრის წაშლა! ღმერთო, რამდენი ძალა და დრო, ცოდნა და ნიჭი დაიხარჯა ადამიანის არსის ახსნაზე... როგორ არ განმარტავდნენ და განმარტავენ დღესაც ადამიანს — ფილოსოფოსები და ბიოლოგები, ისტორიკოსები და ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები და ანატომები: „გონიერიო“, „სწორადმავალიო“... „რთულადორგანიზებულიო“... „მეტყველიო“... „იარაღის მკეთებელიო“... „კოლექტიურიო“ და ვინ იცის, კიდევ რა?! მე კი ჩემის გულუბრყვილობით ასე მგონია, რომ ადამიანი ქვეყნად კვალის დამტოვებელი ერთადერთი არსებაა და სხვა არაფერი, მაგრამ არა იმ კვალისა, დამტოვებლის სხეულის წონითა და ნამუსრევით რომ აღებეჭდება ხოლმე დედამიწას გულზე, არამედ მისი ნამოქმედარის ნაკვალევად რომ შემორჩება საუკუნეებს... დიაღ, ადამიანები ან უფრო სწორად, გაადამიანებული არსებები მუდამ სტოვებდნენ თავიანთი ნამოქმედარის ნაკვალევს: ქვის ხელცულებს, ბრინჯაოს სატევრებს, ოქროს საკინძებს, გამოქვაბულებს, ტაძრებს, ნაჩუქურთმებ და ლურსმულ წარწერიან ქვებს, ქანდაკებებს, ნახატებს, ლეგენდებს, ზღაპრებსა და ბოლოს წიგნებს, წერილებს... და რაც უფრო ღრმა და წარუშლელი იყო ნაკვალევი, მით უფრო დიდი იყო მისი დამტოვებლის ადამიანური მაზანდა.

ადამიანები დღესაც სტოვებენ თავიანთ ნაკვალევს: ფოტოზე — გარეგნობას, კინოფირზე — მოძრაობას, მაგნიტოფირზე — ხმას, წიგნებსა და წერილებში — ნაზრევსა და ვინ იცის, კიდევ რა გზებსა და ხერხებს გამოიგონებს ადამიანი თავისი ამქვეყნიური არსებობის საუკუნოდ შემოსანახად... და ვინ იცის, იქნებ, ოდესმე... ვინმე შეძლებს ამ ნაკვალევის ერთიანად შეკვრას და ადამიანის ნაკვალევით მის აღდგენას — განსხეულებას, ვინ იცის?! ჩვენს ოცნებას საგნიერი საფუძველი მისცა ჩვენმა მაძიებელმა საუკუნემ! მაგრამ... მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდეს, მაინც მძიმეა ჩვენთვის იმ ნივთების ნახვა, შეხება და შეხვედრა, რომლებიც პატრონის მერეც განაგრძობენ არსებობას და გვაგონებენ, რომ მათი პატრონი იყო, აღარ არის და აღარც იქნება...

ჩემს წინ, მაგიდაზე, ჩემთვის ძვირფასი რამდენიმე ნივთი დევს. ისინი ბიძაჩემმა ნიკო აბდუშელიშვილმა მისახსოვრა და როგორც ერთ თავის სურათს წააწერა „მომიგონებდე, ჩემო კარგო აზიკო, შენს მოყვარულ ძია ნიკოს"; მე მათი პატრონი არასოდეს მავიწყდება, მაგრამ დღეს ერთ-ერთმა ამ ნივთთაგანმა ერთი საინტერესო ეპიზოდი გამახსენა, რომელსაც ჩვენი თხრობის საგანთან, მგონი, გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს. ეს საკმაოდ მოზრდილი ჯიბის საათია, რომლის ხუფს უკანა მხრიდან აწერია: Благороднейшему человеку Николаю Георгиевичу Абдушелишвили от благодарных рабочих — грузин. г. Одесса, 1905 год. ამ საჩუქარსაც თავისი ისტორია აქვს: როგორც ითქვა, 1905 წელს ნიკოლოზ აბდუშელიშვილი ოდესის პორტში მუშაობდა მცირე მოხელის თანამდებობაზე, რისი წყალობით ლუკმაპურსაც შოულობდა და სუფთად ჩაცმა-დახურვასაც ახერხებდა; თვალტანადობა კი ისეთი ჰქონდა, რომ ოდესელ ლამაზმანებს მისი შეხედვით სულ ელეთმელეთი მოსდიოდათ. ჰოდა, 1905 წლის ერთ ქარიშხლიან დღეს ოდესის პორტის მრავალეროვანი მუშები გაიფიცნენ, თანაც ამ გაფიცვას არეულობაც მოჰყვა; პორტის ხელმძღვანელობამ არ დააყოვნა და ჟანდარმერიის რაზმი გამოიძახა. როდესაც დიდი ალაყაფის კარი გაიღო და ცხენოსანი რაზმი შემოიჭრა პორტის უზარმაზარ სატვირთო ეზოში, მუშებმა, მიუხედავად განწირული მდგომარეობისა, წინააღმდეგობაზე ხელი მაინც არ აიღეს: განაგრძეს მოზიდული ტვირთის მსხვრევა და ბარიკადებად აგება. რაზმის მეთაურმა — როტმისტრმა დ-მ ბრძანება გასცა იარაღი მუშებისაკენ მიემართათ, იშიშვლა ხმალი და ის იყო უნდა გაეცა ბრძანება: „Пли!!..", რომ ბარიკადების წინ ორმეტრიანი, ხელებგაშლილი ფიგურა აღიმართა ნიკოლოზ აბდუშელიშვილისა, რომელმაც თავზარდამცემი ხმით სჭექა:

— Вы не посмеете стрелять!.. А если посмеете, то первая пуля

будет предназначена мне, а за это вам придется отвечать, не только перед богом, но и перед военным трибуналом!.. Опустите оружие!!...

არნახულმა სითამამემ და კატეგორიულმა ტონმა დააბნია როტმისტრი და უნებლიედ დააშვებინა შემართული ხმალი; ამასობაში მუშებიც გონს მოვიდნენ, პორტის მოწინავე თანამშრომლებიც ჩაერივნენ საქმეში და ამრიგად, გარდაუვალი ტრაგედია აცილებულ იქნა. ნიკო კი იმ დღის შემდეგ პორტის ყველა მუშის საყვარელი ადამიანი, ხოლო ქართველი მუშების სათაყვანო კერპი გახდა. მართალია, მას მეორე დღესვე მოუხდა სამსახურისთვის თავის დანებება, მაგრამ, როგორც ვიცი, მას არც ამისთვის მოუკლავს თავი. მუშებისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა კი მთელი მისი სიცოცხლის თანამგზავრი ნიშან-თვისება იყო.

არა, ვასო აბდუშელიშვილის არც მეორე ძმა ყოფილა ჯაბანი, რამეთუ საბა ბრძენისა არ იყოს, არ დადგა „ოდეს სხვასა ევნებოდა“ და მშვიდად დაითმინა ოდეს თვით მას „ბოროტი შეემთხვია“. ასე აყალიბებდა საზოგადოებრივი ცხოვრება ყველა იმ კეთილ თვისებას, რაც გიორგი აბდუშელიშვილის შვილებმა ოჯახიდან გაიტანეს და ცხოვრების პირისპირ დადგნენ. ცხადია, უნაკლონი და უზადონი არც ისინი იყვნენ, მაგრამ ეს პირუთვნელი განსჯის საქმეა და მე კი პირუთვნელი ვერ ვიქნებოდი და ამიტომ იმთავითვე თანამგზავრი ან მიმდევარი მემატიანის საქმე ვიტვირთე და რახან ვიტვირთე, ასევე უნდა მივიტანო ბოლომდე.

თვითონ ვასო?!

აი, 1905 წლის ერთი პაწაწინა ეპიზოდი:

გიორგი თავისი ახლობლებით: ძმით, შვილებით, ძმის შვილებითა და ქულფათებით მისმა შვილმა მართამ და სიძემ — აპოლონ ფალავანდიშვილმა ქართლში, სოფ. კნოლევში მიიპატიჟეს დღეობაზე. დრო, თუმცა, არეული იყო და ტყეები თავზე ხელაღებული ყაჩაღებით, ათასი ჯურის ანარქისტებით, ანარქისტ-სინდიკალისტებითა და მათზე უარესი მათი დამსჯელი რაზმებით იყო სავსე და მგზავრობა — მუდამ სახიფათო, ხოლო ზოგჯერ — საბედისწეროც კი, ცხოვრება მაინც თავისას ითხოვდა და ამიტომ შალაურელებმა სიამოვნებით მიიღეს ეს მიპატიჟება მათთვის საყვარელ ოჯახში.

ამალა, რომელშიაც 20 წლის ვასოც შედიოდა, დილაუთენია გავიდა შალაურიდან და შუადღისას უკვე ჭერათხევის გზით სოფ. ალისაკენ გაივაკა. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც გიორგი მიუძღოდა ამალას, მაგრამ, როცა გზა ვიწრო ბილიკით ტყეში შევიდა, ვასომ დააწინაურა ცხენი და გიორგის „ყარაბაღს“ ოდნავ წინ გაუსწრო; გიორგიმ ჯერ ყურადღება არ მიაქცია ამას, მხოლოდ მაშინ,

ვ. აბდუშელიშვილი თავის და მართასთან, სიძე აპოლონ ფალავანდიშვილთან და დიაწულ ოლასთან ერთად, 1905 წ.

როცა წინ წასულმა ულაყმა დაიფრუტუნა და ყურები სცქვიტა, ხოლო ვასო მკერდით აეფარა მამას, გაკვირვებულმა გიორგიმ მრისხანე მზერა შეანათა წინ წასულ შვილს, მაგრამ მერე რაღაცას მისვდა, ულვაშებში ჩაეღიმა და არა თქვა რა...

როცა რამდენიმე დღის შემდეგ უკანმობრუნებული, ნაქეიფარი მხედრიონი იმავე ადგილს მიადგა და ვასომ ისევ სცადა ცხენის დაწინაურება, გიორგიმ მის ცხენს აღვირში წაკლო თურმე ხელი და თავის გათამამებულ შვილს ისე, სხვათა შორის, უთხრა:

— გონიერება რომ არ გაკლია, ეს ვიცი, შვილო! რომ არც გულის სიმტკიცე გაკლია, ესეც ვიცი და დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში, მაგრამ ზრდილობას გიწუნებ, ვაუკაცო, და ნუ ინებებ ამას!.. მამაშენს საამისო ჯერ არა სჭირს რა, მგონი!

ვასომ ბოდიში მოიხადა, შეწუხებული და დარცხვენილი სულ ჩამორჩა მხედრიონს, ხოლო სახლთან მიახლოვებისას, ისევ გიორგიმ გაუკეთა გული:

— ახლანდელ დროში, როცა წინ კი არ ხვდებიან გამვლელს, არამედ უკნიდან, მალულად ესხმიან თავს — ვაჟკაცები წინ კი არ უნდა მიუძღოდნენ, არამედ უკნიდან უნდა იცავდნენო ამალას.

1906 წლისათვის ჩვენს განკარგულებაშია ვასილ აბდუშელიშვილისადმი გაძღზავნილი ორი წერილი. ერთს მამა უგზავნის შალაურიდან: უკვე ამ წერილიდან ჩანს, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს ვასოს მამისეულ ოჯახში. გიორგი აბდუშელიშვილი საოცრად სიტყვაძუნწი კაცი იყო. მაგრამ...

„ჩემო იმედო, შვილო ვასო! თუ შეიძლებოდეს და დიდ დაბრკოლებას არ მოგცემდეს. სამარიობოთ ჩამოდი და შენი ნახვით მოგასულდგმულე; თუ ახლა ვერ გაბედო, როდის მექნება შენი ნახვის იმედი. ის მაინც მაცნობე. შენც სხვასავით ნუ დამივიწყებ! ჩვენ ვართ ცოცხლები, ბევრი გარემოებით შეწუხებულნი! შენი გულით მოყვარული მამა, გიორგი“.

მე მაინც მინდა ჩემი უხეში ხელით ჩავერიო მამა-შვილის ამ წერილში და რამდენიმე მოსაზრება გავუზიარო მკითხველს. ჩვეულებრივ, ყოველ წერილში ან თუნდაც უბრალო მიმართვაში სიტყვის მასალად იხმარება ხოლმე ისეთი გამოთქმები, როგორიც არის, „ჩემო იმედო“, „გულით მოყვარული“ და სხვ. ამ შემთხვევაში ეს სიტყვიერი მასალა არ არის! ვასო აბდუშელიშვილი უკვე ამ ასაკში მამის ნამდვილი იმედი იყო და ოჯახის ძირითადი საყრდენი, გიორგიც ატყობდა ამას და დარწმუნებულიც იყო, რომ ვასო „სხვა შვილებივით“ გარეთ არ გაიწევდა. მე ღმერთმა დამიფაროს იმ კაცნიერებისაგან, რომ „სხვა შვილებს“ რაიმე მსგავსი საყვედური ვაკადრო: ისინი ნამდვილად არ იმსახურებენ ამას და ჩვენც კიდევ არაერთხელ გვექნება საშუალება დავრწმუნდეთ ამაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ვასო მაინც სულ სხვა იყო. ყოველ შემთხვევაში მამისათვის მაინც.

მეორე წერილი ვასოს, უფროსი ძმის — ნიკოსაგან მიუღია, რომელიც ამ დროს ოდესაში ცხოვრობს. არც სწავლას ანებებს თავს, მაგრამ ცხოვრებისათვის საარსებო წყაროს ეძებს და ეს ცხადია. მას ხელს უშლის, დროზე დაამთავროს კურსი. გარდა ამისა, როგორც ამავე წერილიდან ჩანს, მას რაღაც სხვა ფიქრი და სხვა საზრუნავიც უშლის ხელს. აბა მოვუსმინოთ:

„საყვარელო ძმაო ვასო!

შენი წერილი მივიღე და დიდად ვისიამოვნე. მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობითა ყოფილხართ. მაწუხებს და დიდათაც მაწუხებს

მხოლოდ ის, რომ მთელი ჩვენი ოჯახი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში მეგულება და ყოველ ღონისძიებას კი მოკლებული ვარ როგორმე დავეხმარო მას. ეს დარდი არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ მაძლევს, მაგრამ მარტო დარდით ვის რა ვარგო!.. ყველას, რასაკვირველია, სწყინს და მიწყრებიან, რატომ არას ვიწერები, მაგრამ იმის განკითხვაში კი არავინ შედის, თუ რამდენად სასიამოვნოა ჩემთვის ასეთ ურგებ და უნუგეშო ბარათების წერა, არა თუ ვერ ვასიამოვნებ ვისმე ჩემის წერილით, პირიქით, მხოლოდ უსიამოვნებას ვაყენებ; ამიტომაა, რომ მეზარება მოწერა. ასეთმა მდგომარეობამ უდროოთ მომახუცა, გული გამიტეხა; ამაზედ მეტი ცეცხლი რა იქნება, თქვენ ასეთ მდგომარეობაში მეგულებით და მცირეოდენი დახმარებაც კი არ შემიძლია მოგაწოდოთ...

ამ ბარათთან ერთად ვწერ აგრეთვე საშა მდივანსა და სეით იაშვილს, რომ რაც და როგორც შეუძლიათ დახმარება აღმოგიჩინონ; დარწმუნებულიც ვარ, რაც შეეძლებათ, ორივენი ეცდებიან როგორმე ხელი მოგიმართონ.

უეჭველად ნახე შიო ქუჩუკაშვილი, გულითადი მოკითხვა გადაეცი; მოკითხვა გადაეცი აგრეთვე ილიკო აღლაძესა და დიმიტრი მღებრიშვილს; ვასიკო და ადიკო სიყვარულით დამიკოცნე, ნახვამდე, იყავ ჯანსაღათ და გულმხიარულად.

შენი მოყვარული ძმა ნიკო აბდუშელიშვილი. 9/X-1906 წ.

ქალ. ოდესით".

თუმც ამ წერილში პირადად ვასო აბდუშელიშვილის ოჯახისადმი სამსახურზე ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი, მაგრამ თვითონ ნიკო აბდუშელიშვილის საოცრად გამახვილებულ მოვალეობის გრძნობაზე კი გვიქმნის წარმოდგენას. აქ უკვე ხორცშესხმულია დიდი ოჯახისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ის დიდი გრძნობა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ პატარა დათუნიას წერილში: გახსოვთ? ხუთ მანეთს გამოგიგზავნიო ყოველთვიურად, 14 წლის ბიჭუნა რომ სწერდა თავის ძმას! აი, ეს მოვალეობის გასაოცარი გრძნობა მიჰყვება საოჯახო წერილებს წითელ ხაზად და კიდევ უფრო მეტი მომავალში შეგვხვდება. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ...

1907—1910 წლები რეაქციის მძვინვარების პერიოდია, რამაც ბევრი რამ შეცვალა რუსეთის იმპერიაში და მისი ანარეკლი აბდუშელიშვილების ოჯახსაც, ცხადია, შეეხო. უსახსრობის გამო ნიკო აბდუშელიშვილი ოდესის უნივერსიტეტის მეხუთე (დამამთავრებელი) კურსის სტუდენტი, ბოლოს და ბოლოს თავს ანებებს უმაღლეს სასწავლებელს. უფრო ადრე, მისი უმცროსი ძმა გიგოც, იძულებული ხდება თავი დაანებოს კიევის უნივერსიტეტს და სახლში დაბ-

რუნდეს. ნიკო ოდესაშივე რჩება და ცდილობს რიგიანი სამსახურის შოვნას, რომ გარედან რითიმე დაეხმაროს ოჯახს. გიგო კი შალაურში ბრუნდება და დაუზოგავი ფიზიკური შრომით ცდილობს მხარში ამოუდგეს მამას და შეძლებისამებრ დაეხმაროს სწავლაში ხელშეშლილ ძმებს.

„საყვარელო ვასო! გისურვებ ყოველნაირ ბედნიერებას; გარდა ამისა, ვიცი მომიკითხავ მეც და აქაურობასაც. ვართ კარგათ ჯერ-ჯერობით. ამ ერთი თვის შემდეგ პეტრეს დაპირდნენ ესე შვიდ-რვა თუმნიან ალაგს. და იმედია, გესიამოვნება; კარგია თვეში რვა თუმანი, ვასო ჯან! პეტრე უკვე დაგვპირდა ახალი გადაბრუნებული ალაგისათვის საჭირო ვაზს — ჩემი ფულით ვიყიდიო! სიმინდის ფქვილზე ხელმეორეთ ბოდიში უნდა მოვიხადო, მეტი ჯანი არ არის. წარეუდგენელი ამინდები და გზებია, თორემ გიგუცაც გიამბობს; ვინ იცის, იქნება მეც გნახოთ ახლო მომავალში და ხელცარიელი არ ჩამოვალ ჩემო რეჯებ[1]; რატომ არას იწერები იმის თაობაზე, საწყალი ზაზა ციციშვილის გასვენებაზე იყავით თუ არა! თუ არ ყოფილხართ, უთუოთ მიდით და სამძიმარი მაინც უთხარით!.. შენი გიგო“.

ეს წერილი თბილისში აქვს მიღებული ვასილ აბდუშელიშვილს. ამ დროისათვის გიორგის შვილებმა თბილისში ახალი ბუდე გაიჩინეს სადგურის უბანში. თუ არ ვცდები, ამ დროისათვის იქ ცხოვრობდნენ ელისაბედი თავისი ქმარ-შვილით, უმცროსი ძმა — ადამ აბდუშელიშვილი და უფროსი დის — მართას შვილები; მთელ ამ ბუდეს ვასო აბდუშელიშვილი მეთაურობდა და ძირითადად, თავისი „რეპეტიტორობით“, არჩენდა კიდეც. განსაკუთრებით ყურადსაღებია ამ წერილში ის ფაქტი, რომ უფროსი ძმა გიგო დეტალურ ანგარიშს აბარებს უმცროს ძმას — ოჯახის მიზნებისა და ნამოქმედარის შესახებ. როგორც ჩანს, ამ დროისათვის, ვასო ოჯახის ძირითადი წამყვანი ძალა და დიდად დამსახურებული წევრიც იყო უკვე: ამას თავისი საფუძველი ჰქონდა; ჯერ ერთი, ის რომ მეურვეობდა აბდუშელიშვილების თბილისურ ბუდეს, ხოლო მეორე ის, რომ, უფრო ადრე, თავდაუზოგავი ფიზიკური შრომით მხარში ედგა შალაურში მამისეულ ოჯახს და შეძლებისდაგვარად აღონიერებდა მას: ცხადია, ამას არ შეეძლო არ მოეპოვებინა მისთვის ოჯახში დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა. ყოველივე ეს, მგონი, ამ წერილიდანაც თვალნათლივ ჩანს.

ამ წერილიდან კიდევ ბევრი რამ ჩანს, მაგრამ მე მხოლოდ ერთი დეტალის ქვეტექსტი მინდა წავიკითხო: „ციციშვილებთან თუ იყავითო?“ ეკითხება უფროსი ძმა და თანაც „უსათუოდ მიდითო!“ იმ-

---

1 ახალგაზრდობაში ვასოს „რეჯებას“ ეძახდნენ.

ხანად ვასო ზაზა ციციშვილის ბიჭებს ამეცადინებდა მათემატიკაში და კიდეც დააყენა ყმაწვილები ფეხზე, მაგრამ მერე მოხდა ისეთი რამ, რამაც აიძულა ვასო ფეხი ამოეკვეთა ამ ოჯახიდან და აღარ ესარგებლა თავისი მდგომარეობით, საქმე ის არის, რომ ციციშვილების უმცროსმა ქალმა ნ...მ, რომელიც თავის მხრივ არ იყო თურმე გულგრილი მისი ძმების აღმზრდელისადმი, პედაგოგიურის გარდა, სხვა საფიქრალი გაუჩინა ახალგაზრდა მასწავლებელს: საოცრად ლამაზი იყო თურმე, ნ...: მე დეტალები არ ვიცი, ხვდებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდები ან ჰქონდათ მიწერ-მოწერა თუ არა, ვიცი მხოლოდ ის, რომ ციციშვილების ასული წინააღმდეგი იყო ვასოს პეტერბურგში წასვლისა, ვასოს კი უმაღლესი განათლება „ოჯახის განკარგების" „ღონედ ხსნისა" ესახებოდა და როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც, მოვალეობამ იმძლავრა. საბედისწერო გამოდგა ეს ძლევა!. იმავ წელს მისი გულის მფლობელი დაინიშნა და არ გაუვლია დიდ დროს, გათხოვდა კიდეც; თანაც ვასოს ახლო მეგობარზე, რომელმაც უმაღლეს განათლებას ცოლის მზითევი ამჯობინა — ვასომ ეს ამბავი მძიმედ განიცადა, მაგრამ ღრმად ჩაიმარხა გულში (ისე, როგორც სხვა ყველაფერი) და ამის შემდეგ აღარც უფიქრია ცოლის შერთვაზე. როგორც ჩანს, ეს დიდი და ღრმა სიყვარული იყო, თუმცა... სხვა რა ჰქონდა ვასო აბდუშელიშვილს მცირე და ზერელე და სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი ასე ფუნდამენტური და მასშტაბური ჰქონდა — საოცრად ევიწროვებოდა საზოგადოებრივი ჯებირები, რომელშიაც მას უხდებოდა ცხოვრება, მაგრამ ამას არასოდეს არავის არ ახვევდა თავს.

ოთხმოცი წლის წინანდელს ვამბობ, თანაც მალულსა და კრძალულს — იქნებ რაღაცაში ვცდები კიდეც, მაგრამ მამამ ეს ამბავი ძია ვასოს საფლავზე მიამბო და... მან კი უმცროსი ძმის შესახებ სხვაზე მეტი იცოდა.

საერთოდ, 1908 წელი მრავალი მნიშვნელოვანი ამბებით არის საყურადღებო ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში. ამ წელს წარჩინებით დაამთავრა მან გიმნაზიის კურსი და ამავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში... თუმცა სჯობს ყველაფერს თანდათანობით მივყვეთ.

საოჯახო არქივში შემორჩენილია ქვითარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ვასილ აბდუშელიშვილს გამოუწერია ჟურნალი „განათლება". ეს ჟურნალი 1908 წლის 15 იანვარს დაარსდა და როგორც ჩანს, ვასილ აბდუშელიშვილი მისი ერთ-ერთი პირველი ხელისმომწერთაგანი იყო; ეს ფაქტი კი თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ გიმნაზიის ხანაში ვასო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდე-

ვ. აბდუშელიშვილი თავის გიმნაზიელ მეგობრებთან. დგას მარცხნიდან პირველი — დავით ჩიქოვანი, ზის: მარცხნიდან მეორე — ვასილ აბდუშელიშვილი; მეოთხე — კაკო მიქელაძე; წამოწოლილია მარჯვნივ — კოტე შარაშიძე, 1908 წ.

ბოდა განათლების საქმეს საქართველოში. ეს ყურადღება მას არასოდეს შენელებია თვით სიკვდილამდე.

„1908 წ. 19 მარტი. კიევი.

ძვირფასო ვასო! გუშინწინ მივიღე წერილი შენგან უნდა გითხრა, რაც ხნის კაცი ვარ, მაგისთანა სასიამოვნო წერილი არ მიმიღია... სანამ შენ მანდ მეგულები, მე სახლის ჯავრი არა მაქვს. ღმერთმა ნუ მოგიშალოს სიკეთე ჩემო ვასო. ისევ ჩვენდა სასიკეთოდ და სანუგეშოდ. შენ თამამად შეგიძლიან სთქვა, რომ რაც შემეძლო, შევასრულეო; კიდევ მეტი! ვერც ერთი შენი ნაამაგარი თავის დღეში ვერ გადაიხდის იმ მატერიალურ, სულიერ და ზნეობრივ დავალებას. რაც შენ შენს ოჯახს და ძმებს გაუწიე; ეს მით უმეტეს თვალსაჩინოა, რომ ვერც ერთი იმათგანი შენგან ვერ გაიგონებს უბრალო საყვედურს, დამადლებას — მაგნაირი დავალება ერთი-ორად უფრო დასაფასებელია და ღმერთსა ვთხოვ, რომ დაეფასებინოთ შენი ამაგი, შენი დიახაც რომ თავგანწირვა. შენ ეს ამოდენა ხანია ისე კისერწაწვდილი შრომობდი, რომ არ გეცალა, ძალიანაც რომ გდომოდა, შენი პირადი სიამოვნებისათვის. მე ბევრჯერ, როდესაც შენი სრულიად

დამსახურებული ქება გამიგონია, ჩვენი საქმის ჭირისუფლისაგან, მიფიქრია — ვაი თუ ისე დაკაცდეს ვასო, რომ სიყმაწვილეს ვერ მისცეს ჯეროვანი ვალი მეთქი და მერწმუნე, უსაფუძვლოთ არ მეშინოდა. შენი ე მაგნაირად ამხანაგებთან დაახლოვება მეტად მიამა, მით უმეტეს, რომ ეგ შენი ამხანაგები, მე როგორც ვიცი. სულითა და გულით სპეტაკი და პატიოსანი ხალხია!..

სხვა რასა ფიქრობთ? კურსის დამთავრების შემდეგ საით აპირებთ დაქსაქსვას, ვინ საით მიიწევთ? აქეთ მაინცა ჰქენით პირი, ჩამოდით — ერთი უბრალო. მაგრამ გულწრფელი ჯგუფი შევადგინოთ; როცა ერთად ვიქნებით. იცი, ვერც შიმშილი, ვერც სიცივე ვერას დაგვაკლებს...

გწერდი ივ. რატიშვილის მისამართი მაცნობე თქო და არ ვიცი, რატომ არ შემატყობინე. ე. თაყაიშვილს მინდა მივწერო წერილი დიდის მადლობის გამოსათქმელად და არ ვიცი, როგორ შევთხზა. სწორეთ არ მეგონა, თუ კიდევ ვახსოვდი და ასე ახლო მიიღებდა მხედველობაში ჩემ ჭირვარამს. დამიკოცნე ადიკო, გოგიტა, ელისაბედი, ბავშვები და შენი კარგი ამხანაგები... შენი გ ი გ ო“.

მე ხშირად მეუბნებიან ხოლმე, საიდან იცი ჩვენი ოჯახისა და წარსულის შესახებ ამდენი რამ. ნუთუ მართლა ასეთი მეხსიერება გაქვსო. მე არც რაიმე განსაკუთრებული მეხსიერება მაქვს და არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, მხოლოდ ის არის, რომ უგუნურად შარს არ გავატანე ამ გონიერი ხალხის დროებამისაგან გაყვითლებული წერილები. ამ წერილებს კი ჩემი განმარტება არა სჭირდებათ. ერთი რამე მაინც მინდა ვთქვა: გიგოს წერილში შესანიშნავად არის დახასიათებული ვასო. მე მიკვირს და ალბათ, მკითხველსაც გაუკვირდა. რა ქებითა და დიდებით ახსენებს უმცროს ძმას უფროსი და ამას ამბობს ვასოზე მაშინ, როდესაც მათი სათაყვანო მამა, გიორგი აბდუშელიშვილი, ჯერ კიდევ ცოცხალია და თუმც ფუძეძრული, მაგრამ ჯერ კიდევ მტკიცე ოჯახის დიდების თაღებქვეშ დგას; საკვირველია ეს და თანაც დიდად დამაფიქრებელი. აი, თვითონ გიორგი აბდუშელიშვილის პაწაწინა ბარათიც:

„შვილო ვასო!

ათასს გაკოცებ შენ, ელისაბედს თავის ქმარშვილით, და ადიკოთი. ჩვენ ყველანი კარგადა ვართ. შენი ამბავი დაწვრილებით მომწერე ამ გიგუცას ხელით. ნუ დამიფარავ. თუ ხელვიწროდა ხარ — მომწერე, ჩვენ მოვიკლებთ და შენ არ დაგაბრკოლებთ...

შენი მოყვარული მამა გიორგი აბდუშელიშვილი“.

წინა წერილში გიგო კიევიდან თბილისში წერდა ვასოს, სანამ შენ მანდ მეგულები, ოჯახის ჯავრი არა მაქვსო, მაგრამ ვასომ, რო-

ვ. აბოლიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი
კურსის სტუდენტი. დგანან: დ. ჩიქოვანი და ს. ჩხეიძე, 1908 წ.

ორც ითქვა, 1908 წლის ზაფხულში წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია, ოლო აგვისტოს მეორე ნახევარში მეგობრებთან ერთად პეტერბურგს გაემგზავრა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

უნივერსიტეტში ვასილ აბდუშელიშვილი. ცხადია, ყოველგვარი წინაღმდეგობების გარეშე ჩაირიცხა, მაგრამ პეტერბურგში ჩასვლისთანავე მას ქართველმა სტუდენტებმა სამწუხარო ამბავი დაახვედრეს: 24 აგვისტოს გარდაიცვალა დიდი ქართველი ფიზიოლოგი ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი და პეტერბურგის მთელი მოწინავე საზოგადოება ემზადებოდა ღვაწლმოსილი მეცნიერის უკანასკნელ გზაზე დიდი პატივისცემით გასაცილებლად. ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრები დიდად დაამწუხრა ამ ამბავმა: საღამოს ერთ-ერთი მეგობრის ბინაზე მოიყარეს თავი და შეუდგნენ რჩევასა და ბჭობას, თუ რითი ეცათ პატივი სახელოვანი თანამემამულის ხსოვნისათვის; მაგრამ დრო მიდიოდა და ყველა თავის საფიქრალს ფიქრობდა: ამ ფიქრში, რა თქმა უნდა, იყო რუსთველის „სადაურსა სად წაიყვან...", ბარათაშვილის — „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის...", ჭავჭავაძის — „შენი რაა, რომ ამშენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა" და წერეთლის „დედაშვილო-

ბამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“, მაგრამ ხმას არავინ იღებდა და რჩევას არავინ იძლეოდა.

ბოლოს გულამომჯდარმა სოლომონ ჩხეიძემ წამოიძახა:

— ჩვენ რა შავი მიწა გვაქვს, რომ ჩვენს სასახელო მამულიშვილს პატივი ვცეთო!..

— აი, სწორედ ეგ „შავი მიწა“ გვაქვს და თუ მაგას შეველევით, მაგაზე მეტი პატივი მისთვის ამჟამად წარმოუდგენელიც კიაო, — სთქვა ვასომ და... ყველა მიუხვდა ნათქვამის დიდ აზრს.

სამშობლოდან მიმავალ ყოველ ქართველს ისე... ყოველ შემთხვევაში... თუ ვინიცობაა... საკუთარ გულზე დასაყრელად თითო მუჭა მიწა მიჰქონდა თავისთვის და ყველა მათგანს თავს ერჩია ეს ერთი მუჭა მიწა, მაგრამ...

მეორე დღეს ყველამ გამოიმეტა თითო მისხალი მშობლიური მიწისა და ამრიგად, საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან აღებული მიწის მადლი დააყარეს გულზე მშობლიურ სითბოს მოწყვეტილი დიდი ქართველი მეცნიერის, ივანე რამაზის ძე თარხნიშვილის მიუსაფარ ცხედარს, როცა მის გაცივებულ ნეშტს რუსეთის მიწას აბარებდნენ.

„18 ენკენისთვე, 1908 წ. კიევი.

საყვარელო ძმაო ვასო! სირცხვილი არ არის, ბიჭო, რომ აქამდის შენი ამბავი არა მომწერე რა, თუ როგორ იმგზავრე, როგორ მოეწყვე, როცა ჩახველი პეტერბურგს... დღეს სრულიად შემთხვევით ვაჩეიშვილმა მითხრა, დეკანოზიშვილისაგან წერილი მივიღეო და მწერს ვასო აქ არისო და სხვა არაფერი... შემატყობინე მიგიღეს თუ არა...

შენი მოყვარული ძმა გ ი გ ო“.

ამრიგად, ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა — სტუდენტობა. მიუხედავად თითქმის გადაულახავი სიძნელეებისა, ხელმოკლეობისა და გაჭირვებისა, ვასო უდიდესი სიამოვნებითა და დიდი გატაცებით იგონებდა ხოლმე თავის სტუდენტობის პერიოდს. სამწუხაროდ, ბუნებით სიტყვაძუნწი, იშვიათად თუ მოჰყვებოდა ხოლმე რამეს პეტერბურგში ცხოვრების შესახებ. მაგრამ თუ მოჰყვებოდა, ისე ლაზათიანად იტყოდა, რომ მსმენელები აღტაცებით შეჰყურებდნენ ხოლმე მას. ჩაირიცხა თუ არა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, პირველივე სემესტრის დასასრულს მას სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნა, როგორც წარჩინებულ სტუდენტს. აქაც ერთი, მისთვის დამახასიათებელი, დეტალი მახსენდება: მან საკუთარი სტიპენდია იმ-

თავითვე თავის ხელმოკლე მეგობარს სოლომონ ჩხეიძეს შუაზე გაუყო. ეს, როგორც ჩანს, იმდროინდელი ქართველი სტუდენტებისათვის საერთოდ დამახასიათებელი მოვლენა იყო.

შეიძლება ვინმეს დაებადოს ბუნებრივი კითხვა: რატომ აძლევდა ვასო თავის სტიპენდიის ნახევარს სხვას და არა საკუთარ ძმას? პასუხი, მე მგონი, ერთნიშნა და მარტივია — ალბათ, მისი მეგობარი უფრო ხელმოკლე იყო, ვიდრე მისი ძმა, თუმცა უფრო მეტი ხელმოკლეობა, ვიდრე გიგო განიცდიდა კიევში, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, ალბათ, ასე იყო ეს და ჩვენც უნდა შევძლოთ წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი.

ამ „წარმოუდგენლის“ წარმოდგენას გარკვეულწილად გვიადვილებს ერთი ღია ბარათი, რომელიც ვასო აბდუშელიშვილის პირად არქივშია დაცული და 1908 წლით არის დათარიღებული; ის არა მარტო ვასილ აბდუშელიშვილის, არამედ, საერთოდ, იმ დროს პეტერბურგში მცხოვრები ქართველი სტუდენტების ცხოვრებაზედაც გვიქმნის წარმოდგენას. ამ წერილის ავტორი დავით კარიჭაშვილია, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი იმ დროს. აი, თვით წერილიც:

30 ნოემბერი, 1908 წელი (თბილისიდან — პეტერბურგში).

„ძვირფასო ძმაო ვასო! მხოლოდ გუშინწინ გავიგე მზრუნველის კანცელარიის მორიგესაგან, რომ შენთვის სტიპენდია გამოუგზავნიათ... დარწმუნებული ვარ, დიდ გაჭირვებაში იქნებოდი... შენი პირველი წერილი 25 იმ თვეს მივიღე... მომაგონდა ჩემი თავი ანალოგიურ პირობებში... თურმე სულის სიმტკიცე კიდევ სხვა ყოფილა... აქედან კოტესაგან მოკითხვა. მგონი არც გიორგი ახვლედიანი დადგებოდა უკან მოკითხვაზედ, რომ სცოდნოდა ამ წერილის არსებობა.

შენი ერთგული დათიკო კარიჭაშვილი.

ქართველი სტუდენტების საცოდაობა სასიამოვნოდ არ დამრჩენია; აქ წერილი გამოგზავნეს ერთი ჯგუფის სტუდენტებმა, ჩვენი ჟურნალი „ამომავალი მზე“ გამოეცით, მასალას ჩვენ კიდევ გამოგიგზავნითო.

დ. კ.“.

1909 წელს ოდესაში ახალდაქორწინებულმა ნიკომ, ბოლოს და ბოლოს, იშოვნა მეტ-ნაკლებად შემოსავლიანი სამსახური; ეს იყო კონტროლიორის ადგილი — РОПиТ-ში (Русское Общество Пароходства и Торговли).



ვ. აბდუშელიშვილის ძმა ნიკოლოზ, 1909 წ.

რაღაც პაწაწინა იმედები თავის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა გიგოსაც გასჩენია კიევში. აი, რასა სწერს ის პეტერბურგში თავის ძმას:

„26 აპრილი. კიევი.

ძვირფასო ვასო!

...გამოცდები პირველი კურსისა სამი ჩავაბარე, მეორე კურსისა — ორი, სულ ანგარიშით ხუთი და კიდევ დამრჩა მეორე კურსისა ხუთი ღვთისმეტყველებიანა. მაისის გასვლამდის ჩავაბარებ ორს, ხოლო ენკენისთვეში დანარჩენ სამს. ასე რომ, მესამე კურსზე, მგონია, გადავიდე. საქმე, ვასოჯან, აი რაშია: თუ ენკენისთვისათვის,

ღვთით, ეს საქმე განსპეტაკებული მექნა, მაშინ სრულ იმედს მაძლევს პრორექტორი, რომ სახაზინო სტიპენდიას დამინიშნავენ, სწავლის ფულის განთავისუფლებით, 300 მან. წელიწადში. ასე რომ, თუ მანდ აკადემიაში მოვხვდი III კურსზე, ხო ხოშ გელდი და თუ არა და აქაც მექნება უზრუნველყოფილი ლუკმა და როგორც იქნება, შევძლებ ცხოვრებას და სწავლას... რაც შეეხება ჩემ ადგილს, 10 ამ თვემდის მქონდა სამსახური და მერე კი, რადგან ეს ოხერი ტიფი მოისპო, დავრჩი მშრალზე; წარმოიდგინე ვალიც წამომაწყდა ხუთ თუმნამდის, აქაო და ჯამაგირი მაქვსო, ვზიდავდით ოთხი კაცი დუქნიდან ხორაგეულს, ხშირად ვახდენდით სასწაულს და ჩავჯექით ცოტა არ იყოს... არ ვიცი რა ვქნა, ადგილის ძებნაში ვარ დილით საღამომდის, და ჯერ ვერა ვიღონე რა. ზაფხულზე კი უთუოდ აქ ვაპირებ დარჩენას, რადგან გადავწყვიტე III კურსზე უსიკვდილოდ გადასვლა... ძალიან დავაშავე, რომ უფრო ადრე არ მოგწერე ხოლერის თაობაზე სანიტრად ჩაგეწერე როგორმე. შენი გიგო“.

ამ „სასწაულმა“ გამახსენა:

31 დეკემბრის ცივი და სუსხიანი საღამო იდგა. გიგო და მისი სტუდენტობის განუყრელი მეგობრები: მიშა ვაჩნაძე, ნიკო დემეტრაძე და არკადი გოცირიძე, მორიგი გამოცდისათვის ემზადებოდნენ და თან ვაეკაცურად ებრძოდნენ კარზე მომდგარ ხელმოკლეობას. უკანასკნელი გროშებით წინადღეს მოიბრუნეს სული, დღეს კი სამედიცინო ტერმინოლოგიასთან ერთად გასტრონომიული ჰალუცინაციებიც უმძიმებდნენ ისედაც მძიმე გუნება-განწყობას.

ნერვების ამშლელი საუბარი მიშა ვაჩნაძემ წამოიწყო:

— გიგო, ვაჩნაძიანში ჰყოფილხარ?

— ვყოფილვარ.

— იქაური ღვინო დაგილევნია?

— დამილევია.

— როგორია, ჰა?

— ღმერთებს რო ეკადრება!

— ჰო, — საუბარში ნიკო დემეტრაძე ჩაერია — შენი ხასიათი რო ვიცი, თუ ღმერთების საკადრისი არა, სხვას არაფერს იკადრებ ახლა?

— შენა ჰყოფილხარ, რო?

— არ ვყოფილვარ მე ვაჩნაძიანში!

— ჰოდა დადექ! იცი რა ღვინოა?.. სამი სუფრა რო გამაიცვალო, ერთი ჭიქაც კი ხელახლა მოგიყვანს მადაზე.

— არ მჭირდება მაგ ღვინო მე! არც სამი სუფრა გამომიცვლია

მე და მადაც ისეთი მაქვს, ძროხას შევჭამ თავის რქებიან-ჩლიქე-ჩიანა

— რად უნდა, ბიჭო, მაგას კახური ღვინო?! ღვინო კი არა, მა-გის მამას ლამპაში ფიტილი არ ჰქონია მიდღემჩი, ძარა მადა მაინც მისთანა ჰქონდა, ტყეში რო დეიარებოდა, ჯიბით დაჰქონდა ძმაო, სადაც ეკალას დეინახავდა, შეასხამდა ძმარს და ისე ჭამდა უმად. — გაკეხწლა არკადი გოცირიძემ დემეტრაძეები.

— ჰო, გოცირიძეები დაახრჩო, თურმე, რაჭაში ნაზუქის სუნმა და იმიტომ ჩამეკიდნენ თბილისში სუფთა ჰაერით უნდა ჩეკიკოკ-ლოხინოთო ყელი.

— ნაზუქი კი არა, ბიჭო, — არ ეშვებოდა არკადი გოცირიძე ნიკოს — აღათი ბიცოლაშენს სანახავად ენატრებოდა ქერის პური და ინდოურები შიმშილით რო არ დახოცოდა ეზო-ეზო დეიარებოდა და ჭინჭრის კრეფით ისე ქონდა ხელები დაფუთქულ-დასივებული, რო ბიჯვრის საწერად სამ თითს ვერ უყრიდა თავს.

— ინდოური არ ახსენო!.. — შეცხადებულივით იკივლა ნიკო დემეტრაძემ — ინდოური იყო გოცირიძეებს თელ რაჭაში რო მოჭ-რა თავი — დეიძახებდა თუ არა ჭიშკართან სტუმარი, გეიქცეოდა, თურმე, სულწაწყმედილი და თვითან გადადებდა ჯორკოზე კისერს— იცოდა მისთვის თავის მოჭრას რო საკუთარი თავის მოჭრა ერჩიათ გოცირიძეებს.

— ჰო, სტუმრის პატივისცემა დემეტრაძეებმა იცოდნენ თურმე კაი: სკამი რო არ ქონდათ — სტუმარს გადმობრუნებულ ვედრაზე აჯენდენ, საინის მაგიერათ კვახის ფოთოლს დოუდებდნენ წინ და ჭიქის მაგიერად თხის ყანწით ასმევდნენ ჩაის — კიდო კაი, შა-ქარი რო არ ქონიათ მისდღემჩი სახლში, თვარა რავალი მოსარევია ყანწში შაქარი მაგი ნიკოს უნდა კითხოს კაცმა.

— ჩაი არ თქვა, ჩაი არ თქვა!.. — კიდევ ერთხელ შეიცხადა თურმე ნიკო დემეტრაძემ — გოცირიძეები სამოვარს მეზობლების დასანახავად თუ ააბოლებდნენ ეზოში, თვარა მერე შეიტანდნენ სახლში და იმ ცხელი წყლით კედეტილებს დუღრავდენ და მაინც იმდენი კედეტილა ყავდათ სახლში რო წაძინებულ სტუმარს კი არა, ძროხას შეეამდენ ძვლებიანა.

— დემეტრაძე, არ თქვა ახლა ბიცოლაჩემ აღათის ჩაიზე ბა-დუშკა კამფეტების წუწნამ ჩამოაცვენიაო კბილები და მიტო დეეშ-სგავსაო ცხონებული ბოლში გამოყვანილ შიმშილის ანგელოზს.

— გიგო, მომაშორე თუ კაცი ხარ ეს ენამყრალი ყაზახი თავი-დან, თვარა ისეთ მადაზე და გუნებაზე ვარ რო ევიღებ რჯულზე და ნამუსზე ხელს და დიპლომის მაგიერად მის გამოხრულ ძვლებს გო-უგზავნი ფილიპე-მამამის, რაჭაში.

მეტის ატანა შეუძლებელი იყო.

გიგო ადგა და გარეთ გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მეზობელი დუქნის ბიჭმა ვეებერთელა კალათი შემოიტანა და...

— Это вам с Рачи Боги гостинцев шлют!-ო — თქვა და გაუცინა სწავლისა და შიმშილისაგან არაქათგამოცლილ სტუდენტებს.

კალათას თავი ახადეს შემკრთალმა ბიჭებმა და გაოცებისაგან, ერთხანს, ენაც კი დაებათ. ღმერთო, რა არ იყო იქ: სახელგანთქმული რუსული „ბუჟენინა“ და უკრაინული ძეხვი, სათალი და დოში, შემწვარი ბატი და ბრინჯით გატენილი. იხვი, ნუშიანი ნამცხვარი და... 10 ბოთლი უკრაინული „ღორილკა“ — გონსმოსული ბიჭების „ბრავომ“ მთელი სახლი შეაზანზარა და როცა ოთახში „სასწაულმოქმედი“ გიგო შემოვიდა, ძმაკაცებმა მადლობის ნიშნად მისი ხელში ატაცება სცადეს, მაგრამ... გიგო რვა ფუთს იწონიდა მაშინ.

მეგობრებმა დიდებული დროება გაატარეს და გიგო კი, როცა ვასოს ზემოხსენებულ წერილს სწერდა, ალბათ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ ქვეყნად „სასწაულები“ არ ხდება, თუმცა არა მგონია, ის მაინცა და მაინც დიდად შეეწუხებინოს ამ აღმოჩენას.

1910 წელს რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდი დაიწყო. ამან ახალი სხივი შეიტანა უმაღლეს სასწავლებლებშიაც და... პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების საზოგადოებრივი მაჯისცემა ისევ საგრძნობი გახდა. ვასილ აბდუშელიშვილი ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტია, ღებულობს სახელმწიფო სტიპენდიას, შემოკრებილი ყავს თავის გარშემო მოწინავე სტუდენტების მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ძირითადად ქართველი და რუსი ახალგაზრდებისაგან შედგება. ამხანაგები ხშირად იკრიბებიან მასთან. მსჯელობენ საუნივერსიტეტო და საზოგადო პრობლემებზე. კამათობენ სპეციალურ საკითხებზე, ხოლო როცა საშუალება ეძლევათ, არც დროსტარებას და სასიამოვნო საზოგადოებას გაურბიან. მე ამ პერიოდის მხოლოდ ორიოდ საგულისხმო ეპიზოდს გავიხსენებ, რომლებიც ვასო აბდუშელიშვილის გასაოცარ შრომისმოყვარეობასა და მეხსიერებას ადასტურებენ. მე ისინი მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობრის დავით ჩიქოვანისაგანა მაქვს გაგონილი:

ერთ დღეს ვასო მისთვის მეტად სასიამოვნო ოჯახში იყო თურმე მიწვეული სადილად. იქ წასასვლელად მთელი კვირის განმავლობაში ემზადებოდა... მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ იმ საღამოსათვის, როდესაც ვასო სტუმრად უნდა წასულიყო, ერთ-ერთმა პრო-

ფესორმა პრაქტიკული მეცადინეობა დანიშნა უმაღლეს ალგებრაში... ვასო ის კაცი არ იყო, რომელიც მოვალეობას ჰაიჰარად მოეკიდებოდა, მაგრამ გული სტუმრადაც უწევდა, ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ სტუმრად წასულიყო, ხოლო იქიდან — პირდაპირ მეცადინეობაზე. ასეც მოიქცა. როცა ნასიამოვნები და კმაყოფილი სტუდენტი უნივერსიტეტს მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, რომ თან არა ჰქონდა ბრადისის ოთხნიშნა ლოგარითმების ცხრილი, რომლის გარეშე პროფესორი მსმენელებს მეცადინეობაზე დასწრებას უშლიდა; მაგრამ სახლში დაბრუნება უკვე გვიან იყო და ამიტომ ვასომ გაბედა და შეაღო აუდიტორიის კარი; როცა პროფესორმა დაგვიანების მიზეზი ჰკითხა და თანაც ბრადისის უქონლობა უსაყვედურა, ვასომ უპასუხა:

— მე მინდა შევეცადო, ცხრილის გარეშე ვიმუშაო დღეს.

პროფესორმა გაოცებული მზერა შეავლო სტუდენტს, აუდიტორიაში კი შეკავებული სიცილი გაისმა; ვასოს ეს ძალიან ეწყინა თურმე. წავიდა, ცალკე მდგომ მერხზე დაჯდა, გადაიწერა დაფიდან დავალება და შეუდგა მის ამოხსნას. ყველა სულგანაბული ელოდა, რით დამთავრდებოდა საქმე — საქმე კი იმით დამთავრდა, რომ ვასომ პირველმა დაუდო პროფესორს მაგიდაზე შესრულებული დავალება. პროფესორის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— კი მაგრამ, როგორ?.. თქვენ რა, ზეპირად გახსოვთ ბრადისის ცხრილი?

— თითქმის. — უპასუხა ვასომ და დაბღვერილი დაჯდა თავის ადგილზე.

აუდიტორიაში აღარავინ იცინოდა და ყველა გაკვირვებული უყურებდა ცოცხალ ფენომენს.

ეს მართლაც, ფენომენალური მეხსიერების მქონეს შეეძლო, მაგრამ ვისაც ვასო აბდუშელიშვილის ხელში გაუვლია მათემატიკური წვრთნა, ყველას ახსოვს, ალბათ, რომ ის ბრადისში არაჩვეულებრივ იყურებოდა ხოლმე. შემდგომში, უკვე თავისი მასწავლებლობის დროს, ერთი-ორჯერ შეცდა, თურმე და ამიტომ ბოლოს ერიდებოდა ცხრილის ზეპირად ცოდნის დემონსტრირებას, მაგრამ პირველი სამი ციფრი რომ ზეპირად იცოდა, ეს ყველა მის ნამოწაფარს ახსოვს, ალბათ.

კიდევ ერთი საგულისხმო შემთხვევა:

ერთხელ. პეტერბურგელი ამხანაგების წრეში, ერთ-ერთ ქართველ სტუდენტს სენსაციური ამბავი უთქვამს:

— ხალხო, გაიგეთ?!.. შალვა მესხიშვილს ნიძლავზე ბროკჰაუზის ენციკლოპედიის 86-ვე წიგნი თავიდან ბოლომდე წაუკითხავს, თურმე!

— მერე, რა მოიგო ნიძლავში? — იკითხა ვასომ.

— ხუთკაციანი ვახშამი. — უპასუხა ამბის მთქმელმა.

— ეგ რა მოგებაააო. — თქვა ერთმა იქ დამსწრე სტუდენტთაგანმა. — ეგ შალვა მესხიშვილს კი არა, იმ ხუთ კაცს მოუგიაო ვახშამი!

— დანიძლავებით არავის დავნიძლავებივარ, — უთქვამს ვასოს, — მაგრამ ბროკჰაუზი მეც თავიდან ბოლომდე წავიკითხე და მოგებაც მთლიანად მე დამრჩაო!

— შენ რაღა მოიგეო, — ჰკითხეს ამხანაგებმა.

— ბევრი რამ ისეთი, რაც მანამდე არ ვიცოდი, და დღეს კი ვიცი!

— ეგ მოგება ხომ მესხიშვილსაც ნაღდად დარჩა.

— მერე, მე როდის ვთქვი, მესხიშვილი წაგებული არის-მეთქი! — თქვა ვასომ და ამით დაასრულა დავა.

რომ ის „მოგება“ ვასოს ნამდვილად მთლიანად დარჩა, ამაში მე მგონი, ყველა დამეთანხმება, ვინც მას იცნობდა, რადგან მისი ზოგადი განათლება, მართლაც, ენციკლოპედიური იყო, ხოლო ფაქტების ცოდნა — ფენომენალური, გასაოცარი!

1912 წელს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახს. სრულიად მოულოდნელად, 50 წლისა, გარდაიცვალა ვასოს ბიძა (დედის ძმა) კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე. დიდი მოამაგე და მზრუნველი დაკარგეს ვასომ და მისმა ძმებმა. დღეიდან ქუთაისის ბუდე, რომელიც მუდამ ზრუნავდა მათზე, თვით გახდა საზრუნავი და მოსავლელი, მაგრამ ეს უბედურება, ალბათ, შეუდარებელი იყო იმ მეორე უბედურებასთან, რომელიც 1913 წელს დაეცა ოჯახს: სოფელ ფხვენისში, ფილტვების ანთებით, სრულიად მოულოდნელად, გარდაიცვალა გიორგის უფროსი ვაჟი — ზურაბ აბდუშელიშვილი. ყველაზე თავზარდამცემი იყო ის, რომ არც მშობლებმა და არც ძმებმა არაფერი იცოდნენ მისი ავადმყოფობის შესახებ. ერთ ავად სახსენებელ დღეს, ამ ბუმბერაზი ვაჟკაცის ცხედარი ქართლიდან ამოასვენეს და კარზე მიაყენეს თავზარდაცემულ ოჯახს.

თავზარდამცემი იყო ოჯახისათვის ზურაბის მოულოდნელი სიკვდილი, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და 1913 წლის 26 ივნისს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დიდის წარმატებით ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტს, რაც არ შეიძლება მალამოდ არ დასდებოდა წატკივარ იარას; აი, ცნობა მისი საუნივერსიტეტო წარმატების შესახებ:

ელემენტარული მათემატიკა — 5

ზოგადი ფიზიკის კურსი — 5
ანალიზის შესავალი — 5
უმაღლესი ალგებრა — 5
დიფერენციალური აღრიცხვა I ნაწ. — 5
დიფერენციალური აღრიცხვა II ნაწ. — 5
ინტეგრალური აღრიცხვა I ნაწ. — 5
ინტეგრალური აღრიცხვა II ნაწ. — 5
დიფერენციალური ტოლობები — 5
უმაღლესი გეომეტრია — 5
დიფერენციალური ტოლობების გეომეტრიული თეორია — 5
მეტეოროლოგია — 5
ვარიაციული აღრიცხვა — 4,5
ასტრონომია — 4
ანალიზური მექანიკა — 4
არაორგანული ქიმია — 5

სანამ ჩემს თხრობას გავაგრძელებდე, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ვასილ აბდუშელიშვილის აკადემიური წარმატების შესახებ. ალბათ, გასაოცარი უნდა იყოს ასეთი მაღალი შეფასებები, რომელიც მას ცარიზმის პირობებში პეტერბურგის უნივერსიტეტში მიუღია, არა?!.. ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სჭარბობდნენ პროგრესულად მოაზროვნე, ყოველგვარ ნაციონალისტურ შეზღუდვას მოკლებული პროფესორ-მასწავლებლები, მაგრამ მათ რიცხვში, ალბათ, მცირე არ იყო შოვინისტურად განწყობილი ელემენტები და მაინც, ვასილ აბდუშელიშვილის ასეთი წარჩინება უსათუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ის განსაკუთრებული ნიჭისა და დიდი მონდომების პატრონი ყოფილა იმთავითვე. აქვე ისიც მინდა დავუმატო, რომ უნივერსიტეტში მას ოფიციალური წინადადებაც მისცეს დარჩენილიყო უმაღლესი ალგებრის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ...

თვითონ ვასო აბდუშელიშვილი დარწმუნებულიც იყო და ასეც ასაბუთებდა თავის სამშობლოში დაბრუნებას, რომ ოჯახს, რომელსაც მან ჭაბუკობიდანვე შეუდგა მხარი, „დახმარება სჭირდებოდა“: ჩვენს წინა თხრობაში არა ერთი ფაქტია იმის დამადასტურებელი, რომ ეს ნამდვილად ასეა. ისიც ფაქტია, რომ ზურაბის თქმისა არ იყოს, მისი „დაბრუნება ბევრს რასმე შეცვლიდა ოჯახში“, ცხადია, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგრამ ახლა, 75 წლის შემდეგ ჩვენთვის ადვილია, განვსაჯოთ სწორი იყო თუ არა ეს მისთვის საბედისწეროდ გადადგმული ნაბიჯი. მე ვიცი, რომ თვითონ ძია ვასო ნამდვილად არ მომიწონებდა ამ განსჯას, და ამიტომ შენდობას ვითხოვ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე,

მაგრამ მაინც ვთელი, რომ ეს შეცდომა იყო და თანაც ძალიან დიდი! ძალიან დიდი იმიტომ, რომ მისი შედეგი არა მარტო ოჯახის, არამედ უფრო დიდი მასშტაბითაც კი გაუმართლებელი გამოდგა. ვასილ აბდუშელიშვილი ის კაცი იყო, რომელსაც დიდი საქმეები უნდა ეკეთებინა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მას ასეთად იცნობდნენ სტუდენტობისას, ამასვე ელოდნენ მისგან მისი თანაკურსელები და პროფესორები, ცხოვრებაში კი ის, ბოლოს და ბოლოს, საშუალო სკოლის მასწავლებლის საკმაოდ მოკრძალებულ საფეხურს დასჯერდა. მე ვიცი, რომ ჩემთან კამათი ადვილია. ისიც ვიცი, რომ საშუალო სკოლას არანაკლებ სჭირდება ძლიერი და მომზადებული პედაგოგები, ვიდრე უმაღლეს სასწავლებელს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ... „ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა"; საშუალო სკოლა არ იყო ის სარბიელი, სადაც ვასო აბდუშელიშვილს შეეძლო გამოევლინებინა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობა. მე მქონდა ერთხელ ამის შესახებ მასთან საუბარი და ვიცი, რომ თვითონ ის სულ სხვა აზრისა იყო, მაგრამ ამის შესახებ, სხვა დროს, თავის ადგილზე იქნება თქმული, ახლა კი...

ძნელი და მომქანცველი იყო ის გზაცა და ის ფიქრიც, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა, ამიტომ, მე მგონი, უკვე დროა მცირე ხნით მაინც გადავიდეთ დიდი გზიდან, გავყვეთ ფიქრების ბილიკს და წარსულის ტევრში დავიჩრდილოთ: დიდი ოჯახის „განკარგებაზე" ფიქრი და რუდუნი ძმებს ცხოვრების დიდი და ნათელი გზიდან შალაურის ბილიკებისაკენ ეწეოდა მუდამ. ამიტომ აიღო ვასომ პეტერბურგში საპროფესოროდ მომზადებაზე ხელი და შალაურში მოდგა; ამიტომ არ მიიღო თავის დროზე გიგომ პროფ. ნ. ვოლკოვიჩის[1] წინადადება ქირურგიაში დასპეციალებაზე და განთავისუფლდა თუ არა სამხედრო სამსახურიდან, შეენაცვლა სოფელში ვასოს; ამიტომ დაეძებდა საარსებო წყაროს ნიკო ოდესაში, რომ როგორმე დახმარებოდა ოჯახს — ნაცვლად იმისა, რომ განეგრძო პეტრე მელიქიშვილთან ქიმიაში მეცნიერული კვლევა-ძიება; ამიტომ მიატოვა ყარამანმა ქუთაისში ბაქრაძისეული სამოსახლო და შალაურს „მიხედა" და ბოლოს ამიტომვე მიატოვა ადამმა თბილისში სახელმოხვეჭილი თერაპევტის ცხოვრება და უკვე თითქმის დანგრეულ ბუდეს შეუდგა მხარი... შალაურის ტალახში ჩაიზილა ამ დიდი ძალის მქონე ადამიანების მთელი ნიჭი და უნარი!.. არც ერთმა არ დაუშვა, რომ მათი ენერგია ბევრად უფრო დიდი საქმეების კეთებას შეძლებდა და

---

1 Волкович Николай Маркианович (1858—1928), советский хирург, зв. БСЭ, № 8.

რომ ამ საქმეთა შემძლებნი შალაურსაც ერთი თითის განძრევით დააყენებდნენ ფეხზე; დიაღ, ვასო რომ პეტერბურგის სამეცნიერო კერას ნაადრევად არ მოშორებოდა, ვინ იცის!.. იქნებ მასაც დაედო წილი ქართული მათემატიკური სკოლის ფუძის ჩაყრაში; გიგოს რომ მიეღო ნ. ვოლკოვიჩის წინადადება — იქნებ ისიც გამხდარიყო მეცნიერული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი თუ არა, მხრის ამბმელი მაინც საქართველოში, იქნებ ნიკო... ან იქნებ ადიკო... ან იქნებ ყარამან... მაგრამ არა... ჭლაპაურების მეიდანს დახვნა უნდოდა და ხარები არ ვარგოდნენ... ახოს ვენახს გათოხნა უნდოდა და... მკლავშაგარი არავინ იყო — ასე ფიქრობდნენ ძმები... და ასე იყო სულ... და ასე იქნება სულ... სანამ სულ არ დაინგრევა შალაურის სახლი (მე მარტო კედლები არა მაქვს მხედველობაში) და ქვეშ არ დაიტანს ამ მძლეთა-მძლე გოლიათების მთელ ნიჭს, უნარს, მცდელობას, შრომას, რუდუნსა და ცოდნას.

ღმერთო შემინდე! ეს რომ თუნდაც ერთს, რომელიმე მათგანს, გაეგონა ჩემგან... გაეგონა რა იოლად — რა გამანადგურებელი მსჯავრი გამოვუტანე მე მთელი მათი ცხოვრების ნაოცნებარსა და ნაშრომს! ალბათ, მომკვეთდნენ, თავიანთი ოჯახიდან გამაძევებდნენ და დამწყევლიდნენ — მათ კი როგორ ჯეროდათ ჩემი!

მაგრამ, ღმერთმა ხომ იცის, აქ მე უბრალო ვარ — ეს მე კი არა, ცხოვრებამ გამოიტანა ასეთი დაუნდობელი მსჯავრი და მე ეს მსჯავრი მხოლოდ ქაღალდზე გადავიტანე.

საჭირო იყო ეს!

ამრიგად. 1913 წელს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მასწავლებლობა იმავე გიმნაზიაში, რომელიც მან ასეთი წარმატებით დაამთავრა ხუთიოდე წლის წინათ.

1913 წლის 1 ენკენისთვეს (სექტემბერს) მან ჩაატარა თავისი პირველი გაკვეთილი ალგებრაში ქართული გიმნაზიის VIII კლასში. მე მინდა დავიხსომოთ ეს თარიღი.

1914 წელს რუსეთის ძირმომპალი იმპერია შეაზანზარა პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. 19 ივნისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთის იმპერიას. 1918 წლამდე გაგრძელდა ეს ომი. მარტო საქართველოდან 200 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა ამ სისხლისმღვრელ ეპოპეაში. რუსეთის იმპერიაში ისედაც აუტანელი ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ცხადია, აბდუშელიშვილების ოჯახსაც მისწვდა ომის მრისხანე ტალღა. ამ წელს კიევში გიგოს ვადაზე ადრე დაამთავრებინეს საექიმო ფაკულტეტი და მაშინვე სამხედრო სამსახურში განაწესეს. ეს, ცხადია, დიდი დაბრკო-

ლება იყო ოჯახისათვის, რომელიც დღე-დღეზე ელოდა მის დაბრუნებას და მისგან შემწეობას. ქართლში მოულოდნელად გარდაიცვალა ვასო აბდუშელიშვილის უფროსი და მართა ფალავანდიშვილისა. მის ობლებზედაც ზრუნვა ძირითადად აბდუშელიშვილების ოჯახს დააწვა. ოდესიდან ნიკო ვერ ახერხებს თავის დახსნას და ასე შორიდან, შეძლებისდაგვარად, ცდილობს დაეხმაროს ოჯახს. მთელი ტვირთი ოჯახისა ძირითადად ვასოს აწევს მხრებზე.

29 აგვისტო (ქუთაისიდან თბილისში). „ეს არის შენი წერილი მივიღე ჩემო ვასო. ...დარწმუნებული ვარ, რომ შენ არა გაქვს გული აქეთ გადმოსვლისა... მაგრამ ვფიქრობ, რომ აქ აჯობებდა შენთვის... გუშინწინ გიგომ და მარიკამ გამომიარეს, ოდესაში მიდიოდნენ, მაგრამ მე უსაყვედურე — როგორ არ წადით ფხვენისში ორივე, არ შეაგონეთ ადიკოს, რომ დაბრუნებოდა მერვე კლასს... რაღაც ისეთი გაუბედავები, თუ სიმარჯვეს მოკლებულები ხართ, ვერ მიგყავსთ ცხოვრების გზა სხვებსავით, რომელნიც თქვენზე ნაკლები არიან ყოველი მხრით. ამ დილაზე წავიდნენ ფხვენისში, ვეცდებით ადიკოს როგორმე უქციოთ მხარიო... გიგოს არ უნდოდა ჯერ წასვლა, მაგრამ მარიკამ აიჩემა. გრიშა ფხვენისში საჭიროც იყო და დაისვენებდა კიდეც. კიევში ერთი თვე ტყუილა უნდა ვიყოო... ვფიქრობდი წლის წირვას მაინც დავესწრები და დამეშალა ეს გეგმებიო.

რატომ შენ მისამართს არ იწერები? სად დგეხარ ეხლა, იქირავე ბინა თუ არა?.. კიტა მანდ წამოსულა და მითხრეს მის ცოლს არ უნდა ქუთაისში გადმოსვლაო.:. ვერ ვარ კარგ გუნებაზე.

შენი დეიდა ტასიკო“.

10 სექტემბერი (კიევიდან თბილისში). „ძმაო ვასო! წლის წირვა თუ გქონდათ და როგორ ჩაიარა... სამსახურს როგორ ემადლიერები, ფხვენისის საქმეები როგორა გაქვს... თიკო სადაა ეხლა... ნატომ სად მოილოგინა, ბიჭიკო სადაა ეხლა, ისევ აპალოსას არის თუ შალაურში... ადიკო როგორ არი? მე და მარიკას მოგვცა სიტყვა, უთუოდ დავბრუნდებიო სკოლაში... ამბობენ მეტად ძვირი თურმეა ბინა ეხლა თბილისში, როგორ დაბინავდით? მე დარწმუნებული ვარ, რომ ყარამანის ხიზანი ისევ ფხვენისში იქნება ამ ზამთარში, თორემ ამდენი ხალხის ქალაქში დაბინავება და გამოკვება თქვენ არ შეგიძლიათ...

შენი მოყვარული გ ი გ ო“.

15. ოქტომბერი (შალაურიდან თბილისში). „შვილო ვასო! შენი წერილი კარგა ხანია მივიღე, მაგრამ პასუხი მისთვის დაგვიანდა, რომ

ჩვენ, თან ჩვენი უბედურებით და თან ამ დაქცეული ამინდებით, ჯერაც ვერ მოვრჩით თუ რამე მოვიდა მის მოვლასა და მინახვას. ახლაც ცუდი ტაროსებია, მაგრამ მაინც გადაეწყვიტეთ 21 ოკდომბრისათვის, დიდ სამშაბათს[1], მაგრამ შენ ორშაბათს და ან კვირეს მაინც უნდა იქნე აქ. უქმეებიც არის კვირიდან ხუთშაფათამდის. თიკოც აქ არის. ჩვენც რაც შეიძლება შეევემზადებით. მხოლოდ შენ ჩამოსვლამდე ვერავის მოვიწვევთ. შენ პირდაპირ ჩემთან ჩამოდი. შეეხედოთ ამინდსაც ჩვენ მომზადებასაც და როგორც ჯობდეს, ისე მოვიქცეთ, ქუთაისს თუ ჩახვედი ძალიან შეგეშლება ხელი. ასე, ჩემო ძვირფასო შვილო! შენი ძლივს ცოცხალი

მამა გიორგი აბდუშელიშვილი".

30 ოქტომბერი (ოდესიდან თბილისში). „საყვარელო ძმაო ვ>სო! თითქოს დაუბრებული ვიყოთ, ამდენ ხანს სიჩუმე რა ამბავია.. მერე ისეთ დროს, როცა სულიერ-ზნეობრივი სიახლოვე შენიანისა კაცს ასე სწყურიან!.. ოსმალოს თავდასხმამ გვაიძულა გემთ მიმოსვლა შეგვეჩერებინა... მშვიდობიანობის მხრით ოდესას არა მოელის რა, თუ რუმინეთმა არ გამოილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ... რაც გიგო და მარიკა მოვიდნენ, მას შემდეგ ერთი ბარათიც კი არავისგან მიმიღია, მარტო ტასიკოსი... მეხვეწება შენ ჩაგაგონო, რომ ქუთაისს გადახვიდე... მართლაც და გარდა იმ უდიდესი ამაგისა, რომელიც ჩვენს ოჯახს მართებს ტასიკოსი, შენი ქუთაისში მთავრობის გიმნაზიაში დაბინავება და იმ მშვენიერი მამულის მოვლა, დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია. შენ ისეთი მძიმე ტვირთი გაწევს და ისე დაუზოგავად ეკიდები შენს თავს, რომ თუ რიგიანი მოვლა არ გექნა და ტვირთი არ შეიმსუბუქე, რამეს აუტეხ შენ თავსა და ყველას ყელს გაგვჭრი... დიდად გავიხარე, რომ ადიკომ არ იჯიუტა და გიმნაზიას დაუბრუნდა... გიგოც, ღვთის მადლით, მალე მოგვეშველება და მაშინ ხომ ყოველ დაბრკოლებასა და შევიწროვებას ადვილათა ვძლევთ. ძალიან სასიამოვნოდ დამრჩა, რომ თქვენს სკოლას ისევ დაუბრუნდა აგეთი დინჯი, გამოცდილი, საქმიანი და თავიანი კაცი, როგორც ალექსი ჭიჭინაძეა... გიგოსაგან, რაც წავიდა არა ვიცი რა... აქ ხმებია, მეოთხე კურსის მედიკებს მაისში მოსთხოვენო სახელმწიფო ეგზამენებსა და დიპლომებს ჩააბარებენო... არც შინიდან მიმიღია ბარათი... საბრალო მოხუცნი, მარტოდ-მარტონი არიან და ვერავითარ ყურადღებას ვერ ვაქცევ ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხ-

---

1 არ ახსენებს რა გადაწყვიტეს ამ დღისათვის, ალბათ სიტყვა „წლისთავის" თქმა ეძნელება, ვასოსთვის კი ალბათ ნათელია, რაზეა ლაპარაკი.

ვინოდ. მომიკითხე და დამიკოცნე ყარამანი, ადიკო, ნატო შვილებით, ვასიკო და ელისაბედი შვილებით. აგრეთვე სეითი.

შენი მოყვარული ნ. აბდუშელიშვილი“.

22 ნოემბერი (ოდესიდან თბილისში). „საყვარელო ძმაო ვასო! ვერ წარმოიდგენ, როგორ შემაწუხა და დამანაღვლიანა საბრალო ძია ვანოს ასე მოულოდნელად გარდაცვალებამ. ჯერ კიდევ მხნე და ჯანსაღი კაცი როგორ გაჰქრა ასე უეცრად; თუმცა ზურაბის დამკარგველები რაღამ უნდა გაგვაკვირვოს! რა კეთილი, თავაზიანი და უწყინარი რამ იყო საბრალო ძია, როგორ უყვარდით ყველანი. ეს უბედურება ღა აკლდა ისედაც ჯავრით გატეხილ მამაჩემს! რამდენ სიმწარეს მოესწრო ის საწყალი, როგორ დაიჩაგრა ყოველის კუთხით!.. ბევრი ვიტირე...

სხვათა შორის, გიგო ერთ სასიამოვნო ამბავსაცა მწერს — კარგი სტიპენდია მიულია და ამასთანავე თუ მაისში არა, სექტემბერში მაინც დიპლომსაც მიიღებს, ეს კი ჩვენთვის დიდი ნუგეშია. მეტად და მეტად გვესაჭიროება ყველას მისი მოშველება, თორემ დიდათ შეფერხებული ვართ ამ ქამად. თქვენ რასა შვრებით? მეტად მძიმე უღელს ეწევი და ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს, რა ვიღონო, არ ვიცი.

...ათასობით დამიკოცნე ადიკო, ყარამანი ცოლ-შვილით და ელისაბედი ქმარ-შვილით.

შენი მოყვარული ძმა ნ. აბდუშელიშვილი“.

ვანო აბდუშელიშვილის გარდაცვალება მთელი ოჯახისათვის და განსაკუთრებით მისი გამზრდელი ძმის, გიორგისათვის, უდიდესი უბედურება იყო. ვანოსთან ერთად გაიარა გიორგიმ მთელი თავისი ცხოვრების გზა, მასთან ერთად ხვდებოდა ბედის წყრომასაცა და ბედის მზეობასაც და აი ახლა, თავისი ცხოვრების მიმწუხრის ქამს, ვანომ, რომელიც გიორგის ხელით იყო ობლობაში გაზრდილი, მისსავე ხელზე დალია სული.

საოცარი იყო, თურმე, ამ ორი ძმის დამშვიდობება.

ვანო სადღაც გაცივდა, მაგრამ ავადმყოფობას არ დაუწვა: გაცივება ფილტვების ანთებით გაურთულდა და ერთ, ავადსახსენებელ დღეს, ვანომ იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოვიდა. ყველა ახლობელი ოთახიდან დაითხოვა, თვალცრემლიან ქალებს ძლივს გასაგონად, მაგრამ მაინც მტკიცედ მიმართა:

— ჯერ ცოცხალი ვარ, ეგ ცრემლები კი შემოინახეთ, მალე დაგჭირდებათ! — მერე გიორგის ჩამოალებინა კედლიდან სადაფით გაწყობილი ჩანგური, თავთან დაისვა და სთხოვა:

— ჩემო გიორგი, მე სიმღერასა და მხიარულებაში გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება და ასევე მინდა წავიდე ამ ქვეყნიდან... დამიკარი რამე... — მერე ლოგინზე გასწორდა, გულხელი დაიკრიფა, თვალები დახუჭა და სმენად იქცა... გიორგიმ აიღო ხელში ჩანგური და თვალცრემლიანმა ათრთოლებული თითებით ჩამოჰკრა სიმებს. დიდხანს, დიდხანს ისმოდა ძველი ქართული საგალობელი, რომელსაც მათ, ოდესღაც, ბავშვობაში დიდი დედა მაია უმღეროდა ხოლმე; როგორც დამრჩენს, ისე მიმავალს თვალებიდან ცრემლი სდიოდა და ედინებოდა ახლა უკვე დროჟამისაგან შეევრცხლილ წვერ-ულვაშს. ბოლოს ვანოს დახუჭული თვალებიდან ცრემლის დენა შეწყდა და გიორგი მიხვდა, რომ ვანო უკვე აღარ იყო. განსვენებულს არც გულხელის დაკრეფა და არც თვალების დახუჭვა აღარ დასჭირდა. იგი მზად და მხნედ შეხვდა სიკვდილს.

როცა ვანოს ოთახიდან გამოსულ გიორგის სახეს შეხედეს შინაურებმა, აბდუშელიშვილების ოჯახიდან ზარის ხმა გაისმა.

კიდევ ერთი... გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ვანომ თავის საკარმიდამოში, ნაციხვრის ძირას, უზარმაზარი, 90 კოკიანი, ღვინით სავსე ჭური აღმოაჩინა. ვინ იცის, რა დროს, ვის მიერ და რა მიზნით ჩაკირული. სწორედ ეს ღვინო მიართვეს ჭირის პურზე მოსულ სტუმრებს. დღემდე ლეგენდად ყვებიან ამ ღვინის სიკეთესა და მადლს ახლო-მახლო სოფლებში: და კიდევ ერთი: დაუხარჯავი ღვინო მეზობლებს დაურიგეს, სახლში არა შეუტანიათ რა: „ეს ღვინო ვანოს გამოუგზავნა ღმერთმა და ღმერთმა მასვე მოახმაროსო ის!“

1915 წელი აბდუშელიშვილების ოჯახში უდიდესი უბედურებით დაიწყო. 83 წლისა გარდაიცვალა თვით გიორგი ოთარის (ოტიას) ძე აბდუშელიშვილი. მისი გარდაცვალებით დასრულდა დიდი ხანა, შალაურელი აბდუშელიშვილების ოჯახში. მისი გარდაცვალების შემდეგ ახალი პერიოდი იწყება მათ ცხოვრებაში. მე არც შემიძლია და არც მსურს ერთნიშნა შეფასება მივცე გიორგი აბდუშელიშვილის პიროვნებას. ჩემთვის მხოლოდ ერთი რამეა სრულიად უდავო: ის იყო უაღრესად რთული და ძლიერი პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო თავისი შვილების ცხოვრებაში, არამედ ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვინც მის დროს, ან მის შემდეგ ცხოვრობდა მის მიერ შექმნილ დიდ ოჯახში.

საოცარი იყო მთელი მისი სიცოცხლე და კიდევ უფრო საოცარი — მისი გარდაცვალება: დიაღ... დიაღ... გარდაცვალებაც საოცარი იყო მისი, არა, საოცარი კი არა... თავზარდამცემი!! და თუ მე ვცდები — თვითვე განსაჯეთ: ის, როგორც უკვე ითქვა, არ იყო ჩვეული მეტოქესთან გაცლას, თავის არიდებასა და, მით უმეტეს,

ვ. აბაშელიშვილის მამა გიორგი, ძმა ოტია
და ბიძა ივანე, 1893 წ.

ქედის მოხრას — ალბათ ამიტომაც, მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, თავაწეული მიდიოდა ცხოვრების გზაზე და გრძნობდა, ხედავდა, რომ ყველა ერიდებოდა მასთან შეხლას, ყველა გაცლას ამჯობინებდა მასთან შეჯახებას და მოწიწებით, პატივისცემითა თუ შიშით — გზას უთმობდა და შორიდან უვლიდა მას.

ამას მიეჩვია ის და, ალბათ, სხვაგვარად არც წარმოედგინა თავისი ცხოვრება.

მაგრამ, ბოლოს, ჩამოჰკრა მისი ბედისწერის საათმაც...

მოვიდა მეტოქე, რომელმაც გზა არ დაუთმო მას, არ მოერიდა მას, თავი არ აარიდა მასთან შეხლას და არ გაეცალა მას...

ამჯერად მეტოქეს სიკვდილი ერქვა...

გიორგი მიხვდა ამას... მიხვდა ამას და მაინც განრისხდა და იუ-

კადრისა ეს — იუკადრისა სიკვდილი!!! — მე როგორ შემომბედაო?! — და განმარტოვდა, ყველა ჩამოიშორა და ისევ გულდაგულ, მარტოდმარტო — სხვისა იმედის გარეშე — დაუხვდა მეტოქეს...

ამას ყველა ხედავდა, ყველას უკვირდა და ყველა თავზარდაცემული და გარინდული შეჰყურებდა ამ საოცარ ორთაბრძოლას.

მეტოქე უძლეველი აღმოჩნდა... ბრძოლა განწირული და მაინც...

„დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგავდა, თურმე, შერკინებაჲ მათი...“

სიკვდილმა იმძლავრა; გიორგი კი მაინც არ შეეპუა მას: არც თვალი აარიდა, არც გზა დაუთმო, არც ქედი მოუხარა და არც დაუწვა სხვასავით...

— დაუწვაო?!.. დაუწვა კი არა, ახალუხის ღილიც არ შეიხსნა, ოთახში არ დადგა, გარეთ გამოვიდა, გახურებული შუბლი გაყინულ სვეტს მიაყრდნო და... სვეტივით გაქვავდა...

დიდხანს იყო ასე — სვეტს მიყრდნობილი და თვალანთებული... ხოლო როდესაც ახლობლებიდან ერთადერთმა, შვილებში რჩეულმა, ვასომ, შეუბედა ხელის შეხება... ის უკვე აღარ იყო!..

დიდი წვალებით მოაშორეს მისი გაქვავებული ხელები ქვის სვეტს, დიდი წვალებით გადაიტანეს მისი გაყინული სხეული სიკვდილის სარეცელზე, დიდი წვალებით დაუხუჭეს თვალები და მხოლოდ ასე ჩააქრეს მისი ანთებული თვალების მრისხანე მზერა.

ეს მისი პირველი და უკანასკნელი, მაგრამ... საბოლოო წაქცევა იყო —სიკვდილმა ის ორივე ბეჭით გააკრა კუბოს ფიცარს და მისი გაციებული ცხედარი მისსავე გაოცებულ ჭირისუფლებს მიანება.

•

გიორგი აბდუშელიშვილის გარდაცვალების მეორე დღეს მოხდა, თურმე, ერთი გასაოცარი ამბავი: დილაადრიან, როცა სახლში შინაურებისა და ახლო მეზობლების მეტი არავინ იყო, ალაყაფის კარს მოადგა შავჩოხიანი, შავ ცხენზე ამხედრებული, ულამაზესი ვაჟკაცი; მნახველებს გაოცებისაგან გული გადაუქანდათ; მოსული ტყუპის ცალივით ჰგავდა გიორგის უფროს ვაჟს — ზურაბს, რომელიც ორი წლის წინათ გარდაიცვალა. ვიღაცამ პირჯვარიც კი გადაიწერა:

— ღმერთო გვიშველე, ზურაბი მოსულა მამის სატირლადო!..

ვინც სახლში იყო, ყველა ეზოში გამოვიდა და მზერად იქცა. მხედარი ჩამოქვეითდა, არავისთვის შეუხედავს, მძიმე ნაბიჯით გადაკვეთა ეზო და მიადგა დარბაზის ღია კარს, სადაც გიორგი ესვენა. იქ ერთხანს შედგა, ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდნენ ყორნის ფრთასავით შავ წვერს და მხოლოდ მაშინ, როცა ჭირისუფლები გავიდნენ, სიტყვის უთქმელად შევიდა დარბაზში, შიგნიდან შეიკეტა კარი და... ეზოში სამარისებური დუმილი

ჩამოწვა... მხოლოდ ზოგჯერ შორიდან ისმოდა ყრუ გმინვისა თუ გოდების ხმა. არავის უცდია დარბაზში შესვლა და საერთოდ ხმის ამოღება. რამდენიმე ხნის შემდეგ, ფართოდ გაიღო დარბაზის ორივე კარი, უცნობი ასევე უხმოდ გამოვიდა, ისევ ისე უხმოდ გადაკვრა ეზო, მივიდა ცხენთან, მძიმედ შეჯდა და მხრებდაშვებულმა და წელში მოდრეკილმა, ისე, რომ არც კი აუკრეფია ლაგამი, ზურგშექცევით მიატოვა იქაურობა... მხოლოდ მაშინ, როცა შავჩოხიანი მხედრის მწუხარე ლანდი მიეფარა თვალს, მეზობლებში ჩურჩული შეიქნა: „უცოდველი კაცი რომ არ იყო გიორგი, ეს ვიცოდით, მაგრამ თუ ამხელა ცოდვა ედო გულზე, ეს მაინც არ გვეგონაო!..“

ეს ამბავი მალე დავიწყებას მიეცა...

გიორგი აბდუშელიშვილის სიკვდილმა თავზარი დასცა მის ახლობლებსა და პირველ რიგში, შვილებს:

9 მარტი (კიევიდან თბილისში). „ძვირფასო ვასო! დაგვატყდა კიდევ უსაშინლესი მეხი, აღარა გვყავს ჩვენი სახელოვანი მამა... რაღა გვეშველება უიმისოდ!.. ვერ შერიგებია ჩემი გონება იმას, რომ აღარა გვყავს ჩვენი სათაყვანო მამა... გული და სული მიწუხს, რომ გამახსენდება უკანასკნელი გამოსალმება ჩემი წამოსვლის დროს; შვილო, შენი წასვლა სიცოცხლეს მომისწრაფებსო! მე შავდღიანი, ამ სიტყვების შემდეგ როგორღა წამოვედი... ნეტავი თქვენ, ვასო, რომ თქვენი სიყვარულის ცრემლი დააფრქვიეთ ყველამ, მე ესეც არ მხვდა წილად! ფუჰ, ჩემ ბედისწერას! გასივდა გული ბოღმით. ნუთუ არ იყო ღირსი ჩვენი მამა იმის, რომ მოხუცებულობის დროს, როდესაც უკეღმართმა ბედმა ათასი სულისამრევი განსაცდელი განუმზადა, ცოტა ხნობით მაინც დამტკბარიყო ჩვენი მხნეობით, ჩვენი მისადმი სამსახურით და ყურადღებით. ჭეშმარიტად საბრალო იყო მთელი მისი სიცოცხლე, — სიამოვნებაზე ჭირი და ვარამი მეტი უნახავს ჩვენ დაუვიწყარ მამას...

გ ი გ ო“,

ზაფხულის ბოლოს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა ოჯახს.

23 აგვისტო (კიევიდან თბილისში). „ძვირფასო ვასო! თავზარი დამცა შენმა დეპეშამ! ნუთუ ბედით ის გვიწერია, რომ ჩვენი ცხოვრების საუკეთესო ხანა ნიადაგ ცრემლში და ვაებაში გავატაროთ!.. სულ ერთი კვირეა, რაც დეიდასაგან საჩუქარი მივიღე: მისი ხელით ლამაზად დანიშნული ცხვირსახოცები და სიყვარულით სავსე წერილი და ასე მალე მისი სიკვდილი სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის... ჩაყვა ჩვენდამი სამდურავი ჩვენ მოამაგე დეიდას. დღეს დღეობით ტასიკოს დაკარგვა შენზე მეტად `იმოქმედებს, როდესაც შენს მეტი მანდ არავინ არი და ათასნაირად აწეწილ-დაწეწილ ქუ-

თაისის საქმეებს შენს მეტი მიმხედავი არავინა ყავს. სხვა რომ არა ოყოს რა, მარტო მრცხვენია შენი, რო ამ გაბმულ უბედურებაში ყველაფერი შენ შემოგეხვა კისერზე და გვერდში ვერც ერთი ამოგიდექით! გასვენებაც დიდ ხარჯს გამოიწვევდა მე ვიცი და მოგიკვდეს ჩემი თავი, რომ დიდათ ვერაფრით შეგეფარე ამ შემთხვევაშიაც... შენ იცი, ვასო, რა უსაზღვროდ მიყვარხარ და რა უდიდეს პატივსა გცემ, როგორც ჩვენი ოჯახის ერთადერთ მოჭირნახულე ადამიანს... შენ ყველაზე უფრო ახლო გაქვს განცდილი ყოველივე ის, რაც ჩვენს კერას ეხება... წრეუნდელი მე და შენი ენერგია, ნიკოს დახმარებით, უნდა მიექცეს ვალების გაბერტყვას... მე ასე ვფიქრობ, შენი კი არ ვიცი... ოღონდ შენ არა გეწყინოს რა ,ჩემგან და წყალსაც წაუღია ყველაფერი.

შენი მოყვარული ძმა გ ი გ ო“.

14 ნოემბერი (ოდესიდან თბილისში). „საყვარელო ძმაო ვასო!.. მადედან ჩამოსვლისთანავე ხერსონს გამგზავნეს, სადაც ოქტომბრის ოცამდე ვიმსახურე... ყველაფრით კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ საყვარელ ტასიკოს მოულოდნელ სიკვდილს არ დავენაღვლიანებინე... რაცა შეეხება მადაურ საქმეებს, მადლობის მეტი რა გვმართებს მავდენ შრომისათვის; ძალიან ყოჩაღად ყოფილხარ და ღმერთმა გიწინამძღვროს მომავალშიც. იქნებ კიდევ გაწუხებს ვინმე, ნუ მომერიდები, მაცნობე და რასაც შევძლებ, მოგაწვდი. უპირველეს ყოვლისა კი იმასა გთხოვთ ყველას, რომ დედას გაუფრთხილდეთ და გააძლებინოთ; მაგის ამაგს ჩვენსობასაც ვერ ავუნაზღაურებთ...

შენი მოყვარული ძმა ნიკო აბდუშელიშვილი“.

1916 წელი. 6 თებერვალი (შალაურიდან თბილისში). „შვილო ვასო!.. ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი საქმეები გაქვს თავგასართმევი და ჩვენც გაწუხებთ, მაგრამ სხვას ვის მივმართოთ... პენსიის საქმეს მწერს გიგო, მაგრამ ჯერ ცნობა არ მიმიღია. ასე ჩემო სულიკებო, იყავით კარგად. ნატომ გაკოცათ.

დედა კატო“.

18 მარტი (შალაურიდან თბილისში). „ჩემო სიცოცხლე შვილებო, ყ ა რ ა მ ა ნ დ ა ვ ა ს ო! თქვენი გამოგზავნილი 28 არშინი ტილო და 30 არშინი გაროზი — მიტკალი ოთხშაბათ საღამოს მომიტანეს... ასე რომ ბავშვები დაიმოსებიან... ვასილ წერეთელს ეთქვა სვიმონიკასათვის, ვითომც ჩემი გიგო კიევიდან გადაუყვანიათო... მეც ეპვში შევედი, რადგან სამი კვირეც იქნება, რაც მისი წერილი არ მიმიღია, დროზე გამიგეთ მისი ამბავი, ხომ იცით, თქვენით მიდ-

გია კიდევ სული... საღდგომოთ ყველა მზად იქნება წლისთავისათვის...

მარად თქვენი ერთგული დედა კატო".

19 მაისი (კიევიდან თბილისში). „გამარჯობა ვასო!.. შენი მდგომარეობა კარგად მაქვს გათვალისწინებული... ჩემი ამდენი ხნის სიჩუმე კი იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო გამოცდებს შევები... კიევში უნდა გამევლო მოწერილობით; როგორც იყო მოვახერხე კიევში დარჩენა სამი კვირით და... უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა 15 ამ თვეს ჩავაბარე ჩინებულად, კინაღამ პირველი ხარისხის დიპლომი არ გავიკარი!.. ჩვენს მდგომარეობაში ესეც სასურველ ნაყოფს გამოიტანს, რადგან სრულუფლებიანი ექიმი გავხდი... დედას ეწერ დღეს წერილს და სურათსაც ეუგზავნი; მართლა, ვასო, დედას პენსიის საქმე რატომ არ გამოირკვა?.. მე 25 ამ თვეს მივდივარ პოზიციაზე პოლკში... დავკოცნი ათასობით ელისაბედსა და ყარამანს შვილებით.

შენი გიგო".

25 აგვისტო (ფრონტიდან თბილისში). „ძვირფასო ძმაო ვასო! კარგად ვიცი, რომ ათასგვარი საქმეებით ხარ დაბორკილი და კიდევაც მიკვირს, რანაირად აუდიხარ ამდენ სიარულს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ... მაგრამ... ჩვენ (პოზიციაზე) ხომ ცოცხალ საზოგადოებას სრულიად მოწყვეტილი ვართ და ამიტომ შენი წერილებით ღა ვიბრუნებ ხოლმე ამომავალ სულს. ადიკომ მომწერა, ვასო კნოლევში წავიდა საჩქაროდ — აპალო გახდა მძიმე ავად და თბილისში მიყავსო... ადიკო თავის უკანასკნელ წერილში იმასაც მწერდა, რომ რაკი შენ აგრე გინდა, აგვისტოს დამლევს გავემგზავრები კიევშიო!.. მე მივწერე ფხვენისში და ვურჩიე ვასოსთან ითათბირე და როგორც თქვენ დაინახავთ საუმჯობესოდ, ისე მოიქეცით მეთქი!.. კი არ გეწყინოს, ბიჭო, ასე რომ დავუწერილმანდი მადაურ საკითხებს. განა არ ვიცი, რომ ძალიან კარგად განსჯი თვითონ, მაგრამ ყოველივე ეს მაინტერესებს და რა ვქნა?.. დათიკო პარკაძე და ალ. მიქაბერიძე მომიკითხე სიყვარულით.

შენი გიგო".

25 აგვისტო (ფრონტიდან თბილისში). „ძვირფასო ყარამან! კაცო, მიკვირს და ვერ გამიგია, თუ რად გვექცევა განგება ასე პირქუშად; არანაირად უარყოფითი ხალხი არ ეართ, რომ გაგვსინჯოს კაცმა, არც სულიერად და ზნეობრივად უბადრუკნი და არც ფიზიკურად მახინჯნი. მაშ რითი აიხსნება, რომ ეს ერთი ხანია ასე საშინ-

ლად გვირტყამს თავში ზედიზედ მოყოლილი უბედურება! ღმერთმანი, ზურაბის დაკარგვა თითქო საბოლოოდ კმაროდა ჩვენი საწყალი ოჯახისათვის; არა, მას მოყვა ჩვენი ტკბილი მათიკო, ჩვენი გმირი და დარბაისელი მამა, ჩვენი ოთარაანთ ქვრივი და მოამაგე დეიდა ტასიკო და ეხლა კიდევ ამგვარი განსაცდელი... იწერები, ვასოს ბლომადა აქვს საქმეებიო; განა არ ვიცი ყარამან რა აუტანელ ჯაფაში ჩავაგდეთ ჩვენი რეჯება, მაგრამ რასა იქმ? შენ სამსახურითა ხარ ხელფეხშეკრული; ნიკომ რომ თავი დაანებოს სამსახურს, მაშინვე სალდათად უკრავენ თავს და რას ემგვანება ჩვენი უიმისოდაც დაქვეითებული საქმე? მე ძალიანაც მინდა თავისუფლად ყოფნა, მაგრამ ვინ გიშვებს. პეტრეა და თავისი ათასგვარი საქმეები აქვს და თავისი მოჭირნახულე სიმამრიც აღარა ჰყავს გვერდით, ადიკოს დაღლატებაც არ ივარგებს!.. გამოდის, რომ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მხოლოდ გარეშე მაყურებლები ვართ ვასოს ზედმეტის ჯაფისა. გული მეკუმშება, როდესაც წარმოვიდგენ, თუ რაოდენ თავგანწირულებას ეწევა ოჯახისათვის ჩვენი ძვირფასი ვასო! უმაწვილი კაცი, მშვენიერი თვალტანადი, შეუდარებელი დინჯის ხასიათის, საფუძვლიანად ნასწავლი, რომელმაც არა მარტო თავის უახლოეს ნათესავებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიდაც დაიმსახურა ყოველმხრივ დადებითი პიროვნების სახელი, იძულებულია თავისი პირადი ინტერესები ოჯახის განკარგებას შესწიროს... მე თავიდან ბოლომდის, სრულის ჩემის არსებით ვუერთდები ვასოს სულისკვეთებას; იმას არ ვიტყვი, რასაკვირველია, რომ რასაც ვასო სჩადის, იმას ყოველი იმისი ძმა ჩავიდენდით-მეთქი — ეს შეუძლებელი მგონია, მაგრამ რომ სურვილი უსაზღვრო და უანგარო სამსახურისა საერთო ჩვენის ძვირფასის, ბებერის კერისა, ყოველ ჩვენგანში დიდია, ეს ყოველ ’ეჭვს გარეშეა... მე ის იმედი მასულდგმულებს ყარამან, რომ ეს საშინელი ქარცეცხლი, ადრე თუ გვიან ჩადგება, ჩვენც შევიყრებით და ერთის, ყოველად პატიოსანის მიზნით გამსჭვალულნი ოჯახის განკარგებისა, შევუდგებით ამ საქმეს და არ ეფიქრობ, რომ ვერ ვძლიოთ ზოგზოგი დაბრკოლება და საქმე ვერ მოვაგვაროთ!.. ადიკო ვასოს უკითხავად ნურაფერს გადაწყვეტს... ნახვამდის. შენი გ ი გ ო“.

5 ოქტომბერი (ფრონტიდან თბილისში). „გამარჯობა ვასო! შენმა წერილმა ფრთები შემასხა, აღტაცებაში მომიყვანა, იმედით ამევსო გული! ცოტცოტათი ვრწმუნდები, რომ იქნება ღმერთმა ოჯახი არ წაგვიხდინოს, ერთ დროს ნაქები და სახელოვანი! თქვენი ნახვა და მამას საფლავზე ცრემლის დაფრქვევა იდეა ფიქსად გადამექცა... რასაც ღმერთი შემაძლებინებს გამოგიგზავნი, მე რათ რაიმე მინდა, არც არას ვხარჯავ, რადგან აღარც თუთუნს ვეწევი და სხვა რა უნდა

დამეხარჯოს[1]. რა თქმა უნდა, წამოსვლა ძალიან მინდა, მაგრამ... ჯიბის ფული აქვს ეხლა დედას, თუ იწამა იესო ნაზარეველი და ქველმოქმედებას დაანება თავი... ვასო, იქნება პეტრეს ქალების ჩამოყვანას და მომზადებას მოვახერხებდეთ... იმათი უპატრონობა არ გვეპატიება...

შენი მოყვარული გ ი გ ო“.

15 ოქტომბერი (ფრონტიდან თბილისში). „ძვირფასო ვასო! როგორ მინდოდა მამას წლისთავს დავსწრებოდით ყველანი, მაგრამ... ასეა თუ ისე წლის წირვა და პანაშვიდი გადაიხადე... გთხოვ ინახულო ძალუა მაროს საფლავი რა მდგომარეობაშია... ეს ჩვენი თავმოყვარეობის საქმეა... ყოველივე ამ ხარჯებს მე ვკისრულობ... ყოველ ზომას ვიხმართ ჩვენი მოზარდი თაობის გასაადამიანებლად... მაიას შესახებ დროზე მაცნობე თქვენი აზრი! შენ ოღონდ უხელმძღვანელე და ხარჯი ჩემი იყოს.

შენი გ ი გ ო“.

1 სექტემბერი. „შვილო ვასო! დამტირებელ თვალებს დაგიკოცნი... თქვენი ამბავი ხშირად გამაგებინეთ... შემიბრალეთ გამზრდელი დედა, რაც უნდა დაგიჯდეს ერთი რიგიანი პალტო იყიდე, გენაცვალე... ნუცა დიდათ ჯავრობს, რომ სწავლაში დაბრკოლდა. გავურიგდით არგვეთის სკოლის მასწავლებელს... მაისიდან გვპირდება მის მომზადებას... თქვენ როგორ ეტევით მანდ?..

თქვენი დედა კატო“.

10 სექტემბერი (ფრონტიდან შალაურში). „ჩემო ძვირფასო დედა!.. შენი სიცოცხლე შენი შვილებისათვის ამ ქვეყნიური ჯილდო და ნუგეშია, გაუფრთხილდი თავს და თუ რამე დაგჭირდეს, გაფრცებ ყველაფერს, ნუ დამზოგავ... ადიკომ ყველა სავალდებულო ეგზამენები შეასრულა და... ხერსონში გავგზავნე... ვასოს დიდი საქმე ვაკისრეთ ყველამ...

შენი მოყვარული გ ი გ ო“.

17 ნოემბერი (ოდესა-თბილისი). „საყვარელო ძმაო ვასო! მეტად მძიმე ულელში ხარ შებმული და ყველაფერზე მეტად ეს მაფიქრებს, როგორ აუდიხარ ამდენ დაწეწილ საქმეებს და მერე ასეთ

---

[1] და ამას თვალტანადი, მოქეიფე, მოარშიყე, ჯანითა და ღონით სავსე, ახალგაზრდა ოფიცერი ამბობს, რომლისთვისაც მზა არიან ყოველგვარი „სიამენი სოფლისა“.. ჩემთვის ესეც საოცრებათა სამყაროა!..

დროს. ბარაქალა შენს მუყაითობასა და ყაირათს, მაგრამ თავი არ გაილახო უზომო შრომით... ჩემი უმაღლესი ბედნიერება ის იქნება, თუ რიგიანი დისწულ-ძმისწულები მეგულებიან, რომ ოჯახის სახელი არ შებღალონ... როდისთვისა ჰფიქრობ წლისთავს?.. მომიკითხე სიყვარულით სეითი და პეტრე მირიანაშვილი. ღმერთმა ნუ ქნას, თუ ჩამოსვლისთანავე არ დაგაქორწილე!..

შენი მოყვარული ძმა ნიკო აბდუშელიშვილი".

1917 წელს მოხდა ის, რაც ათეული წლების განმავლობაში მზადდებოდა: რუსეთში იფეთქა რევოლუციამ, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა ხალხი. იმპერია დაიმსხვრა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი სოციალისტური რესპუბლიკა.

საქართველოშიაც მოვიდა სასიხარულო დეპეშა:

— მთავრობაძე გარდაიცვალა!..

და შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შენობის აივანზე გადმომდგარმა კიტა აბაშიძემ საზეიმოდ გამოსულ დემონსტრანტებს მიულოცა:

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად! — გაისმა პასუხად. ყველამ კარგად იცოდა, ვინ იყო ეს „ქრისტე" და რას ნიშნავდა მისი „აღდგომა".

ამიერკავკასიაში შეიქმნა მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც სათავეში ქართველი მენშევიკები ჩაუდგნენ.

ამ სოციალური ქარტეხილების ანარეკლი საკმაოდ თვალნათლივ ჩანს საოჯახო არქივში შემორჩენილ იმ მცირეოდენ წერილებში, რომლებიც 1917 წლით არიან დათარიღებულნი.

27 თებერვალი (ქუთაისიდან თბილისში). «Дорогой Васо! Сообщаю отвратительную вещь: умер Коция несчастный и завтра его хоронят... Скверная история! Теперь дома без присмотра. Чувствую я хорошо, что Вы должны быть в претензии: почему одному Вам приходится хлопотать по этому именню, но я и моя жена, которым вместе 126 лет... с вами молодыми братьями ერთ უღელში ვერ შევებმებით! Жена говорит, что ея цель за счет этого имения поставить памятник. Спишитесь с Гришею и Колею и что надумаете вместе, напишите нам. Мы с удовольствием согласимся на все хорошое для Вас...

Кланяемся и целуем вас, Миша»[1]

გაზაფხულისათვის ნიკომ შეძლო საქართველოში დაბრუნება.

---

[1] ვ. აბდუშელიშვილის დეიდის, სოფიოს ქმარი — მიხეილ ჩხატარაშვილი.

მაისიდან ის უკვე РОПиТ-ის მთავარ აგენტად ინიშნება ფოთში. გიგო ჯერ ისევ ფრონტის ხაზზეა.

საშემოდგომოდ გიგოც ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას და საბოლოოდ რჩება აქ. 17 ოქტომბერს ჩაწერილია თბილისში, ყოფ. მალაკნის ქუჩაზე (ამჟამად ფიროსმანის ქუჩა). ამ ქუჩაზე 29 ნომერ სახლში იქირავეს აბდუშელიშვილებმა თბილისში მეორე ბინა, რომელსაც, როგორც ადრე, ძირითადად, ისევ ვასო მეურვეობდა. ის არა მარტო თბილისურ ბუდეს, არამედ მთლიანად ოჯახს მეურვეობდა მაშინ.

მომდევნო 1918 წელიც მენშევიკების ბატონობის ხანაა საქართველოში.

ამ წელს შალაურში „მოდგა" უკვე „სრულუფლებიანი ექიმი"— გიგო. ვასო თბილისშია. აქვე მასთან არიან ყარამან და ელისაბედ თავიანთი ოჯახებით, ხოლო ნიკო ისევ ფოთში მსახურობს. გიგო ენერგიულად შეუდგა მამისეული სახლის „განკარგებას". 2 აპრილს ის შორაპნის მაზრის ს. კორბოულის საექიმო პუნქტის გამგედ ინიშნება[1].

ამავე წელს აბდუშელიშვილებმა, ბოლოს და ბოლოს, შეიძინეს თბილისში საკუთარი სახლი — ვარდისუბნის (ამჟამად ჯანაშიას) ქუჩაზე.

ეს ორსართულიანი, ძველი, მაგრამ მყუდრო სახლი იქცა შემდგომ ვასო აბდუშელიშვილის, მისი ძმებისა და ახლობლების საბოლოო ბუდედ: აქ გაატარეს მათ ცხოვრების დანარჩენი წლები, აქ დაზარდეს შვილები და აქვე დაასრულეს სიცოცხლე: თვითონ ვასომ, ნიკომ, გიგომ... ამ სახლთან არის დაკავშირებული ყველაფერი კარგი, ნათელი, და დაუვიწყარი, რაც ჩვენ, შემდგომ თაობას, ოჯახის მიმართ შემოგვრჩა: ამავე სახლთან არის დაკავშირებული ყრუ ტკივილის გრძნობაც იმ შეუხორცებელი იარებისა, რაც დარჩა ყველა ჩვენგანს მათი წასვლის შემდეგ.

დღეს ამ სახლში აბდუშელიშვილების ნათესავი აღარავინ ცხოვრობს. ადრე კი... ამბობდნენ „აბდუშელიშვილებს სტუმარი რად უნდათ, საახალწლო სუფრას 50 ნათესავი მაინც მიუჯდებაო" და.. ყველა ეს ნათესავი ძირითადად ამ სახლში ცხოვრობდა, მაგრამ სტუმარი მაინც ბევრი იყო, მგონი, ზომაზე მეტიც...

მე ვერასოდეს ვერ ჩავუვლი ხოლმე გულგრილად ამ სახლს: აქ დარჩა ჩემი ბავშვობა, სიყმაწვილე და ჭაბუკობა; ჩემთვის დღესაც

---

[1] ვ. ქ ე ნ ტ ი, პ. გ ე ლ ბ ა ხ ი ა ნ ი, ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბ., „მეცნიერება", 1971, გვ. 123.

აქ ცხოვრობენ ძია ნიკო, ძია ვასო, ძია ადიკო, მამა და სხვები, ერთიმეორეზე უფრო ახლობელი და საყვარელი ადამიანები; დიდი ხანია, რაც წავიდნენ ისინი... დიდი ხანია, რაც წავედით ამ სახლიდან ჩვენც, მაგრამ ის სახლი დღესაც დარჩა და...

„დედაქალაქში, რა თქმა უნდა, სახლია ბევრი,
დედაქალაქში, რა თქმა უნდა, ქუჩაც ბევრია,
მაგრამ სულ სხვაა სახლი, სადაც აგიდგამს ფეხი,
მაგრამ სულ სხვაა ქუჩა, სადაც შენ გიბრბენია“.

მუხრან მაჭავარიანი.

ამავე 1918 წელს გარდაიცვალა „მეველე“ — დავით მიქელაძე; ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე (გახსოვთ: „მესხი, მეველე, მელიქ-აღებიო“ გრ. ორბელიანმა რომ ბრძანა) — ვასო აბდუშელიშვილის სიყრმის მეგობრის კაკო მიქელაძის მამა; კუბო სახლიდან სასაფლაომდე თითქმის შეუცვლელად კაკო მიქელაძის მეგობრებს: ვასო აბდუშელიშვილს, კოტე შარაშიძეს, დავით ჩიქოვანს, ვარლამ გელოვანს და მიტუშა კორძაიას მიჰქონდათ; და არა მარტო კუბო, მეგობრის უბედურებამ მთლიანად მათ ბეჭებზე გადაიარა. ასეთი იყო მათი მეგობრობა ბოლომდე: მათ ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც... ალბათ, ესეც იყო მათი პიროვნული სიძლიერის ერთ-ერთი საყრდენი.

1919 წელი საერთოდ დიდი სიძნელეებისა და გაჭირვების წლებია საქართველოში. ეს თავს იჩენს აბდუშელიშვილების საოჯახო წერილებშიაც; იგრძნობა, რომ მდგრადი არაფერია, ყველა რაღაცის მოლოდინშია, გარკვეული არაფერი ჩანს. ვასო თბილისში განაგრძობს მასწავლებლობას; ხშირად სოფელშიც არის, იქ ეხმარება ოჯახს და ცდილობს ახლო-მახლო სოფლებში ჩამოაყალიბოს საშუალო ტიპის სასწავლებელი, მაგრამ გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება.

სამარიობოდ ძმებმა შალაურში მოიყარეს თავი. მათი ჩასვლა ყოველთვის ზეიმი იყო სოფელში და, როგორც წესი, მათთან თავს იყრიდნენ ხოლმე მათი ბიძაშვილები და უახლოესი მეზობლები. სწორედ 1920 წლის მარიობა დღეს აბდუშელიშვილების ჭიშკარს მიადგა მენშევიკური გვარდიის ცხენოსანი რაზმი. მასპინძელი იხმეს; მაშინ სახლში გიგო მასპინძლობდა. როდესაც გიგო გაეგება დაუპატიჟებელ სტუმრებს, რაზმის უფროსმა საკმაოდ რიხიანად მიმართა მას:

— ჩვენ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენს ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღი ინახება, დაუყოვნებლივ გადმოგვეცით ყვე-

ლა სახის იარაღი, თორემ სახლს გავჩხრეკთ და თუ იარაღი აღმოჩნდა, თქვენც დაგაპატიმრებთ.

გიგომ ცივი უარი მოახსენა და გზა უკურთხა დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაგრამ ამასობაში შინაურებმა შეამჩნიეს, რომ გიგოსა და მოსულებს შორის საკმაოდ დაძაბულად და ხმაწეულად მიმდინარეობს ლაპარაკი. ამიტომ ყველანი გამოვიდნენ ეზოში: ნიკო, ყარაშან, პეტრე, ვასო, ადიკო და ბიძაშვილები: სვიმონ, ბეჟან, კონსტანტინე, ახლო მეზობლები: მიხაკო არსენაძე, ივანე ბარბაქაძე, სილიონ ბლიაძე და სხვები. ყველა ისეთი ვაჟკაცი იყო, ერთმანეთს ტოლს არ უდებდა, მარტო მათი შეხედვა გააფუჭებდა ავის მსურველს, მაგრამ რაზმის უფროსი მაინც დაჟინებით მოითხოვდა თავიხას. სრულიად მოულოდნელად ვასო მიუახლოვდა გიგოს და გაჯავრებულმა ჰკითხა:

— რაო, რა გვინდაო?

— იარაღი გაქვთ სახლში და გადმოგვეცითო. — უპასუხა გიგომ.

ვასოს შუბლზე ძარღვი გაებერა, წარბი აუთამაშდა, თვალებში ცეცხლი ჩაუდგა და, ყველასათვის, განსაკუთრებით კი გიგოსათვის, გასაოცრად ზომაზე მეტი აკადრა გვარდიელებს და მათს მესვეურებს. როცა შეურაცხყოფილი გვარდიელები აიფხორნენ, ვასოს გაეცინა თურმე და უკვე სრულიად დამშვიდებულმა, თქვა:

— ჩვენ რომ იარაღი გვქონდეს, თქვენ კი არა მთელი თქვენი გვარდია ვერ გაბედავდაო აქ მოსვლას. — ეზოში სიცილი გაისმა, ხოლო რაზმის უფროსს, როგორც ჩანს, იმდენად სარწმუნოდ ეჩვენა ეს არგუმენტი, რომ სიტყვის შეუბრუნებლად გაშორდა იქაურობას.

გიგო ბუნებით ვასოზე გაცილებით უფრო ფიცხი იყო და შემდეგ, როდესაც ვასო ზოგჯერ უსაყვედურებდა ამას, გიგოს გაეცინებოდა და გვარდიელებთან შეტაკების ამბავს გაახსენებდა ხოლმე, თუმცა... საერთოდ, დინჯზე დინჯი ვასო აბდუშელიშვილის სიფიცხის მაგალითი მე სხვაც, არაერთი, ვიცი, ზოგიერთს კი ამ წიგნშიაც გავიხსენებ, ალბათ.

1921 წელს შალაურში დედა კატო და გიგო არიან; გიგო, როგორც ვიცით, საექიმო მოღვაწეობას ეწევა, ხოლო ვასო. უშუალო მონაწილეობას იღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსებაში და იქვე მოღვაწეობს ლექტორად, დროებით.

მომდევნო 1922 წელს აბდუშელიშვილების ოჯახში უდიდესი უბედურება მოხდა: გარდაიცვალა ოჯახის კეთილი ანგელოზი,

ყველას მოყვარული და ყველასათვის საყვარელი — დედა კატო. ძმებმა კიდევ ერთხელ მოიყარეს თავი სოფელში, ცრემლითა და გულისტკივილით გააცილეს დაუვიწყარი დედა უკანასკნელ გზაზე და მერე ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულ საქმეს.

უკვე ამ დროიდან, ჩემის აზრით, ოცნებას, დიდი და მთლიანი ოჯახის შენარჩუნების შესახებ, ბზარი გაუჩნდა; ძმები დაქსაქსულები არიან: ნიკო ფოთშია, ვასო და ადიკო — თბილისში, ყარამან — ქუთაისში, გიგო — შალაურში. რა თქმა უნდა, ძნელი, თითქმის შეუძლებელია, ასეთ პირობებში ერთი მთლიანი ოჯახის „განკარგებაზე“ რუდუნი და შრომა, მით უფრო, რომ ძმები ახლა უკვე სრულიად მარტონი არიან ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში და თვითონვე უდგანან მესაჭეებად თავიანთი ბედის ხომალდებს, მაგრამ ჯერ კიდევ განაგრძობენ ერთი არჩეული გზით სვლას... ვნახოთ!..

1923 წლის პირველ სექტემბერს რეორგანიზაციის გამო, დაიხურა ქართული გიმნაზია. ვასო ამ დროს, როგორც თვითონ აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, მოღვაწეობს „მათემატიკის მასწავლებლად 1-ელ ქიმიურ ტექნიკუმში 1925 წლამდე“.

1925 წელს ვასომ დაიწყო მასწავლებლობა თბილისის პირველ ათწლიან სკოლაში. ამავე წლის 24 მარტით არის დათარიღებული ვასილ აბდუშელიშვილის სახელზე მიმართვა № 248, რომლის საფუძველზე მას მიეცა ვინაობის წიგნაკი (პასპორტით).

ამავე წლის 5 ოქტომბერს გრიგოლ გიორგის ძე აბდუშელიშვილი თავისი ოჯახით გადმოდის თბილისში საცხოვრებლად და ინიშნება ზაჰესის სამშენებლო უბნის საავადმყოფოს გამგედ; ამრიგად, შალაურის ფუძეძრულ ბუდეს, კიდევ ერთი საყრდენი გამოეცალა და გამოეცალა, როგორც ჩანს, სამუდამოდ.

1926 წლის 28 თებერვალს დაიბადა ვასო აბდუშელიშვილის ძმისშვილი, ამ სტრიქონების ავტორი, მალხაზ გრიგოლის ძე აბდუშელიშვილი.

მე შვიდთვიანი დავბადებულვარ და ჩემი გადარჩენის იმედი არავის ჰქონია, თურმე; მამაჩემს ძმებისათვის მაინც უჩვენებია თავისი უთმო, უფრჩხილო, ყვითელი, უსუსური და სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს მოკლებული „მალხაზი“. უფროსმა ძმამ, ნიკომ, რომელიც ახალი შეცვლილი იყო ფოთის სატვირთო პორტის უფროსის თანამდებობიდან „წითელი დირექტორით“, დამხედა თუ არა, ოქვა:

— ვაი, ისე გაძლონ ბოლშევიკებმა, როგორც ამან გაძლოსო!

ვასოს არ მოეწონა, თურმე, უფროსი ძმის კალამბური და,

— ბოლშევიკები რომ გაძლებენ, ამაში ეჭვი მე არ მეპარება და თუ ამ ბიჭსაც მათი ბედი უწერია, მისალოცად ჰქონია გიგოს საქმეო!

ძია ვასო ორივეში მართალი გამოდგა და მე მგონი, არც ძია ნიკო იყო უკმაყოფილო, რომ არ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება; ყოველ შემთხვევაში, მე ბოლომდე სახელის ნაცვლად „ბოლშევიკს“ მეძახდა და რომ არ ვძულდი, სხვამ თუ არა, მე ეს კარგად ვიცოდი და საფუძველიც მქონდა ამისი.

1926 წლით არის დათარიღებული რამდენიმე წერილი:

13 ივლისი (შალაურიდან თბილისში). „საყვარელო ძმაო ვასო! დაგკოცნით სიყვარულით ყველას და გინატრით ჯანის სისაღესა და ბედნიერ სიცოცხლეს... შენი წერილი მივიღე, ნახვის მსგავსად ვისიამოვნე. ილიკოს ავუხსენი, რაც მოგეწერა და დღეს გზავნის ბავშვს. საუცხოო ბავშვია, მოწადინებული სწავლას და სწორედ რომ ცოდო არის არ გაუმართლდეს მეცადინეობა. ამისათვის მეც გთხოვ ილიკოსთან ერთად, როგორც შეიძლებოდეს, მოაწყო სასწავლებელში და დარწმუნებული ვარ, ყმაწვილი არ შეგარცხვენს[1]... უნახავად ნუ დაგტოვებ.

შენი მოყვარული ძმა ყ ა რ ა მ ა ნ“.

დიაღ, 1926 წლიდან ყარამანმა შესცვალა გიგო შალაურში, ხოლო ყარამანის შვილების მეურვეობა თბილისში მთლიანად ვასოს დაეწვა მხრებზე. მაგრამ მარტო ყარამანის შვილებისა?...

16 ივლისი (აბასთუმნიდან თბილისში). „ძვირფასო ვასო! ჩვენ მშვიდობიანად ვიმგზავრეთ და ორშაბათს უკვე აბასთუმანში დავბინავდით... მათათოს[2] ნემსები დასჭირდება. გოგიტა და მამიდა ენახე, კარგად არიან. ფული და ქაღალდები გადავეცი... აბა ვასოჯან, მოახერხე აშოსვლა უსათუოდ. დაგვხედე შენ ნაამაგრებს და აბასთუმანიც ნახე... გკოცნით მე და მათათო.

შენი ძმისწული თამარ ფალავანდიშვილი“.

1927 წელი. ვასილ აბდუშელიშვილი ამ წელს მათემატიკურ საგნებს ასწავლის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლასა და მელიქიშვილის სახელობის ქიმიურ ტექნიკუმში. მოწაფეებს ვასო, საერთოდ,

---

[1] მე არ ვიცი, რომელ ილიკოზეა აქ საუბარი: ზაქაშვილზე, შეყლაშვილზე, მაისურაძეზე, ბარბაქაძეზე თუ სხვ., თუმცა რა მნიშვნელობა აქვს დღეს ამას; მე ვიცი, რომ ასეთი „ილიკოები“ ბევრნი იყვნენ და ისიც ვიცი, რომ მთელი სოფლისათვის, იმ დროს, განათლების გზა ვასილ აბდუშელიშვილის სახლიდან იწყებოდა.

[2] შემდგომში კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლე.

განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ და დიდ პატივსაცა სცემდნენ, მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ ვასო აბდუშელიშვილი უზომოდ მკაცრი იყო და ხშირად თავის მოწაფეებს საკმაოდ მოურიდებელი ეპითეტებითაც ამკობდა — ეს, ცხადია, ყველას არ მოსწონდა. მაშინ დრო ჯერ კიდევ დაულაგებელი იყო, სკოლაში ცოტა როდი იყო თავზე ხელაღებული და მოხულიგნო ელემენტი და ზოგჯერ ისეთი რამ ხდებოდა ხოლმე, რაც დღევანდელი ჩვენი გაგებით, საერთოდ, არ ეტევა პედაგოგიური ეთიკის ფარგლებში. მაგალითად, შეუპოვარ მასწავლებლებთან ფიზიკურად ანგარიშის გასწორება მაშინ საკმაოდ ხშირად ხდებოდა, თურმე. სწორედ ამ წელს რამდენიმე „შეურაცხყოფილმა“ და თავზე ხელაღებულმა მოწაფემ ვასოსაც დაუპირა ამგვარად ანგარიშის გასწორება (ეს მოწაფეები რომ ფრიადოსნები არ იქნებოდნენ, ალბათ, ამას არ სჭირდება სპეციალური საბუთების მოტანა). ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ერთ ბნელ ქუჩაზე, შეხვდნენ ეს „რაინდები“ ვასოს და წამოუწყეს ნართაული საუბარი. ვასომ არც აცია, არც აცხელა, გაიძრო პიჯაკი და,

— თქვენ რომ სუსტი მოწაფეები ხართ, ეს ვიცი, მაგრამ აბა ვნახოთ, დამრტყმელები თუ მაინცა ხართ ძლიერებიო!

„თავდამსხმელები“ თვალის დახამხამებაში მიმოიფანტნენ, ასე, რომ ვასო მასწავლებელმა ვერ შეძლო მათი შეფასება ამ მხრივ.

ეს ამბავი მე ამ „თავდასხმის“ ერთ-ერთმა მონაწილემ მიამბო, ამიტომ მოგონილი არ უნდა იყოს. ამ ინციდენტს, ცხადია, არავითარი პედაგოგიური რეპრესიები არ მოჰყოლია, მაგრამ „თავდამსხმელებმა“ შემდგომში მკლავის ნაცვლად ტვინს დაატანეს, თურმე, ძალა და ამბობენ, გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიესო ამ მხრივ.

1927 წლით არის დათარიღებული გიგოს და ვასოს გიმნაზიის მასწავლებლის ივანე რატიშვილის პატარა წერილი. აი, ისიც:

„ჩემო ძვირფასნო გიგო და ვასო! დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ძლივს მეღირსა თქვენი მოსვლა ჩემთან და მე კი შინ არ დაგხვდით. ახლა მე მოვედი ვალის მოსახდელად და თქვენ არ დამხვდით. ალბათ, გავსწორდით, მაგრამ, იმედი მაქვს, ამით არ შეწყდება ჩვენი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. იყავით კარგად და გამარჯვებით.

თქვენი ივანე რატიშვილი“.

1928 წლისათვის საოჯახო საბუთებში შემონახულია ქვითარი, ვასილ აბდუშელიშვილის მიერ გაზეთ „განათლების მუშაკის“ გამოწერის შესახებ. მას ეს გაზეთი (შემდგომში უკვე „სახალხო განათლება“), მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰქონდა გამოწერილი და მიხი ყოველწლიურად აკინძული ნომრები დიდხანს ინახებოდა მის ბიბ-

ლიოთეკაში. ამ გაზეთის ოჯახში შემონახულ ბოლო ნომერში ვასილ აბდუშელიშვილის ნეკროლოგია გამოქვეყნებული.

ამ წელს ვასილ აბდუშელიშვილი ძირითადად პირველ საცდელ-ხაჩვენებელ სკოლაში ასწავლის მათემატიკურ საგნებს, მაგრამ მარტო მათემატიკურს?.. მგონი, არა!.. აი, ერთი მოგონება, რომელიც საშუალებას იძლევა დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რატომ სცემდნენ ვასო აბდუშელიშვილს განსაკუთრებულ პატივს მისი მოწაფეები. ამბავი, რომელიც მე მინდა მოგითხროთ თქვენ, მოსმენილი მაქვს შემდგომში ცნობილი ქართველი არქეოლოგის გიორგი ალექსანდრეს ძე ლომთათიძისაგან. აი, ისიც:

„ერთხელ გაკვეთილი გაგვიცდა და ბატონი ვასო, რომელიც იმ დროს ჩვენი დამრიგებელი იყო, კლასში შემოვიდა. საგანზე საუბარი, როგორც ჩანს, არც მასწავლებელს და მით უმეტეს არც მოსწავლეებს, არ სურდათ და ამიტომ მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის კლასგარეშე, მაგრამ გულითადი საუბარი გაიმართა. ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა მოიკრიბა გამბედაობა და ბატონ ვასოს სთხოვა:

— გვითხარით, როგორი უნდა იყოს მოქალაქე, რომ მას თანამედროვეებმაც და მომავალმა თაობამაც ღირსეული უწოდოსო?

სხვისთვის შეიძლება არც გვეკითხა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ყველას ბატონი ვასო სწორედ ასეთ მოქალაქედ მიგვაჩნდა, აღარ მოვეშვით და საშველი რომ აღარ მივეცით, წამოდგა, დაფასთან მივიდა და როგორც გეომეტრიული თეორემის კარნახისას, დინჯად, დამარცვლითა და აუჩქარებლად დაიწყო:

— ჩემის აზრით, პირველ ღირსებას მოქალაქისას პატიოსნება წარმოადგენს — ეს ერთი;

მოვალეობის გრძნობა — ეს ორი;

რწმენის სიწმინდე, სიმტკიცე და ერთგულება — ესეც სამი;

სხვისი და საკუთარი ღირსების პატივისცემა — ესეც ოთხი;

თავმოყვარეობა და არა პატივმოყვარეობა — ესეც ხუთი;

მოვლენებისა და პიროვნებების ობიექტური შეფასების უნარი — ესეც ექვსი;

სამშობლოს, საზოგადოების, ოჯახისა და ახლობლების უანგარო სიყვარული და თავდადებული სამსახური — ესეც შვიდი;

შინაგანი და გარეგანი წესრიგი, სისუფთავე და ლაზათი—ესეც რვა;

საკუთარი ქონების, ცოდნისა და გამოცდილების უკლებლივ სხვისთვის უანგაროდ გადაცემის შეუზღუდველი უნარი — ესეც ცხრა;

და ბოლოს, საქმის, შრომისა და სამსახურის განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა — ესეც ათი[1].

---

[1] ეს „ათი მცნება" გიორგი ლომთათიძემ თავისი ძველი ჩანაწერებიდან სპეციალურად ჩემთვის ამოწერა და გადმომცა 1949 წელს, რისთვისაც უდიდესი მადლობა მოვახსენე მას.

მე მგონი, კმარა... თქვენ თუ ამ ათი მცნებიდან ერთი მაინც აღიბეჭდეთ გულზე, დანარჩენი ცხრა თავისთავად მოვა და ყოველი თქვენგანი ღირსეული მოქალაქე იქნება — ერი თქვენი მადლობით მოიხსენიებს თქვენს სახელს, ჩვენ კი თქვენს ვალმოხდილ მასწავლებლებს ქვეყნის წინაშე ამოცანა შესრულებული გვექნება და უფლებაც გვექნება ვთქვათ ის, რასაც მე ყოველი თეორემის დამტკიცების მერე გეუბნებით — Quod erat demostrandum — რაც უნდა დაგვემტკიცებინა — ბატონმა ვასომ, დაფაზე სამი ასო „q", „e" და „d" დაწერა და წერტილი დასვა.

გაკვეთილი დამთავრდა... ბატონი ვასო გავიდა და მხოლოდ ამის მერე შევნიშნეთ, რომ თითქმის ყველას გეომეტრიის რვეულები გადაშლილი გვქონდა და შიგ მორიგი თეორემის ნაცვლად „ათი მცნება" გვქონდა ჩამოწერილი. მეორე დღეს ეს ათივე მცნება სუფთად გადავწერეთ — სათაურად წარუმძღვარეთ Magister dixi[1] და კედელზე გავაკარით. როცა შემდეგ გაკვეთილზე ბატონი ვასო შემოვიდა ჩვენს კლასში, როგორც ჩანს, აღარ იყო ლირიკულ გუნება-განწყობილებაზე, შეხედა კედელზე გაკრულ „მცნებებს", წარბი შეიკრა და გამწყრალმა ბრძანა:

— მე გითხარით, ეს მცნებები გულზე აღიბეჭდეთ-მეთქი, თქვენ კი კედელს მიაბეჭდეთ ისინი. ახლავე ჩამოხსენით, ეგ ფარატინა კედელს!

ქაღალდი ჩამოვხსენით, მაგრამ გულებში და საგულდაგულოდ გადათეთრებულ რვეულებში კი სამუდამოდ დაგვრჩა ბატონი ვასოს ათი მცნება, რომელთათვისაც ვცდილობდით აღარასოდეს გვეღალატა შემდეგ".

1929 წელს ვასო აბდუშელიშვილი განაგრძობს მასწავლებლობას პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, ხოლო საღამოობით — ტექნიკუმებსა და მუშფაკებში ატარებს მათემატიკის გაკვეთილებს. ამ წლიდან მის არქივში შემონახულია უბის წიგნაკები, რომლებშიაც მას შეჰქონდა თავისი მოწაფეების ყოველდღიური ნიშნები. ერთ-ერთ ასეთ წიგნაკს, აი, უკვე ნახევარი საუკუნე უსრულდება. ფურცლები ჯერ ხმარებისა, ხოლო შემდეგ დროსა და ყამისაგან გაყვითლდა, გაცვდა და იქ ჩაწერილი გვარებისა და ნიშნების გარჩევა დღეს უკვე ძნელია. 1929 წლით დათარიღებულ წიგნაკში რამოდენიმე გვარი მაინც გარკვევით იკითხება: ზურაბ აბდუშელიშვილი, ლევან ასათიანი, გიორგი ბაბილოძე, დავით გამრეკელი, არჩილ გელოვანი, ელენე გერი, შალვა დიასამიძე და სხვ.

---

[1] მოძღვარმა ბრძანა.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ერთი საინტერესო ინციდენტი ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში.

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“-ო, უთქვამს პოეტს და ბატონი ვასო არც ისე ცუდი იყო, რომ მტერი არა ჰყოლოდა; ჰყავდა, როგორ არა ჰყავდა, მაგრამ მათზე ლაპარაკი არ უყვარდა და ამიტომ მათი გახსენება ახლა ძნელია... თუმცა, ერთი შემთხვევა მაინც მაგონდება.

ერთხელ, ოციანი წლების ბოლოს თუ ოცდაათიანი წლების დასაწყისში ვ. აბდუშელიშვილი რომელიღაც ტექნიკუმსა თუ მუშფაკში ასწავლიდა მათემატიკურ საგნებს; სასწავლებელში თავმოყრილი იყო ასაკგადაცილებული, სწავლას ჩამორჩენილი და შემთხვევითი მოსწავლეები. იყვნენ გზას აცდენილნიც. მასწავლებლებს არ მიუხაროდათ ამ სასწავლებელში და ამიტომ პედაგოგიური კოლექტივიც საკმაოდ სუსტი იყო და მხოლოდ „შემთავსებლები“ და არაპროფესიონალები შეადგენდენ მას. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო, რომ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა სრულიად მოუმზადებელი, შემთხვევითი პიროვნება, რომელიც აგრეთვე „მათემატიკოსობაზე“ სდებდა თავს. განსახკომის კომისიები, რომლებიც მაშინ ხშირად ამოწმებდნენ ხოლმე ასეთი ტიპის სასწავლებლებს, დასკვნაში შეთქმულებივით ერთსა და იმავეს წერდნენ: „გარდა მათემატიკური საგნებისა, რომლებსაც პედაგოგი ვ. აბდუშელიშვილი ასწავლის, როგორც აკადემიური მოსწრება, ისე დისციპლინა, სკოლაში დაუშვებლად დაბალ დონეზე დგას... საჭიროა რაიმე ქმედითი ღონისძიებების მიღება“. ასეთი დასკვნები ბევრს, და პირველ რიგში სკოლის ხელმძღვანელს, ცხადია, გულზე არ ეხატებოდა. ჰოდა, სკოლის დირექტორმაც — მოდით ნუ დავასახელებთ მის გვარს, მით უფრო, რომ ის დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის — გადაწყვიტა ასეთი „ქმედითი ღონისძიების“ ჩატარება: მოიწვია პედაგოგიური საბჭო და განსახილველად წარუდგინა ვასილ აბდუშელიშვილის პერსონალური საქმე. მომხსენებელი განსაკუთრებით აწვებოდა აბდუშელიშვილის სიმკაცრესა და უხეშობას. ახლა რაღა დასამალია და... მერეც და განსაკუთრებით კი მისი მოღვაწეობის დასაწყისში, საოცრად უხვი და მრავალფეროვანი იყო ბატონი ვასოს ეპითეტებისა და ქათინაურების რეპერტუარი. ჰოდა, „გულისხმიერმა“ მომხსენებელმაც ამ კამერტონზე ააწყო თავისი გალობა; ბოლოს კი ასეთი დამამთავრებელი აკორდიც კი აიღო:

— ჩვენს სანიმუშო სასწავლებელში, ჩვენს ჰუმანურ კოლექტივში, ჩვენს პედაგოგიურ წრეში, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ასეთ უხეშს, მკაცრსა და არაპედაგოგიურ ელემენტს! ეს ჩვენი პედაგოგიური ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დარღვევაა!

დირექტორს, ცხადია, მხრის ამბმელებიც აღმოუჩნდნენ. ბატონ

ვასოს, თურმე, ჯერ ძარღვი გაეკიმა შუბლზე, მერე წარბი აუთამაშდა, ბოლოს თვალები ნაპერწკლებით აევსო, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა უთხრა აღმზრდელობითი პრობლემებით „გულშეძრულ“ მომხსენებელსა და მის დამქაშებს:

— მე რომ ანგელოზი არა ვარ, ეს ვიცი, მაგრამ ხამოთხეში რომ არ დავფრინავ ამაშიაც დავრწმუნდიო დღეს!

და დატოვა კრება.

იმ დღის მერე მას ამ „სამოთხეში“ ფეხი აღარ შეუდგამს. მოსწავლეებმა ეს რომ გაიგეს, დირექციას ობსტრუქცია მოუწყვეს — სანამ აბდუშელიშვილს არ დააბრუნებთ, სასწავლებელში აღარ ვივლითო. პედაგოგებისა და მოსწავლეების დელეგაცია დელეგაციას სცვლიდა ვ. აბდუშელიშვილის ბინაზე, მაგრამ ბატონმა ვასომ აღარ ინდომა იმ სასწავლებელში დაბრუნება. ყოველივე ამას მხოლოდ ის მოჰყვა შედეგად, რომ გამწყრალ პედაგოგს მოსწავლეებმა „მრისხანე ანგელოზი“ შეარქვეს და ეს სახელი მას კარგა ხანს შერჩა, სანამ ის „თარსმა“ არ შეცვალა, რომელსაც ბოლო ხანებში „აბდულაც“ დაემატა.

დიახ, მიუხედავად სიმკაცრისა „მრისხანე ანგელოზი“ მაინც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ მოსწავლეებს და ეს სიყვარული ამ ინციდენტიდანაც კარგად ჩანს, თანაც...

ამ რამოდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა ვასილ აბდუშელიშვილის უახლოესი მეგობრისა და კოლეგის დავით პარკაძისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელშიაც მოტანილია აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მოგონება; აი, პაწაწინა ნაწყვეტი ამ მოგონებიდან:

„მრავალი თაობა მადლიერებით იხსენიებს დავით პარკაძეს, ვასო აბდუშელიშვილს, რაჟდენ ხუციშვილს და სხვებს, ვინც „მკაცრად“ ეკიდებოდნენ თავიანთ მოსწავლეებს იმ დევიზით, რომ „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო“. მკაცრ მოთხოვნაში ჰუმანურობაა! მართლაც, იმაზე მეტი ჰუმანურობა რა იქნება, რაც შეიძლება იყო მომთხოვნი იმ მიზნით, რომ კარგი მუშაკი, კარგი მოღვაწე გაუზარდო ქვეყანას, სამშობლოს. სამშობლო მხოლოდ ტერიტორია კი არაა, არამედ ხალხია და რამდენადაც ხალხი ჭეშმარიტად ღრმად განათლებულია, იმდენად ქვეყანა უფრო სახელოვანია, ფესვებმაგარი“[1].

1930 წელს გამოქვეყნდა დადგენილება საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შესახებ, რამაც განსაკუთრებით დიდი მოვალეობა დააკისრა განათლების მუშაკებს.

---

1 დ. პ ა რ კ ა ძ ე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1976, გვ. 12.

იანვრის თვეში გაცემულია ტფილისის განათლების მუშაკთა სახლის საწევრო წიგნაკი, № 494, სადაც აღნიშნულია ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილის მუშაობის ადგილი — პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა. ამ წლის „ცოდვის წიგნაკში“ ძლივს ვარჩევ ვასილ აბდუშელიშვილის იმდროინდელი მოსწავლეების გვარებს: ალექსიძე დიმიტრი, ბედუკაძე სარა, გვარამაძე ლილი, დემურია ლევან, პარკაძე ვახტანგ, ჟორდანია გივი, სტურუა ნიკოლოზ და სხვ. ოდესღაც ვასილ აბდუშელიშვილი ამ შესანიშნავი ადამიანების არა მარტო მათემატიკის მასწავლებელი, არამედ აღმზრდელი და კლასის დამრიგებელიც იყო.

დღეს ამ უკვე დამსახურებულ და მხცოვან ადამიანებს განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აქვთ შემონახული ვასილ აბდუშელიშვილის ხსოვნა და ჩემს წინ ისევ დგება კითხვა: რატომ, როგორ მოხდა ამ სიყვარულის უქრობი ნაღვერდლის შემონახვა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში? არ ვიცი!.. შეიძლება იმიტომ, რომ...

ზოგიერთებს მასწავლებელი იმიტომ უყვართ, რომ ის კარგი მცოდნეა თავისი საგნისა, ზოგიერთებს იმიტომ, რომ ის საერთოდ ყველაფრის მცოდნე და დიდად განსწავლულია, ზოგს იმიტომ, რომ ის უანგარიშოდ გასცემს, მაგრამ უშეღავათოდ მოითხოვს. ზოგს იმიტომ, რომ ის მტკიცეა და სამართლიანი, ზოგს იმიტომ, რომ ის ფანატიკურად არის შეყვარებული თავის საგანში, ზოგს კი იმიტომ — რომ ის შეყვარებულია თავის მოწაფეებში; ვასო აბდუშელიშვილს კი ყველაფერი ეს ერთად ჰქონდა მომადლებული და ალბათ ამიტომ, სხვადასხვა გაგების, აღზრდისა და გემოვნების მოსწავლეებს ის განურჩევლად ერთნაირად უყვარდათ და ეს სიყვარული მისდევდა მათ მთელი ცხოვრების მანძილზე. აქ კიდევ ერთი დეტალია ხაზგასასმელი — ვასო სუსტ მოწაფეებსაც უყვარდათ, მაგრამ ეს უკვე სხვა მოვლენაა, მგონი; აქ, ამ სუსტი მოსწავლეების აკადემიური დონე კი არა — მათი პიროვნული ღირსება უნდა იყოს მთავარი. ალბათ, ყოველივე ეს იყო იმის მიზეზი, რომ თავისი დროისათვის ვასო აბდუშელიშვილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული პიროვნება იყო მოსწავლე ახალგაზრდობასა და საერთოდ მთელ ჩვენ პედაგოგიურ სამყაროში. ერთხელ პროფესორმა ვახტანგ პარკაძემ გაიხსენა: „როცა პატარაობისას ბავშვები ერთმანეთს შევეჯიბრებოდით — არა ჩემი სკოლა სჯობია, არა ჩემიო, ჩვენ, პირველი სკოლის მოსწავლეები ბოლოს უძლეველ საბუთს მოვიშველიებდით ხოლმე—ჩვენს სკოლაში აბდუშელიშვილი ასწავლისო და ამის შემდეგ გამარჯვება, როგორც წესი, ჩვენ გვრჩებოდა; ჩვენ, ბატონი ვასოს მოწაფეები, მისი სახელით თავს ვიწონებდით, ჩვენი დამარცხებული მეტოქეები კი ბავშვური

შურით იხერხებოდნენ“-ო. ასეთი იყო ვასო აბდუშელიშვილის ავტორიტეტი იმდროინდელ მოსწავლეებს შორის. კარგი მასწავლებლები მაშინ სხვებიც ბევრნი იყვნენ, მაგრამ ვასო აბდუშელიშვილი მაინც ერთი იყო მათ შორის.

„1930 წ. ივნისის 22-სა.

ჩემო ძვირფასო ვასო! მოვედი შენთან, რომ გადაგიხადო კვალად და კვალად ჩემი გულითადი და ღრმა მადლობა იმ გრძნობიერი, ტკბილი სიტყვებისათვის, რა სიტყვებიც ისმინა ჩემმა მოხუცმა ყურმა სამი ჩემი ძვირფასი და საყვარელი მოწაფედ-ყოფილის მხრით. გადაგეხვევი წრფელის გულით და გთხოვ, ჩემო ვასო, ჩემი გულითადი მადლობა გადასცე ყველას, ყველას იმ პატივისცემისათვის, რა პატივისცემაც მაღირსეთ ამ ჩემს მოხუცებაში. მეტად დიდი იყო და დიდი გრძნობების ამშლელი ეს პატივისცემა! ვიხდი კიდევ ბოდიშს, ჩემი გულისათვის რომ თავი შეიწუხა ბევრმა და დიდი საჩუქარი მომიძღვნა. მცხვენია დიახაც, რომ ამას ვერაფრით ვერ გადაუხდი ეხლა ვერავის. მოგეხვევით ყველას და ვნატრობ თქვენს ჯანსაღობით მრავალწლივ სიცოცხლეს და სასახელო გამარჯვებას თქვენს პატიოსანს მოღვაწეობაში.

დიდად დაჯილდოვებული თქვენგან
ივანე რატიშვილი“.

1931 წლით არის დათარიღებული ვასილ აბდუშელიშვილის არქივში შემონახული ორი საბუთი, ერთი მის სახელზე გაცემული საწევრო ბილეთი № 20195-ია, სადაც აღნიშნულია სამუშაოს ადგილი: „საქ. სახ. საღმ. ტეხ.“ მე არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს, შეიძლება ეს იყოს „საქართველოს სახელმწიფო სა(ა)ღმშენებლო ტექნიკუმი“.

მეორე, ეს არის პირადობის მოწმობა რკინიგზის ტექნიკუმიდან, რომლის მოქმედების ვადა გაგრძელებულია 1931 წლის 31 დეკემბრამდე.

აქვეა 1931 წლის „ცოდვის წიგნაკი“ და იმ მოწაფეების გვარები და ნიშნები, რომლებიც ამ წელს ვასო აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ მათემატიკურ საგნებს. აი, ზოგიერთი მათგანი: ბერიძე ვახტანგ, ბოცვაძე იოსებ, გოგიჩაიშვილი ეკატერინე, გომელაური ვახტანგ, ზანდუკელი ქეთევან და თამარ, კავსაძე რევაზ, ლომთათიძე გიორგი, ლორთქიფანიძე რევაზ, ორახელაშვილი ქეთევან, სააკაშვილი თამარ, ქუჩუკაშვილი ქეთევან, უანჩაველი გიორგი, ჭანტურიშვილი პავლე, ჭოღოშვილი გიორგი, ჯავახიშვილი ნინო, ჯავრიშვილი კონსტანტინე და სხვ.

1965 წლის აგვისტოა. არნახული სიცხეები დაიჭირა იმ ზაფხულს... თბილისი იწვის და ოხშივარი ასდის... ქალაქის ქუჩები თითქმის დაცლილია... მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების წინ მოუყრიათ თავი სიცხისაგან გაწამებულ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს და როგორც ცით მოვლენილ სასწაულს, ისე შეჰყურებენ ხეზე დაკიდულ რეპროდუქტორს, რომელიც შიგადაშიგ, სულთმობრძავივით ამოიხრიალებს ხოლმე:

— ჩიტრეკიშვილი მადონა — სამი... და გაჩუმდება.

მთელი დღე დავაბოტებდი ადუღებულ ასფალტზე და როცა დარაბებმიხურულ ჩემს მყუდრო ოთახში შევედი, ასე მეგონა, სამოთხის კარი გამეხსნა მეთქი... შვებით ამოვისუნთქე... ოთახში გრილოდა და სიჩუმე იდგა, მხოლოდ გვერდით ოთახიდან ისმოდა ჩართული რადიომიმღების მოგუდული ჩურჩული; გავედი, მინდოდა ისიც გამეჩუმებინა, რომ არაფერს დაერღვია ჩემი მყუდროება, მაგრამ სწორედ ამ დროს გავიგონე დიქტორის ნაცნობი ხმა:

— ვიწყებთ გადაცემას ახალგაზრდობისათვის, მოისმინეთ გადაცემა — აირჩიე, სად გსურს ისწავლო; მიკროფონთან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ოთარ ონიაშვილი — გამომრთველისაკენ გაშვერილი ხელი ჰაერში გამიშეშდა...

ოთარ ონიაშვილი... სხვისა არ ვიცი და ჩემთვის ბევრის მთქმელი იყო გვარი იმ კაცისა, რომელმაც ჩვენს მეცნიერებაში მეტეორივით გაიელვა, ღრმა კვალი დატოვა და სრულიად მოულოდნელად გაქრა. ჩვეულებრივ ნეკროლოგებს გაცვეთილი ფრაზით იწყებენ ხოლმე: „ჩვენმა მწერლობამ... ხელოვნებამ... მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა... გარდაიცვალა...“ და ა. შ. ოთარ ონიაშვილის მოულოდნელი და თავზარდამცემი გარდაცვალების დღეებშიაც ასე იწერებოდნენ გაზეთები, მაგრამ, ვაი, რომ ეს სიტყვა „აუნაზღაურებელი“ არც გაცვეთილი იყო და არც ტრაფარეტული მაშინ... ის საოცრად ზუსტად გამოხატავდა იმ სიცარიელეს, რომელიც მას შემდეგ ვეღარაფერმა ამოავსო... მაგრამ ეს შემდეგ იყო... მაშინ კი, ზაფხულის იმ დასიცხულ დღეს, გაშვერილი ხელი უნებლიედ დავუშვი, რადიომიმღებს მივუახლოვდი და სმენად ვიქეცი...

ვინც ახლოს იცნობდა ბატონ ოთარს (მე, სამწუხაროდ, წილად არ მხვდა ასეთი ბედნიერება), ყველას აოცებდა ამ ადამიანის ფენომენალური ნიჭი და მრავალმხრივობა: ჩინებული მუსიკოსი და პროფესიონალიზმამდე მისული მისი საშემსრულებლო ტექნიკა, თითქმის ყველა ევროპული ენის ცოდნა და ბოლოს მათემატიკური აზროვნების ფასდაუდებელი უნარი, რომელმაც მას, ჯერ სრულიად ახალგაზრდას, საქვეყნო სახელი მოუპოვა და უმაღლეს სამეცნიერო საფეხურზე აიყვანა... რა ძნელი უნდა ყოფილიყო მისთვის ცხოვრების გზის არ-

ჩევა მაშინ, როცა მის წინაშე ასეთი არჩევანი იდგა... მისთვის ხომ ყველა კარი ღია იყო და ყველა გზა ნაკურთხი; რას უნდა გადაეწონა, რას უნდა გაემარჯვნა, რას უნდა გადაეწყვიტა არჩევანი... სწორედ ამაზე ჰყვებოდა ბატონი ოთარ, ჰყვებოდა სადად, უბრალოდ, აუჩქარებლად, ჰყვებოდა ისე, თითქოს ყველა მოსწავლისა და ყველა აბიტურიენტის წინაშე ასეთივე რთული არჩევანი დგას და...

— თქვენ რატომ არ მღერითო, — ჰკითხა ერთხელ, თურმე, ვანო სარაჯიშვილმა სუფრაზე მის გვერდით მჯდომ მანდილოსანს.

— მე ღმერთმა არ ჭომცა გალობის ნიჭიო, — მიუგო მანდილოსანმა, მაგრამ ვანო სარაჯიშვილმა ეს არ დაიჯერა, ალბათ, ჩემთან ჯდომა არ სიამოვნებსო, — იფიქრა და სხვაგან გადაჯდა. — საკვირველია არა?.. მაგრამ, ალბათ, მარტო უსინათლომ იცის სინათლის, ხოლო მწყურვალმა წყლის ჭეშმარიტი ფასი.

ბატონი ოთარი კი ჰყვებოდა:

— თავდავიწყებით მიყვარდაო მუსიკა, მუსიკის გარეშე ჩემი ცხოვრება არ წარმომედგინა და არც ახლა წარმომიდგენიაო... გატაცებით ვსწავლობდიო ენებს, ერთი ენის შესწავლა მეორის შეხწავლის სურვილს მიღვიძებდა, მეორე — მესამისას და ასე ვსწავლობდი გატაცებით და ეს სწავლა ჩემს სულიერ მოთხოვნილებად იქცა ბოლოს და მე დღესაც ვსწავლობო ენებს... მაგრამ როცა არჩევანზე მიდგა საქმე, ცხოვრების გზად ისეთი მშრალი და ერთის შეხედვით ნაკლებ რომანტიკული გზა ავირჩიე, როგორიც მათემატიკაა... ამ არჩევანს თავისი მიზეზი, უსათუოდ, ჰქონდა... საქმე ის არის, რომ ჩვენ საშუალო სკოლაში მათემატიკურ საგნებს გვასწავლიდა კაცი, რომლის სახელის წარმოთქმა მე დღესაც არ შემიძლია უდიდესი მოკრძალების, რიდისა და მადლობის გარეშე. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი საგანი და ჩვენც, მის ნორჩ მოსწავლეებს, გასაოცარი ოსტატობით გვიხსნიდა ამ რთული, მაგრამ ზუსტი, ყოვლისმომცველი, მაგრამ კონკრეტული, მეცნიერების ყველა საიდუმლოს. ჩვენ მარტო მის მიერ მოწოდებული საგნის სილამაზე კი არ გვხიბლავდა, არამედ თვით მასწავლებლის საოცრად ძლიერი, მთლიანი და სპეტაკი პიროვნება. მარტო მე არ ვიყავი მისი თაყვანისმცემელი, ჩემგვარი კლასში, და არა მარტო ჩვენს კლასში, ბევრი იყო, მაგრამ მე მუდამ გულით ვატარებდი სანუკვარ ოცნებას, სკოლის დამთავრების მერე უყოყმანოდ დავდგომოდი იმ გზას, რომლის კარი ჩვენმა მკაცრმა, მაგრამ საოცრად სამართლიანმა მასწავლებელმა გაგვიღო და გვაზიარა კიდეც მის საიდუმლოებას. ახლა რაღა დასამალია და, როგორც სხვებს, ისე მეც გულით მსურდა დავმგვანებოდი ჩემს მასწავლებელს, მიმებაძა მისთვის. მინდოდა ვყოფილიყავი ისეთივე კაცი, როგორიც ის იყო; მე არ ვიცი, შეეძელი თუ არა ეს, მაგრამ ჩემი ცხოვრების ძირითადი

გზის არჩევაში რომ მან შეასრულა გადამწყვეტი როლი, ეს უდავოა და მე არასოდეს, ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე, თვით ჩაკარდნებისა და უკიდურესი სიძნელეების დროსაც კი არ მინანია, რომ ის გზა ავირჩიე, რომელზედაც მან დამაყენა და დღემდე უდიდესი მადლობისა და პატივისცემის გრძნობით ვიგონებ მას.

ეს მასწავლებელი თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის მათემატიკური საგნების მასწავლებელი — ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი ხანია უკვე, აღარ არის ცოცხალი.

დაამთავრა ბატონმა ოთარმა და მე კი ახლაც დამიარა იმ ერუანტელმა, რომელმაც მუხლი მომკვეთა მაშინ:

„თურმე დიდებას მადლისას
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
როგორც დიდ ბოროტს — დიდ მადლსაც
თავისი ზარი ჰქონია...“

დიდხანს, დიდხანს ვიჯექი სიკეთისა და მადლის ამ „ზარით“ გულშეძრული და უკვე აღარ მესმოდა, რას ამბობდა რადიოკომენტატორი... მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში: „რა ჰქონდა ბატონ ვასოს ისეთი, რაც ესოდენ დიდ და წარუშლელ ზეგავლენას ახდენდა ყველა მის მოსწავლეზე. იქნებ საგნის ცოდნა, ან ამ საგნის გადმოცემის უნარი, ან იქნებ მას ბედი ჰქონდა და ცხოვრებაში მხოლოდ კარგ მოსწავლეებს ხვდებოდა; რა იყო მთავარი; თვითონ ის, თუ მისი მოსწავლეები და ჩემს წარმოდგენაში თანდათან ქანდაკდებოდა უძველესი და დღემდე გადაუჭრელი ყველა კითხვის პირველი კითხვა — „თესლი თუ მიწა?.. მიწა თუ თესლი?.. ვინ იცის? მე ამ კითხვაზე ვერც მაშინ და ვერც მერე გავეცი პასუხი.

ვერც მერე!.. დიაღ, ვერც მერე! ამ რამდენიმე წლის წინათ, გამოქვეყნდა ჟურნალ „დროშის“ კორესპონდენტის ილია ტატიშვილის საუბარი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, საბჭოთა კავშირის მარშალ არჩილ გელოვანთან. აი ერთი ნაწყვეტი ამ საუბრიდან: „დიდი მადლობით მინდა მოვიხსენიო ჩემი პატივცემული პედაგოგები, — უთქვამს ამ საუბრის დროს მარშალს, — სიმონ ვაჩნაძე, ვასო აბდუშელიშვილი, ტერენტი ვეფხვაძე, ივანე ნიჟარაძე, დავით დონდუა, არჩილ ბაქრაძე, რომლებმაც დიდი უანგარო შრომით, ცოდნა და შრომის მოყვარეობა დანერგეს ჩვენს ახალგაზრდულ შეგნებაში.

— პატივცემულო არჩილ, როგორც გავიგე, ახალგაზრდობაში თქვენ, თურმე, საკმაო ნიჭს ამჟღავნებდით ფერწერაში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პატივცემულმა მოსე თოიძემ სიამოვნებით მიმიღო თავის სკოლაში. სიმართლე გითხრათ, მე უფრო მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი თ ვიყავი გატაცებული. ეს გატაცება თანდათან უფრო ძლიერდებოდა, ბოლოს კი ამ მიდრეკილებამ თავისი გაიტანა. როდესაც დედაჩემი მოსე თოიძესთან მივიდა, რომ საბუთები გამოერთმია და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეეტანა, მხატვარმა განაწყენებით უთხრა: ცუდს აკეთებთ, რომ მიგყავთ. თქვენი შვილი ფერწერაში ნიჭიერია და მისგან კარგი ხელოვანი დადგებაო"[1].

„მაგრამ საბოლოოდ მაინც სხვა გზა ავირჩიე, თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში შევედი. მახსოვს, როგორ „გამწურეს", მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში, რაკი პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ც დ ე ლ-ს ა ჩ ვ ნ ე ბ ე ლ ი ს კ ო ლ ი დ ა ნ ვიყავი. ბოლოს მაინც „ფრიადი" დამიწერეს[2] (ხაზგასმა ჩემია, — მ. ა.).

ისევ გამორჩეული ნიჭი ხელოვნებაში — ამ შემთხვევაში ფერწერაში (მოსე თოიძე თავის კლასში ყველას არ იღებდა), ისევ გატაცება მათემატიკით და ისევ არჩევანი მათემატიკის სასარგებლოდ... და აქაც გზის დასაწყისში ვასო აბდუშელიშვილის ფიგურა დგას. გასაოცარია, საკვირველი!.. და ისევ: „თესლი თუ მიწა?.. მიწა თუ თესლი?.." არ ვიცი!.. არ ვიცი, მაგრამ... ნოყიერ მიწაში, რომ ღვარძლის თესლიც ხარობს და ლენცოფასიც, ეს ვიცი, თუმცა ისიც ვიცი, რომ უვარგის მიწაში საგულდაგულოდ შერჩეული თესლიც იღუპება... და მაინც... როგორ სწყურია ჩვენს მაშვრალ მიწას ხელმადლიანი მხვნელ-მთესველები.

ეს წიგნიც ხომ ერთ-ერთ ასეთ ხელმადლიან მხვნელ-მთესველს ეძღვნება.

არა, არ ვცდები მე ბატონი ვასოს შეფასებაში, უთუოდ ხელმადლიანი მხვნელ-მთესველი იყო ნეტარხსენებული, თორემ... ამ წიგნზე მუშაობა უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც „ახალგაზრდა კომუნისტის" 1979 წლის 20 სექტემბრის ნომერში ამოვიკითხე ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფ. მალხაზ ზაალიშვილის სიტყვები: „სკოლას რომ ვამთავრებდი, ჩემი ოცნება იყო მათემატიკის მასწავლებელი გავმხდარიყავი, იმიტომ, რომ მე მათემატიკას შესანიშნავი პედაგოგი ვასილ აბდუშელიშვილი მასწავლიდა...

ვისურვებდი, დღესაც მრავლად ჰყავდეს სკოლას ამგვარი მასწავ-

---

[1] „დროშა", 1976 წ., № 5, გვ. 8.
[2] „კომუნისტი", 1978, № 25 (27069), 25 იანვარი.

ლებლები, ასე რომ მოხდეს, სკოლებში აუცილებლად უნდა გაიგზავნონ ყველაზე საუკეთესონი"[1].

და ასეა მუდამ... გადიან წლები, უკვე საუკუნის სამმა მეოთხედმა განვლო მას შემდეგ, რაც ბატონმა ვასომ პირველად შეაღო ყურადღებადქცეული მოსწავლეებით სავსე საკლასო ოთახის კარი და... საუკუნის მესამედზე მეტმა — მას შემდეგ, რაც მან უკანასკნელად გამოიხურა ის და... დღესაც, დღესაც არ მიმწყდარა მისი ნათელი სახელის ხსენება და დღესაც არ მიმქრალა მისი ნათელი ნაკვალევი... დღესაც ხარობს ოდესღაც მისი მადლიანი ხელით ნათესი ნაყოფი.

დიდი... შეიძლება უკვდავიც კი, ყოფილა გულმართალი და გონებანათელი მადლის სიკეთე.

არა, არ ვცდები მე ბატონი ვასოს შეფასებაში!

1932 წელს ვასო აბდუშელიშვილის ცხოვრებაში კიდევ ერთმა, შავმა ღრუბელმა გადაიარა. გარდაიცვალა მისი, ახლა უკვე ერთადერთი და, ელისაბედ აბდუშელიშვილი-წერეთლისა.

ამ წლის „ცოდვის წიგნაკში" ვარჩევთ გვარებს: აბაშიძე გიორგი, აბდუშელიშვილი არჩილ, გაბაშვილი ეკატერინე, გაჩეჩილაძე გივი, გუდიაშვილი ნიკოლოზ, დემიდოვი გიორგი, ლომინაძე კონსტანტინე, მგალობლიშვილი გივი, ცაგარელი არჩილ, ჯავახიშვილი კახა...

ჯავახიშვილი კახა... დიდი ივანე ჯავახიშვილის უფროსი ვაჟი. მას თურმე სახლში ამზადებდნენ, სკოლაში უკვე მოზრდილი მივიდა და იმთავითვე მოხვდა ვასო აბდუშელიშვილის კლასში. ცხადია, ყმაწვილს სკოლის ჩვეები ჯერ კიდევ არ ჰქონდა ათვისებული და ამიტომ მისთვის ბევრი რამ უჩვეულო იყო. აი, ერთი პაწაწინა კურიოზი:

მათემატიკის გაკვეთილი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ვასილ აბდუშელიშვილმა დაფასთან კახა ჯავახიშვილი გაიძახა და დავალება მისცა. გამოძახებას მიუჩვეველი ბავშვი დაიბნა და დიდხანს ხმა ვერ ამოიღო. ვასილ აბდუშელიშვილი ერთხანს ელოდა პასუხს, მერე მოთმინება დაეკარგა და...

— ჯავახიშვილო, კიდევ რამდენს საუკუნეს გასტანს შენი დუმილი. კახა ისევ სდუმდა...

— ხმა ამოიღე, ყმაწვილო! — ხმას აუწია ბატონმა ვასომ, — დროცა მოწაფემ ისევ არ ამოიღო ხმა, საოცრად გაჯავრდა და...

— მამაშენმა ორმოცდაათი საუკუნის განმავლობაში დადუმებულ ლოდებს ამოაღებინა ხმა და თხუთმეტი საუკუნის წინათ დამუნჯებული სიგელ-გუჯრები აამეტყველა, შენ კი ასე უღმერთოდ რამ

[1] „ახალგაზრდა კომუნისტი", 1979, 20 სექტემბერი, № 112 (9999).

დაგიკარგაო მეტყველების უნარი, — კლასში შეკავებული სიცილი გაისმა, კახა ჯავახიშვილმა კი კიდევ უფრო ჩაჰკიდა თავი, მაგრამ, სწორედ ამ დროს გაისმა მხსნელი ზარის ხმა... გაკვეთილი დამთავრდა.

გულდაწყვეტილი მასწავლებელი მიუახლოვდა სიმწრის ოფლში გაწურულ მოწაფეს, მხარზე დაადო ხელი, გაუღიმა და უთხრა:

— კახა ბიჭო, არ დაგავიწყდეს ბრძენკაცის სიტყვა, შენზე რომ უთქვამს: „რაც შეჰფერის უბრალო ბერს — არ შეჰფერის კახა-ბერსო“.

ეს იყო... ამის მერე „ამეტყველებულმა კახა-ბერმა“ არქეოლოგობას არქიტექტორობა არჩია და ამ არჩევანში, მგონი, არც მათემატიკის სიყვარული იყო მეტი ჩარა.

1933 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოში გატარდა საყოველთაოსავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში.

ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი 1 იანვრიდან ითვლება თბილისის განათლების მუშაკთა სახლის წევრად. საწევრო წიგნაკი № 106. „მუშაობის ადგილი: პირველი საცდელი სანიმუშო სკოლა“. აქვეა 1933 წლის „ცოდვის წიგნაკი“, გვარებით: ლორთქიფანიძე ნოდარ, მამრაძე გრიგოლ, ორახელაშვილი თინა, პოლიეექტოვი ნიკოლოზ, ქარცივაძე გიორგი, ქიქოძე თინათინ, ციციშვილი გივი და სხვ.

რწმენა, რომ ძია ვასომ ყველაფერი იცის, ჩვენ, მის აღზრდილებს, მგონი, სისხლში გვქონდა გამჯდარი და ცხოვრებაში ეს რწმენა თანდათან გვიღრმავდებოდა და გვიმტკიცდებოდა.

სულ პატარები ვიყავით: მე — პირველ კლასში, ჩემი და რუსუდანი — მეორეში, ხოლო ჩვენი ბიძაშვილი მიხეილ ფალავანდიშვილი — მესამეში, როცა ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებულმა მიშიკომ მე და ჩემი და გვერდზე გაგვიხმო და თავზარდამცემი ამბავი შეგვატყობინა:

— იცით, დღეს კლასში რა აგვიხსნეს?

ჩვენ, ცხადია, არ ვიცოდით.

— რა და იქსი! — ყურები ვაქვიტეთ. — იცით კია, რა არის იქსი?

ცხადია, არც ეს ვიცოდით. მიშიკომ ხმას უფრო დაუწია და თითქმის ჩურჩულით გაგვანდო საიდუმლო.

— იქსი უცნობია!.. ინგრეევ ეძახიან „იქსი-უცნობი“, იმიტომ, რო არავინ არა ცნობს, და არავინაც არ იცის, რა არის იქსი! ვაბშე არავინ — გაიგეეთ?!..

— როგორ თუ არავინ?.. სულ არავინ?!.. — გაუკვირდა რუსუ-დანს — არც ფრიადოსნებმა?

— რის ფრადოსნებმა, გოგო, ფრიადოსნებმა კი არა მასწეებელ-მაც კი არ იცის, იქსი რამტელია! უცნობია-მეთქი რო გეუბნები, არ გესმის?

— მაშ, მასწავლებელმა თუ არ იცის, ჩვენ როგორ უნდა გამო-ვიცნოთ? — ხმა აუკანკალდა მუდამ ფრიადოსან რუსუდანს.

— აი ეგრე, უნდა გამაიცნო და მორჩა! — მასწეებელი გკითხამს: იქსი რამტელიაო და შენც უნდა გამაიცნო, ვერ გამაიცნობ და ორიანი ხელში გიჭირამს!

რუსუდანს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა და სახე დაუგრ-ძელდა. მე უფრო მედგრად შევხვდი ამ უბედურებას.

— მეც ავდგები და ძია ვასოს ვკითხავ-მეთქი, — არხეინად გან-ვაცხადე და გამარჯვებულმა გადავხედე თავზარდაცემულ უფროსებს.

— ჰკითხამ, კი, ჰკითხამ, მაგრამ ვერც ის გეტყვის... ძია ვასომ კი არა, დელექტორმაც არ იცის იქსი რამტელია! — ავტორიტეტუ-ლად განაცხადა მიშიკომ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო და მე და რუსიკო ავჯანყდით.

— აბა, წავიდეთ ძია ვასოსთან და ვკითხოთ, იცის თუ არა რა არის „იქსი“. — განვაცხადეთ და მთელი ჩვენი შეფიქრიანებული დე-ლეგაცია გამოცხადდა აივანზე, საცა ძია ვასო და მისი ძმები ჩვეუ-ლებრივ ისხდნენ და მასლაათობდნენ.

მიშიკო ჩვენში ყველაზე უფროსი იყო და ამიტომ მოლაპარაკება მან იკისრა.

— ვასო ძია, მასწეებელმა გვითხრა, იქსი უცნობიაო და არავი-ნაც არა სცნობსო, მართალია თუ არა?

— მართალია, — ულვაშებში ჩაეღიმა ძია ვასოს, მიშიკომ კი ისეთი გამარჯვებული მზერა გვესროლა, რომ მე და რუსიკო მთლად მიწასთან გაგვასწორა და აღარ ვიცოდით, დახმარება ვისთვის გვე-თხოვა... ძია ვასო უცებ რაღაცას მიხვდა და თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა, მას თანდათან სხვებიც აჰყვნენ და ბოლოს ყველა ახარხარდა.

— მოიცა, მოიცა, — თქვა ბოლოს ძია ვასომ, როცა სული მო-ითქვა, — მოდი აქ ერთი წუთით, — მიშიკო მივიდა. ძია ვასომ ყურ-ში წაატანა ხელი, აუწია და ესა ჰკითხა ჩვენი დელეგაციის მეთაურს:

— რისთვის გამოგაგდო კლასიდან არითმეტიკის მასწავლებელმა დღეს?

მიშიკო ქურდობაზე წასწრებული ლეკვივით აწკავწკავდა.

— კალმისტარი არა მქონდა და ერთი არღნის ჩიტივით მოკაზ-მული გოგო რო დამისკუპეს წინა, იმას ავწაპნეი — იმან კი მასწეე-ბელს ვეტყვიო... მე რა მექნა, უჩქმიტევი და იმან კი ღრიალი და-

იწყო... მასწავებელმა ეს რო დაინახა „ფალავანდიშვილო, გარეთ გადიო“, ჩეც ავდექი და გამოვედი... მა რა მექნა, იქ ხო არ დავრჩებოდიო? — დაამთავრა „უდანაშაულო მათემატიკოსმა“ და ხარხარმა, მგონი, მეზობლებიც კი გამოიყვანა გარეთ.

მე. და რუსიკომ შვებით ამოვისუნთქეთ.

საზოგადოდ, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებულისათვის არ არსებობდა იუმორის მხოლოდ ის სახეობა, რომელიც სხვისა დაცინვაზე, დამცირებასა და გაბიაბრუებაზე იყო აგებული; ასეთი ქილიკაობის დროს ძია ვასოს სახე გაეყინებოდა ხოლმე და როგორღაც უეცრად გამოეთიშებოდა თანამოსაუბრეებს, რითაც სხვებსაც უკლავდა დაცინვის ხალისს.

ბავშვობისას მშობლებს თითქმის ყოველ ზაფხულს მამისეულ სოფელში დავყავდით ხოლმე დასასვენებლად. ჩვენთვის ეს ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, რადგან სწორედ აქ ვიყრიდით თავს კარგა ხნის უნახავი ნათესავები და იყო საერთო სიხარული, სიყვარული და დროსტარება. ქალაქელ პატარებს განსაკუთრებული ყურადღებით ვვანებივრებდნენ. კვირაობით ჩვენი მამა-ბიძებიც ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩვენს სანახავად და თუნდაც ერთი დღით დასასვენებლად, თუ დროსსატარებლად — ამიტომ, არც გასაკვირია, რომ ყოველ კვირა დილას ჩვენც ისე ველოდით, როგორც დღესასწაულს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ლაშურის ღელეში, ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ზაფხულის ის ნათელი დღეები, ნათელ მოგონებად ჩაიძირა ჩემს ხსოვნაში და ახლა უკვე ვეღარაფერი შეეხება მათ.

ერთ-ერთ ამისთანა ზაფხულის დილას...

ეზოში ატეხილმა ხმაურმა და ალიაქოთმა გამომაღვიძა. ვიღაც შაოსან და ახოვან ქალს, ხელში ატატებული გოგონა მოჰყავდა და

— მიშველე გიგო, მიშველე შენი ჭირიმე, დაგვღუპა ამ ბოვშმა, ღობიოს მარცვალი შოუკვეხებია ცხვირში და მთელი ღამე არც მას ძინებია — არც ჩვენ; სული ეხუთებოდა, კინაღამ ჩაგვაკვდა ხელში... მიშველე, გიგო შენი ჭირიმე, მიშველე, თორე დევიღუპეთ და ეს ბრის!..

ამ წიოკ-წიოკზე ჩვენც გამოვცვივდით: აქ ძია ყარამანი გამოჩნდა, იქ ძია ვასო, ყველა ვინც კი იყო სახლში, დიდი და პატარა, ყველამ კაკლის ქვეშ, ეზოში მოიყარა თავი და როგორც მხსნელს, ისე მიაჩერდნენ ერთი დღით დასასვენებლად ჩამოსულ ექიმს.

მეც შევხედე მამაჩემს და შემეშინდა...

ის რაღაც ავი თვალით უყურებდა პატარა პაციენტს და თითქოს

ძნელ ფიქრს ებრძვისო, შუბლს ისრესდა. მერე მძიმედ ჩამოიღო შუბლიდან თავის ვეება ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა...

— რას სჩადიხარ, ადამიანო! — არაადამიანური ხმით იღრიალა ძია ვასომ და

— Гиго, ты из ума выжил!-ო — შეჰკივლა დედაჩემმაც, მაგრამ როცა პატარა ავადმყოფს სისხლი წასკდა ცხვირიდან და სისხლს გაბერილი ლობიოს მარცვალიც გამოჰყვა თან, მაშინ კი ყველამ შვებით ამოისუნთქა... მაგრამ სწორედ აქ მოხდა უცნაური გარდასახვა — პირგამეხებული ექიმი აკანკალებულ „ძია გიგოდ“ იქცა, დაავლო ხელი ატირებულ პაციენტს, გულში ჩაიკრა, სირბილით მიიყვანა პირსაბანთან, სათუთად მობანა პირისახე და თან როგორც დიდმა დამნაშავემ არაჩვეულებრივი სითბოთი და სიყვარულით მოიბოდიშა მასთან:

— მაპატიე, ჩემო გოგო, მაპატიე შენი ჭირიმე, — მე აქ სრულიად უიარაღოდ ვარ, არც პინცეტი მაქვს, არც ლანცეტი, არც ნემსი და არც წამალი; რა მექნა, დაგვიანება არ ივარგებდა... რატო ხელი არ შემახმა... მაპატიე ჩემო გოგო, მაპატიე ღვთის გულისათვის!..

პატარა პაციენტი ჯერ შეშინებული უყურებდა თავის გულაჩუყებულ ნათლია-ექიმს, მერე რაღაცას მიხვდა, თავისუფლად ამოისუნთქა, კისერზე ხელები შემოხვია მას და აკოცა; როლები შეიცვალა, პაციენტი აღარ ტიროდა, სამაგიეროდ, ექიმს ჩამოდიოდა ცრემლები და ღაპაღუპით ეცემოდა სახეგაბრწყინებული გოგონას ვარდისფერ კაბას.

ჩვენც ყველანი დამნაშავეებივით ვიდექით კაკლის ქვეშ, ჩვენც ვიცინოდით, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, გულაჩუყებულებს ერთი ცრემლი გვერჩია, მგონი, ამ სიცილს;

და ის დღეც ქეიფსა, ლხინსა და დროსტარებაში ჩაიძირა ბოლოს...

ეეჰ! როგორა სთქვა პოეტმა?.. „სულ ყველაფერი გაივლის ბოლოს და რაც გაივლის ის ძვირფასია“-ო...

ალბათ!..

ჰო, კინაღამ დამავიწყდა... ის პატარა პაციენტი, დღეს ჩვენი საყვარელი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი — მედეა ჯაფარიძეა.

მისმა სახელმა ჩემს მეხსიერებაში ჩაძირული კიდევ ერთი მოგონება ამოატივტივა...

არ მახსოვს, ესეც იმავე ზაფხულს მოხდა, თუ ერთი წლის შემდეგ, მაგრამ ამას ამჟამად არა აქვს, ალბათ, დიდი მნიშვნელობა. გალმა შალაურელი აბდუშელიშვილები მათმა მოკეთე იაშვილებმა გამოღმა არგვეთში გადაიპატიჟეს და დიდებული წეულებაც გაუმართეს...

მე ის საღამო, ან უფრო სწორედ შემოღამება არგვეთში, აუხდენელ სიზმარივით მახსოვს და აი, უკვე ნახევარი საუკუნეა ვფიქრობ: იყო კი სინამდვილეში ყოველივე, რაც მე იქ ვნახე, თუ ეს მხოლოდ გარდასახვა იყო სინამდვილისა, ბავშვური ხილვა, ან, უფრო სწორად ყმაწვილური ნაოცნებარი, მაგრამ ახლა უკვე აღარც ამას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ამ ოცნებას, ხილვას თუ გარდასახვას, თავისი ცხოვრებისეული დასაბამი ნამდვილად ჰქონდა და მეც ეს დასაბამი მინდა გავიხსენო, თუ აამისოდ მეყო უნარი.

შეუდარებელი სილამაზის მთვარიანი ღამეები იცის ნამარიობევს „საწერეთლოში". ჰოდა, წარმოიდგინეთ, ერთი ასეთი შემოღამება ზემო იმერეთის მართლაცდა ულამაზეს სოფელ არგვეთში; სახელოვანი იაშვილების სახელგანთქმული კარმიდამო და უზარმაზარი კაკლის ქვეშ, ჩვენამდე ზღაპრად მოსული საზოგადოებისათვის გაშლილი საზეიმო სუფრა.

მზე ჯერ არ ჩასულა — მთვარე კი უკვე დიდი ხანია ამოვიდა, მაგრამ მზის სხივებში ფერდაკარგული ჯერ ვერ ბედავს მეტოქეობას. მზე მიდის, მთვარე კი მოდის და რაც მზეს აკლდება ის მთვარეს ემატება — მხოლოდ ეს არის: ოქროსფერ სხივებს ვერცხლისფერი ენაცვლება და გარშემო ყველაფერს რაღაც საზღაპრო, საიდუმლო და საოცარი იერი დაჰკრავს და... დგება ღამე შეუდარებელი, განუმეორებელი აგვისტოს ღამე — ღამე, როდესაც გული მკერდის ნაცვლად ყელში იწყებს ფეთქვას და რუსთაველის თქმისა არ იყოს, თუ გული ერჩის, ძალუდევს „მხატვარსა ხატვა ხატისა".

სუფრას პაოლო იაშვილი თამადობს:

პაოლო იაშვილს რომ, როგორც „მგოსანს ჭეშმარიტს" „სიკვდილი არ უწერია" ეს ვნახეთ და ირაკლი აბაშიძემაც დაგვიდასტურა ეს, მაგრამ იმავ ირაკლი აბაშიძემ მისი სწორუპოვარი თამადობაც გაგვახსენა იქვე:

„კეთილ ვარსკვლავზე,
ბედნიერ დღეს დაბადებული,
ყველა სიკეთის მომხვეპელი,
ცაში დამჭერი,
მუდამ ზეიმად,
მუდამ ლხინად გამზადებული,
ძმობის შემკვრელი,
სუფრის თავი.
ბეპის დამჭრელი".

სწორედ ეს „ბედნიერ დღეს დაბადებული" — „სუფრის თავი" თამადობს იმ დღეს და ისეთ სადღეგრძელოებს აქანდაკებს, რომ ყვე-

ლა იქ მყოფს თავი სამოთხეში ჰგონია და ყველა მეზობელი. თუ ღმერთი არა, ღმერთკაცი მაინც. სიმღერების სული და გული ცნობილი ვალიკო მაჭავარიანია, ხოლო ბანები რომ იაშვილების ოჯახში საძებნელი არ იქნებოდა, ამაში ყველა დამეთანხმება. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია სუფრაზე პაოლოს უმცროს ძმას — ტუპია იაშვილს. საერთოდ, მარინე, ირინე და ნანა იაშვილების მუსიკალური ფენომენი მხოლოდ იმას შეიძლება მოეჩვენოს აუხსნელად, ვინც არ იცნობდა იაშვილების ოჯახს საერთოდ.

დიაღ, ასეთი ასოციაციებითა და რემინისცენციებით ქანდაკდება ჩემს წინაშე ის საოცარი საღამო, მაგრამ ყველაზე რთული ჯერჯეროობით მაინც წინ არის...

პაოლო იაშვილი მორიგ სადღეგრძელოს ბრძანებს...

ბრძანებს...

კადნიერებისათვის შენდობას ვითხოვ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე... მისი ჯადოსნური სიტყვები ცხადია, არ მახსოვს, მაგრამ სადღეგრძელო, ალბათ, ისევე როგორც ლექსი — მარტო სიტყვები არ არის, არსი კი იმ სადღეგრძელოსი, უნდა ვენდო მეხსიერებას, დაახლოებით ასეთი იყო:

— კაცი შავძვლიანი ნუ დაიბადება, თორემ მისთვის აქაც და იქაც, ყველგან ჯოჯოხეთია! ჩვენ კი... ჩვენ დაგვიფაროს ღმერთმა... და დაგვიფარა კიდეც, რამეთუ აქვე გვაზიარა ზეციერს! დიახ, თუკი არსებობს სადმე სამოთხე, ის დღეს აქ არის, აქ არგვეთში და არსად სხვაგან. აბა, მიმოიხედეთ გარშემო, განა სამოთხე არ არის ყოველივე ეს: ცაზე მთვარე სეფე სანთელივით ანთია და წმინდა სანთლებივით აციმციმებული ვარსკვლავები გვინათებენ ამ ედემის ბაღივით აწალკოტებულ ეზო-გარემოს; ესვამთ ყურძნის ნაჟურს. ნანატრს, როგორც მანანას ცისას და სუფრას ჩვენსას არ აკლია ბარაქა და მადლი მიწისა; მოციქულთა სწორ ხალხს ვადღეგრძელებთ და ისეთ საგალობლებს ვისმენთ, ღმერთებს რომ ეკადრებათ; გული სავსე გვაქვს სილამაზით, სიხარულით, სიყვარულითა და სათნოებით!.. ღმერთო მაღალო! შენ სწყალობდე ყველა აქა მბრძანებელსა, რამეთუ მათ ამ საძოთხის დანახვაც შეუძლიათ და დაფასებაც და ნუ მოაკლებ მათ ზეციერსაცა შენსა სასუფეველსა! — დაამთავრა თამადამ, მერე ცას ახედა, ფართოდ გადაიწერა პირჯვარი და სულმოუთქმელად დაცალა ლალისფერი ღვინით სავსე ვერცხლის უზარმაზარი აზარფეშა...

სწორედ ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

— ხალხნო, შეხედეთ... შეხედეთ, ეს ვინ მოდისო!.. და მთელმა სუფრამ მთვარით განათებულ ეზოსაკენ გაიხედა. იქ ბაბთებიან თეთრ კაბაში გამოწყობილი, გაშლილ თმებში სხივებ ჩაღერილი, ვარსკვლავებივით თვალებანთებული და უზადო ღიმილით სახე გაბრწყინებუ-

ლი, ღვთაებრივი სილამაზის გოგონა მოდიოდა და უზარმაზარი სინით ხილი მოჰქონდა სუფრისაკენ... ყველა უცებ დადუმდა... ყველა ღაძაბული ადევნებდა თვალს ამ ზეციურ გამოცხადებას და ღმერთო შეგცოდე, ყველა სასწაულს ელოდა, ალბათ.

სიჩუმე ძია ვასომ დაარღვია:

— აჰა, ბატონებო, ხომ გვითხრა თამადამ, სამოთხეში ხართო! — ანგელოზი გვაკლდა და აკი ისიც გამოგვიგზავნა ზეცამ!..

ანგელოზი ჯერ შეკრთა, მერე მოიღრუბლა, მწყრალად დადო სინი მაგიდაზე. შებრუნდა და... მინდოდა მეთქვა წავიდა-მეთქი, მაგრამ არა... გაფრინდა, გაქრა, მთვარით გაქათქათებულ ეზოში გაუჩინარდა... სწორედ, ამ დროს წამოიწყო ვიღაცამ, იმ დროს იმერეთში მოარული სიმღერა: „წავიდა და გაფრინდა, თვალიც ვერ მოვატანე“-ო და მთელმა სუფრამ, როგორც ერთმა, ბანი მისცა გულდაწყვეტილ მომღერალს.

მე კი, იმ დღიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, ღრმადვარ დარწმუნებული, რომ სამოთხეშიაც ვიყავი და საკუთარი თვალით ხორცშესხმული ანგელოზიცა ვნახე და ვერც ვერავინ გადამარწმუნებს ამაში, მიუსედავად იმისა, რომ იმ სამოთხის მისამართიც ვიცი და იმ ანგელოზის სახელიცა და გვარიც:

არგვეთში მოხდა ეს ამბავი და ის გოგონა მედეა ჯაფარიძე იყო... ვიცი!.. ვიცი!.. და მაინც, ღმერთო შეგცოდე, ზოგჯერ ეჭვი მეპარება ხოლმე ამაში...

კარგა ხნის შემდეგ, ძია ვასომ დამიდასტურა მე ეს ამბავი; ალბათ, მართლა მოხდა ცხოვრებაში ეს „ზეციური გამოცხადება“, თორემ ორივე ერთნაირ სიზმარს ხომ ვერ ვნახავდით იმ დღეს.

თვითონ მედეა ჯაფარიძემ კი ვერ გაიხსენა ის სალამო... თუმცა, მას ხომ თვალითაც არ უნახავს ის ანგელოზი!.. თანაც, ამბობენ, მეხსიერება არ უვარგათო ანგელოზებს.

ოცდაათიან წლებში, ვასილ აბდუშელიშვილმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა (თუ არ ვცდები, ესენი იყვნენ: დავით პარკაძე, რაჟდენ ხუციშვილი, მიხეილ ზანდუკელი, სიმონ ვაჩნაძე, დავით დონდუა, ქრისტეფორე ღვინიაშვილი და სხვ.) ჩამოაყალიბეს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის მოსამზადებელი ჯგუფები. საამისოდ სპეციალურად დაცალეს უზარმაზარი სარდაფი და ასეთივე აივანი, ასე, რომ მეცადინეობა ერთდროულად მიმდინარეობდა თვით ძია ვასოს ოთახში, აივანზე და ნათელ და მზიან სარდაფში. ამ ჯგუფებმა, თავის დროზე, დადებითი შედეგი გამოიღეს და, როგორც შემდეგ არაერთხელ გამიგონია, აქ მომზადებული აბიტურიენტები პირველ რიგში ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში; ყოველ შემთხვევაში, იქ მო-

სიარულე ახალგაზრდები, დღეს უკვე ხანშიშესული, თმადათოვლილი და ღვაწლმოსილი მოქალაქეები, ახლაც სიამოვნებით იგონებენ იქ გატარებულ დღეებს... თუმცა მაშინ... ბუნდოვნად. მაგრამ მაინც მახსოვს: ხან ერთი გამაჩერებდა, ხან მეორე და...

— ბიძაშენს კითხე, მე რომ ასე მიყვარს, იმას რად ვეჯავრებიო ასე?!

ან:

— ბიძაშენს უთხარი, ჩემი მზითევი მისი მათემატიკა კი არა, ჩემი სილამაზეა და როცა გავთხოვდები, ისეთ ლამაზ შვილებს გავაჩენ, რომ მის პითაგორას შურით ჰიპოტენუზასავით დაუგრძელდება პირისახე.

ან:

— ბიძაშენს უთხარი, უტვინოს ნუ მეძახის, თორემ ამოგიღებ მაგ გასიებული თავიდან ტვინს და მერე ვნახოთ, როგორ ამოიღებთ შენ და ბიძაშენი ირაციონალური სიდიდეებიდან კვადრატულ ფესვებს.

ან:

— ბიძაშენს უთხარი, გაანებოს ჩემს ყურებს თავი, თორემ აგახევ მაგ პანტურა ყურევს და მერე უყურეს თავისი უყურო და უდღეური ძმისწულის გამოთაყვანებულ სახეს, ბიძაშენმა.

ან:

— ბიძაშენს უთხარი, ბლუს ნუ მეძახის, თორემ ამოგაძრობ პირში მაგ გატლეკილ ენას და ებლუყუნე მერე ჩემი ცოდვით სავსე ბიძაშენს.

ჩემი ენის ამოძრობა არც ასე ადვილი იყო და...

— მე ბიძაჩემს არაფერს ვეტყვი, მაგრამ იმას კი ვიკითხავ, შენ რას ეტყვი შენს პროფესორებს გამოცდაზე რო შეხვალ? — მეც შეძლებისდაგვარად ვიგერიებდი ამ თავდასხმებს, რასაც, ჩვეულებრივ საერთო სიცილი და აუზაური მოჰყვებოდა ხოლმე თან.

— გაანებე, კაცო, მაგ თარსისშვილს თავი, თორე მე რო მაგათი ჯიშის ამბავი ვიცი, უმაღლესი კი არა, ნაოფლარი საშუალოც ოხრად დაგვრჩებაო.

ყველა ჩემზე იკლავდა ძია ვასოს სიყვარულს და გაკვეთილების დროს დაგროვილ ბოღმას... მე კი, ჩემი ბავშვური ალღოთი, ვგრძნობდი, რომ აქ მთავარი მაინც სიყვარული იყო და, ცოდვა გამხელილი სჯობს, დღესაც ვგრძნობ ამას და ხშირად ვსარგებლობ კიდეც ამით.

ბევრი, ბევრი ასეთი „ან“ იყო მაშინ, მაგრამ ყველა ეს „ან“ დღეს მე უკვე აღარ მაგონდება. მხოლოდ ის მზიანი ზაფხულის დღეები მახსოვს, რომლებიც ჩემს სულში მზიან მოგონებად დარჩნენ და ალბათ, საფლავშიაც ჩამყვებიან თან.

1935 წლის საბუთებში ინახება ცნობა, რომ ვასილ აბდუშელი-

შვილს სტალინის სახელობის პირველ საცდელ-საჩვენებელი სკოლის დირექციამ გამოუცხადა მადლობა, როგორც დამკვრელ მასწავლებელს.

ჩვენს ქვეყანაში დღეს კარგი ტაროსი დგას... მადლიანმა ხელმა გააღო უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგმანული ფანჯრები და ოთახები გააჩიავა. ქარს მიაქვს ბოლო ხანებში გაბატონებული მანკიერებანი: ნაცნობობა, ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, მექრთამეობა და სხვანი მრავალნი. ჩვენ კი იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც 30-იან და 40-იან წლებში ვსწავლობდით, ხშირად ვიხსენებდით ხოლმე წარსულს და ვუპირისპირებდით იმ შებღალულ გარემოს, რომელიც სულს გვიხუთავდა ყველა ჩვენგანს. აი, სწორედ მაშინ, ხშირად მიფიქრია მეც ვასო აბდუშელიშვილის, მისი ძმების, თანამოსაგრეებისა და თანამოაზრეების შესახებ: შესაძლებელი კი იყო, თუნდაც თეორიულად, მისთვის ქრთამის შეძლევა, ნაცნობობით ნიშნის აწევა, პროტექციით „ხელის წაკვრა"?.. მე ახლაც ჟრუანტელი მივლის ამის წარმოდგენაზე... არა, ეს ყოვლად წარმოუდგენელია, ყოვლად დაუშვებელი, ეს არსით ეწინააღმდეგება მის შეხედულებებს, მის პრინციპებს, მთელ მის ცხოვრებას!.. თუმცა...

თუმცა... ეს ამბავი 30-იანი წლების მეორე ნახევარში მოხდა. მე დიდ აივანზე ვთამაშობდი, როცა ჩვენი სახლის მეორე სართულზე ამომავალ ხის კიბეს მოადგა ვიღაც ახოვანი, ლამაზი. მხარბეჭბრტყელი და თმა-წვერდათოვლილი, ჭარმაგი მოხუცი. ის მძიმედ შეუდგა კიბეზე ამოსვლას და მახსოვს, ჩვენი ბებერი სახლის კიბის საფეხურებს ჭრაჭუნი გაჰქონდათ მისი მძლე ნაბიჯების ყოველ დადგმაზე; ბოლოს მოხუცი მთელი თავისი ვეება სხეულით ამოიმართა კიბის თავზე და ახლოა შემამჩნია მე, რომელიც პირდაღებული შევყურებდი მის ყოველ მოძრაობას.

— მოდი, ბაბუა, ჩემთან. — არაჩვეულებრივი თბილი და ალერსიანი ხმით მითხრა მან და როცა მივუახლოვდი, მკითხა:

— შენ რომლის ხარ, ბაბუა?!

— მე გიგოსი ვარ, ექიმის.

— ღმერთმა გაცოცხლოს, ბაბუ, — მითხრა და მერე უხერხულად დაუმატა: — მე ბიძაშენის, ვასო აბდუშელიშვილის ნახვა მინდა.

— ახლავე, ბატონო. — ვუთხარი მე და...

როცა სტუმარი ოთახში შევიყვანე, ძია ვასოს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა და ისლა მოახერხა, რომ მოხუცს მოკრძალებით სავარძელი შესთავაზა.

შემოსული მძიმედ დაეშვა რბილ სავარძელში და დიდხანს სდუმდა... ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა კედელზე დაკიდულ სურა-

თებს და ბოლოს, როცა სიჩუმე აუტანელი გახდა, ყრუ, დაბალი და ჩავარდნილი ხმით დაიწყო:

— ვასო ბატონო! მე თქვენ არ მიცნობთ, ან საიდან უნდა მიცნობდეთ, როცა მე ორი ათეული წლის წინათ და ისიც მხოლოდ ერთხელ, თქვენი მამის გარდაცვალების დღეს, ვიყავი თქვენსა და მაშინაც ხმა არავისთვის გამიცია, ისე ვეცი განსვენებულის ხსოვნას პატივი... მე მქონდა ამის მიზეზი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს დღეს ამას? მე ჩემსას გეტყვით მხოლოდ და თუ შეგიძლიათ, გამიგეთ და თანაუგრძნეთ ჩემს უბედობას. მე ცოდვის ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი და, ალბათ, ამიტომ ღმერთმა არც და-ძმა შემარჩინა და არც ცოლ-შვილი. ერთადერთი, ვინც ამ ქვეყანასთან კიდევ მაკავშირებს, ჩემი პატარა შვილიშვილი, ჩემი უმწეო ბაიაა; დამეჩაგრა ბავშვი, ვერ მოვუარე, ისედაც სუსტს, მთელი ტვირთი ოჯახისა და მოხუცი ბაბუისა დააწვა მხრებზე, დამიავადმყოფდა, სწავლასაც ჩამორჩა და ტოლ-ამხანაგებსაც... წრეულს, როგორც იქნა, დაამთავრა სკოლა, მაგრამ, ვგრძნობ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს ვერ გაუძლებს... მას ამ ქვეყნად ჩემს მეტი არავინ ჰყავს, მე კი თქვენც ხედავთ: „გარდავსულვარ, სამარიდამ გაძლევთ ხმასა“; ასეც რომ არ იყოს, პედაგოგიურ სამყაროში მე არავის ვიცნობ, ამიტომ სრულიად უმწეო და უსუსური ვარ ამ საქმეში... ჩემს გოგონაზე ფიქრი, ალბათ, არც სამარეში მომასვენებს და თუმცა ვიცი, თქვენს მიმართ თხოვნისა და მით უფრო დავალების, არავითარი უფლება არ გამაჩნია, მაინც მჯერა თქვენი... თქვენი გულისხმიერებისა და თანაგრძნობისა... თქვენ ისეთი მამის შვილი ბრძანდებით, რომ...

მოხუცს გული ამოუჯდა, თვალებზე ცრემლი მოადგა და რომ არ ატირებულიყო, გაჩუმდა, თავი ჩაჰკიდა და... მერე...

მერე ის იყო, რომ ვასო აბდუშელიშვილმა ჩაიცვა რკინის ქალამნები, რკინის ჯოხი აიღო ხელთ და ის ქნა, რაც არც მანამდე და არც შის მერე აღარ უქნია.

ამის მერე ბევრმა დრომ განვლო. ერთხელ, სოფლად ყოფნისას, როცა ძია ვასო თავისი მამის, გიორგი აბდუშელიშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს მიყვებოდა, მე რატომღაც, ის ვეება და ტკბილი მოხუცი გამახსენდა და ვკითხე:

— ვინ იყო-მეთქი ის კაცი?

ძია ვასოს წარბი აუთამაშდა, შევატყვე, არ ესიამოვნა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც არ მოვეშვი და,

— ის მაინც მითხარით, პატარა ბაია თუ მოხვდა-მეთქი უმაღლესში?

— მოხვდა. — მოკლედ მომიჭრა ძია ვასომ და ამით დასრულდა ეს საუბარი.

1936 წლის 4 ივნისს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილს მიენიჭა დამკვრელი მასწავლებლის საპატიო წოდება.

ბოლოს და ბოლოს, „დამკვრელმა მასწავლებელმა“ დიდი ეკონომიისა და ხათრიჯამობის შემდეგ, ამ წელს, დიდი აივნის ნახევარზე, შეძლო გაემართა პატარა ოთახი, რომელიც თუ საცხოვრებლად არა, მოწაფეების მისაღებად მაინც გამოდგებოდა. და მართლაც, ამის შემდეგ კერძო მოწაფეებს ამ ოთახში ამეცადინებდა: „სამოსწავლო ოთახში“ მუდამ ცარცისა და მტვრის ბუღი იდგა, სამაგიეროდ, დასაძინებლად და პურის საჭმელად თავის ძველ ოთახში გადიოდა, სადაც განიავებული ხვდებოდა ხოლმე ჰაერი. სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდა მისი ეს ნორმალური ცხოვრება; აქაც მისი ზღვა გული იყო დამნაშავე. ორიოდე წლის შემდეგ უს ახლადმიშენებული ოთახი მან თავის ერთ-ერთ უბინაო ნათესავს დაუთმო, თვითონ კი ისევ თავის ძველ ოთახში ცხოვრობდა და ასწავლიდა; იქვე ეკიდა დაფა და იქვე ედგა საწოლი, სასადილო მაგიდა და სხვ. და ასე იყო ბოლომდე, სიკვდილამდე და სიკვდილის მერეც. რადგან მისი კუბო ამავე ერთი ოთახიდან გასვენდა ბოლოს.

კიდევ რამდენიმე ხაზი მისი გულის სითბოსა და სიკეთეზე. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ვასილ აბდუშელიშვილი იმ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებმაც გულის მიყრუებულ და საიდუმლოდ დაგმანულ კუნჭულებში ღრმად შეინახეს სიკეთე და გულითადობა, მთლიანად კი სახით, საქმით, არსით აიფარეს პირქუშობისა და პირუთვნელობის საფარველი... დიახ. გარეგნულად, მართლაც, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა ვასო აბდუშელიშვილს. შუბლზე გაჭიმული ძარღვი და დასიებული ქუთუთოები კიდევ უფრო მრისხანე გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს; მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად იყო ასე... როცა გაიღიმებდა ხოლმე (და ეს არც ისე იშვიათად ხდებოდა) მის თვალებში ჩამდგარი სინათლე ღრუბლებიდან სხივის გამონათებას გავდა და იმ სხივში ირეკლებოდა მისი სულის საოცრად ღრმა და ზღვარდაუდები სიკეთე...

1936 წელს, როდესაც მე 10 წლისა ვიყავი, ექინოკოკის ოპერაცია გამიკეთეს. ოპერაციამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ, შემდეგ ინფექციით გართულდა, რასაც პერიტონიტი დაერთო და ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი სასწორზე შედგა. სახლში ყოველწუთს ელოდნენ ავის მომასწავებელ ცნობას.

მაისის ერთ დასიცხულ საღამოს, როცა ჩვენი ძველი სახლის ყველა ბინადარი, ავი ამბის მოლოდინით გულშეღონებული, შეკეტილიყო თავის ოთახში, ეზოში მოწყალების სათხოვრად შემოვიდა ორი

უპატრონო ბავშვი, ხის სარაჩხუნოებით ხელში და საწყალობელი ხმით დაიწყეს გალობა.

«Я умру... да, умру, похоронят меня
и никто не узнает, где могилка моя»...

გარეთ არავის გამოუხედავს... ეზოში სამარისებური დუმილი იდგა. უცებ, გაიღო ძია ვასოს ოთახის კარი, გამოვიდა ის საოცრად გაფითრებული, აღელვებული და თვალცრემლიანი, ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა კიბე, თითო-თითო თუმნიანი ჩაუდო ბავშვებს ხელში და აკანკალებული ხმით სთხოვა, აღარ შემოსულიყვნენ ამ ეზოში. მერე მობრუნდა, მძიმე ნაბიჯით ამოჰყვა კიბეს, გაიხედა ჩვენი ბინისაკენ — ხომ არაფერი გაუგონიათო — და ისევ შეიკეტა თავისი ოთახის კარი. ეზოში ისევ ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა.

მე ეს ამბავი მხოლოდ ძია ვასოს გარდაცვალების შემდეგ მიამბეს და ცოდვა გამხელილი სჯობს, დღესაც მიმძიმს ამ სურათის წარმოდგენა.

აი კიდევ მეორე ასეთივე პაწაწინა ამბავი.

ერთმა ჩვენმა ნათესავმა, ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს, სახლში, თურმე, პაწაწინა ციკანი მომიყვანა საჩუქრად. ციკანი პირველ სართულზე ჩემი ბიძაშვილის ფანჯრის წინ დააბეს და გადაწყვიტეს: „სანამ ბავშვი არ დაბრუნდება, ხელს არ ვახლებთო“. ჩემი ბიძაშვილი და მისი ამხანაგები საგანს ამზადებდნენ, ციკანი კი მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაბმულად კიკინებდა და ხელს უშლიდა სწავლაში, ისედაც გაწამებულ სტუდენტებს. როდესაც ბიჭებს საბოლოოდ დააწყდათ ნერვები, ჩემმა ბიძაშვილმა ერთ ეშმაკობას მიმართა. დილაადრიან ავიდა ძია ვასოსთან და უთხრა:

— ძია ვასო, წუხელ სიზმარში ვნახე, აზიკოს ეს ციკანი დაეკლა და მისი სისხლით იბანდა ხელ-პირსო.

ძია ვასო გაფითრდა თურმე და აკანკალებული ხმით სთხოვა ჩემს ბიძაშვილს:

— შენ გენაცვალე, ეგ სიზმარი არავის უამბო, ახლავე აუშვი ის ციკანი, წავიდეს... ჩვენი ჭირიც წაუღია...

ვასო აბდუშელიშვილი 1937 წლამდე, როგორც უკვე ვიცით, მასწავლებლობდა ძირითადად თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, სხვადასხვა ტექნიკუმში, მე-14 საშუალო სკოლაში და სხვ., ხოლო 1937 წლიდან მან დაიწყო მასწავლებლობა თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში.

შესანიშნავი იყო თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა. შესანიშნავი იყო არა მარტო თავისი ბრწყინვალე მასწავლებლებით (აქ მოღვაწეობდნენ ქართული სკოლის ისეთი კორიფეები, რო-

გორ; ბიც იყვნენ: მიხეილ ზანდუკელი, სვიმონ ვაჩნაძე, თამარ ზაალიშვილ ', ივანე ნიჟარაძე, ტერენტი ვეფხვაძე, დავით დონდუა, ნიკო ჯაფა(;ძე, რევაზ ნათაძე, კოტე ბაქრაძე, არჩილ ბაქრაძე, ირაკლი ტატიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე და სხვ.), არამედ მოწაფეების შემადგენლობ ;თაც. პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლას მრავალი დიდი ადამიანი ;ს აღზრდას უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილი.

არანაკლები სახელი გაითქვა თბილისის მე-18 საშუალო სკოლამაც. აქაც, თითქოს საგანგებოდ, თავი მოიყარეს უბრწყინვალესმა მასწავლებლებმა: ვარო ვარდიაშვილმა, ელენე შიუკაშვილმა, ეკატერინე ბურჯანაძემ, თამარ ყაზახაშვილმა, გიორგი მოსეშვილმა, თამარ ხელაშვილმა და სხვ.

ვ. აბდუშელიშვილი. 1937 წ.

კასო აბდუშელიშვილის გადმოსვლა, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მე-18 სკოლის ცხოვრებაში, რამაც მეტწილად განაპირობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაღალი დონე. მე-18 სკოლაშიც ბევრი სახელოვანი ბავშვი გაუზაოდა სამძიბლოს და ამაში, უსათუოდ, დიდი წილი ვასილ აბდუშელიშვილსაც ედო.

მე ადრეც, სანამ იმ კლასში ვიჯექი, სადაც ვასო აბდუშელიშვილი ასწავლიდა მათემატიკურ საგნებს, მერეც, როცა საშუალო სკოლა დავამთავრე და ცხოვრებაში გავედი, და ახლაც. რაც ძია ვასო უკვე დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის — ბევრჯერ, ბევრჯერ დამბადებია კითხვა: რად უყვარდათ ის აგრერიგად, რატომ სცემდნენ ესოდენ დიდ პატივს, რა ჰქონდა მას ასეთი? რა გამოარჩევდა მას სხვებში და რას აჰყავდა ის ამ საოცარ სიმაღლემდე? მე ამ წიგნშიაც არაერთხელ დავსვი ეს კითხვა და საბოლოო, ყოვლისმომცველი და ერთნიშნა პასუხი, ვგრძნობ. ვერ გავეცი მას. ნუთუ ისე დავამთავრებ ამ გაბმულ

ფიქრს იმ ხელმადლიან ადამიანზე, რომ საბოლოოდ ვერ ვიპოვნი პასუხს? ალბათ, ვერა!.. „ამაოდ დავშვრი, საწუხ არს ესე!..“ მაგრამ აბა, ერთხელ კიდევ ეცდი!.. იქნებ, თუ გადამწყვეტი არა, მიახლოებითი პასუხის გაცემა მაინც შევძლო და ჩემთვის ესეც დიდი ბედენა იქნება დღეს!

ერთხელ ვასილ აბდუშელიშვილის ერთმა ნამოწაფარმა თავისი სევდიანი, გასაოცარი და ავადმოსაგონარი თავგადასავალი მიამბო; მე ამ ამბავმა... თუმცა, სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ:

მაშინ, მე ჯერ კიდევ მორფოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი ალ. ნათიშვილთან (საქმე ეხება ორმოცდაათიანი წლების დასასრულს); ზამთრის ცივი, სუსხიანი და უამური დღე იდგა; მე რაღაც საჩქარო საქმეს ვამთავრებდი, როცა მითხრეს, ტელეფონთან გთხოვენო.

საკმაოდ უხალისოდ წამოვდექი და ყურმილი ავიღე.

— გისმენთ.

— ღვთის გულისათვის, მაპატიეთ, თქვენ მალხაზ გრიგოლის ძე აბდუშელიშვილი ბრძანდებით?

— დიახ,ვახლავართ.

— ვასილ აბდუშელიშვილის ძმისწული, არა?

— დიახ.

— ესე იგი, აზიკო.

— დიახ, ბატონო, მე დღესაც აზიკოს მეძახიან შინაურები.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, მე ვასო აბდუშელიშვილის ნამოწაფარი გახლავართ; თქვენი ნახვა მინდა. თუ ეს შესაძლებელია, ნუ მეტყვით უარს. რესტორან „რუსთავთან“ გელოდებით. სამხედრო ვარ. ჩემი ცნობა არ გაგიძნელდებათ.

მე, ცხადია, მაშინვე დავეთხოვე ნათიშვილს და წავედი. რესტორნის კართან შუახნის ახოვანი, წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი იდგა. მივუახლოვდი თუ არა, მან ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— აი, თურმე რამოდენა ვაჟკაცი გამხდარხართ, მე სულ პაწაწინა, 8—10 წლისა მახსოვხართ. თქვენ კი, ალბათ... შევიდეთ, თუ დრო გაქვთ, რესტორანში. მე თქვენთან საუბარი მინდა!

შევედით. თავდაპირველად საუბარი არ გამოგვივიდა. მერე, როდესაც რამდენიმე ჭიქა დავლიეთ და ცოტა შევეთვისეთ ერთმანეთს, ჩემმა თანამეინახემ აიღო სასმისი, ფეხზე ადგა და განსაკუთრებულის მოწიწებითა და რიდით შესვა თავისი მასწავლებლის, ვასო აბდუშელიშვილის სადღეგრძელო თუ შესანდობარი. როცა დაჯდა, კარგა ხანს დუმდა, ეტყობოდა, ფიქრობდა რაღაცას, უნდოდა რაღაცა ეთქვა ჩემთვის და თითქოს რაღაც უშლიდა ხელს. როცა მეც მოვკიდე ჭიქას ხელი, მან ხელი ხელზე დამადო და მთხოვა:

— ღვთის გულისათვის, ნუ შემიშლით ხელს. ის, რაც მე მინდა

გითხრათ ოცი წელიწადია გულზე ლოდად მაწევს და დღემდე ვერავის გავუზიარე. დღეს კი თქვენ მინდა გითხრათ ჩემი ალსარება...

ჩემი თანამეინახე ისევ დადუმდა. დიდხანს იყო ასე და სევდიანად გაჰყურებდა დათოვლილ ფანჯარას; მერე ჩემსკენ მოიხედა, გამიღიმა და დაიწყო:

— მამაჩემი პროფესიონალი რევოლუციონერი იყო, გასაბჭოებამდე რამდენჯერმე იყო გადასახლებული ციმბირში და იქვე შეირთო ციმბირელი რევოლუციონერის ქალიშვილი. მხოლოდ 1919 წელს დაბრუნდა მამა საქართველოში, მეუღლესთან ერთად, და 1921 წელს ცოლ-ქმარს შეესრულდა დიდი ხნის ოცნება: შეეძინათ კაჟი — თქვენი უმორჩილესი მონა. მამა მუდამ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა და დედაც, როცა მე წამოვიზარდე, მასთან ერთად შრომობდა პარტიულ თუ საბჭოთა დაწესებულებებში. ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო და პატარაობიდანვე, როგორც ერთადერთ შვილს, არაფერს მაკლებდნენ. 1927 წელს მიმაბარეს თბილისის მესამე საშუალო სკოლაში, რომელშიაც ვსწავლობდი ბოლომდე და მეათე კლასამდე ჩინებული მოწაფეც ვიყავი; მშობლები მასწავლიდნენ უცხო ენებსა და მუსიკას. მაგრამ ჩამოკრა ჩვენი ოჯახის საბედისწერო საათმა. 1937 წელს მამა დააპატიმრეს. როგორც „ხალხის მტრის" ოჯახს მთელი ქონება ჩამოგვართვეს და ჩვენ ერთ ბნელ და ნესტიან სარდაფში ჩაგვასახლეს. დავრჩით სრულიად უსახსროდ. დედას სამსახურში არ ღებულობდნენ, შინ კი თითქმის არაფერი გვქონდა გასაყიდი. ნათესავებმა და მეგობრებმა ზურგი შემოგვაქციეს. ერთხანობას დედა თავის კაბებს ყიდდა, ბოლოს ესეც გამოილია და შიმშილის საზარელი აჩრდილი თავზე დაგვადგა თითქმის განწირულ დედა-შვილს. მაგრამ დედა ბუნებით ძლიერი და უაღრესად მშრომელი ქალი იყო. ჯერ ვიღაცეებს ეხმარებოდა ოჯახში, მერე სარეცხის რეცხვა დაიწყო, ბოლოს ბაზარში ერთ კაცს მიაგნო, რომელიც მას ქაღალდსა და წებოს აძლევდა; დედა მთელი დღეების განმავლობაში პარკებს აკეთებდა და შემდეგ ბაზარში ყიდდა. პარკები ძალიან იაფი იყო და მიუხედავად იმისა, რომ დედა დღედაღამ შრომობდა, ჩვენ მაინც ვშიმშილობდით. მე მაშინ უკვე მეათე კლასში გადავედი, და ცხადია, გულგრილი ვერ დავრჩებოდი დედის ასეთი ტანჯვისა და გარჯის შემყურე. ამიტომ მეც მასთან ერთად დღე-ღამის განმავლობაში ვშრომობდი, რამაც სწავლაში ჩამომარჩინა ამხანაგებს. ჩემი საყვარელი მასწავლებლისა და დამრიგებლის დავით პარკაძის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მისი აქამდე სამაგალითო მოსწავლე ახლა ხელით სათრევი გავხდი; არა თუ საშინაო დავალებას, კლასშიაც კი ვერ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, რადგან უძილობით მოქანცულსა და დარდით გაოგნებულს, აღარაფერი მესმოდა. რა ხდებოდა კლასში. ბოლოს ბატონმა დავითმა დედაჩემი

დაიბარა, ყველაფერი უთხრა და ისიც დაუმატა: „თუ ბიჭს კერძო მასწავლებლებთან არ ატარებთ, მე მას ვეღარაფერს მოვუხერხებო“. სევდით განადგურებულმა დედამ ბევრი იფიქრა და, ბოლოს მაინც, რის წვითა და დაგვით შეგროვილ გროშებს მოუყარა თავი და ვასო აბდუშელიშვილთან მიმიყვანა მათემატიკურ საგნებში მოსამზადებლად, ხოლო ფიზიკასა და ქიმიაში... ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. დავიწყე თუ არა ვასო აბდუშელიშვილთან სწავლა, ერთ-ორ თვეში წამოვეწიე ამხანაგებს და ის იყო უკვე სამშვიდობოს გასული მეგონა თავი, რომ მეორე უბედურება დამატყდა თავს — მარტის ბოლოს დედაც წაიყვანეს. დავრჩი სრულიად მარტო უსახსროდ, ბედის ანაბარა. ერთადერთი, რაც მოვახერხე ის იყო, რომ ვნახე ის ბაზრის კაცი და ვთხოვე, ახლა ჩემთვის მოეცა ხოლმე ქაღალდი პარკების საკეთებლად; მაგრამ, რადგანაც ჩემი გაკეთებული პარკები მას თვითონ უნდა გაეყიდა, მიღებული კაპიკები კერძო მასწავლებლის კი არა, ლუკმა პურის საჭმელადაც აღარ მყოფნიდა. აი ასეთ განწირულ მდგომარეობაში ვიყავი, როდესაც ერთ დღეს, დაილოცოს იმ დღის მადლი, ვეახელი ბატონ ვასოს და ვუთხარი:

— ბატონო ვასო, მე დღეიდან ვეღარ ვივლი თქვენს გაკვეთილებზე.

ბატონმა ვასომ წარბი შეიკრა, დამსვა და მიბრძანა ამეხსნა ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი. მე დიდხანს ვჯიუტობდი, მაგრამ... ჩემისთანა, ყველასაგან მიტოვებული ადამიანი, ისე ეძებს სითბოსა და თანაგრძნობას, რომ ბოლოს მაინც ვერ გავუძელი გულში დაგროვილ სადარდელს და ყველაფერი ეუამბე იმ კურთხეულ ადამიანს. ბატონი ვასო დიდხანს იჯდა გაჩუმებული, იყურებოდა ფანჯარაში და რაღაცას ფიქრობდა. ბოლოს ისე, რომ არც მოუსედავს ჩემსკენ, მკითხა:

— შენ ფიზიკასა და ქიმიაშიც ემზადები, არა?

— დიახ, მაგ საგნებშიაც ვემზადებოდი-მეთქი. — ვუპასუხე.

ბატონი ვასო ისევ ჩაფიქრდა.

თქვენ არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ბატონ ვასოს ერთი მაღალი, ბზის სათუთუნე კოლოფი ჰქონდა; ჩვენ, მისი კერძო მოწაფეები, სწავლის გასამრჯელოს პირდაპირ იმ კოლოფში ვყრიდით ხოლმე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბატონ ვასოს ფული დაეთვალოს. ჩვენ ამ კოლოფს „ქარვასლას“ ვეძახდით. ის კი, ალბათ, თქვენც გახსოვთ, რომ ბატონ ვასოს ჯიბეში მუდამ ედო ხოლმე წიგნაკი, რომელშიაც თავისი მოწაფეების ყოველდღიურ ნიშნებს იწერდა. ჩვენ, და მგონი, შემდეგ თქვენც, ამ წიგნაკს „ცოდვის წიგნაკს“ ეძახდით. ჰოდა, კარგა ხნის დუმილის შემდეგ, ბატონმა ვასომ ამოიღო „ცოდვის წიგნაკი“, ეძებნა იქ ჩემი გვარი და დაბალი ხმით მითხრა:

— აი, ხედავ, შენ რომ პირველად ჩემთან მოსულხარ, ორიანებს

მეტი არაფერი მიგიღია. შემდეგ სამებიც გამოგრევია, ახლა — ოთხები და აი, ხუთებიც გამოჩნდა. შენ რომ ახლა სწავლას თავი გაანებო ყველაფერი, აქამდე ნაშენები, ერთის ხელის მოსმით დაგვენგრევა, და უმაღლესში, ცხადია, ვერ მოხვდები. შენ კი უმაღლესში აუცილებლად, გესმის, აუცილებლად უნდა მოხვდე! ეს — შენი მოვალეობაა, შენი მშობლების, შენი მასწავლებლებისა და ამხანაგების წინაშე. ამიტომ სიტყვის შემობრუნება არ გამიბედო, მიდი იმ თქვენს ე. წ. „ქარვასლასთან“, ახადე თავი და რამდენიც საჭიროა შენი ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებისათვის, წაიღე. ხვალ კი ზუსტად 5 საათზე გამოცხადდი ჩემს გაკვეთილზე!

ბატონი ვასო არ იყო ის კაცი, რომელსაც სიტყვის შებრუნებასა და შეკამათებას უბედავენ. ვერც მე შევუბრუნე სიტყვა და... საშუალო სკოლა ისე დავამთავრე და უმაღლესში ისე მოვხვდი, რომ არავის გაუგია, რა სახსრებით ვიხდიდი ჩემი კერძო მასწავლებლების გასამრჯელოს, თუმცა განსაკუთრებით არც არავინ დაინტერესებულა ამით; არც ის არავის გაუგია, რისთვის მიბარებდა ბატონი ვასო სწორედ 5 საათზე, ამას კი ბ-ნი ვასო გამიზნულად აკეთებდა: ყოველი გაკვეთილის შემდეგ მე და ის მაგიდას მივუჯდებოდით და ერთად ვსადილობდით ხოლმე და ამას ისე უბრალოდ აკეთებდა, რომ მე ერთხელაც ვერ მოვახერხე წინააღმდეგობის გაწევა.

მერე დაიწყო ჩემი სტუდენტობის ხანა. როგორც კარგ მოსწავლეს სტიპენდია დამინიშნეს. სტუდენტობისას ხშირად დავდიოდი ხოლმე ბატონ ვასოსთან; იქიდან მახსოვს თქვენი ბავშვობის სახელი — „აზიკო“. თქვენ კი, ალბათ, აღარ გახსოვართ; ბატონ ვასოსთან ყოველთვის ბევრი მოწაფე იყრიდა თავს. 1941 წელს ექსტერნად დაგვამთავრებინეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ჯარშიაც წამიყვანეს. მთელი ომის პერიოდი ჯარში გავატარე. ჩემდა საუბედუროდ, ერთი წერილიც კი ვერ მოვწერე ბატონ ვასოს. ღმერთმა ხომ იცის, ეს უმადურობით არ მომსვლია. ეს სულ კრძალვა იყო და რიდი მის მიმართ; მუდამ ასე ვფიქრობდი, ჩავალ და როცა კაცად მნახავს, ეს იქნება-მეთქი ჩემი მადლობის გადახდა. მერე ლენინგრადის ადიუნქტურაში მოვხვდი, ერთხანობას იქ დავრჩი, იქვე დავოჯახდი და როცა საქართველოში დაებრუნდი, ბატონი ვასო უკვე ცოცხალი აღარ იყო. მას შემდეგ მისადმი სათქმელი მადლობის სიტყვა ლოდად მაწევს გულზე. აი, ახლა თქვენ გითხარით ყველაფერი და თქვენვე განსაჯეთ, შეიძლება კი იქ ხიკეთისათვის, რომელიც ბატონმა ვასომ ჩემზე გასწია, გაცვეთილი სიტყვებით მადლობის თქმა? ალბათ, არა!

პოლკოვნიკმა ერთხანს იყუჩა, მერე თვალები დაენამა და ცრემლი რომ არ წამოსვლოდა, კიდევ ერთხელ წამოდგა ფეხზე და თქვა:

— თქვენ, ალბათ, გგონიათ, რომ ბატონი ვასოს მადლობელი იმი-

ტომა ვარ, უფასოდ რომ მამზადებდა, სხვა მასწავლებლების ფულს იხდიდა, მშიერ ბიჭს ლუკმას მაჭმევდა და სწორ გზაზე მაყენებდა. არა, ბატონი ვასო რომ არ ყოფილიყო, მე, ალბათ, საერთოდ შემძულდებოდა ადამიანი და ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ჩემი ცხოვრება. ბატონმა ვასომ კი ადამიანი შემაყვარა. აი, ასეთი სულმნათები რომ არ იყვნენ ამ ქვეყანაზე, ადამიანებს ძალზე გაუძნელდებოდათ ცხოვრება. მე ვიცი, ბატონ ვასოს არასოდეს უფიქრია, რომ მისგან დავალებული ადამიანები გადაიხდიან მის მადლს და თუმცა ამ დავალებულ ადამიანებში, ალბათ, ყველაზე მეტადა ვარ დავალებული, მაინც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ბატონი ვასო ბედნიერი იქნებოდა თუნდაც მხოლოდ იმითი, რომ მე კაცის სახელი მქვია დღეს.

ამის მთქმელს დღეს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი... თუმცა რა აზრი აქვს იმას, რა ჰქვია ამ კაცს. მე ვიცი, რომ ის ერთადერთი არ იყო ამ ქვეყანაზე.

1938 წელს შეისრულა ვასო აბდუშელიშვილმა დიდი ხნის ოცნება: სოფელში დაშალა, მისი წილხვედრი უზარმაზარი მორებით ნაგები, მამა-პაპისეული თავლა და ზემოთ უკვე ხსენებული „ვასოს კაკლის“ გვერდით გამართა ოროთახიანი ძელური ხის სახლი; სახლი არაჩვეულებრივად მყუდრო გამოვიდა და თვითონ ძია ვასო პირდაპირ შეყვარებული იყო თავის სახლზე — ალბათ, ამიტომაც, ამის შემდეგ წელი არ გასულა, რომ ვასილ აბდუშელიშვილს ზაფხული შალაურში, საკუთარ სახლში არ გაეტარებინოს და ჩვეულებრივ მეც თან დავყავდი და სულითა და გულით ვიზიარებდი მის აღტაცებას ამ „ახალი სახლით“.

ვასო აბდუშელიშვილი ამ წელს, განაგრძობს მოღვაწეობას ძირითადად მე-18 საშუალო სკოლაში. მის „ცოდვის წიგნაკებზე“ ჩნდება ახალი წარწერა: მე-18 სკოლა. აი, ზოგიერთი მისი მოწაფის გვარი 1938 წლის წიგნაკიდან: გედევანიშვილი, გამყრელიძე, დოლიძე, სესიაშვილი, უზნაძე, ფავლენიშვილი, ციციშვილი, ჯანდიერი, ჯაფარიძე და სხვ.

მეორე გვერდზე იმავე წლის პარალელური ჯგუფია, ალბათ: გარსევანიშვილი, ენუქიძე, კობერიძე, კუკავა, ყორდანია, სიჭინავა, ჩიტაია, ფალავანდიშვილი და სხვ.

1939 წლის 9 ივლისს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში, ვისაც ეს პატივი ხვდა წილად. ცნობამ ამ წოდების მინიჭების შესახებ, მას სოფელ შალაურში მოუსწრო, სადაც დასასვენებლად იყო ჩასული და,

როგორც წესი, მეც თან ვყავდი წაყვანილი. ალბათ. არც მანამდე, და არც მერე, შალაურში იმდენი მისალოცი დეპეშა არ ჩასულა, როგორც ივლისის იმ დღეებში. როცა დეპეშების ნაკადს ზღვარი დაეკარგა, ჩვენი სოფლის ფოსტალიონს, აწ განსვენებულ. ბარუსი კიპაროიძეს, მოთმინების ფიალა აევსო და გულმოსულმა წამოიძახა:

— მე თუ ამ წანწალში ამომძვრა სული, ნეტაი დეპეშებს ვილა მიუტანს ვასო აბდუშელიშვილსო.

ჩემს მეხსიერებაში ეს დღეები გაბმულ ზეიმად დარჩა.

მე ადრეც მოგახსენეთ, რომ ვასო აბდუშელიშვილს, საერთოდ მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა მეთქი სახეზე, მაგრამ იმ პერიოდში მას თვალებში სიხარულის და კმაყოფილების ნაპერწკალი უელავდა და ამას ყველა ხედავდა; როგორც ჩანს, მას განსაკუთრებით ესიამოვნა ეს დაფასება, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი უნდა ყოფილიყო. როდესაც ის თბილისში დაბრუნდა, პირველი, ვინც მას მიულოცა საპატიო წოდება, მისი სიყრმის მეგობრები იყვნენ; მათი ეს შეხვედრა მე დღესაც თვალწინ მიდგას. თითქმის მთელი ჯგუფი უკლებლივ იყო წარმოდგენილი, ყველა მხიარული იყო და ყველა ალალი გულით ულოცავდა ძია ვასოს მისი შრომის დამსახურებულ ალიარებას. მთელი დღის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მასთან მოსალოცად სხვადასხვა თაობის მოსწავლეები — ერთი თაობა მეორეს ცვლიდა და ასე გვიან დაღამებამდე...

სულ ბოლოს, როდესაც სტუმრებმა დაშლა დააპირეს, ძია ვასო წამოდგა და ეს უთხრა თავის მეგობრებს:

— რატომღაც, ჩემს ცხოვრებაში ისე მოხდა, რომ ჯერ ოჯახში და ახლა უკვე საზოგადო საქმიანობაშიც, მუდამ გადაჭარბებულად აფასებდნენ ჩემს მოკრძალებულ დამსახურებას. მე ვიცი, რომ არც ოჯახში და არც სკოლაში მე სხვაზე მეტი არაფერი გამიკეთებია და შაინც, თუ ასეთი გადაჭარბებული შეფასების მიზეზი გავხდი, მე მგონია, ეს იმიტომ მოხდა, რომ სხვა არაფერი გამაჩნდა ოჯახისა და სკოლის გარდა. მე რომ საკუთარი შვილები მყოლოდა, ცხადია, ასე ვერ შევიყვარებდი ვერც ჩემი ოჯახის წევრებს, და ვერც ჩემი ქვეყნის აწალგაზრდებს, საერთოდ. ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი შვილები არა მყავს, მე ისინი მიმაჩნია ჩემს საკუთარ შვილებად. ამას. მგონი, ისინიც გრძნობენ და ჩემს სიყვარულს ასკეცი სიყვარულით პასუხობენ. ახლა, როდესაც მე როგორც ჩემი ოჯახიდან, ისე სკოლიდან, ასეთი დიდი პატივისცემა ვნახე, უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს ამ მცირეოდენი სამსახურისათვის, რაც მე მათ მიმართ მიმიძღვის. ალბათ მომავალში უნდა გავაკეთო რალაც ისეთი, რაც გაამართლებს ამას; მხოლოდ იმისი მეშინია, ეს წყეული წნევა არ დამაცდის ყველაფერ იმის გაკეთებას, რაც მე ასე მინდა. მე კი, ბევრი, ძალზე ბევრი

რამ მინდა ღა ვინ იცის. მოვასწრებ კი: „კაცი ბეჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“...

ამის შემდეგ ვასო აბდუშელიშვილმა კიდევ 10 წელიწადი იცოცხლა და კიდევ ბევრი მადლის დათესვა მოასწრო ჩვენს მადლიან და მწყურვალ მიწაზე.

ვასილ აბდუშელიშვილის არქივში ერთი საოცრად სევდიანი და გულდასაწყვეტი წერილია შემონახული. მე ამ წერილს ცრემლის გარეშე ვერ ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ, სჯობს ჯერ ამ წერილის პაწაწინა ისტორია ვთქვათ:

ვასოს სიყრმის მეგობრებს ერთი დიდებული ტრადიცია ჰქონდათ: წელიწადის ერთსა და იმავე დღეს — ახალ წელს, ვასილ აბდუშელიშვილთან შეიკრიბებოდნენ ხოლმე, წარსულს გაიხსენებდნენ, მასწავლებლებს მოიგონებდნენ, ერთმანეთს ანგარიშს ჩააბარებდნენ, მოსაწონს მოიწონებდნენ, დასაწუნს დაიწუნებდნენ და მერე, მომავლის იმედით დატვირთულები, შეუდგებოდნენ მორიგ ახალ წელს.

ერთი ასეთი შეხვედრის მოლოდინში, როცა მეგობრები ძია ვასოსთან იყვნენ სტუმრად, კაკო მიქელაძემ თქვა:

— კაცო, ეს ორი წელიწადია ვარლამისა არა ვიცით რა: რაც სვანეთში გადაიხვეწა, წერილი რა არი, წერილითაც კი არ შეგვხმიანებია, არამც თუ ჩვენს ტრადიციულ სერობებზე დაგვესწროს და თავისი განუმეორებელი „ლილეო“ შეგვაწიოს. მოდით, ყველამ ერთობლივი წერილი მივწეროთ და ვუთხრათ კიდეც, რაც სათქმელი გვაქვს.

ასეც მოიქცნენ, მაგრამ...

დადგა 1939 წლის 1 იანვარი, მეგობრებმა ჩვეულებრივ შეიყარეს თავი... შემოუსხდნენ საახალწლო სუფრას... ვარლამ გელოვანის ადგილი კი ისევ თავისუფალი იყო. სულ ბოლოს დავით პარკაძე შემოვიდა და მაგიდასთან დაჯდა თუ არა, თავისებურად ომახიანად დაიძახა:

— აბა, ბიჭებო, თუ ყველანი აქა ხართ. დავიწყოთ, რაღა!

ვასო მძიმედ წამოდგა, გამოაღო საწერი მაგიდის მარცხენა უჯრა, ამოიღო ოთხად დაკეცილი პატარა ბარათი, მივიდა იმ ადგილთან, საცა, ჩვეულებრივ, ვარლამ გელოვანი ჯდებოდა ხოლმე და დაბალი, ყრუ და ჩავარდნილი ხმით წაიკითხა:

„ჩემთვის უცნობო, მაგრამ ძვირფასო ადამიანებო!

როგორ არ მინდა მივაყენო მწუხარების ჩრდილი თქვენს ნათელ ზეიმს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ვალდებული ვარ გაცნობოთ, რომ 1 იანვარს, როცა შეიკრიბებით თქვენს ტრადიციულ დღესასწაულზე, თქვენი ერთ-ერთი მეგობარი, თქვენი ვარლამ გელოვანი, ვერ დაესწრება მას, ვინაიდან...

თქვენმა წერილმა წლი-ნახევრით დაიგვიანა!..

ორი წლის წინათ, როცა მამა თქვენთან წამოსასვლელად ემზადებოდა და გულით ხარობდა — მე მეგონა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ საბაბი იყო თავშექცევისა, ლხინისა და დროსტარებისა... როგორ ვცდებოდი!

მხოლოდ ახლაღა მივხვდი, რომ თქვენით, თქვენგან და თქვენთან ერთად ცოცხლობს მამიჩემის ბავშვობა, ყრმობა და ჭაბუკობა — ცოცხლობს ყოველივე ის, რაც დღეს უკვე წარსულს ეკუთვნის და რასაც სიკვდილის ხელი ვეღარ მისწვდება! იქ უძლურია თვით სიკვდილიც კი და თქვენი თავშეყრაა უპირველესი მძლეველი მისი!

რა ვუყოთ, რომ დღეს და მომავალშიც, ყოველი თქვენი შეხვედრის ახალ სუფრაზე, სულ უფრო და უფრო მეტი იქნება თავისუფალი სკამებისა და შეუსმელი სასმისების რიცხვი? ამით იმ წარსულს არა აკლდება რა!.. იქ ყველასა აქვს თავისი ადგილი, თავისი სასმისი და ნათქვამი, თუ სათქმელი, სიტყვა; აქ წილდაკარგულთ — იქა აქვთ წილი და რომ იცოდეთ, რაოდენი სასოების მომგვრელია რწმენა იმისა, რომ სადღაც დარჩა ისეთი რამ, რასაც ვერ შეეხო და ვერც ვერასდროს შეეხება სიკვდილის ხელი...

რა ვუყოთ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ აიღებს ხელში სასმისს და ვერ იტყვის არმოსულთა სამადლობელოს — ამას ჩვენ ვიტყვით, მათი შვილები, მათგან დამოძღვრილი ადამიანები, და ვიტყვით ისე, რომ გულნაკლული არ დარჩება, ალბათ, არავინ! ამიტომ ნუ აჩქარდებით და ნუ იტყვით, რომ ვარლამ გელოვანის ადგილი ცარიელია, ჭიქა დაუცლელი და სიტყვა უთქმელი — დღეს მის ნაცვლად მე, მისი შვილი, მოგესალმებით და ყველა თქვენგანს ალალი გულით ვუსურვებ დღეგრძელობასა და ახალი წლის მრავალ შეხვედრას, წარსულთა სადღეგრძელოდ, ჩვენდა ნუგეშად!

თქვენ ყველანი მამიჩემის მეგობრები ხართ და მეც ხომ მისი მეგობრობის ემბაზში ვარ მონათლული, ამიტომ ვერ ჩავუარე მდუმარედ თქვენს მეგობრულ სუფრას, გაგიზიარეთ ჩემი გულისთქმა და ამიტომაც მჯერა, გამიგებთ, არ მიწყენთ და კადნიერებად არ მიიღებთ ჩემს გულწრფელ ნათქვამს.

თქვენთვის უცნობი, მაგრამ თქვენი მოყვარული დ›
პატივისმცემელი ზეინაბ ვარლამის ასული გელოვანი“.

სუფრაზე სამარისებური დუმილი ჩამოწვა.

დიდხანს, დიდხანს ვერ ბედავდა ვერავინ ხმის ამოღებას... მერე კი..

მერე კი... კაკო მიქელაძემ, რომელიც აქამდე ყველაზე უფრო თავჩაღუნული იჯდა და თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, თავი აიღო, მხრებში გაიშალა, ყელი მოიღერა და როგორც მთის თხემზე ხელებგაშლილმა წარმართმა, სჭექა:

„ოო... ლილეე... ოო!“... და როცა მეორე მუხლს მოუბრუნდა, კოტე შარაშიძის მგრგვინავი ბანი დაეწია და... მთელი სუფრა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და ასე თქვა ეს განუმეორებელი ჰიმნი მზისა და სინათლისა.

თავზარდამცემი რამ იყო ეს ჰიმნი: ვარდისუბნის ქუჩის, ერთი პატარა სახლის, ერთ პატარა ოთახში — იდგა თვალცრემლიანი, ბაგრამ მხრებში გაშლილი ათი ვაჟკაცი და ამბობდა მზის, სიცოცხლის, იმედისა და გამარჯვების ჰიმნს და თითქოს ამით წიხლავდა, თელავდა, თრგუნავდა სიკვდილს და მარადიულ არარაობას.

შემდეგ, ყოველ წელს, როცა მეგობრები იკრიბებოდნენ ხოლმე, სანამ პირველ სასმისს შესვამდნენ, როგორც წესი, „ლილეს“ იტყოდნენ და ვარლამ გელოვანს ახსენებდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა აღარც კაკო მიქელაძე იყო, „ლილეს“, „მიყვარს ფაცხა“ დაუმატეს, მერე „აზუზუნდი ფუტკაროც“ იმღერეს, როცა კოტე შარაშიძეც წავიდა ამ სუფრიდან, ხოლო, როცა აღარც დათა პარკაძე მოვიდა, სიმღერის მთქმელიც აღარავინ იყო უკვე.

1940 წლის 10 იანვრით არის დათარიღებული რენტგენოსკოპული დასკვნა ვასილ აბდუშელიშვილის სახელზე. „ორთავე ფილტვი პნეუმატიურია (ემფიზემატოზურად გაგანიერებულია), დიაფრაგმა ბედიალურ ნაწილში მარჯვნივ შეზღუდულად მოძრაობს. გული: ელიპტური ფორმის. მწვერვალი ოდნავ გაწვეტიანებულია, მწოლარე ტიპის. ასწვრივი აორტა ქვედა ნაწილში გაგანიერებულია, ანევრიზმატოზულად (ოდნავ). ამ არეში ტალღოვანი პულსაცია. აორტა, ასწვრივი და დასწვრივი რკალი გაგანიერებას განიცდის. გულის პულსაცია მოდუნებულია“. ხოლო 10 აგვისტოს მეორე ცნობაა გაცემული. „დაავადებულია ჰიპერტონიით (წნევა 220 მმ და ქრონიკული მიოკარდიტი)“. ეს უკვე საბედისწეროა. თვითონ ვასო აბდუშელიშვილი შესანიშნავად გრძნობს, რომ მისი ჯანმრთელობა საფუძვლიანად არის შერყეული, რომ საჭიროა დასვენება, მკურნალობა, რეჟიმი, მაგრამ აქაც მისი ხასიათის თავისებურება მეღავნდება: არც რეჟიმს იცავს, არც მკურნალობს და არც ისვენებს. ისევ ისე თავდაუზოგავად შრომობს, ისევ ისე თავდაუზოგავად სწევს პაპიროსს და სვამს ღვინოს. შეუძლებელია ყოველივე ამას თავისი სავალალო შედეგი არ მოეტანა და აკი მოიტანა კიდეც.

1940 წელი, 15 აგვისტო. „ჩემო სიცოცხლე აზიკო! გაიხარე ყოველი კარგი საქმით, ჩემო შვილო! შენმა წერილმა ისე მასიამოვნა, რომ რაღა გითხრა! შენ გენაცვალე მამიკო! როგორც ვხედავ შენ სრულიად ნორმალურად ატარებ დროს. დამეგობრებიხარ მეზობელ ბავ-

ვ. აბდუშელიშვილი თავის სახლში, სოფელ შალაურში; ძმა ყარამან, ბიძაშვილი კონსტანტინე, ძმა ნიკოლოზ და ძმისწული მალხაზ (სურათი გადაღებულია ივანტანგ ალადაშვილის მიერ 1940 წელს)

შვებს ბურთის თამაშში, კალოზე და სხვა; სწორედ ეგ არის, რომ მახარებს! იცოდე შვილო, რომ თავისი პატარა კუთხე, სადაც მამა-პაპას უცხოვრია ყოველი ნორმალური ადამიანისათვის დედის რძესავით ტკბილია. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ შალაური ძალიან შეგიყვარდება! შენი ახალგაზრდა მეგობრების დახმარებით მაგ ჩვენ პატარა ეზოს კიდევაც დაამუშავებ ხოლმე და ზაფხულის სარჩოს მოვიყვანთ; მერწმუნე. ჩემო სიცოცხლე, რომ ყოველგვარ აგარაკს სჯობია თქვენთვის დასასვენებლად შალაური! შენი და ბიძია ვასოს მეგობრობა და საერთოდ ბიძებთან დაახლოება შენი მეტად მახარებს, რო ვიზრდები შვილო და ხანში შეხვალ, მაშინ დარწმუნდები, რომ შენი ბიძები იშვიათი კეთილშობილებისა, კულტურისა და ღირსების მქონე ხალხია...

შენი მოყვარული მამა".

ვასილ აბდუშელიშვილს ხშირად საყვედურობდნენ, რომ მისი ცოდნის, ნიჭისა და უნარის პატრონი მხოლოდ საშუალო სკოლის პედაგოგიური მოღვაწეობის ფარგლებით არ უნდა ისაზღვრებოდეს, რომ მისთვის გაცილებით უფრო ფართო გზა, ასპარეზი და აუდიტო-

რია შესაფერისი; რომ ის უნივერსიტეტში უნდა მოღვაწეობდეს და უსათუოდ ეწეოდეს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რითაც გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. ამას, როგორც ჩანს, თვითონაც გრძნობდა, მაგრამ თავდაპირველად საამისოდ მოცლა არ ჰქონდა, დიდი ოჯახი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა; ხოლო მერე (ეს იყო, მგონი, ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში), როცა დრო იშოვნა... ჩაუჯდა: ერთხანს თავაუღებლად მუშაობდა. მთელი ზაფხული ქალაქიდან არ გასულა, მაგრამ ძოიდა 1 სექტემბერი და ყველაფერი თავიდან დაიწყო: სკოლა, გაკვეთილები, მოსწავლეები. როდესაც ახლობლებმა: ძმებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა, უსაყვედურეს, „გვანლაალ", თქვა და ამით დამთავრა ამაზე საუბარი. და ალბათ, აღარც დაუბრუნდებოდა ამ საკითხს. მაგრამ... ერთხელ, როცა, როგორც ჩვეულებრივ, სოფელში ვიყავით, არ ვიცი, რა ღმერთი გამწყრა და ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარემ, ვკითხე:

— ძია ვასო, თქვენ ესეთი ჭკვიანი ხართ და რატომ პროფესორი არა ხართ-მეთქი? (მაშინ მე ყველა პროფესორი ჭკვიანი მეგონა, ხოლო ყველა ჭკვიანი — პროფესორი).

ძია ვასოს ჯერ გაეცინა, მერე სახე მოეღუშა, წარბი აუთამაშდა, შებრუნდა და, როგორც ჩანს, არ აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ მერე გადაიფიქრა. მოვიდა, ჩამოჯდა ჩემს საწოლზე და წყნარად მითხრა:

— მე. უკვე კარგა ხანია, აღარ მეკითხებიან ამას, მაგრამ, როგორც ჩანს, შენთვის მაინც მომიხდება ანგარიშის ჩაბარება: ყველას. და მათ შორის შენც, ასე გგონიათ, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლობა გაცილებით უფრო იოლი, ნაკლებ შრომატევადი და შეუდარებლად უფრო მცირე მნიშვნელობის საქმეა, ვიდრე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორობა. არ ვიცი, შეიძლება ეს ასეც იყოს. მე ამაზე არავის ვეკამათები და არცა მაქვს კამათის საფუძველი, მაგრამ ყოფილა სხვისთვის შეუნიშნავი, ხოლო ჩემთვის გადაულახავი გარემოებების მთელი რიგი, რომლებიც პირადად მე საშუალო სკოლიდან უმაღლესი სასწავლებლისაკენ მიმავალ გზას მიღობავენ: მე ვერ შევძელი. უფრო მეტიც, ახლა უკვე აღარც მინდა გავარღვიო და გადავლახო ისინი; თუ რატომ არ მინდა, სწორედ ამის ახსნას შევეცდები ახლა მე, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, რომ შევძლებ ამას. ბოლოს და ბოლოს, ყოველი მასწავლებლის, საშუალო სკოლისა იქნება ის თუ უმაღლესი სასწავლებლის. ამოცანა ერთია: მოსწავლეს აუხსნას, განუმარტოს, შეასწავლოს საგანი, გადასცეს მას ყოველივე ის. რაც მან იცის, შეიყვანოს ის ამ საგნის შიდა სამყაროში და აზიაროს მას. ეს საოცრად რთული პროცესია და ამას ყველა ერთნაირად კარგად ვერ ახერხებს; ეს ბუნებრივიც არის. ხომ არსებობენ ერთი და იგივე რო-

ლის სხვადასხვაგვარი შემსრულებლები, ცუდიდან დაწყებული — ბრწყინვალე შემსრულებლებით დამთავრებული. თუმცა როგორც ერთნი ისე მეორენი ზუსტად ერთი და იგივე (ავტორისეულ) სიტყვებს წარმოსთქვამენ სცენიდან, მაგრამ სხვადასხვანაირად წარმოსთქვამენ. კარგი მსახიობი ჯერ როლის მომზადებისას, შემდეგ მასზე მუშაობისას და ბოლოს თვით ყოველი სპექტაკლის დროსაც კი ეძებს, სულ ეძებს და პოულობს კიდეც გზებსა და საშუალებებს, რომ ავტორისეული სიტყვა მიიტანოს მაყურებელთან ისე, რომ სიტყვები უქმად არ წარმოითქვან, რომ მათ გამიზნული ზეგავლენა მოახდინონ ადამიანების გრძნობასა და გონებაზე. ეს ყოველივე თავისთავად არ მოდის — ამას დიდი შრომა, დაკვირვება, ძიება და მიგნება სჭირდება, მაგრამ აღსრულებისას ყოველივე ეს ისე სადად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად კეთდება, რომ არასოდეს არ შეინიშნება დაძაბული შრომისა და თეთრად გათეზებული ღამეების კვალი. ოგიუსტ როდენი ბრძანებდა: ტექნიკის მხოლოდ სრულყოფილად ფლობა ავიწყებინებს მაყურებელს მასო. ჩვენ მხოლოდ შეგეძრავს ხოლმე დიდი მსახიობის მიერ განსახიერებული გმირი და გვათქმევინებს „ღმერთს ამ მსახიობისათვის ფენომენალური ტალანტი მიუნიჭებია და ისიც უხვად სარგებლობს და გასცემსო მას“. ჩემი მაგალითი შეიძლება უვარგისი იყოს, მაგრამ მე ასე მგონია, მასწავლებლის პროფესია რიღაცით ჰგავს მსახიობისას, მაგრამ პრინციპულადაც განსხვავდება მისგან. და ეს განსხვავება კი უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობაშივე რწმუნდება მის მიერ მიგნებული გზისა თუ ხერხის ავკარგიანობაში, მსახიობი კი — ვერა, რადგან აპლოდისმენტები და თეატრალური კრიტიკა მერე მოდის, სპექტაკლისა და ზოგჯერ სეზონის დამთავრების მერე. მასწავლებლის აპლოდისმენტებიცა და კრიტიკაც მისივე მოსწავლეები არიან. ოდესღაც მან საფუძვლიანად შეისწავლა თავისი საგანი. დაამუშავა თითოეული გაკვეთილი, შეეცადა თავისი გაგებით მიეგნო იმ საშუალებებისათვის, რომლებიც უმოკლესი გზით მიიტანდნენ მის ცოდნას მოსწავლემდე, ბოლოს ჩაატარა გაკვეთილი და იქვე გამოჰკითხა კლასს ახლადახსნილი მასალა: თუ მოსწავლეებმა გაიგეს — ეს არის აპლოდისმენტებიც, ქებაცა და დიდებაც, მაგრამ თუ ვერ გაიგეს?.. აი. აქ იწყება ძიებისა და კვლევის ურთულესი პროცესი. ვიღაცამ მიჰქარა და თქვა, „ვასო აბდუშელიშვილმა თავის კონსპექტები პეტერბურგში სტუდენტობის დროსვე დაამუშავა, დაიზეპირა და ახლა ყოველწლიურად ერთი და იგივეს უჩიჩინებსო მოსწავლეებს“. ეჰ, ასე რომ იყოს, ჩემზე თავისუფალი და მოცლილი კაცი ერთი არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე! მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის. აბა, პროფესიონალის თვალით შეადაროს ვინმემ წლიდან წლამდე ჩატარებული ეს გაკვეთილები, ან

თუნდაც მათი კონსპექტები; შიგ თითქმის ერთი და იგივე სიტყვებია, მაგრამ არის დეტალები, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე წვრილმანები, რომლებიც იქ, გაკვეთილზე დაიბადნენ, მერე ჩემს სულსა და გონებაში ათიეს ღამე და ბოლოს პაწაწინა შტრიხების სახით კონსპექტებში დაისადგურეს. მე, სამწუხაროდ, იშვიათად მაქვს ხოლმე საშუალება და დრო ჩემს თავთან განმარტოებისა და მყუდროდ მუშაობისა. ასეთ რამეს მხოლოდ დილას, სხვების გაღვიძებამდე ვახერხებ — სტუდენტური ჩვევა მეხმარება ამაში. აი, სწორედ ამ დილის საათებში ვმუშაობ ხოლმე ყველაზე უფრო დაძაბულად და ინტენსიურად და საშუალებაცა მაქვს იმავე დღეს შევამოწმო ჩემს მიერ მიგნებული ხერხისა თუ გზის ავ-კარგი. ასეთ საშუალებას უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილს კი არა, ლექციას კითხულობს, საერთოდ მოკლებულია და მე კი ამის გარეშე, როგორც ჩანს, უკვე აღარ შემიძლია სწავლება; მე მიკვირს და ძალიანაც მიკვირს, რომ ყველას არ ესმის ეს; აბა თუ დამისახელებ რამდენილ მსახიობს, რომელსაც კინოობიექტივის წინაშე ერჩიოს როლის განსახიერება ამავე როლის სავსე დარბაზის წინაშე შესრულებას; რატომ ესმის ყველას მსახიობის მიერ შემოქმედებითად ახსნილი „კონტაქტი აუდიტორიასთან“ და არ ესმით განსხვავება გაკვეთილსა და ლექციას შორის — მე ისე ბუნებრივად მეჩვენება ეს, რომ ალბათ, არავის მივცემდი ასეთ კითხვას.

ახლა მეცნიერული კვლევა-ძიების შესახებ: მეცნიერული შრომა, უდიდესი შემოქმედებითი შრომაა და მეცნიერული აღმოჩენები, ისეთივე ან კიდევ უფრო იშვიათი მოვლენები, როგორც მხატვრული, პოეტური, მუსიკალური და სხვა მიგნებები. ეინშტეინმა თავისი ცხოვრების რამდენიმე ათეული წელიწადი თავის მაგიდასთან, დაუწერელ ქაღალდზე დაფიქრებულმა გაატარა და მხოლოდ მან და თეთრად გატეხილმა ღამეებმა იცოდნენ რა არაადამიანური იყო ის შრომა, რომელსაც ის ეწეოდა; როდესაც ერთმა ქარაფშუტმა ფრანგმა პოეტმა ჰკითხა მას, „რას გრძნობთ თქვენ დიდი აღმოჩენების დროს?“ — ეინშტეინმა გაიცინა, თურმე, და უთხრა: „არ ვიცი, დამავიწყდა, ეს ისე იშვიათად ხდება, რომ მე მიძნელდება ამის გახსენებაო“.

არავინ არავის (და, სხვათა შორის, არც მე) არ უშლის და ვერც დაუშლის ეძიოს და ჰპოვოს თავის საძებარი: ვაჟა-ფშაველამ ჩარგალში მიაგნო პოეტური ხედვის ისეთ შედეგრებს, რომ პარნასზედაც კი გააკვირვებდნენ ისინი ღმერთებს; ნიკო ფიროსმანიშვილმა ღვინის ბნელ სარდაფში იპოვა ისეთი ფერები, რომ ვატიკანსაც კი შეშურდებოდა ისინი; ზაქარია ფალიაშვილმა სკოლაში, გალობის მასწავლებლობისას, მიაგნო თავის განსაცვიფრებელ მელოდიებს, ხოლო არქიმედმა აბაზანაში იპოვნა კუთრი წონის განსაზღვრის კანონი. რა თქმა უნდა,

ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები, უნივერსიტეტები, კონსერვატორიები და სალონები, ძიებისა და პოვნის შესანიშნავ პირობებს ქმნიან, მაგრამ ეს მხოლოდ პირობებია და სხვა არაფერი; ზოგი, როგორც ვთქვი, სხვაგანაც პოულობს „საძებარს“, ზოგი კი ამ პირობებშიაც ვერ აგნებს მათ. ისევ ეინშტეინი მინდა გავიხსენო: ერთხელ მას ჰკითხეს: მეცნიერებაში ერუდიცია მეტს ნიშნავს თუ ნიჭი? ეინშტეინი მიბრუნდა თავისი წიგნების კარადისაკენ და თქვა: აქ ყველაფერია, რაც კი რამ მნიშვნელოვანი შეიქმნა თანამედროვე ფიზიკაში, მაგრამ ეს მაინც წიგნების კარადაა, ხოლო ეინშტეინი მე ვარო!

ცხადია, მე კარგად ვიცი, რომ მეცნიერებას მარტო ეინშტეინები არ აკეთებენ, რომ მას ათასობით და მილიონობით მეცნიერი მუშაკი ემსახურება, მაგრამ ამაზე მე ჩემი მტკიცე შეხედულება მაქვს: მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი თავი დიდ პედაგოგად არ მიმაჩნია, მაინც სუსტ მეცნიერს ძლიერი მასწავლებელი მირჩევნია და რა ვქნა? ყოველ შემთხვევაში იმაში ხომ არავინ შემედავება, რომ საშუალო მსახიობობას კარგი ბუხჰალტრობა სჯობია, ხოლო სუსტ მოცეკვავეს — კარგი მოსიარულე. პოეტი დღენიადაგ სიტყვას ეძებს, მუსიკოსი — ჰანგს, მხატვარი — ფერს, მეცნიერი — ფაქტს და ეს ძიება მათი შინასამყაროა და არავის არა აქვს უფლება ხელყოს იგი. მასწავლებელიც (და სხვათა შორის, მეც) დღენიადაგ იმ ხერხს ეძებს, რომელიც შეამოკლებს, გაასწორებს და გააადვილებს მანძილს მასსა და მის მოწაფეს შორის, გადაცემულ და აღქმულ მასალას შორის და ეს ძიება მისი სიცოცხლეა, მისი ცხოვრების აზრი და არსი; მას სხვაგვარად არსებობა არც შეუძლია და არც სურს შეეშლოს. ამიტომაც არავის არა აქვს უფლება უხეში ხელით შეეხოს მის შინასამყაროს, გამოიტანოს ის სამზეოზე, დააგდოს სასწორზე და განსაჯოს: ეს ჯობს, თუ ის! ესეც იცოდე: ამ ქვეყნად ყველაზე მძიმე და ძნელი ყოველდღიური, მრავალწლიანი შრომითი მამაცობაა, თორემ ერთხელ გმირობას ეკზალტირებული მხდალიც ჩაიდენს და ერთი სიბრძნე შლეგსაც დასცდება. არ ვიცი, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, იქ, პეტერბურგში მეცნიერული კვლევა-ძიების გზას რომ დავდგომოდი რა მოხდებოდა, მაგრამ ახლა გვიანღა არის: ერთი ბრძენკაცის თქმისა არ იყოს „აქ ვდგევარ და სხვანაირად არ შემიძლიაო!“

ბოლოს ესეცა ვთქვათ, თუ, შენი თქმისა არ იყოს, ყველა „ჭკვიანი“ უმაღლეს სასწავლებელში წავიდა, საშუალო სასწავლებელი ვიღას მივანდოთ? ეს ჯერ კიდევ საკითხავია ერისა და საზოგადოებისათვის, საბოლოოდ სად უფრო აუცილებელია ეს შენი „ჭკვიანები“ — საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში. მე არ ვიცი, ვიმსახურებ თუ არა შენს მიერ ბოძებულ „ჭკვიანის“ ტიტულს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნახევარ საუკუნეს გადავშორდი და აქედან მესამედ საუკუნეზე

მეტი მასწავლებლობას მოვანდომე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე ჩემი მოწაფეებისაგან, ბევრს ახლაც ვსწავლობ და მომავალშიაც ვისწავლი და მგონია, რომ ჩემი მოკრძალებული ცოდნა აქ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს სხვას, ვიდრე იქ, უნივერსიტეტში, თორემ პირადად ჩემთვის რომ პროფესორობა უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე მასწავლებლობა, ამას მე კი არა, შენც მიმხვდარხარ უკვე!..

ძია ვასო ადგა და ისე, რომ არც შემოუხედავს ჩემთვის, გავიდა ოთახიდან. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაავლო ღა მეხსიერებიდან ამოშალა სიტყვები, რომლებიც მაშინ ითქვა, ამიტომ მე თავს ვერ დავდებ იმაზე, რომ ყოველივე ზუსტად ასე იყო თქმული მაშინ, მაგრამ მისი სიტყვების არსი რომ ასეთი იყო, ეს კარგად მახსოვს და არც არასდროს დამავიწყდება ეს.

მე მერე ბევრი ვიფიქრე ამ საგანზე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ადამიანები, სხვათა შორის, ორ დიდ კატეგორიადაც იყოფიან, თუმმე, პირველი კატეგორია, რომლის დევიზია „ჯერ თავო და თავო...“ დღენიადაგ საკუთარ თავზე ფიქრობს და იძენს კიდეც ამქვეყნიურ ყოველ სიკეთეს: ქონებას, წოდებას, თანამდებობასა და სხვ. მეორე კატეგორია კი, მუდამ სხვა ვინმეზე ან სხვა რამეზე ფიქრობს და ვერ ახერხებს, ან არ ახერხებს, საკუთრივ თავისთვის რაიმეს შეძენას. ვასილ აბდუშელიშვილი, მე მგონი, ადამიანების სწორედ ამ მეორე, სამწუხაროდ, რიცხვმცირე, და იშვიათ, კატეგორიას ეკუთვნოდა: მას არც ქონება უძებნია, არც ხარისხები და, მით უფრო, არც თანამდებობა; ის საკმაოდ ხელმოკლე ქართველი ინტელიგენტ-იყო და, თუმც დიდი პიროვნული ღირსებითა და ნიჭით იყო დაჯილდოებული, მუდამ განიცდიდა ქონებრივ და ალბათ, საზოგადოებრივ სივიწროვესაც, მაგრამ ის ამას მტკივნეულად არ განიცდიდა; არა, მტკივნეულად კი არა, საერთოდ არ განიცდიდა ამას და რამდენადაც მე ვიცი, კმაყოფილიც კი იყო თავისი ხვედრისა. ყოველ შემთხვევაში, თავისი ცხოვრების მიმწუხრისას, სრულიად გულდაჯერებულად თქვა: „თავიდან რომ დაიწყოს ჩემი ცხოვრება, მე ისევ იმ გზას დავადგებოდი, რომელმაც აქამდე მომიყვანაო“. შეიძლება ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და მე ტყუილუბრალოდ მიკვირს: ხომ დიდებული ხე არის მუხა — მაღალი, ლამაზი, ძლიერი, ლაღი და ტოტებგაშლილი, მაგრამ მისი ნაყოფი მხოლოდ ღორების საჭმელად თუ გამოდგება; ვაზი კი დაბალია, დაგრეხილი, მოკუნტული, უშნო და სუსტი, მაგრამ მისი ნაყოფი ბუნების გვირგვინს ადამიანს — ღვთაებრივ სასმელს უმზადებს; ეს კი, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ მუხა თავისთვის არსებობს, ხოლო ვაზი კი — სხვისთვის. ადამიანები, ვაზსაც ხედავენ და მუხასაც, ამიტომ ზოგს ვაზი მოსწონს, ზოგს — მუხა; ეს მათი ნების,

გემოვნების და ღირსების საქმეა. ვასილ აბდუშელიშვილს კი, უდავოა, ვაზი ერჩია.

1941 წელს მისანიშნებელი მოვლენები არ ჭირდება. ის, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში ეხსომებათ ადამიანებს. 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და დაიწყო დიდი სამამულო ომი. 19 ოქტომბერს გერმანელები მიადგნენ მოსკოვის მისადგომებს.

მთელ ქვეყანაში მძიმე პირობები შეიქმნა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 15 აპრილს ვასილ აბდუშელიშვილი დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის". ორი დღით ადრე ამ ჯილდოს მიღებამდე მას დაუწერია თავისი ავტობიოგრაფია. აი ისიც:

„მე-18 სკოლის მასწავლებლის ვასილ გიორგის ძე ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ავტობიოგრაფია. დავიბადე საჩხერის რაიონის სოფ. შალაურში 1887 წლის ნოემბერში. დაწყებითი განათლება მივიღე ოჯახში დედისაგან. 1900 წელს მიმაბარეს თბილისის ქართული გიმნაზიის 1-ლ კლასში. გიმნაზიის კურსი დავამთავრე 1908 წელს. იმავე წელს შევედი ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე; 1913 წლის გაზაფხულზე დავამთავრე აღნიშნული ფაკულტეტის მათემატიკური დარგი. ამავე წლის სექტემბერში დავინიშნე თბილისის ქართულ გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად. ამ თანამდებობაზე ვიყავი გიმნაზიის რეორგანიზაციამდის, რის შემდეგაც ვმსახურობდი მათემატიკის მასწავლებლად 1-ლ ქიმიურ ტექნიკუმში 1925 წლამდე. 1925 წლიდან 1937 წლამდე ვმსახურობდი თბილისის პირველ სკოლაში აგრეთვე მათემატიკის მასწავლებლად, რის შემდეგაც ვმუშაობ მე-18 საშუალო სკოლაში (აგრეთვე მათემატიკის მასწავლებლად).

ჩემი მშობლები ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას. მამა გარდაიცვალა 1915 წელს, დედა — 1922 წელს. მყავს 4 ძმა: უფროსი ყარამან პენსიონერია და ცხოვრობს სოფელ შალაურში, მეორე უფროსი ძმა ნიკო აგრეთვე პენსიონერია და ცხოვრობს თბილისში. დანარჩენი ძმები გრიგოლ და ადამ ექიმები არიან და მსახურობენ თბილისში.

(ვასილ აბდუშელიშვილი).

19.4.41 წ.

მისამართი: თბილისი, ვარდისუბნის ქ. № 24".

აქვეა ვ. აბდუშელიშვილის ხელით დაწერილი მის მიერ „შესრულებულ სამუშაოთა სია" — და მშრალად, ძუნწად, „ვასოსებურად" ჩამოთვლილია ნაშრომები, თარგმანები, რეცენზიები — ისიც არა ყველა, მხოლოდ მთავარი, მხოლოდ ისინი, რომლებიც მას მიუჩნევია

ხსენების ღირსად... ნე კი მგონია, რადგან სიტყვამ მოიტანა, უმარჯვებულო იქნება ორიოდე სიტყვა მაინც არა ვთქვათ ვასილ აბდუშელიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ. ორიგინალურ ნაშრომებში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს ვ. აბდუშელიშვილისა და დ. პარკაძის სტატია „ივიეობა და განტოლება", რომელიც გამოქვეყნდა 1939 წელს ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის"[1]. სტატიაში განხილულია მათემატიკის სწავლებისათვის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ტოლობის ცნება, იგივეობათა ძირითადი თვისებები და მათი გამოყენება, განტოლებათა კლასიფიკაცია, განტოლებათა ძირითადი თვისებები და გამოყენება; საავარჯიშო მასალის დალაგება.

მომდევნო წელს ისევ დავით პარკაძესთან ერთად ვ. აბდუშელიშვილი კიდევ ერთ მეთოდური ხასიათის მქონე ნაშრომს აქვეყნებს: „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნორმები მათემატიკაში". ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ნახევარმა საუკუნემ გაიარა, ბევრი რამ შეიცვალა, საოცრად გაიზარდა მოთხოვნილება ყველა საგანში და ცხადია, მოძველდნენ შეფასების ნორმებიც მათემატიკაში, მაგრამ შეფასებისადმი მიდგომის დახვეწილი პრინციპი, რომელიც ამ ნაშრომშია წარმოდგენილი, დღესაც გვაოცებს თავისი სიმარტივითა და სიზუსტით.

ვ. აბდუშელიშვილის გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი 1940 წელს გამოცემული, მცირე ზომის, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე, წიგნი — „პირველი ხარისხის განტოლებათა დამუშავების ხერხები"[2]. აი, ამ წიგნში განხილული საკითხების რკალი: ტოლობა და მისი ძირითადი თვისებანი, იგივეობა და განტოლება, განტოლებათა ძირითადი თვისებანი, პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნა, პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლება ასოებიანი კოეფიციენტებით. პირველი ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემა, ორუცნობიანი სისტემის შედგენა ამოცანის პირობების მიხედვით, პირველი ხარისხის მრავალუცნობიან განტოლებათა სისტემა, განტოლებათა კლასიფიკაცია, ხაზოვანი ფუნქცია და მისი გრაფიკული გამოსახვა, მუდმივი და ცვლადი სიდიდე, პირველი ხარისხის ერთუცნობიან და ორუცნობიან განტოლებათა გრაფიკული ამოხსნა.

დიდ დროს არ გაუვლია, რომ ამ წიგნს მოჰყვა მეორე, მეთოდური თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობის მქონე, წიგნი —

---

[1] ვ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დ. პ ა რ კ ა ძ ე, იგივეობა და განტოლება, დამუშავების მეთოდიკა. ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", № 6—7, 1939, გვ. 101.

[2] ვ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, პირველი ხარისხის განტოლებათა დამუშავების ხერხები, დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეც. საკელ. ინ-ტის გამ-ბა, თბ., 1940 (რედაქტორი დ. პარკაძე).

„კვადრატული განტოლების დამუშავების სახეები“[1]. ამ წიგნში განხილული საკითხების რკალი უფრო ტევადი და მრავლისმომცველია. აი, ეს საკითხებიც: კვადრატული განტოლების ცნება და მისი სახეები, არასრული კვადრატული განტოლებანი და მათი ამოხსნა, სრული კვადრატული განტოლებანი და მათი ამოხსნა, მითითებანი კვადრატული განტოლების ამოხსნის შესახებ, კვადრატული განტოლების შედგენა ამოცანის პირობების მიხედვით, დამოკიდებულება კვადრატული განტოლების ფესვებსა და კოეფიციენტებს შორის, კვადრატული განტოლების ფესვების გამოკვლევა; დისკრიმინანტი, კვადრატული სამწევრი, მისი დაშლა და გამოკვლევა, კვადრატული უტოლობა და მისი ამოხსნა, კვადრატული ფუნქცია და მისი გრაფიკი, კვადრატული განტოლების გრაფიკული ამოხსნა.

თვითონ ავტორი ამ წიგნის შესავალში წერს: „აღებულ თემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც VIII კლასის, აგრეთვე IX და X კლასის კურსის ათვისების საქმეში, ამის გამო, მისი დამუშავება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ძირითადი თემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება სახელმძღვანელოებში სხვადასხვა ხერხებით და სხვადასხვა თანამიმდევრობით გვხვდება. ვეცდებით, ისეთი ხერხები შევარჩიოთ, რომლებიც არც ძნელი დასაძლევი იქნება მოსწავლეთათვის და არც სათანადო მსჯელობის სიზუსტეს იქნება მოკლებული“.

და მართლაც, წიგნში გასაოცარი სიზუსტით არის მიგნებული უმარტივესი ხერხები და ლოგიკაც ისეთია, რომ ვერც ვერაფერს დაუმატებთ და ვერც ვერაფერს დააკლებთ ავტორისეულ ნათქვამს.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვასილ აბდუშელიშვილის აქტიური მონაწილეობა სპეციალური თარგმნითი ლიტერატურის შექმნაში. მისი უშუალო მონაწილეობით არის განხორციელებული ფადეევისა და პერიშკინის „ფიზიკის“[2], გრიმზელის „ფიზიკის სახელმძღვანელოს“ — I ტომის[3], მისივე „ფიზიკის სახელმძღვანელოს“ II ტომისა[4] და სხვათა თარგმანები.

---

[1] ვ. აბდუშელიშვილი, კვადრატული განტოლების დამუშავების ხახეები, დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნ. საკვ. ინ-ტის გამ-ბა, 1940 (რედაქტორი დ. პარკაძე).

[2] გ. ფადეევი, ა. პერიშკინი, „ფიზიკა“, სახ. VI—VIII კლასებისათვის, თარგმ. ვ. აბდუშელიშვილის და დ. დეკანოზიშვილის მიერ, თბ., 1938.

[3] ე. გრიმზელი, „ფიზიკის სახელმძღვანელო“, ტომი პირველი, თარგმნილი ვ. აბდუშელიშვილის, დ. დეკანოზიშვილის, ტ. ვეფხვაძის, ს. ვაჩნაძის, მ. კორძახიას და ვ. ყიფშიძის მიერ, პროფ. რ. ხუციშვილის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახტექგამომცემლობა, „ტექნიკა და შრომა“, ტფ., 1934, გვ. 843.

[4] ე. გრიმზელი, „ფიზიკის სახელმძღვანელო“, ტომი მეორე, თარგმნილი ვ.

აქვე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვასილ აბდუშელიშვილის მიერ შესრულებული რეცენზიები, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში გამოქვეყნებული მათემატიკური სახელმძღვანელოების შესახებ, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აი, ზოგიერთი მათგანი: დევიძე და ხარაბაძე — სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია; ხარაბაძე — არითმეტიკულ ამოცანათა კრებულები III, IV და V კლასებისათვის; პარკაძე და ხარაბაძე — პლანიმეტრია; შტეინბერგი, პაპიტაშვილი და მგალობლიშვილი — სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია; ამავე ავტორების — ალგებრის სახელმძღვანელო; შტეინბერგი — ალგებრის სახელმძღვანელო; ავალიშვილი — სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია; შაფაქიძე — თვალსაჩინო გეომეტრია; კონიაშვილი — ალგებრის პირველი გაკვეთილები; ფარცხალაძე — ათწილადების ისტორია და პერიოდული წილადები; შაპოშნიკოვი და ვალცოვი — ალგებრულ ამოცანათა კრებულები, I და II ნაწილები; გურვიცი და განგნუსი — გეომეტრიის სახელმძღვანელო I და II ნაწილი; ცხაკაია — სამხედრო შინაარსის ამოცანები და სხვ.

ვასილ აბდუშელიშვილის მიერ დატოვებული ბეჭდური პროდუქციის თუნდაც ეს სქემატური ჩამოთვლა, ვფიქრობთ, თვალნათლივ გვიჩვენებს მის მეთოდურ, მეცნიერულ, მთარგმნელობით და ტერმინოლოგიურ მოღვაწეობას; გვიჩვენებს რა ფართო იყო მისი ინტერესების სფერო, რა გულისხმიერად ეკიდებოდა ის ყოველივე ახალს და საჭიროს იმდროინდელი სკოლის ცხოვრებაში და რა დიდი ღვაწლი დასდო მან საქართველოში მათემატიკის მაღალ დონეზე სწავლების უკეთილშობილეს საქმეს. ცხადია, ყოველივე ამის გარეშე მისი პედაგოგიური მოღვაწეობის თუნდაც ზერელე მიმოხილვა ცალმხრივი იქნებოდა და ხარვეზიანი. ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომების შეფასება დღევანდელი საზომით უმართებულო იქნებოდა, ვინაიდან გასაოცრად წინ წავიდა და ამაღლდა საქართველოში მათემატიკისა და კერძოდ სკოლაში მისი სწავლების დონე. ეს სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ უმართებულო იქნება ისიც, რომ დაგვევიწყნა ის ადამიანები, ვინც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ამ წინსვლასა და აღორძინებას; ერთი მათგანი, ვინც ეს დიდი ეროვნული და საშვილიშვილო საქმე ითავა, ვასილ აბდუშელიშვილი იყო.

აბდუშელიშვილის, ვ. ანანიაშვილის, დ. დეკანოზიშვილის და ვ. ყიფშიძის მიერ, პროფ. რ. ხუციშვილის რედაქციით. სახტექგამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", 1936, გვ. 686.

როდესაც ვასო აბდუშელიშვილს გადაეცა მედალი „შრომითი მამაცობისათვის", ომი უკვე მძვინვარებდა. №-13 სკოლის შენობა ჰოსპიტლად იყო გადაკეთებული. ხოლო მასწავლებლები და მოწაფეები გადაიყვანეს ყოფილ 25-ე სკოლის შენობაში (ბარნოვის ქუჩაზე), რომელშიაც სწავლება, მეორე ცვლაში წარმოებდა და მაინც, ვასილ აბდუშელიშვილს, ამ მედლის მიღებასთან დაკავშირებით, საზეიმო შეხვედრა მოუწყეს სკოლის სააქტო დარბაზში. უკვე გვიანი შემოდგომა იყო; როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები პალტოწამოსხმულები იყვნენ და, ცხადია, არავის ჰქონდა საზეიმო განწყობილება. როდესაც მასწავლებლებმა და მოწაფეებმა ოფიციალურად მიულოცეს მას ეს ჯილდო, მან მხოლოდ ერთი რამ თქვა:

— მე მინდა ჩემმა მოწაფეებმა, რომლებსაც, უსათუოდ, მოუწევთ სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო უწყებაში მოღვაწეობა, არ შეარცხვინონ სამშობლო, სკოლა და მასწავლებლები.

მერე მის სახელზე ფრონტიდან ბევრი წერილი მოდიოდა, რომლებშიაც მისი ყოფილი მოსწავლეები — საბჭოთა არმიის მეომრები და ოფიცრები მადლობას უხდიდნენ მას იმ ცოდნისათვის, რომელიც მათ ასე გამოადგათ სამხედრო საქმის ათვისებაში.

ქვეყანა იბრძოდა, ცეცხლის ხაზზე ყუმბარები ცხრილავდნენ გარემოს, სკოლა კი განაგრძობდა თავის ყოველდღიურ საქმიანობას და ვასილ აბდუშელიშვილის „ცოდვის წიგნაკში" ისევ ჩნდებოდნენ ახალი გვარები, ახალი ნიშნები, ახალი წარმატებები. აი, 1941 წლის გვერდი: ბახტაძე, გელოვანი, გომართელი, გუნია, დოლიძე, ვაწაძე, ინაშვილი, კალაძე, კახიძე, კორძახია, ჭანიშვილი, ცისკარიძე და სხვ.

როგორც სხვა წლებში, ისე 1941 წელსაც ვასო აბდუშელიშვილის გაკვეთილებზე თითქმის სისტემატიურად ესწრებოდნენ უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები. ალბათ, იცოდნენ, რომ მის გაკვეთილებზე ბევრი რამის სწავლა შეიძლება. განუზომელი იყო ვასილ აბდუშელიშვილის ავტორიტეტი როგორც ამ სტუდენტებს, ისე მათ პროფესორ-მასწავლებლებს შორისაც. აი, ერთი პაწაწინა ეპიზოდი;

ერთხელ პრაქტიკანტმა სტუდენტმა დავალებული ამოცანა ვერ ამოხსნა. მეორე დღეს მან თავის ფრიადოსან ამხანაგებს სთხოვა დახმარება, ამოცანა ვერც მათ ამოხსნეს. მერე ჩვენც ღავინტერესდით ამ ამოცანით, მაგრამ ვერც ჩვენ ვძლიეთ და ვთხოვეთ ჩვენი სკოლის მათემატიკის ორ სხვა მასწავლებელს დახმარება; არც იმათ გამოუვიდათ არაფერი. დაინტერესებულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ბოლოს პრაქტიკანტებმა თავის ხელმძღვანელ პროფესორს მიმართეს.

პროფესორმა ბევრი უტოიალა ამოცანას, მაგრამ ო

ა არც მას გამოუვიდა, ამოცანა შეეცალოთო, ურჩია პრაქტიკანტს. ყოველივე ამას, სრულიად შემთხვევით, ვასო აბდუშელიშვილი შეესწრო. დახედა ამოცანას, დაადო თითი ერთ ადგილას და „შეცდომა აქ არისო“ ბრძანა. სტუდენტმა იმ გაკვეთილში ხუთიანი მიიღო, ხოლო პატონი ვასოსადმი მათი კრძალვა და პატივისცემა ერთი-ორად გაიზარდა.

1941 წლის ზაფხული მე და ძია ვასომ ჩვეულებრივ შალაურში გავატარეთ. მე მაშინ 15 წლის ბიჭი ვიყავი. ტანს ვიყრიდი, ფეხი მეზრდებოდა, ფეხსაცმელი კი ან არ იშოვებოდა, ან ფეხსაცმლის საყიდელი ფული არ გვქონდა. ერთ დღეს ძია ვასომ გამატანა ჩემი დაგლეჯილი ფეხსაცმელები და მითხრა:

— გადადი საბჭოსთან, ნახე ხელოსანი. სთხოვე, ... დაგიკერებსო. წავედი.

და ის პაწაწინა დიალოგი ხელოსანსა და ჩემს შორის მე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

— დამიკერე, ბიძია, ამ ფეხსაცმელს?

— დაგიკერე, რატო არ დაგიკერე, დატოვე ... ხვალ ... მზად იქნება.

— რა ეღირება, მერე?

— რეზინის ძირი ხუთი მანათი დაგიჯღება, ტყავისას ... ოთხი მაგდენი ეყოფა!

— ნაკლებ არ შეიძლება?

— რა გვარი ხარ, ბიძია, შენ?

— აბდუშელიშვილი ვახლავართ, ჩემო ბატონო.

— ვასოსი რა ხარ?

— ძია ვასო ბიძაა ჩემი.

— შეიძლება!.. დატოვე და ხვალ გამეიარე — ფული შეგიძლია სულ არ წამეიღო თან.

— აჰ, მასე არ მინდა.

— ა, ასეთები არიან ყველანი. პატივისცემას ვერ მოუხერხებ ამ ხალხს!..

ფეხსაცმელეზი, ცხადია, დამიკერეს, მაგრამ რითი დამთავრდა ანგარიშსწორება სანდრო ბარბაქაძესა და ვასო აბდუშელიშვილს შორის, არ ვიცი; ალბათ, არაფრით.

1942 წელი უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე მისი წინამორბედი წელი იყო.

მეათეკლასელები, რომლებიც ასაკით უფროსები იყვნენ, ჯარში გაიწვიეს, ვინც დარჩა, ისიც ჯარში წასასვლელად ემზადებოდა და მა-

ვ. აბდუშელიშვილი მე-18 სკოლის XI კლასში (1942 წ.)
(სურათი გადაღებულია გაკვეთილის დროს გურამ მუსხელიშვილის მიერ).

ინც, სკოლა თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა. აი, ამ წლის გამოსაშვები კლასის მოწაფეთა არასრული სია: აბდუშელიშვილი, ახმეტელი, ასათიანი, თოთიბაძე, კახიანი, კილაძე, კეჩხუაშვილი, მუსხელიშვილი, ჩხეიძე, ჩუბინიძე, ცოცხაძე; აქვე პარალელური კლასი: ბერიზაშვილი, ბოკერია, ლეჟავა, მაღალაშვილი, მაჩაიძე, მოდებაძე, ღოღობერიძე, ცხომელიძე, ციბაძე, ჯავახიშვილი და სხვ.

3 თებერვალს ვასილ აბდუშელიშვილს გადაეცა მედალი „შრომითი წარჩინებისათვის".

ამ წელს მე მეცხრე კლასში ვიყავი. ბევრი რამ მახსოვს, ბევრიც..

ბევრიც წერილებმა შემოინახა. ამ წლით დათარიღებული უამრავი წერილია ვასილ აბდუშელიშვილის არქივში. მე მათგან მხოლოდ სამი ამოვარჩიე. ერთს — მისი ძმის პეტრეს მეუღლე სწერს ორღულიდან: მეორეს — მისი ბიძაშვილის შვილი ჯარის ნაწილიდან, ხოლო მესამეს — მისი ყოფილი მოწაფე — ფრონტიდან. ყველა ამ წერილში თანაბრად ჩანს ვასილ აბდუშელიშვილისადმი დიდი მადლობისა და პატივისცემის გრძნობა. აი ისინიც:

12 იანვარი. „ძვირფასო ძია ვასო! უღრმეს მადლობას გწირავთ თქვენის სახით ყველა ბიძებს თქვენგან იმედიანი და მამაშვილური ბარათის გამოგზავნისათვის... ამანათი მივიღე... ალბათ. დიდი ხნის საზრდოდ დამრჩება თქვენგან ეს სასიამოვნო ამბავი. ამ თვის ბოლოს ვამთავრებ სკოლას. გუშინ პირველი ძირითადი საგანი ჩავაბარე ფრიადზე. კარგად და ყოჩაღად ვარ... ვწუხვარ ჩვენი ახალგაზრდების დაქსაქსვას. განსაკუთრებით მაწუხებს ზუტას ამბავი. შემატყობინეთ ზურას, ვანიჩკას, ბერის, ოთარის, სახანას და ფერშანგის ამბავი, თუ რაიმე მიიღოთ მათგან. იყავით კარგად.

მარად თქვენი პატივისმცემელი ავთანდილ აბდუშელიშვილი“.

23 თებერვალი. „ძვირფასო და დაუვიწყარო მასწავლებელო, ბატონო ვასო! შეიძლება ძალზე გაგიკვირდეთ ჩემი წერილის მიღება. იქნებ აღარც გახსოვართ თქვენი ყოფილი მოწაფე მურმან გედევანიშვილი. დღეს სიკვდილისა და უბედურების, გამარჯვებისა და ბრძოლების სამყაროში მყოფი ისეთივე პატივისცემით გიგონებთ, როგორც ალბათ, ყოველი თქვენი მოწაფე, როგორც ყოველი ადამიანი, რომელმაც დაიფასა, და თუ გარემოებამ ხელი შეუშალა, შემდგომში დაიფასებს თავის ხვედრს, რომ იყო თქვენი მოწაფე. მე ახლა ვარ სტანკობრიგადის სამსახურის უფროსი, за хорошие математические расчеты ორჯერ დამაჯილდოვეს მთავრობის ჯილდოთი. დიდ მადლობას გიხდით ყველას, ყველას, ვინც თვით იკლებს და ჩვენ გვიგზავნის პატარა ბავშვური გემოთი შეწყობილ ამანათებს. ჩვენს პატარა ამხანაგებს, რომლებმაც დაიკავეს ჩვენი ადგილი მე-18 სკოლის მერხებზე: ჩვენ, ბატონო ვასო, არასოდეს დაგივიწყებთ თქვენ. იყავით ჯანმრთელად და გამარჯვებით, რათა დაამშვენოთ ნამდვილი ქართული საზოგადოება. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

სალამი უკრაინის ფრონტიდან.
მურმან გედევანიშვილი“.

4 აგვისტო. „ჩემი ყოველივე იმედის გამცოცხლებელო,საიმედო ძმაო, ბატონო ვასო!.. გწირავთ ენისგან გამოუთქმელ მადლობას, რაც ეგბოძებინათ ჩვენთვის. ღმერთმა ნუ დაგვიკარგოს თქვენი იმედი და ნუგეში... ჩვენ არ შეგვიძლია გადახდა ამდენი დავალებისა. თქვენც გეყოფათ ჩვენი ამდენი ზურგით ტარება. ღმერთი გადაგიხდით სასიკეთოდ... გწერთ თქვენი შემაწუხებელი რძალი

ციცია აბდუშელიშვილი“.

ამავე, 1942 წლით დათარიღებულ ვასილ აბდუშელიშვილის „ცოდვის წიგნაკში“ ერთ ჩემთვის საინტერესო გვერდს წავაწყდი. იქ ის შენიშვნებია ჩამოწერილი, რომელიც მას გაუკეთებია ჩვენს კლასში

პრაქტიკანტის მიერ ჩატარებული გაკვეთილის დროს. აი, ეს ჩანაწერი:

„სტუდენტ-პრაქტიკანტის გ. მელიქოვის მიერ 1942 წლის 21 ნოემბერს მე-18 სკოლის მეცხრე კლასში ტრიგონომეტრიაში ჩატარებული გაკვეთილის შესახებ:

— სირაძემ პროპორცია სწორად არ აიღო, რაც თავის დროზე არ შეამჩნია.

— ჭანიშვილი — გააბათილებენ — იკვეცება.

— აბდუშელიშვილი — არაზუსტი გამოთქმები.

— საუბარი ერთთან, კლასი არ მონაწილეობს.

— შებრუნებულ სიდიდეებს ხაზი არ გაუსვა. შეკითხვა ორმაგი ნიშნების შესახებ უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო. ვერც გამოარკვია სათანადოდ.

— თუმანიშვილს შეცდომა არ გაუსწორა“.

თავის მოსაწონებელი ამაში, ალბათ, ცოტაა, მაგრამ ღმერთთან მაინც სწორი სჯობს — ის აბდუშელიშვილი მე გახლავართ.

ამავე წლის აგვისტოში ვასო აბდუშელიშვილს დიდი უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი კაკო მიქელაძე. აი მაშინ იყო სწორედ, რომ მისი მეგობრების გამეჩხერებულ სუფრაზე, კაკო მიქელაძის სახსოვრად, მაინც მოხერხდა „მიყვარს ფაცხა“-ს თქმა. მაგრამ ეს გალობა უკვე გოდებას გავდა და ყველა გრძნობდა, რომ სიმღერის მთქმელი აღარავინ იქნება მალე!

მაგრამ თუ ასე მალე დასრულდებოდა ყველაფერი, ეს კი არავის ეგონა, ალბათ.

ეს ამბავი ამ რამდენიმე წლის წინათ მოხდა. მე ჩემს სამუშაო ოთახში ვიჯექი და რაღაც საჩქარო საქმეს ვაკეთებდი... დრო არ. მყოფნიდა და ამიტომ ტელეფონის ყურმილი გადადებული მქონდა, მაგრამ, მოულოდნელად, ოთახში ჩემი პატარა გოგონა შემოვიდა და კატეგორიულად გამომიცხადა:

— მასწავლებელმა მათემატიკაში ახალი მასალა აგვიხსნა, მაგრამ ვერაფერი გავიგე და უნდა დამეხმაროო.

კატეგორიულმა ტონმა უკანდასახევი გზა მომიჭრა, მაგრამ მაინც ვცადე გაბრძოლება:

— შვილო, ფრიადოსანი შენა გქვიან — ეს ერთი, მათემატიკას შენ ახლა სწავლობ, მე კი ოცდაათი წლის წინათ ვსწავლობდი და რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდა — ეს ორი, და რაც მთავარია, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ-მეთქი... მაგრამ რომელ მამას გასვლია შვილის თხოვნაზე უარი და

— კარგი, დაჯექი, ვნახოთ, იქნებ რამე გამახსენდეს.

გოგონამ რვეული ვაშალა და მე სიმწრის ოფლმა დამასხა. ნიუტონის ბინომი იყო... სწორედ ნიუტონის ბინომში მქონდა თავის დროზე ვასო აბდუშელიშვილისაგან მიღებული ორიანი და მთელი ცხოვრების განმავლობაში როგორც დაწყევლილს, ისე ვერიდებოდი მას და ვერდს ვუელიდი... მაგრამ, „ვერიდებოდი ღოლოსა"-ო, ჩემზე ახდა...

ბავშვი რაღაცას ჩაციებით მეკითხებოდა... მე კი ჩემსას ვფიქრობდი, ვიხსენებდი, ეწვალობდი და უცებ, თითქოს ვიღაცამ წარსულის ფარდას ხელი აჰკრაო, ჩემს თვალწინ სამი ათეული წლის წინანდელმა სურათმა გაიელვა... ჩვენი ძველი სკოლა... ბნელი და კუბოსავით გრძელი საკლასო ოთახი, რომელსაც ჩვენ „სასუფეველი" დავარქვით. ომის მრისხანე წლები, შუქშენიღბვა და საპაერო განგაში, საკლასო ოთახის ერთადერთ ფანჯარაზე ჯვარედინად გაკრული დოლბანდები, შიმშილისა და სიცივისაგან შეწუხებული ჩემი ამხანაგები, ცარცით აჭრელებული დაფა, დაფასთან ჩვენი მკაცრი მასწავლებელი და მისი დინჯი და დახარვეზებული: „...ორი წევრის ჯამის კვადრატი უდრის პირველი წევრის კვადრატს, პლუს"... „ორი წევრის სხვაობის კუბი უდრის პირველი წევრის კუბს, მინუს... და საერთოდ, ორი წევრის ჯამი „n" ხარისხში უდრის"... ყველაფერი ისე ცოცხლად გამახსენდა, თითქოს იმ წუთს გაკვეთილზე ვიჯექი და როგორც მაშინ ჩემს მეგობართან ქალაქობანას ვთამაშობდი: ...ვასო აბდუშელიშვილი უცებ გამწყრალი შემობრუნდა ჩვენსკენ და ჩემს თანამებრძოლს მკაცრად ჰკითხა:

— აბა, ლომოურო, რომელ ხარისხში იქნება მეორე წევრი?

სასოწარკვეთილმა ნოდარმა ვედრებით შემომხედა და მე კი, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდად დავიქნიე ორჯერ თავი... ნოდარი მიხედა და...

— ორი — წამოიძახა.

— ორი კი არა, კვადრატში იქნება, შე უტვინო, მაგრამ აბდუშელიშვილო, კვადრატის მაგივრად რომ „n" ხარისხში ყოფილიყო მეორე წევრი, ნეტა შენ რამდენჯერ დაიქნევდიო მაგ უტვინო თავს! — თქვა ძია ვასომ და კლასის ერთსულოვანმა ხარხარმა სიმწრის ოფლი დამასხა. ნოდარ ლომოურიც იცინოდა, მე კი კისრის ძარღვები დამეჭიმა და მგონი, გაკვეთილის დამთავრებამდე თავი არ გამიტოკებია, ისე ვიჯექი კისერგაშეშებული. ცხადია, ჩემი და ლომოურის გვარის გასწვრივ სწორედ იმ ნაკარნახევი ხარისხის ნიშანი ჩაიწერა და მე კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დამრჩა ნიუტონის ბინომზე მწარე მოგონება: თუმცა ახლა ეს მოგონება უკვე მწარე აღარ არის, რამე

საღამოს, როცა ჩემი გოგონა ჩემს წინ იჯდა, რომ მე, იმის მეტი აღარა დამრჩენოდა რა, რომ სიტყვასიტყვით გამემეორებინა ჩემი მასწავლებლის მიერ მესამედი საუკუნის წინათ ნაკარნახევი... და გოგონას თვალებში აღტაცება და გაკვირვება ამოვიკითხე; როგორც ჩანს, ბინომი მან გაიგო, მაგრამ ის კი ვერ გაიგო, მამამისს, რომელიც სულ სხვა საქმეს მისდევდა ათეული წლების განმავლობაში, როგორ ახსოვდა ასე ზუსტად ყოველივე ეს.

თავისი გაოცება მას არც დაუფარავს და ბავშვური უშუალობით, გულდაწყვეტილმა თქვა:

— მე შარშან რა აგვიხსნა ჩვენმა მასწავლებელმა ის არ მახსოვს, შენ კი მესამედი საუკუნის წინათ ახსნილი რამ დაგამახსოვრაო ასე?

— საკვირველი ეგ კი არ არის, შვილო, — ვუპასუხე მე არანაკლებ გულდაწყვეტილმა, — არამედ ის, რომ ჩვენ მაშინ საოცრად მძიმე პირობებში გვიხდებოდა სწავლა და მაინც ვსწავლობდით; ომი იყო, ირგვლივ შიში, გაჭირვება, ცრემლი და გოდება... ყველას შიოდა, ყველას სციოდა, ყველას სტკიოდა საკუთარი სატკივარი; არ იყო სინათლე, არ გვქონდა ნავთი, როგორ ვსწავლობდით არ ვიცი, მაგრამ ვსწავლობდით... შენ კი ყველაფერი გაქვს, ცალკე ოთახი, ცალკე მაგიდა, ყოველგვარი სახელმძღვანელოები, საჭმელი არ გაკლია, სითბო, ჩასაცმელი და დასახურავი, ჯანი მთელი გაქვს და გული მხიარული და მაინც...

— და მაინც, — ჩამომართვა სიტყვა გოგონამ, — და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეგ, რაც შენ თქვი, მართალია, ერთი რამ მაინც დაგავიწყდა — შენ მათემატიკას ვასო აბდუშელიშვილი გასწავლიდა, მე კი?..

და ჩემ წინ ისევ დადგა გადაუჭრელი კითხვა: „თესლი თუ მიწა? მიწა თუ თესლი?“ ალბათ, მიწა, მაგრამ მაინც... როგორ სწყურია ჩვენს მაშვრალ მიწას ხელმადლიანი მხვნელ-მთესველები.

1985 წელს ვ. აბდუშელიშვილის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. პირველი, ვისაც ეს გაახსენდა, იყო მისი უსაყვარლესი ნამოწაფარი, ჩვენს მიერ ახლახან ხსენებული, დღეს საყოველთაოდ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნოდარ იულონის ძე ლომოური.

აბა, ყური უგდეთ მის „გახსენებას“: „ყველაფერი ალბათ გაკვეთილით იწყებოდა. საგნის ღრმა, ამომწურავი, პროფესიონალური ცოდნა იყო საძირკველი, რომელზედაც გაკვეთილი იყო აგებული, ხოლო შემდეგ იყო დიდი უნარი ამ ცოდნის არაჩვეულებრივად სადად, გასაგებად, თვალსაჩინოდ გადმოცემისა. მთელი ასახსნელი მასალა ისე ლოგიკურად იყო დალაგებული, მძივივით ასხმული, რომ ძალა-

უნებურად იტაცებდა მსმენელს, აიძულებდა უდიდესი ყურადღებით ესმინა მასწავლებლისთვის. ეს იყო და ეს! ერთი შეხედვით სულ უბრალო რამ, მაგრამ რაოდენ იშვიათია ეს უნარი და თანაც რაოდენ დახვეწილობამდე იყო იგი მიყვანილი!

მოწაფის გამოკითხვისას — შეუნელებელი ყურადღება მისდამი, კარგი პასუხისას — ძუნწი, მაგრამ გასაგები, მისგან განსაკუთრებით დასაფასებელი კეთილგანწყობა და მოკლე შექება, სუსტი პასუხისას — ზედმეტ ემოციურობას მოკლებული, სხარტი გაკიცხვა, მაგრამ ისეთი, რომ მიზანს ზუსტად ხვდებოდა და მეორედ არ მოგინდებოდა მისი მოსმენა. შეფასებისას — არაჩვეულებრივი სიზუსტე, ამასთან სრული ობიექტურობა. ეს იყო და ეს! მაგრამ რა ძნელი მისაღწევია ყველაფერი ეს, რამდენი ტაქტი, შინაგანი ძალა და შეუცდომელი პედაგოგიური ალღო სჭირდება ყოველივე ამას!

და ბოლოს, მთელი თავისი გარეგნული იერით, ქცევით, მიხრა-მოხრით, შეუვალი პრინციპულობით, დაურღვეველი პატიოსნებით, იგი ცოცხალი მაგალითი იყო მაღალი მოქალაქეობრიობისა და უსპეტაკესი ადამიანობისა. თანაც გასაოცარი უნარი გააჩნდა ეს თავისი მაღალზნეობრივი თვისებები რაღაც მანქანებით გადმოეცა თავისი მოწაფეებისათვის; ამ თვისებებს იგი თითქოს გამოასხივებდა და ამ გამონასხივში ახვევდა ახალგაზრდას, აიძულებდა მიებაძა მისთვის და ამნაირად ზრდიდა თავის მოწაფეებს ამ მიმართულებითაც"[1].

ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი დროის უდიდესმა მათემატიკოსმა, აკად. ნიკო მუსხელიშვილმა, თავისი ერთადერთი შვილი დღეს ცნობილი მეცნიერი — გურამ, სხვა სკოლიდან მე-18 სკოლაში გადმოიყვანა, სადაც მათემატიკურ საგნებს, ის ხელმადლიანი მხვნელ-მთესველი, ვასილ აბდუშელიშვილი, ასწავლიდა და, თვით გურამ მუსხელიშვილის აზრით, მამამისი არ შეცდა ამ არჩევანში. რადგან მომავალი მეცნიერის ერუდიციას სკოლაშივე ჩაუყარა ვასილ აბდუშელიშვილმა მათემატიკური საფუძველი.

ეს პაწაწინა ამბავიც რამდენიმე წლის წინათ მოხდა. ბიოლოგიური მასალების დამუშავებისას ერთი მათემატიკური ხერხის გამოყენების საკითხზე საკონსულტაციოდ პროფესორ არჩილ ხარაძეს ვეკითხეთ.

მან იცოდა, რომ მე ანთროპოლოგი ვარ, საუბარი კი საკმაოდ რთულ ბიომეტრიულ ფორმულებს შეეხო. ბატონი არჩილი უცებ მობრუნდა ჩემსკენ და გაკვირვებულმა მკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, თქვენ ანთროპოლოგი ხართ, თუ მათემატიკოსი?

[1] გაზ. „სახალხო განათლება", № 43 (3777), 1985, 29 მაისი.

— მე ექიმი გახლავართ განათლებით, ბატონო არჩილ. მაგრამ საშუალო სკოლაში მათემატიკის ჩინებული მასწავლებელი მყავდა და ხშირად მეხმარება ხოლმე ცხოვრებაში იქ მიღებული ცოდნა.

— ვინ იყო თქვენი მათემატიკის მასწავლებელი?

— ვასილ აბდუშელიშვილი.

— მაშინ ყველაფერი გასაგებია, — თქვა ბატონმა არჩილმა — ჩვენ საერთო ენაზე შეგვიძლია ვისაუბროთო.

ვისაუბრეთ და...

როცა ვემშვიდობებოდი, ბატონმა არჩილმა ბრძანა:

— ვასილ აბდუშელიშვილი დიდი პედაგოგი იყო და ალბათ, დიდი მათემატიკოსიც, მაგრამ არაფერი ან თითქმის არაფერი გამოუქვეყნებია, სამწუხაროდ!

ბატონ არჩილს მადლობა მოვახსენე, დავემშვიდობე და წამოვედი. მოვდიოდი მძიმე გულით, რადგან თავში აკვიატებულივით მიტრიალებდა მძიმე ფიქრი, თუ უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: „არაფერი გამოუქვეყნებიაო?!..“ განა მის მიერ მათემატიკურ ცოდნას ნაზიარები ადამიანები, ყველგან რომ იოლად ართმევენ თავს მეცნიერულ თუ ცხოვრებისეულ სიძნელეებს, „გამოქვეყნება“ არ არის? განა იქ, ფრონტზე, უწვერულმა მებრძოლმა სწორად რომ განსაზღვრა ჭურვის გაფრენის კუთხე და მტრის საცეცხლე წერტილი გაანადგურა „გამოქვეყნება“ არ არის? განა ის, რომ მის მიერ დამოძღვრილ აბიტურიენტებს პირველ რიგში ეღებოდათ უმაღლესი სასწავლებლის კარები, „გამოქვეყნება“ არ არის, ან თუნდაც ბატონი არჩილის დღევანდელი კითხვა „გამოქვეყნება“ არ არის?? რა ვუყოთ, რომ ყოველივე ამას ვასო აბდუშელიშვილის გვარი არ აწერია — ეს საქმეს არ ცვლის! ნაყოფი ჩანს, ფესვები — არა! ეს ჯერ კიდევ საკითხავია: ნაყოფისათვის მზის სინათლე უფრო საჭიროა, თუ მიწამოყრილი ფესვების მადლი. ვინ გასცემს პასუხს ამ მძიმე კითხვას?!

თვითონ ვასო აბდუშელიშვილს კი, ალბათ, ჩრდილში ყოფნა ერჩია და სახელდაურქმეველი თანაავტორობა ყველა იმ დიდი საქმისა, რომელიც მისმა მოწაფეებმა მთელ ქვეყანას მოჰფინეს, გამოამზეურეს და ე. ი. „გამოაქვეყნეს“ კიდეც.

1943 წელი: ეს ჩემი თაობის გამოსაშვები წელი იყო.

პრაქტიკანტი ალგებრაში გაკვეთილს გვიტარებდა. ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, მხოლოდ, როცა ახალი მასალის ახსნას შეუდგა, ფორმულის გაშიფრვისას ნიშანში მოუვიდა მექანიკური შეცდომა და ასევე განაგრძო მოქმედება. საბოლოო პასუხში შეცდომა გარდაუვალი ჩანდა... პრაქტიკანტმა იგრძნო ეს და ერთი წამით შედგა... სახეზე ალმურმა აჰკრა. უცებ, ჩემს მერხზე უბის წიგნაკიდან ამოხეუ-

ლი ფერცელი დავინახე, ზედ მიღლოდ ერთი წინადადება ეწერა: „გორკეცებული ნამრავლის წინ უარყოფითი ნიშანი უნდა იყოს". ეს სიგნალი ელვის სისწრაფით გადაეცა წინ და უმალ მიაღწია ადრესატამდე. პრაქტიკანტმა დაუყოვნებლივ გაასწორა შეცდომა და შეკბითა აღმოისუნთქა. გაკვეთილი „5"-ზე შეუფასეს სტუდენტს და მე კი იმ ჯგუფის სტუდენტები მათი მეგობრის მხსნელად და უნიჭიერეს მათემატიკოსად მთელიდნენ; ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ერთი იყო მართალი და არც მეორე. ორივე იმ მკაცრი მასწავლებლის ხელიდან მოდიოდა, რომელიც „ორიანის დაწერას არ ეკითხებოდა გამგეს".

1943 წლის გაზაფხულზე შალაურში გარდაიცვალა ვ. აბდუშელიშვილის უფროსი ძმა ყარამან. აი, სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ იწყება შალაურელი აბდუშელიშვილების ბუდის საბოლოო რღვევა. თუ მანამდე ნაწილაკი „ნა" ჯერ კიდევ შორიდან უვლიდა მათ კარმიდამოს და ახოს — ნაოხრად, ვენახს — ნავენახარად, ბაღს — ნაბაღრებად და ბაგებს — ნაბაგებად აქცევდა, ახლა ის სამოსახლოშიაც შეიჭრა და ყველაფერს მოედო; მარანს, სასიმინდეს, სახაბაზოს, ბოსელს, თავლას, ბეღელსა და ბოლოს სახლსაც კი... მაგრამ ეს ყველაფერი ყარამანის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. მის სიცოცხლეში კი თუმც ღრმად მოხუცისა და ჯანგატეხილის დიდი შრომით, რუდუნებითა და ამაგით ხელგამართული განაგრძობდა ძველი იერსახის ტარებას და თუ მტერს მტრულად ვეღარ, მოყვარეს მოყვრულად მაინც ხვდებოდა ხოლმე ზოგჯერ... მერე ესეც მოიშალა...

კეთილშობილი კაცი იყო ყარამან — კეთილი იყოს ხსენება მისი!

ჩვენი გამოსაშვები გამოცდები დასრულდა. უკანასკნელად უნდა შეკრებილიყო პედაგოგიური საბჭო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, ვის მიეცემოდა ფრიადოსნის ატესტატი. ამ ატესტატის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ჩემი უახლოესი მეგობარი ედმონდ იოსების ძე პარმა იყო. სხვათა შორის, პარმების ოჯახში ძირითადად რუსულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ედიკომაც, ბუნებრივია, რუსული ენა და ლიტერატურა გაცილებით უკეთ იცოდა, ვიდრე ქართული. მიუხედავად ამისა, მისი მცდელობისა და მონდომების გამო, ჩვენმა დიდებულმა მასწავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა მას ხუთები გამოაყოლა. რუსულში კი, ჩვენი მკაცრი და აგრეთვე დიდად პატივცემული მასწავლებელი, გიორგი მოსეშვილი, არ უპირებდა ხუთის დაწერას. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ომის დროს ვამთავრებდით სკოლას და სხვისი სკოლის შენობაში ვიყავით შეფარებულნი; იმ დროს შუქშენიღბვა იყო და პედაგოგიური საბჭო ერთ-ერთ ნახევრადჩაბნელებულ ოთახში მიმდინარეობდა; ყველას გვაინტერესებდა, როგორ გადაწყდებოდა ედიკო პარმას ბედი, ამიტომ მისი უახლოესი ძმაკაცები შე-

ვიპარეთ სკოლაში და ღიად დარჩენილი კარებიდან ვხედავდით და ვისმენდით, რა ხდებოდა პედაგოგიურ საბჭოზე. როდესაც გიორგი მოსეშვილმა განაცხადა, რომ ის „ოთხს“ აყოლებს პარმას, ადგა ქალბატონი ვარო ვარდიაშვილი და განაცხადა:

— ბატონო გიორგი, თქვენ იცით, რომ პარმას ქართული ბევრად უფრო უჭირს, ვიდრე რუსული, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას დავალება არ შეესრულებინოს და ამიტომ მე ვერ მივეცი ჩემს თავს უფლება ნიშანი დამეკლო მისთვის. დაუჯერებლად მიმაჩნია, რომ მას რუსულ ენასა და ლიტერატურაში არ შეესრულებინოს დავალება.

— თქვენ ეს დაუჯერებლად მიგაჩნიათ, — ბრძანა ბატონმა გიორგიმ, — მე კი ჩანიშნული მაქვს, რომ მან მაიაკოვსკის ლექსი „ამხანაგი ნეტო“ ზეპირად არ იცოდა და მე მთელი კლასის წინაშე „ორიანი“ დავუსვი. ახლა რომ ხუთიანი გამოვაყოლო, ეს უსათუოდ კანონის დარღვევა იქნება.

ოთახში წუთით დუმილი ჩამოწვა. მერე მძიმედ წამოდგა ვასო აბდუშელიშვილი და გაღიმებული სახით მიმართა გიორგი მოსეშვილს:

— მაპატიე, გიორგი, მაგრამ ბრძენკაცს უთქვამს — კანონს, რომელიც ჩვენში ზის, ნამუსი ჰქვიანს! აბა, ღმერთს შევხედოთ და თაბაუთი ეგრე გავწიოთ: ედმონდ პარმამ ხომ ნამდვილად ჩვენზე უკეთ იცის რუსული ენა და მას რომ სწორედ ამ საგანში დავაკლოთ ნიშანი, ეს ხომ არ იქნება ჩვენი შინაგანი კანონის დარღვევა — და დაჯდა.

ედმონდ იოსების ძე პარმამ ფრიადოსნის ატესტატი მიიღო.

და ბოლოს, პაწაწინა მოგონება ჩვენი გამოსაშვები საღამოს შესახებ. ომის დრო იყო-მეთქი, ვთქვი: ჩვენი კლასის ბიჭების უმრავლესობა უკვე ჯარში იყო წასული და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გამოსაშვებ საღამოზე თამადობამ მე მომიწია.

საღამო ჩვენი თანაკლასელის, ლია კახიძის ოჯახში უნდა გადაგვეხადა. ლია კახიძე ჩვენი საყვარელი და დიდად პატივცემული მასწავლებლის, ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, ქალბატონ თამარ ხელაშვილის შვილი იყო და მათ ოჯახში ზეიმი ერთიორად უფრო მომხიბლავსა და ლაზათიანს ხდიდა ჩვენს შეხვედრას.

შემდგომში სახელოვანმა მხატვარმა, აწ განსვენებულმა ჩვენმა მეგობარმა, ავთანდილ ვარაზიშვილმა ჩვენი მასწავლებლების ზეპირად შესრულებული შესანიშნავი სურათები მოიტანა. დღეს ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა ციალა თოფურიძემ ექსპრომტი თქვა:

„ისმის სიმღერა
და ისმის ღვინო,
არ ისმის მხოლოდ
სიტყვა „უტვინო“.

ზეიმზე ჩვენი პარალელური კლასის ამხანაგები გვეწვივნენ. მოგვილოცეს დამთავრება. ყველა მხიარულობდა. სუფრას ამშვენებდა ჩვენი სახელოვანი მსახიობი სერგო ზაქარიაძე. მეც, რაც შემეძლო, თავს არ ვიზოგავდი, მაგრამ შევატყე, რომ სხვებზე ადრე ვთვრები და ეს, ალბათ, ჩვენმა გოგოებმაც შემატყვეს, მომიტანეს უზარმაზარი თასი და ჩვენმა დიასახლისმა ლია კახიძემ ყურში ჩამჩურჩულა:

— აზიკო, მაგაში მარტო ერთი ჭიქა ღვინოა, დანარჩენი წყალია. დალიე ეგ, დაალევინე სხვებსაც და ყველა დათვრებაო.

ძია ვასომ დაინახა ეს უზარმაზარი თასი, ალბათ, მიხვდა ჩვენს ოინს და ჩემს გვერდით მჯდომ, დღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ბადრი კობახიძეს ხმადაკლებულად უთხრა:

— მოაშორეთ ეგ აბაზანა მანდედან, თორემ ჩავარდება ჩვენი თამადა შიგ, დაგვეხრჩობა და ყველანი ფხიზლები წავალთო აქედან!

ფხიზელი იქიდან არავინ წასულა, მაგრამ ეს უკვე ჩემი დამსახურება აღარ იყო.

1944 წელი.

13 ივნისს გაცემულია ცნობა სამხედრო კომისარიატიდან იმის შესახებ, რომ ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად არის ცნობილი. მეორე გვერდზე საბუთის მოქმედების ვადა გაგრძელებულია 1945 წლის 1 ივლისამდე. მხოლოდ ამ წელს მიუღია ვასილ აბდუშელიშვილს 1939 წელს მისთვის მინიჭებული დამსახურებული მასწავლებლის წოდების სიგელი.

1944 წლის „ცოდვის წიგნაკში" გარკვევით იკითხება გვარები: ახმეტელი, ბაირამაშვილი, იმნაძე, კაპანაძე, კარგარეთელი, კარბელაშვილი, კასრაძე, მგალობლიშვილი, სიხარულიძე, ცაგარელი, ჯანელიძე, გრიგორაშვილი, მიქელაძე, პატარაია, მანჯავიძე, გამყრელიძე, კილასონია...

კილასონია... ეს კილასონია, დღეს ჩვენი სასიქადულო პოეტი ქალი, ნაზი კილასონიაა.

1959 წლის „ნორჩ ლენინელში" მისი პაწაწინა, მაგრამ უაღრესად თბილი წერილი გამოქვეყნდა; „მკაცრი მასწავლებელი" ერქვა ამ წერილს. მასში იმდენი სითბო და სიყვარულია ჩაღვრილი, რომ მე არ შემიძლია ვასილ აბდუშელიშვილისადმი მიძღვნილ წიგნში გვერდი ავუარო ამ წერილს. აი, ისიც:

„მაღალი, დარბაისელი, დინჯი ქართულით მოსაუბრე, — ასეთი იყო თბილისის ქალთა მეექვსე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვასილ აბდუშელიშვილი. რამდენმა თაობამ გაიარა მის ხელში, რამდენი იგონებდა მას სიყვარულით! ჩვენ კი, გამოგიტყდებით, ყველას შიშის ქარმა დაგვიარა, როცა გავიგეთ, რომ ჩვენ, უფროსკლასელებს,

ძია ვასო გვასწავლიდა მათემატიკურ საგნებს. გვეშინოდა, რადგან გაგონილი გვქონდა მისი სიმკაცრის ამბავი. მერხზე გავისუსენით და ისე ვუსმენდით. გადიოდა თვეები. და კლასში უკვე თავი იჩინეს ამ ძნელი, რთული საგნის მოტრფიალეებმა. როგორ უცინოდა თვალები ძია ვასოს. როცა მოსწავლე დაფასთან რთულ ამოცანას ამოხსნიდა, სჩანდა, რომ უხაროდა, მაგრამ მხოლოდ თვალები მეტყველებდნენ ამ სიხარულზე, თვითონ კი სიტყვაძუნწობდა...

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ზოგს ძია ვასოზე მეტად მათემატიკისა გვეშინოდა. გვეგონა, რომ ამ საგანს ვერასოდეს მოვერეოდით და მსოლოდ ჩვენს სატანჯველად იყო გაჩენილი. საკონტროლო წერის დროს, უკანა მერხზე მიყუჟული, თვალს ვაპარებდი მეზობლის რვეულისაკენ, მაგრამ მასწავლებლის თვალს რა გამოეპარებოდა! პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდოდა ხოლმე. პირველ მერხზე გადამსვამდა. მიკვირდა, რად აინტერესებდა ჩემი ბედი, რად უნდოდა, რომ მხოლოდ პირველ მერხზე ვმჯდარიყავ მის საგანში მოჩანჩალე მოსწავლე.

ხშირად გაკვეთილზე დროს იპოვიდა და გატაცებით იწყებდა საუბარს მათემატიკის შესახებ. გვიხსნიდა, რომ ამ საგნის დასაძლევად რაღაც განსაკუთრებული ნიჭი არ არის საჭირო. თუ ადამიანმა კარგად იცის ლიტერატურა, ასევე კარგად შეუძლია მათემატიკის სწავლაო. ვგრძნობდი, რომ ეს საუბარი ჩემსკენაც ჰქონდა გამიზნული და სირცხვილით ვიწვოდი. სადღა იყო შიში! იყო მხოლოდ სურვილი, მეც რითიმე გამეხარებინა ამ გარეგნულად მკაცრი, მაგრამ ფაქიზი გულის პატრონი.

ამ სურვილით შეპყრობილი, შევეჭიდე აქამდე საძულველ საგანს და მხოლოდ წლის მიწურულში დავუმტკიცე კლასსაც და პედაგოგსაც, რომ თურმე ისევე კარგად შეიძლება დაეუფლო მათემატიკას, როგორც ლიტერატურას.

ეს იყო ტრიგონომეტრიაში მიღებული პირველი ოთხიანი, რომელმაც ჩემთან ერთად მისი დამწერიც გაახარა.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. აღარ ფეთქავს ვასილ აბდუშელიშვილის თბილი გული, მაგრამ დღეს მისი გაზრდილები ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები არიან. მათ ახსოვთ ძია ვასო, რომლის სიმკაცრე ისევ და ისევ მისი სიკეთით იყო ნაკარნახევი".

1945 წელი გამარჯვების წელია. 9 მაისს საბჭოთა ხალხმა იდღესასწაულა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება, ხოლო 2 სექტემბერს ხელმოწერილი იქნა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია.

ამ წლიდან შემოიღეს 11-წლიანი სწავლება და ამიტომ ვასილ აბდუშელიშვილის „ცოდვის წიგნაკებში" არ აღმოჩნდა 1945 წლის წიგნაკი.

ამავე წლიდან შემოღებულ იქნა გოგონებისა და ვაჟების ცალ-ცალკე სწავლება. ვასილ აბდუშელიშვილი ამ წლიდან მოყოლებული ციცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა ქალთა მეექვსე საშუალო სკოლაში.

სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტებმა საზეიმო გამოცდები დავამთავრეთ და გადავწყვიტეთ აღგვენიშნა ეს გამარჯვება. წავედით რესტორანში. საუმელი, ცხადია, ძალიან ცოტა იყო, სასმელს კი ზომაზე მეტად მიეეძალეთ და, რა თქმა უნდა, ძალები ვერ მოვზომეთ... თითქმის ყველა ჩვენგანს უსიამოვნება შეემთხვა. აღარ მახსოვს როგორ მოხდა ეს, მაგრამ როდესაც გამოვეფხიზლდი, ჩემი თავი ერთ-ერთი მილიციის სამორიგეოში აღმოვაჩინე. მორიგემ წამიკითხა აქტი, რომელსაც რამდენიმე კაცი აწერდა ხელს და ადასტურებდა ჩემს „ვაჟკაცობას". ბევრი ხელწერილის, პირობის, აღთქმისა და თავდებობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო გამომიშვეს. რა თქმა უნდა, ჩემი საქციელისა თვითონვე მცხვენოდა; ახლა რაღა დასამალია, ყველაზე მეტად ბიძაჩემის — ვასოსი მერიდებოდა; მაგრამ პირველი, ვინც შემხვდა სახლის კიბეზე ამავალს, ძია ვასო იყო; მან უხმოდ მანიშნა და შემიყვანა თავის ოთახში. მე, ცხადია, მის რისხვას ველოდი და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ერცელ და დასაბუთებულ ნოტაციას წამიკითხავდა ჩემი უმსგავსო საქციელის გამო, მაგრამ იმ დღეს ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ვასილ აბდუშელიშვილი არა მარტო პროფესიით, არამედ მოწოდებით იყო დიდი პედაგოგი.

ძია ვასომ დამსვა, გვერდით მომიჯდა, ერთხანს იყუჩა, შემდეგ გამიღიმა და მითხრა:

— შენ იცი, აზიკო, რომ ჩვენს გვარში ბევრი იყო საკმაოდ აბეზარი ხალხი, ხოლო ღვინისა და ლხინის მოყვარული კი თითქმის ყველა, ამ მხრივ, როგორც ჩანს, არც შენ შეადგენ ბედნიერ გამონაკლისს, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც შენი ყურადღება ამთავითვე მინდა მივაქციო. შენ ახლა იწყებ ცხოვრებას და ალბათ, კიდევ ბევრჯერ შეგხვდება ღვინის სმა და დროსტარება. ამიტომ მინდა სამუდამოდ დაიხსომო, რომ სიმთვრალე სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ნახო შენი თავი არა ისეთად, როგორიცა ხარ, არამედ ისეთად, როგორიც გინდა რომ იყო!.. არც ის დაგავიწყდეს, რომ ღვინო მსუბუქს კიდევ უფრო ამსუბუქებს, ხოლო დინჯს კიდევ უფრო ადინჯებს. მე შენ იმას კი არ გსაყვედურობ, რომ ჩხუბი შეგემთხვა, რომ ვილაცას მიაყენე შეურაცხყოფა და სხვა, არა, ეს ისეთი ამბებია, რომელიც ყველას შეიძლება შეემთხვეს, განსაკუთრებით კი ისეთ აბეზარ ხალხს, როგორებიც ჩვენა ვართ. მე მხოლოდ იმას გსაყვედურობ, რომ მკლავის ძალა შენ სიმთვრალეში სცადე. აი, ამას არ ველოდი

შენგან! მხდალი ყოფილხარ, ბიჭო, მე კი ვაჟკაცი მეგონე! აბა, რომელი აბდუშელიშვილი იცი, რომელსაც მკლავისათვის ერთხელ მაინც არ დაეტანებინოს ძალა, მაგრამ საამისოდ ღვინით შემაგრებული ვაჟკაცობა არ დასჭირვებიათ. შენ შეგიძლია არ დამიჯერო, მაგრამ დღეის შემდეგ თვითონ დაუკვირდი და დარწმუნდები, რომ როდესაც კაცი სიმთვრალეში ჭირვეულობს, ის უსათუოდ მხდალია; ნამდვილი ვაჟკაცი სიმთვრალეში უფრო რბილი, მხიარული, სათნო და ზრდილობიანი ხდება.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: 19 წლის ჭაბუკს, რომელიც უკვე ვაჟკაცობაზე სდებს თავს — ასე თვალნათლივ დაუმტკიცეს, რომ ის მხდალია! როგორია „ღვინით შემაგრებული ვაჟკაცობა"?!.. ალბათ, შეუძლებელი იყო უფრო ზუსტად მტკივნეული ადგილის მოძებნა. ძია ვასომ უშეცდომოდ მიაგნო მას და... ნაქეიფარსე მომხდარი ის ინციდენტი უკანასკნელი იყო ჩემს ცხოვრებაში.

გაკვეთილების ჩატარების დროსაც ის არასოდეს არც ზედმეტ შენიშვნას აძლევდა ვისმე, არც ხმას უწევდა; გასაოცარი სიზუსტით პოულობდა ტაქტს, რომლითაც უნდა დაემყარებინა კონტაქტი მოსწავლეებთან. როდესაც კლასში ხმაური იმატებდა ხოლმე, ჩვეულებრივ აუღელვებელი და დინჯი მასწავლებელი ოდნავ შეირხეოდა, გაკვირვებულ თვალს მოწაფეებს გადაავლებდა და... სამარისებური სიჩუმე ისევ გამეფდებოდა კლასში. ძალზე იშვიათად, რომელიმე მეტისმეტად გათავხედებულ მოსწავლეს ანაზდად მოუბრუნდებოდა და ისე, სხვათა შორის, ჰკითხავდა:

— რაო?.. რა მინდაო?!..

და ისევ განაგრძობდა საუბარს. პირდაპირ გასაოცარი იყო ამ ადამიანის რწმენა, რომ შეუძლებელია მას მოწაფემ შეგნებულად დაურღვიოს წესრიგი. ალბათ, ეს ურყევი რწმენა აჭრიდა ფრთებს წესრიგის დამრღვევ მოსწავლეთა სითამამეს.

საერთოდ კი, მიუხედავად მისი განთქმული „სიმკაცრისა", მის გაკვეთილზე მოსწავლეები საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს. ის არასოდეს არ მოითხოვდა სამარისებურ დუმილს; ეს ისე, თავისთავად ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ახალ მასალას ხსნიდა. ამიტომაც მის გაკვეთილებზე არასოდეს არ იგრძნობოდა დაძაბულობა. არა, შევცდი!.. როგორ არ იგრძნობოდა!.. ეს ხდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც ჯიბიდან „ცოდვის წიგნაკს" ამოიღებდა და გამოსაძახებელი მოწაფის გვარს დაუწყებდა ძებნას. აი, ამ წუთში, ყველა მსჯავრდადებულებივით დავიძაბებოდით ხოლმე და როგორც განწირულები, ველოდებოდით ჩვენს „განაჩენს". სამაგიეროდ, როდესაც ოცდაათიდან ის ერთ-ერთ ჩვენგანს გაიძახებდა დაფასთან, დანარ-

ჩენი 29 შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე. რატომ გვეშინოდა გამოძახების ასე ძალიან, დღესაც არ ვიცი. ის არაჩვეულებრივად სამართლიანი შემფასებელი იყო და არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყოს მისი ნიშნით. გაპროტესტებას ხომ ვინ გაბედავდა, თუმცა... ისევ შევცდი... ერთხელ...

საკონტროლო წერა გვაქვს ალგებრაში. დავალებაში ერთი ამოცანა და ორი მაგალითია. ამოცანა არც ისე რთული იყო, მაგრამ... მე მაშინ მესამე მერხზე ვიჯექი. ჩემს უკან, დღეს სახელოვანი მეცნიერი, მერაბ შალვას ძე მიქელაძე იჯდა. მე და მერაბი ბავშვობიდანვე უახლოესი მეგობრები ვიყავით და თუმცა არც მე ვიყავი სუსტი მოწაფე, მაგრამ მერაბი კლასში უძლიერესი იყო, განსაკუთრებით კი მათემატიკურ საგნებში. სკოლაში იმას ხუთიანზე ნაკლები ნიშანი, საერთოდ, არ მიუღია. მე კი ხშირად გამომერეოდა ხოლმე ოთხიანები. ჰოდა, იმ დღეს მივიღეთ დავალება, სუყველა ჩავუჯექით და დავიწყეთ მუშაობა. მე სულ რაღაც ოციოდ წუთში ამოცანაც ამოვხსენი და მაგალითებიც. მხოლოდ ამის შემდეგ მივტრიალდი უკან და ვხედავ, რომ მერაბს სუფთა ფურცელი უდევს წინ.

— რაშია საქმე?

— არ ვიცი, არაფერი გამომდის, — მითხრა მერაბმა.

მე გვერდზე გავიწიე, რვეული ისე დავდე, რომ მერაბს დაენახა და რა დასამალია, ჩემს სისწორეში თვითონ შემეპარა ეჭვი. მერაბმა კი დახედა თუ არა პირველ კითხვას, ერთი კახურად შეიკურთხა და ათი წუთის შემდეგ მასაც ყველაფერი დამთავრებული ჰქონდა.

ხდება ხოლმე ასე. ნუ წავაყვედრებთ დამსახურებულ მეცნიერს ასეთ სისუსტეს. ამაზე მე და იმან მერე ბევრჯერ ვიცინეთ. იმ დღეს კი ორივემ ერთად ჩავაბარეთ რვეულები, ხოლო მეორე დღეს მერაბ მიქელაძეს საკონტროლოში „ხუთიანი“ ეწერა, მე კი — „ერთიანი“. ცხადია, თავზარი დამეცა, მაგრამ ჩემზე არანაკლებ, მერაბი შეწუხდა. მან მოიკრიფა მთელი გამბედაობა, მივიდა ვასო აბდუშელიშვილთან და უთხრა:

— ბატონო ვასო, მე და აბდუშელიშვილს ზუსტად ერთნაირად გვაქვს შესრულებული საკონტროლო სამუშაო და სხვადასხვა ნიშანი კი გვიზისო. თუ ვინმეს უნდა დაკლებოდა ნიშანი, ეს — მე, რადგან აბდუშელიშვილმა 10 წუთით ჩემზე ადრე დაამთავრაო საკონტროლო სამუშაო.

არც მანამდე და არც მის მერე ძია ვასო ისე განრისხებული არ მინახავს. შუბლზე ძარღვი გაუსივდა, წარბი აუთამაშდა, თვალები ცეცხლით აევსო და...

— როგორ, შენ მასწავლი ნიშნის წერას?! — ერთი კი აუწია ხმას... და კლასი შიშისაგან გაისუსა.

მერაბი, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დაუბრუნდა თავის ადგილს; მაგრამ ძია ვასომ ბოლომდე არ აპატია მას „დანაშაული“ და მერაბი მეათე კლასში იძულებული გახდა სხვა სკოლაში გადასულიყო, რითაც კიდევ უფრო დასწყვიტა გული თავის „მკაცრ“ მასწავლებელს. ერთ რამეს კი მაინც მიაღწია ვასილ აბდუშელიშვილმა: როგორც მერაბს ახალ სკოლაში, ისე მე — ძველში, გადაწერისა და გადაწერინების მიმართ საბოლოოდ დაგვრჩა უსიამოვნო გრძნობა.

მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ის მეცხრეკლასელი ფრიადოსანი დღეს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკისა და გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების ხელმძღვანელი და ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ შალვას ძე მიქელაძეა; დღეს ის თვით აფასებს სწავლისა და მეცნიერების გზაზე გამოსულ ახალგაზრდებს, ხოლო ზოგჯერ როცა უკან მიიხედავს ხოლმე... აბა, ყური უგდეთ:

„ახლაც და ადრეც ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რაში მდგომარეობდა ვასო აბდუშელიშვილის დიდი პედაგოგიური ოსტატობის თავისებურება. მეტყვით: განსწავლულობაში, საქმის სიყვარულში, კეთილსინდისიერებაში... რაღა თქმა უნდა, ბატონ ვასოს არც ერთი აკლდა და არც მეორე... მაგრამ ის, რაც ჩამოვთვალეთ ყველა ცნობილი პედაგოგის უფრო თვისებაა და არა თავისებურება. მე კი უკანასკნელზე მინდა ყურადღების გამახვილება.

საგნის გადმოცემის დროს ბატონი ვასო გაურბოდა გარეგნულ ეფექტს. იგი ლაპარაკობდა დინჯად, კარგი ქართულით, რომელიც წმინდა მათემატიკური თვალსაზრისითაც ზედმიწევნით დახვეწილი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგნის გადმოცემის ვასოსეული მანერა უფრო საუნივერსიტეტო იყო და ამაში, პირადად მე, კარგის მეტს ვერაფერს ვხედავ, მით უფრო ახლა, როდესაც მკვეთრად შესამჩნევი აქსელერაციის ფონზე, ასევე მკვეთრად შეინიშნება უსუსურობისა და ასაკს გადაცილებული ინფანტილიზმის სამწუხარო ნიშნები. თითოეული მოსწავლე სულგანაბული უსმენდა მას და ამას მასწავლებლისადმი პატივისცემის გარდა, სხვა საფუძველიც გააჩნდა. ვასილ აბდუშელიშვილი იშვიათად იმეორებდა ნათქვამს და რასაც ხტყოდა, იტყოდა მოკვეთილად, კარგი მათემატიკური მეტყველებისათვის დამახასიათებელი „სიძუნწით“. ამიტომაც ყურადღების მოდუნება ძვირად უჯდებოდა მოსწავლეს, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ იძულებული ხდებოდა აქტიურად ჩაბმულიყო წინასწარ და-

გეგმილი „შემოქმედებითი პროცესის“ პერიპეტიებში. დიაღ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვასო აბდუშელიშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილები კოლექტიური შემოქმედების განსახიერება იყო, რამდენადაც იგი სრულად მოითხოვდა თითოეული მოსწავლისაგან მისი ინტელექტუალური და მორალური შესაძლებლობების გამოვლინებას ჭეშმარიტებათა ძიებისა და მოპოვების გზაზე. ვეძიებდით და ვპოვებდით... თითქმის ყოველი გაკვეთილი გამოავლენდა ხოლმე „პირველაღმომჩენს“, რომელიც ჭაბუკური მიამიტობის გამო თავს ისეკე ბედნიერად გრძნობდა, როგორც პითაგორა და ევკლიდე დიადი მათემატიკური აღმოჩენების ზღურბლზე... იმ წლებში მიღებული შემოქმედებითი იმპულსები დღემდე შემორჩა და ასაზრდოებს ჩემი თაობის ინტელიგენტებს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ვასილ აბდუშელიშვილს. კიდევაც მეტი, მათემატიკის სწავლების აბდუშელიშვილისეული მეთოდი ერთდროულად მოქალაქეობრივი აღზრდის საუკეთესო მეთოდიც იყო. იგი აღვიძებდა და ავითარებდა ახალგაზრდებში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას, ინიციატივას და საჭირო მომენტში გონებრივი, ფიზიკური და სულიერი ძალების სრული მობილიზაციის უნარს. ამიტომაც იყო, რომ ოდესღაც ბატონი ვასოს მიერ „რისხვანარევი“ სიყვარულით გაწვრთნილი მოსწავლეები წარმატებით აბარებდნენ ყველა გამოცდას შაშხანითა თუ კალმით ხელში. ამიტომ არის, რომ სწორედ ვასო აბდუშელიშვილის ნამოწაფართა რიგებიდან გამოიზარდა ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის მთელი კოჰორტა, რომელიც აგრძელებს, ამრავლებს და ახალი ძალით ასაზრდოებს ღირსეული მასწავლებლისაგან შეძენილ ტრადიციებს“.

1946 წლის 3 აპრილს ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილს გადაეცა მედალი „სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“.

1946 წლის 16 აპრილით არის დათარიღებული ჩემს ხელთ არსებული ვასილ აბდუშელიშვილის უკანასკნელი წერილი. ამ წერილს გარკვეული კავშირი აქვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ამასთან თვალსაჩინოდ ავლენს მის გულისხმიერებას... თუმცა ამ წერილსაც, ისევე როგორც სხვა ზემოთ მოტანილ წერილებს, ჩემი კომენტარი არ სჭირდება. აი ისიც:

„1946 წელი, 16 აპრილი (თბილისიდან შალაურში). ძვირფასო ადიკო! მეზარება არასასიამოვნო ამბის მოწერა, მაგრამ არც სიჩუმე ვარგა ხანდახან. ნიკო ვერა გვყავს კარგად; აპრილის 4-სა და 7 რიცხვში ორჯერ გაკრა რაღაცამ სისხლის წნევის ნიადაგზე. წურბელებისა და მკაცრი რეჟიმის დახმარებით წნევამ იკლო, ამჟამად საშიში არაფერი მოგველის... კარგი იქნება, შენ, გიგომ და ვახტანგმა[1] ერთად

[1] ვ ა ხ ტ ა ნ გ გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი — ოჯახის ახლობელი; ექიმი-ნეეროპათოლოგი.

მოილაპარაკოთ და მე და ნიკოს სათანადო დარიგება მოგვცეთ. პირადად ძე შესრულებას ვერ შეგპირდებით, მაგრამ არც საწინააღმდეგო პოლიტიკას დავადგები... ვნახოთ, რას იტყვის თქვენი კონსილიუმი. გულის ხეთქით ნუ გადმოვარდები, რადგან დღეს დღეობით საშიში არაფერია... ჩვენებმა მრავალი მოკითხვა. დამიკოცნე ჩვენი ნათესავები და მომიკითხე მეზობლები.

შენი ვასო".

ხედავთ? ის თავის 11 წლით უფროს ძმაზე მეტსა სწუხს, ვიდრე საკუთარ თავზე, თანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროს ბევრად უფრო კატასტროფული იყო, ვიდრე ძია ნიკოსი და მან სხვაზე უკეთ იცოდა ეს.

არა, სასწაულები არ ხდება ამ ქვეყანაზე. მაგრამ ჰქონდა კი მას ამ სასწაულების იმედი?.. მგონი, რომ არა!..

1947 წელს ვასილ აბდუშელიშვილს დაენიშნა პერსონალური პენსია. ეს დიდი დაფასება ვასილ აბდუშელიშვილმა შინაური ზეიმით აღნიშნა. მოწვეული ყავდა სტუმრები, მათ შორის იყვნენ მისი რამდენიმე ძველი მეგობარი, რომლებმაც აგრეთვე მაშინ მიიღეს პერსონალური პენსია. სტუმართა შორის იყო განათლების იმდროინდელი მინისტრი, რომლის უშუალო რეკომენდაციითაც დაენიშნათ მათ ეს პენსიები. სუფრა არაჩვეულებრივად მხიარულად წავიდა, თამადობდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და ძია ვასოს უსაყვარლესი მოწაფე ვახტანგ პარკაძე, სიმღერას განთქმული კოწია ლორთქიფანიძე იწყებდა, ბანებს კი (თუმც ამ დროს კოტე შარაშიძე უკვე ცოცხალი აღარ იყო) სხვებიც ახერხებდნენ. ლხინმა დილის რიჟრაჟამდე გასტანა. როდესაც სტუმრები იშლებოდნენ, ერთ-ერთმა მხცოვანმა პედაგოგმა, რომელმაც აგრეთვე მაშინ მიიღო პერსონალური პენსია, ალბათ, შეზარხოშებულმა, გამოთხოვებისას, მადლობის ნიშნად, მინისტრს ხელზე აკოცა. თვით მინისტრი ისე არ ელოდა ამას, რომ ვერც კი მოასწრო ხელის გამორთმევა. მე კი ეს დავინახე და მეორე დღეს, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემი აღშფოთება მამაჩემს გავუზიარე. გავუზიარე და მაშინვე ვინანე... მამას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, უსიტყვოდ ადგა და გავიდა ძია ვასოსთან. მივხვდი, რომ საბედისწერო შეცდომა დავუშვი, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი. იმ დღის მეორე ძია ვასოს ის მეგობარი მასთან სტუმრად აღარ მინახავს. თუმცა... თვითონ ძია ვასომაც მხოლოდ რამდენჯერმე მოასწრო პერსონალური პენსიის მიღება.

1947 წელი, 21 ივლისი (შალაურიდან თბილისში). „საყვარელო ძმაო ვასო! მიაფურთხე ეშმაკს და ჩამოდი ბარემ, რომ ერთად დავსტკბეთ საამური საღამოებით, ამ ჩვენს ძვირფას კერაზე... ჩამოდი კაცო, ამ ერთი თვით მაინც გამოარიდე თავი მაგ საშინელ სიცხეებს;



ვ. აბდუშელიშვილი ძმებთან ერთად: ვასილ, ნიკოლოზ, ადამ და გრიგოლ, 1947 წ., (სოფელი შალაუთი).

აქ ხშირი წვიმები დაიწყო და ისე აგრილდა. რომ მაისი მოგაგონდება. აქ ყველანი კარგად არიან და თქვენ გელოდებიან. მიმიკითხე მადაურობა.

შენი მოყვარული ძმა ნ ი კ ო“.

ჩამოდი, თორემ ადიკო დარდით ავად გახდება, ვერ წარმოიდგენ, როგორა სწუხს“.

ის ზაფხული ძია ვასომ, მართლაც, სოფელში გაატარა. რამოდენიმე დღე გიგომაც მოახერხა შალაურში ჩასვლა. ისინი ხან ვასოს კაკლის ქვეშ იყრიდნენ თავს, ხან — გიგოს აივანზე. სწორედ ამ აივანზე, ჩემი პაწაწინა აპარატით, გადავიღე სურათი, რომელიც ამჟამად უძვირფასესია ჩემთვის. ოთხივე ძმა ერთად თავშეყრილი მშობლიურ სოფელში ამის მერე აღარავის უნახავს. ის ზაფხული უკანასკნელი იყო ძია ვასოსათვის.

27 სექტემბერი, 1947 წ. „ბატონო ვასო! ძალიან გთხოვთ მობრძანდეთ კვირას, 28 სექტემბერს, საღამოს. იქნებიან თქვენი მოწაფეები.

პატ. ა. ჩიქოვანისა“.

რა თქმა უნდა, წავიდა. რა თქმა უნდა, ღვინოც დალია. რა თქმა უნდა, გულითა და სულითაც გაიხარა. სახლში არაჩვეულებრივად კმაყოფილი დაბრუნდა. დილაზე კი ორჯერ მოუხდა ნიტროგლიცერინის მიღება, რომ გაკვეთილზე არ დაგვიანებოდა. სწორედ იმ დილას, სანამ მეც ლექციებზე წავიდოდი, რაღაც საქმეზე შევედი მასთან და დავინახე, რომ არყის ჭიქით რაღაცას სვამს. მე მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი და ჩემი გაკვირვების მიზეზს მაშინვე მიხვდა, გამიცინა და თქვა:

— ნუ გეშინია, ეს წინათ იყო, როდესაც ბიძაშენი არყით გამოდიოდა ნაბახუსევზე, ახლა ნიტროგლიცერინი მშველის ამაში!

და ასე იყო ბოლომდე...

გაკვეთილი არც იმ დღეს გაუცდენია. საერთოდ, როგორც თვითონ წერდა: „გაკვეთილის გაცდენას ან დაგვიანებას ჩემს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია“.

1947 წლის „ცოდვის წიგნაკში“ იმ მოწაფეების გვარებია, რომლებმაც მის ხელში დაასრულეს სკოლა. ეს ძისი უკანასკნელი გამოშვებაა. აი ზოგიერთის გვარი: გერსამია, კანდელაკი, მგალობლიშვილი. მურღულია, ნათაძე, უსტიაშვილი, ფაღავა, ხუნდაძე, ორჯონიკიძე, მესხი, მირიანაშვილი, ჟორდანია, შელიავა და სხვ.

1948 წელი მისი სიცოცხლის უკანასკნელი წელია. 5 იანვრით არის დათარიღებული მის სახელზე მიღებული პაწაწინა ბარათი.

„პატივცემულო ბატონო ვასო! ამ ბარათის მომტანი არის ჩემი ბიძაშვილი, შვილი ჰყავს მოსამზადებელი მათემატიკურ საგნებში. ვიცი, რომ დატვირთული იქნებით, მაგრამ, იმედი მაქვს, უარს არ ეტყვით.

პატივისცემით ვ. ვარდიაშვილი“.

ეს ვასილ აბდუშელიშვილის სახელზე გამოგზავნილი უკანასკნელი წერილია — ამის შემდეგ მან სულ ათი დღე იცოცხლა.

1948 წელი აწერია მის უკანასკნელ „ცოდვის წიგნაკს“. იქ მეათეკლასელებიც არიან და მეცხრეკლასელებიც. მეათე კლასი — დანელია, მელუა, ნოზაძე, ჯაში, წილოსანი და სხვ.; მეცხრე კლასი— ბაქრაძე, თაქთაქიშვილი, მუხაძე, სესიაშვილი, უზნაძე, ჩხენკელი, ჯავახიშვილი და სხვ.; მეცხრე მეორე კლასი — აბესაძე, მესხიშვილი, ბრეგვაძე, გოცირიძე, დოლაბერიძე, ერისთავი, კანდელაკი, ჯანდიერი და სხვ.

მძიმე გულით ვიწყებ ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრების უკანასკნელი გვერდის წერას. ის საღამოც ისეთივე იყო, როგორიც სხვა

საღამოები ვარდისუბნის ქუჩაზე. ძია ვასოს დღისით ეძინა, ხოლო საღამოს, ჩვეულებრივ, შემოაღო ჩვენი ბინის კარი და იკითხა:

— სახლში ხართ, ბავშვებო?

ჩვენც, როგორც წესი, ფეხზე წამოვდექით და ძია ვასო თავის ადგილზე დავსვით. საღამო სრულიად ჩვეულებრივი იყო. აღარ მახსოვს, რას შეეხებოდა საუბარი, ერთი რამე კი წარუშლელად ჩამეჭედა მეხსიერებაში: ძია ვასო წამოდგა, ძილი ნებისა გვისურვა და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ მომიბრუნდა და მკითხა:

— რა რიცხვია, თუ გახსოვს, დღეს? — მე საათს შევხედე და

— ახლა უკვე 15 იანვარი-მეთქი, ვუპასუხე.

— არ მიყვარს თვის 15 რიცხვი. ის რაღაც უღელტეხილია გავ'ს, არც აქეთ არის, არც — იქით. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, უსიამოვნების მეტი არა მოუტანია რა ამ რიცხვს. აი, მესმის 30 რიცხვი! იცი კაცმა, რომ ავად იყო, თუ კარგად, თვემ გაიარა და რაღაც ახალს ელოდები, ახალს უნდა შეხვდე. — და ძია ვასო გავიდა.

ასე უნებურად, იმ ავადსახსენებელ დღეს, ვასილ აბდუშელიშვილმა თვითონ ახსენა თავისი დაბადებისა და გარდაცვალების რიცხვი.

ღამის ორ საათზე მამა შემოვარდა საშინლად აღელვებული.

— ადექით, ძია ვასო ძალიან ცუდად არისო!

წამოვცვივდით. როცა მის ოთახში შევედით, დავინახეთ, რომ ის ფეხზე იდგა, მძიმედ სუნთქავდა და შუბლიდან იწმენდდა სიმწრის ოფლს. მამა თავისი მეგობარი ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ძია ვასოს შეხედა რუსუდანს, მწარედ გაიცინა და თქვა:

— რუსუდან, შეიძლება ესეც ხუმრობა იყოს, მაგრამ ცუდი ხუმრობაა ეს.

მერე ოთახს მოავლო მზერა და მძიმედ დაუმატა:

— თუკი რამ დამრჩა, ეს ყველაფერი ჩემს დისწულებსა და ძმისწულებს გაუნაწილეთო.

შეეატყვე, რომ ფეხზე დგომა უჭირდა. მივედი, მხარში შევუდექი და ტახტისაკენ წავიყვანე. ტახტზე ჩამოჯდა და როდესაც მამა-ჩემი და მისი მეგობარი ოთახში შემოვიდნენ, ძია ვასო უკვე აღარ იყო.

ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა ვასილ აბდუშელიშვილის გარდაცვალების ამბავი. მას მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არასოდეს გაუცდენია გაკვეთილი და არასოდეს დაუგვიანია სკოლაში... და როდესაც 1948 წლის 15 იანვარს მას გაკვეთილზე „დააგვიანდა", მოწაფეებს ძალიან გაუკვირდათ, ხოლო როცა პირველი გაკ-

ვეთილი საერთოდ გაცდა, შეფიქრიანდნენ, „აქ რაღაცა დიდი ამბავიაო".

სიკვდილზე მეტი რა იქნებოდა!..

მერე ვიღაცამ ცუდი ამბავიც მოიტანა. ყველანი მოცვივდნენ. იყო ცრემლები, გოდება და გულწრფელი სევდა. როცა სკოლაში უკან დაბრუნდნენ, მერხებზე მათემატიკის რვეულები დახვდათ და შიგ... წინა დღის საკონტროლო ნამუშევრები იყო გასწორებული და შეფასებული.

ეს იყო მის მიერ დაწერილი უკანასკნელი ნიშნები.

ეს ამბავი, 30 წლის შემდეგ, იმ სასწავლო წლის მისმა ერთ-ერთმა ნამოწაფარმა — ნელი ბრეგვაძემ — მიამბო და თვითონაც გაკვირვებული იყო, საიდან გაჩნდნენ ის რვეულები სკოლაში. ამ რვეულებს კი თავისი გზა ჰქონდათ: მასწავლებლებიდან პირველი მე-6 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ქ-ნი თამარ ხელაშვილი მოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ თავზარდაცემული იყო მომხდარი უბედურებით, როგორც ჩანს, ძია ვასოს მაგიდაზე მაინც შენიშნა გასწორებული რვეულები, წაიღო სკოლაში და მაშინვე დაარიგა მოწაფეების მერხებზე... საოცარი პედაგოგიური ალღოს მქონე იყო ქალბატონი თამარ!..

ვასილ აბდუშელიშვილის დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო. მის პატივსაცემად მოვიდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები: დიდი ნიკო კეცხოველით დაწყებული, პატარა გოგონებით დამთავრებული, რომლებიც მისი უკანასკნელი მოწაფეები იყვნენ.

სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე ბევრი თბილი, მგრძნობიარე და გულდასაწყვეტი სიტყვა ითქვა.

ამრიგად, ვასილ აბდუშელიშვილმა 1948 წლის 14 იანვარს თავისი უკანასკნელი გაკვეთილი ჩაატარა თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მეცხრე კლასში. პირველი ოფიციალური გაკვეთილი კი, როგორც გახსოვთ, მან 1913 წლის 1 სექტემბერს ჩაატარა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ამრიგად, მან 34,5 წლის მანძილზე იმასწავლებლა და ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა 50 ათასი გაკვეთილი. მის ხელში 3500 მოწაფემ გაიარა. ესეც ოფიციალურად; სახლში კი მასთან მუდამ დადიოდნენ მოწაფეები და თუ ამასაც მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის საზოგადოებრივი ტვირთი, რომელიც მან მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ატარა.

ვასილ აბდუშელიშვილის ამ ქვეყნიდან წასვლას სითბო, ცრემლი და პატივისცემა არ დაჰკლებია, მაგრამ ყველა მასწავლებელს ადიდებს არა რაოდენობა, არამედ ღირსება მის მიერ აღზრდილი და და-

მოძღვრილი მოსწავლეებისა. ვასილ აბდუშელიშვილი არც ამ მხრივ უნდა წასულიყო გულნატკენი ამ ქვეყნიდან. მისი მოწაფეები იყვნენ: საბჭოთა კავშირის მარშალი არჩილ გელოვანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები: ნ. კეცხოველი, გ. ჭოლოშვილი, ა. ცაგარელი, ვ. ბერიძე, ო. ონიაშვილი, გ. მელიქიშვილი, ვ. გომელაური, გ. ხუციშვილი, ნ. ჯავახიშვილი, კ. წერეთელი, შ. ნაფეტვარიძე, თ. შარაძენიძე, ო. ჯაფარიძე, მ. ზაალიშვილი, თ. ჭანიშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვ.; პროფესორები და მეცნიერებათა დოქტორები: ლ. ცისკარიშვილი, ვ. ალადაშვილი, ი. ბოცვაძე, გ. გაჩეჩილაძე, მ. გედევანიშვილი, ე. გერი, გ. ლომაძე, კ. ლომინაძე, რ. ლორთქიფანიძე, გ. მამრაძე, ვ. პარკაძე, ნ. პოლიეექტოვი, გ. ჟორდანია, ნ. სტურუა, გ. ქარცივაძე, ვ. ქავთარაძე, გ. ცეცხლაძე, ა. ჯავახიშვილი, ვ. ცისკარიძე, თ. ივანიცკი, მ. გელოვანი. რ. აბდუშელიშვილი, თ. ახმეტელი, გ. მუსხელიშვილი, ვ. მუსხელიშვილი, ვ. ცოცხაძე, მ. აბდუშელიშვილი, ნ. ლომოური, მ. მიქელაძე, მ. საყვარელიძე, თ. კერესელიძე, ზ. კაციტაძე, ნ. ყიასაშვილი და სხვ.; სსრკ და საქ. სსრ სახალხო არტისტები: დ. ალექსიძე, დ. გამრეკელი, ი. ფალიაშვილი, ჯ. გოკიელი, ე. მაღალაშვილი. ლ. ასათიანი, ბ. კობახიძე, ნ. ანდღულაძე, ლ. ღოღობერიძე, ქ. კასრაძე და სხვ.; მწერლები: ი. ნონეშვილი, ვ. ჭელიძე, ჭ. ამირეჯიბი, გ. კარბელაშვილი, ნ. კილასონია, ქ. ქუჩუკაშვილი, კ. ჯავრიშვილი და სხვ.; კომპოზიტორები: დ. თორაძე, ნ. გუდიაშვილი, ტ. ბაქრაძე და სხვ.; მხატვრები: გ. კორძახია, ზ. ლეჟავა, ა. ვარაზი და სხვ.; არქიტექტორები: კ. ჯავახიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, თ. თევზაძე და სხვ. და სხვ.

მე ვერ გავიხსენე ყველა!.. ვერ გავიხსენე, რადგან არ ვიცოდი... არ ვიცნობდი ყველას, ვისაც „ხელში ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობია მის მიერ ანთებული ცოდნისა თუ მადლის კელაპტარი“ — მათი რიცხვი კი, ალბათ, მრავალგზის აღემატება ხსენებულთა რიცხვს; ხოლო ისინი, ვისი დამოძღვრაც მას ასე სურდა, სურდა, მაგრამ ვერ კი მოასწრო... ამიტომ, მგონი, მის საფლავს სხვაზე მეტად დაამშვენებდა ანტონ კათალიკოსის საოცარი ეპიტაფია: „მოვისვენე სხუათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერა მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგან“-ო... მისი საზრუნავი კი ქართველი ახალგაზრდების წინსვლა და წარმატება იყო სწავლასა და ცხოვრებაში, რასაც შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე და რაზედაც ფიქრი, რუდუნი და ზრუნვა მან, ალბათ, საფლავშიაც თან ჩაიტანა, საფლავში, რომელზედაც დღეს მდუმარე ლოდი დევს. ამ ლოდს ორი თარიღი აწერია მხოლოდ: დაბადებისა და გარდაცვალების, ხოლო მათ შორის ერთი არაფრისმთქმელი და ყოვლისმომცველი დეფისია დაყოლებული!

მე შევეცადე ამ წიგნში ამეხსნა ამ დეფისის უტყვი ქარაგმა, მაგრამ შევძელი თუ არა ეს — არ ვიცი!..

ვიცი ის, რომ იმ დღეს — 1948 წლის 20 იანვარს — ქართულმა მიწამ მიიბარა მისი ერთი ხელმადლიანი მხვნელ-მთესველი და თბილისის მიწამ დაუმკვიდრა მას საუკუნო განსასვენებელი.

ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დაკრძალულია ვაკის ძველ სასაფლაოზე.

ვასო აბდუშელიშვილის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თვემ გაიარა... მე სამედიცინო ინსტიტუტს ვამთავრებდი და ჰოსპიტალური ქირურგიის პრაქტიკას გავდიოდი აკად. ე. ფიფიას კლინიკაში. ერთ დღეს ნაცნობმა მორიგე ექიმმა მითხრა:

— წუხელ დავით პარკაძე მოიყვანესო მძიმე ავადმყოფი. — დავით პარკაძე, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ვასო აბდუშელიშვილის სიყრმის, პედაგოგიური საქმიანობისა და საერთოდ ცხოვრების ვარუყრელი თანამგზავრი იყო, მისი უახლოესი მეგობარი და ჩვენი ოჯახის დიდი მოკეთე... მაშინვე გავემართე მის სანახავად... პალატაში რომ შევიხედე, იქ უამრავ ხალათიან და უხალათო ხალხს მოვკარი თვალი... კარებთან დავდექი და ველოდი, ხალხი როდის გამოვიდოდა, მაგრამ ბატონმა დავითმა დამინახა და:

— კაცო, შენა აზიკო არა ხარ?

— მე ვარ, ძია დათა.

— ჰოდა, რა კარებში დამდგარხარ, მოდი აქა, ახლოს დამიჯექ, შენთან სიტყვა მაქვს სათქმელი. — მე მივედი, ვაკოცე და საწოლზე, ფეხებთან დავუჯექი.

— ხალხნო, ეხლა თქვენ ყველანი გადით და ამ კაცთან მარტო მამყოფეთო. — მიმართა ძია დათამ მნახველებს და როცა ყველა გავიდა, ჩუმად მითხრა:

— ახლო მოიწი, რა უნდა გითხრა! — და როცა ახლო მივიწიე, ბალიშქვეშ ხელი შეჰყო, ცხვირსახოცი გამოიღო და აცრემლებულ თვალებზე გადაისვა.

— ეჰ, შვილოსა, შენ რა იცი, რა კაცი დავმარხეთ იმ დღეს! ვასოსთანა კაცები ათასში ერთხელ იბადებიან, მაგრამ ჩვენ მათი წონა და ყადრი არ ვიცით... და როცა ხელიდან გამოგვეცლებიან, მხოლოდ მაშინ დაიდებენ ხოლმე ფასდაუდებელ ღირებულებას და რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს ჩვენთვის მათი მოქალაქეობრივი მაზანდა. მე მთელი ცხოვრება ვასოსთან გავატარე და მეგონა სულ ეგრე იქნება და მე იმის სიკვდილს ღმერთი არ შემასწრებს-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... იქნებ არც დიდი ხნით, მაგრამ მაინც მოვტყუვდი, და მას შემდეგ იცი რამდენი ვიფიქრე ვასოზე, რამდენი რამე გამახ-

სენდა, რამდენი რამე სხვა თვალითა და აზრით დავინახე... დიდი კაცი იყო, შვილო, ბიძაშენი, თუმცა მაპატიე, შენი ბიძა კი არა, შენი მასწავლებელი!.. დიდი, დიდი პედაგოგი და მოქალაქე. მე მინდა, რომ ეს შენც იცოდე. რამდენჯერ გამიგონია ვასოზე, „კარგი მასწავლებელიაო“... უფიქრიათ კი ამის მთქმელებს, რა ძნელი და მძიმე ტვირთია იყო კარგი მასწავლებელი; იმისათვის, რომ კარგად ასწავლო — შენ თვითონ უნდა ისწავლო კარგად, ისწავლო ბევრი, ისწავლო დიდხანს, ისწავლო მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში; იმისათვის, რომ შენი სათქმელი კარგად, გასაგებად და მოკლეთა სთქვა, უამრავი უნდა იცოდე... და სხვაზე უკეთ მათემატიკოსს უნდა ესმოდეს ეს!.. გარდა ამისა, იმისათვის, რომ სხვას აგრძნობინო — შენ თვითონ უნდა იგრძნო, და ბოლოს იმისათვის, რომ სხვას გაუნათო — შენ თვითონ უნდა დაიწვა, სხვაგვარად არ გამოდის ესა!.. აი, რა ძნელია იყო კარგი მასწავლებელი და ვასო აბდუშელიშვილი კი ამ სიკარგის ხორცშესხმული განსახიერება იყო — იმან დიდხანს ისწავლა, ბევრი ისწავლა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისწავლა — მე ეს სხვაზე უკეთ ვიცი — და ამიტომაც უამრავი რამ იცოდა არა მარტო თავის დარგში, არამედ, საერთოდ, ყველაფერში. მე ხშირად აგრე მეჩვენებოდა, რომ მან ყველაფერი იცის, საერთოდ ყველაფერი და რადგანაც ამდენი რამ იცოდა, კარგადაც ახერხებდა თავის სათქმელის თქმას: ლაბათიანად, გასაგებად და მოკლედ. მისი კონსპექტები ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში ეს დედის რძესავით საღი, საკმაო, მაგრამ აუცილებელი საზრდოა მოსწავლისათვის. იქ არც არაფერი აკლია და ზედმეტი ერთი ასოც კი არ არის. მენდე, შვილო, სხვა თუ არა, ეს მაინც დამეჯერება! გარდა ასეთი ზღვა ცოდნისა, ვასოს კიდევ ერთი დიდი თვისებაცა ჰქონდა, რაც მას სხვებისაგან გამოარჩევდა: მას ყველასა და ყველაფერს ერჩია თავისი სკოლა და მოსწავლეები; მაგრამ როცა ხალხთანა გაქვს საქმე, სრულებითაც არა კმარა, შენ გიყვარდეს ხალხი, არამედ ის, რომ ხალხს უყვარდე შენ — მთავარი ეს არის და ვასო კი უყვარდათ მოწაფეებს, უყვარდათ ფანატიკურად, გატაცებით. ამიტომაც ახერხებდა ის ასე ბუნებრივად შეეყვარებინა თავისი მოწაფეებისათვის ეს, ერთი შეხედვით, ვიწრო და მშრალი დარგი; თუმცა თვითონ არასოდეს ცდილობდა ვისმესთვის შეეყვარებინა ან თავისი საგანი, ან მით უფრო, თავისი თავი; მაგრამ მთავარი მაინც კიდევ ეს არ არის, მთავარი ის არის, რომ... მე, შვილო, რაც თავი მახსოვს, მასწავლებელი ვარ და ჩემი ცხოვრების გზაზე ვინ არ მინახავს, ვის არ შევხვედრივარ... რა ჯურისა და რჯულის მასწავლებელს არ ჩაუვლია ჩემს წინა, მაგრამ მხოლოდ ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე დასასრულს მიუახლოვდა, დავრწმუნდი, რომ ის კი არ არის მასწავლებელი, ვინც ასწავლის, არამედ მხოლოდ ის, ვისგა-

ნაც სწავლობენ — ვასოსგან კი სწავლობდნენ, სწავლობდნენ კაცობასა და მოქალაქეობას, პატიოსნებასა და სიმტკიცეს, შრომისა და სიკეთის სიყვარულსა და ერთგულებას. ვასოს სიკეთე კი ისეთი ბუნებრივი იყო, რომ საერთოდ არ იგრძნობოდა ეს. ის ისე ატარებდა უზარმაზარ ადამიანურ, მოქალაქეობრივ. და თუ გნებავს, სამსახურებრივ ტვირთს, რომ საერთოდ ვერა გრძნობდა მის სიმძიმეს. ის არასოდეს უჩიოდა თავის ტვირთმძიმე ხვედრს და არასოდეს უსვამდა ხაზს თავის იშვიათ თვისებებს, უფრო მეტიც, ის ვერ ხედავდა თავის პიროვნებაში მათ და ეს კიდევ ერთი, შეიძლება ყველაზე დიდი, ღირსება იყო მისი. აი, ეს იყო მთავარი, აი ამიტომ იყო ვასო აბდუშელიშვილი ჩინებული მასწავლებელი და დიდი მოქალაქე — ის მარტო მათემატიკაში კარგად მომზადებულ ყმაწვილებს კი არ უზრდიდა ჩვენ ხალხს, არამედ ჩინებულ და სამაგალითო მოქალაქეებსაც, რასაც განსაკუთრებით აფასებს აწმყო და მომავალი.

აი, სულ ასეთ ფიქრებში ვარ მას შემდეგ, რაც ვასო მიწას მივაბარეთ და შენ გაიხარე, რომ საშუალება მომეცი და ხმამაღლა მათქმევინე ჩემი ნაფიქრალი... მე კიდევ ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ ეს ბევრი მერე იყოს, თორემ ცრემლები მაღრჩობენ და სხვა არა იყოს რა, ტირილი არ უხდება დათა პარკაძეს. — თქვა ესა და კიდევ ერთხელ გადაისვა ცხვირსახოცი თვალებზე... მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა უკვე მძიმე ხდებოდა ავადმყოფისათვის, უხმოდ ავდექი, შუბლზე ვაკოცე და გამოვედი. შემდეგ...

„შემდეგ", უკვე აღარ იყო...

დავით პარკაძე მალე გარდაიცვალა და მადლიერმა საზოგადოებამ ალალი ცრემლით მიაცილა ის უკანასკნელ სავანემდე, მე კი დღემდე მაწვალებს ფიქრი: ნეტა რა ჰქონდა კიდევ სათქმელი ძია დათას? იქნებ მოგონება ან იქნებ სურვილი?.. ვინ იცის, ვინ მეტყვის, ვილა გასცემს ამ კითხვას პასუხს?.. აღარავინ!.. ალბათ, ყველას რჩება ამ ქვეყნად თავისი სათქმელი სიტყვა და ყველამ რომ მოასწროს მისი თქმა, შთამომავლობას აღარც არაფერი დარჩებოდა სათქმელი ამ ქვეყნად.

ზევით, თუ გახსოვთ, ერთგან ვთქვი, რომ პატარა ვასომ საოცრად დაიდარდა, როცა მისი ძმა გიგო ქუთაისში წავიდა სასწავლებლად.

ისიცა ვთქვი, ვასოსა და გიგოს გამორჩევით უყვარდათ-მეთქი ერთმანეთი. ახლა...

ახლა ვასო წავიდა და გიგომ საოცრად დაიდარდა მისი წასვლა. იყო ცრემლი, ურვა, სევდა და გულისტკივილი;

მერე ცხოვრებამ თავისი გაიტანა.

მხოლოდ გიგოს დასჩემდა სამსახურიდან დაგვიანებით შინ დაბრუნება. გიგო ადრეც ხშირად აგვიანებდა ხოლმე შინ მისვლას და

ამიტომ თავდაპირველად ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მერე კი... ახალ წელს, როგორც ვთქვი, ჩვეულებრივ, ძია ვასოსთან იკრიბებოდნენ ხოლმე მისი ახლობლები, ძმები, ნათესავები, მეგობრები, მოწაფეები; ულოცავდნენ დღეობასა და ახალ ბედნიერებას უსურვებდნენ მას. ასეთი იყო ტრადიცია.

1949 წელს კი...

მთელი დღე სახლში არ ვიყავი, როდესაც გვიან, საღამოს ქუჩაში გამოვედი, გულმა სასაფლაოსკენ გამიწია. მინდოდა არ დამერღვია ტრადიცია, რომელსაც ბავშვობიდანვე შევეჩვიე.

წავედი... იდგა იანვრის სუსხიანი და თოვლქყაპიანი მწუხრი... სასაფლაოზე უკვე ბნელოდა. ქარი საფლავებს აყრიდა გაყინულ ნამქერს... როდესაც ძია ვასოს საფლავს მივუახლოვდი, შემომესმა ყრუ ქვითინისა თუ გოდების ხმა... თვალი მოვავლე საღამოს ბინდში ჩაძირულ ლანდებს და... მე იმ სურათს იმ დღის შემდეგ ვეღარ ვივიწყებ: ძია ვასოს საფლავთან, უზარმაზარი ნაძვის ქვეშ იჯდა მხრებში მოხრილი, თოვლმიყრილი ვეება ლანდი, რომელსაც თავი ღრმად ჩაეკიდა და ყრუდ, უხმოდ ქვითინებდა. ცივმა სუსხმა დამიარა ტანში. შეუმჩნევლად მივადექი ძია ვასოს საფლავს და გავშეშდი. ჩემს წინ მამაჩემი იჯდა. ის ისე იყო გატაცებული თავისი სევდით, რომ არც კი შეუნიშნავს ჩემი მიახლოვება, მხოლოდ მაშინ, როცა მხარზე დავადე ხელი, შემომხედა თავისი ცრემლიანი თვალებით და მიცნო თუ არა, დამნაშავესავით წამოდგა, თოვლიანი კალთები დაიბერტყა და ჩუმად მითხრა:

— წამოვედი, თოვლი მინდოდა გადამეხვეტა საფლავიდან, მაგრამ მერე დარდმა დამითრია!

მე ხელი მოვკიდე და,

— წამოდი-მეთქი, მამა.

— ჰო, წავიდეთ, უკვე გვიან არისო, არა?

ორი ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, მამა მიტრიალდა ძია ვასოს საფლავისაკენ, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი იქაურობას, მერე უიმედოდ ჩაიქნია ხელი და სასოწარკვეთილმა თქვა:

— გათავდა, ჩემო რეჯებ, ჩვენი სტუმრობა ამ ქვეყანაზე, — და წამოვიდა. ამის შემდეგ აღარც მას უცოცხლია დიდხანს.

დასრულდა ვასო აბდუშელიშვილის ცხოვრება... დასრულდა თავისებურად განვლილი 62 წელი.

შალაურში, დანგრევის პირად მისული სახლის ნახევრად კრამიტახდილ სახურავის სხვენზე, დღესაც ყრია დამსხვრეული და მტვერმიყრილი აკვნის ნაშთები. ოდესღაც ეს აკვანი იყო ვასო აბდუშელიშვილის პირველი სავანე.

თბილისში, ვაკის ძველ სასაფლაოზე ახლაც არის ერთი, ძნელადმისაგნები, ალგეთის ქვით მოპირკეთებული სადა საფლავი, რომელსაც აწერია „ვასო აბდუშელიშვილი". აქ დასრულდა მისი ცხოვრების გზა. აქ დაესვა წერტილი მის არსებობას ამ ქვეყანაზე, აქ ჰპოვა მან უკანასკნელი და საუკუნო განსასვენებელი.

მე შევეცადე გავყოლოდი მანძილს იმ აკვნიდან ამ საფლავამდე და ამ წიგნში შეძლებისდაგვარად, აღმედგინა ეს გზა. შევეცადე ვასილ აბდუშელიშვილის თვალებით შემეხედა ცხოვრებისათვის, მისი გაგებით გამეგო და შემეფასებინა მოვლენები და ადამიანები, მივყოლოდი ამ გზას და ბოლოს ჩემი თვალით მენახა, სად იყო ის სწორი და სად — მოხვეული, სად — ვიწრო და სად — გაშლილი, სად — გაკვალული და სად — გაუკვალავი. ამეწონა ის ტვირთი, რომელიც მან იმთავითვე იტვირთა, მუხლმოუხრელად ატარა და ნამუსიანად მიიტანა სიცოცხლის დასასრულამდე... მაგრამ შევძელი კი ყოველივე, რაც განვიზრახე, თუ ეს მხოლოდ კადნიერება იყო ჩემი და მხოლოდ ხელყოფა იმისა, რასაც ვასილ აბდუშელიშვილის ცხოვრება ერქვა?!.. არ ვიცი!.. არ ვიცი, რას იზამდა ძია ვასო, თვითონ მას რომ წაეკითხა ჩემს მიერ ნაცოდვილარი მისი ცხოვრების ქრონიკა — მოიღუშებოდა, აუთამაშდებოდა წარბი და გამწყრალი კიდევ ერთხელ შემამკობდა თავისი ქათინაურებით, თუ თვალებში მზე ჩაუდგებოდა, გამიღიმებდა და მეტყოდა:

— მე ვეღარ გადაგიხდი მადლობას, მაგრამ, დაე, მათ, ვისაც ჯერ კიდევ ვახსოვარ ქვეყნად, დასდონ თავიანთი მსჯავრი შენს „გახსენებას".

არ ვიცი... არ ვიცი ისევე, როგორც არასოდეს არ ვიცოდი, რა ნიშანს დამისვამდა ბატონი ვასო, თუნდ დღე და ღამე გამესწორებინა მისი საგნის მომზადებაში. ვიცი მხოლოდ ერთი რამ, მე თავი არ დამიზოგავს, ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემს უნარს, შნოსა და ნიჭს არ აღემატებოდა და თუ მაინც ვერ მივაღწიე მიზანს, ისღა დამრჩენია ამ წიგნის ბოლოთქმად ამოვიკვნესო:

— წამკითხველო, შენდობა მიბოძე!

ამბობენ, ცდება მხოლოდ ის, ვინც რამეს აკეთებს, ხოლო ვინც არაფერს აკეთებს, ის არც არასოდეს ცდება! მე ეს პატარა „ქრონიკა" გავაკეთე ჩემი აღმზრდელის გასახსენებლად და ვაი, რომ სხვაზე უკეთ ვიცი, რამდენ რამეში შევცდი, რამდენს შევცოდე, რამდენი ვერ გავიხსენე და არ ვახსენე — ღირსნი კი იყვნენ... მიზეზი ჩემი ცდომისა და ცოდვისა მხოლოდ არ ცოდნაა — არ ცოდნა კი არ ცოდვაა და მეც ამით მინდა ვიმართლო თავი... თუმცა... ალბათ, თავის მართლება იმითაც შემეძლო, რომ... ადამიანის პიროვნება, მისი გული და გონება

ზღვაა და ამოწურვა ყოველიეე ამისა, ალბათ, შეუძლებელია; დიაღ, შეუძლებელია; ეკერმანი თიო ქმის ყოველდღიურად იწერდა გოეთესთან საუბრებს, მაგრამ მანაც ვერ შეძლო თუნდაც მიახლოებით აღედგინა ვაიმარელი ბრძენის ურთულესი სახე; ჩემი ძალაც და თხრობის საგანიც შეუდარებლად მოკრძალებული იყო, თანაც...

თანაც, ბატონი ვასო პროფესიით და ბუნებით ჭეშმარიტი მასწავლებელი იყო და ამიტომ მის ხელში მესამედზე მეტი საუკუნის განმავლობაში ათასეულებმა გაიარეს, ყოველ მათგანს საკუთარი ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში, ყოველი მათგანის ცხოვრებაში საკუთარი ადგილი ეჭირა ბატონ ვასოს, ყველა მათგანი ღირსი იყო ხსენებისა, მაგრამ ყველა მათგანის თუნდაც უბრალო ჩამოთვლაც კი რამდენიმე წიგნს აავსებდა, მე კი საამისოდ არც ადგილი მქონდა, არც საშუალება და მაინც...

და მაინც, ალბათ, შეიძლებოდა უფრო მეტი მნიშვნელობის მოვლენების შერჩევა, უფრო საყურადღებო ფაქტების აღნიშვნა, უფრო დიდი დამსახურების მქონე პიროვნებების ხსენება, მე კი ცოდნა და გამჭრიახობა არ მეყო, უხარვეზოდ აღმენუსხა ყოველივე ეს და უშეცდომოდ განმესაზღვრა მათი ცხოვრებისეული მაზანდა. მე ვიცი ეს და ამიტომაც უმდაბლეს ბოდიშს ვიხდი ყველა მათგანის წინაშე, ჩემი უნებლიე შეცდომებისა და შეცოდებისათვის და მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ვასო აბდუშელიშვილს ამაში ნუ დასდებენ ბრალს, ის აქ უბრალოა, ბრალი ჩემია და ეჭვიც არ არის, თვითონ მას რომ დაეწერა „მოგონებები", ეს უნებლიე შეცდომები და შეცოდებანი საერთოდ არ იქნებოდნენ და საბოდიშოც არა იქნებოდა რა. მე პატიება ვითხოვე და მცირედ მაინც შევიმსუბუქე ჩემი დანაშაული მათ წინაშე; ვიცი, განა არ ვიცი, რომ პატიება დავიწყებას არ ნიშნავს, მაგრამ მე ხომ საპატიებლად მხოლოდ იმიტომ გამიხდა საქმე, რომ შევეცადე დავიწყებისათვის არ მიმეცა იმ ადამიანის ხსოვნა, რომლის არდავიწყება თითოეული მათგანის სურვილიც იყო და ვალიც. მე არც მათი სურვილის შესრულებისათვის და არც მათი ვალის მოხდისათვის ვითხოვ მადლობას... მე მხოლოდ პატიებას ვითხოვ... ვითხოვ, თუ საერთოდ ბატონი ვასოს ამ გახსენებამ მათში ჩემდამი მცირეოდენი მადლობის გრძნობა მაინც აღძრა, მათ ეს მადლობა პატიებით გადამიხადონ!

მე ნება არ მქონდა არ მეთხოვა მათთვის შენდობა, მათ კი ნება აქვთ არ მიბოძონ ეს შენდობა... ნება მათია!.. და მაინც... კიდევ ერთხელ:

— წამკითხველო, შენდობა მიბოძე!

არ ვიცი, წამიკითხავს, მომისმენია, თუ თვითონ მოვიგონე, მაგრამ, რატომღაც, სწორედ ახლა, ამ გაბმული ფიქრის დასასრულს,

ამეკვიატა, თავში მიტრიალებს და ვერ მოვიშორე ერთი, ყოვლად ახირებული, ლეგენდა თუ ზღაპარი: ოდესღაც, სადღაც, დიდი ხნის წინათ, ვიღაც მეუდაბნოეს, ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად, განუზრახავს თავისთვის პირამიდის აგება. მიწის ზედაპირზე თვალუწვდენელი შენობის აღმართვის ძალა და ილაჯი რომ არ ჰქონია, მას უდაბნოში, მზით გადარუჯული ტაფობის გულში, დაუწყია უზარმაზარი, ოთხკუთხა ორმოს თხრა — ორმოსი, რომელსაც მწვერვალი ქვესკნელისაკენ უნდა ჰქონოდა მიქცეული. გადიოდნენ დღეები, თვეები, წლები, ობოროდი მეუდაბნოე კი თხრიდა და თხრიდა... თხრიდა და უახლოვდებოდა ვეება ძაბრის ფსკერს. იქ, იმ ფსკერზე, ეძებდა ის თავისი მიუწვდომელი მიზნის აღსრულებას. თუ ეგვიპტის მპყრობელი ფარაონები ცაში ეძებდნენ ღმერთს და სიკვდილის მერე თავიანთი ცათამბჯენი პირამიდებით ისწრაფვოდნენ მიახლოვებოდნენ მას, მეუდაბნოე თავის ღმერთს დედამიწის ქვესკნელში ეძებდა, თურმე... ცხადია, მეუდაბნოე ისევე ვერ ჩასწვდა თავის ღმერთს, როგორც ფარაონები ვერ შესწვდნენ თავისას, მაგრამ სასწაული მაინც მოხდა: მიაღწია თუ არა მეუდაბნოემ თავისი ძაბრის ფსკერს, წყალმა ჟონვა იწყო, ჩადგა იმ უკიდეგანო ჭა-უფსკრულში და პირთამდე აავსო მისი აყირავებული პირამიდა. თავზარდაცემულ მეუდაბნოეს გული გაუსკდა და უდრტვინველად დაიძირა თავისსავე ნაცოდვილებ ტბაში; ის უდაბნო კი აწალკოტებულ ოაზისად გადაიქცა, თურმე. ასეთი ბედი თუ უბედობა ეწია იმ მეუდაბნოესა და მის პირამიდას! საცოდავი მეუდაბნოე!.. უცოდველი მეუდაბნოე!.. ბედნიერი მეუდაბნოე!..

არ ვიცი, რამ გამახსენა ეს მივიწყებული ლეგენდა დღეს. ალბათ, იმან, რომ მეც იმ ობოროდი მოხუცივით შეუძლებელს შევეჭიდე: გრანიტისა და მარცვედის ნაცვლად გაყვითლებულ წერილებს, საბუთებსა და მოგონებებს მივადექი და განვიზრახე აღმედგინა ჩემთვის (იმედი მაქვს, არა მარტო ჩემთვის) ძვირფასი ადამიანის სახე, თუმცა ვიცოდი, რომ საამისოდ არც ცოდნა გამაჩნდა, არც ნიჭი და არც უნარი..., და მაინც... ძვირფასი სახის აღსადგენად მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას მივუბრუნდი; მისი დრო-ჟამისაგან გადარეცხილი ნაკვალევი გულისა და გონების თვალით ვჩხრიკე და ვწვლილე, მისი სულის ახოვანება მისსავე ახლობლებს: წინაპრებს, მშობლებს, ძმებს, ნათესავებს, მეგობრებსა და თანამოსაგრეებს მივუსადაგე, კვარცხლბეკად მისი ნამოღვაწარი ჩავდგი და ასპარეზად ორმოცი განვლილი წელიწადი ჩავიყენე. რამდენმა უძილო ღამემ ჩაიარა მთელი ამ ხნის განმავლობაში, რამდენი რამ ვიკითხე, რამდენი წავიკითხე, რამდენი ჩავინიშნე და რამდენი შევაჯერე... იყო წიგნები, წერილები, საბუთები, მინაწერები და ჩანახატები... იყვნენ ადამიანები და ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული ადამიანები, მათი აზრები და უფრო ხში-

რად უმისამართოდ, უმიზნოდ ნასროლი, ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული, აზრები... მე კი, ყველასგან და ყველაფრისაგან ვწელილავდი, ვიღებდი, ვაგროვებდი, ვავსებდი, ვადგენდი და ვაცოცხლებდი ჩემი სათაყვანო მასწავლებლის ჟამგადასულ სახეს. რა გა-მოვიდა, არ ვიცი!.. იქნებ არაფერი?.. ალბათ, არაფერი!.. ალბათ, ამაოდ დავშვრი, მაგრამ სასწაული მაინც მინდა მოხდეს! მინდა ვინმე დამაშვრალსა და ცოდნას მოწყურებულს ამ გახსენებამ, თუნდაც ერთის წუთით, აუხადოს ახლო წარსულის დაშვებული ფარდა და იქ დაანახოს სიკეთის, სილამაზისა და კაცური კაცობის თუნდაც ფერგაცლილი, ჩრდილდაკრული და გამკრთალებული ლანდები, რომლებიც საცნაურს ხდიან, თუ რას ეყრდნობა ჩვენი დღევანდელობა, საით მიდიან აწმყოს ფესვები და საიდან აღმოცენდა ჩვენი სულის აუხსნელი სიმდიდრე, სიმტკიცე, სისადავე და მრავალფეროვნება... ადამიანებს ისე სჭირდებათ ეს, როგორც სინათლე, როგორც სითბო, როგორც ჰაერი, როგორც წყალი, აი, ის წყალი, რომელიც იქ, სადღაც ოდესღაც. მაშინ, იმ საწყალი მეუდაბნოეს აყირავებულ პირამიდაში ჩადგა და ურწყული უდაბნო აწალკოტებულ ბაღნარად გადააქცია... მე იმ ობროდი მეუდაბნოეს ბედი მშურს, მშურს... მსურს — და... თუ ესეც ცოდოა

— წამკითხველო, კიდევ ერთხელ მიბოძე შენდობა!

Абдушелишвили Малхаз Григорьевич

«ДОСТИГНУВ, ВОЗДАДУТ...»

(на грузинском языке)

რედაქტორები: ლ. მენთეშაშვილი, ნ. ფავლენიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
გარეკანის მხატვარი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. მახარაშვილი
უფრ. კორექტორი პ. დგებუაძე
კორექტორი ლ. ლიპარტელიანი
გამომშვები ქ. ნიკოლაშვილი
ИБ № 3602.

გადაეცა ასაწყობად 2.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.87.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა,
ბეჭდვის ხერხი მაღალი, ნაბეჭდი თაბახი 13,25, სალ. გატარება 13,25.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,4. ტირაჟი 3000. შეკვ. № 1151.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50
1987

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. მედქალაქი,
II სასწ. კორპ., საქ. სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп. типография № 4, Госкомиздата Груз. ССР.